

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის  
დეპარტამენტი

# საისტორიო მაცნე

## XVI–XVII

*შრომების კრებული*



გამომცემლობა  
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი – 2008

9(341)(06)  
c187

„საისტორიო მაცნე“ გამოდის 1995 წლიდან

წარმოდგენილი ურებული ეძღვნება  
პროფ. აბელ სურგულაძის დაბადებიდან 75 წლისთავს

**მთავარი რედაქტორი**  
კახაბერ სურგულაძე

**ტომის რედაქტორი**  
ირაკლი მანველიძე

**სარედაქციო საბჭო** – ამირან კახიძე, ბიჭიკო დიასამიძე, ტარიელ ჭიღვარია (ქუთაისი), ქეთევან ჯიჯეიშვილი (თბილისი), თენგიზ გრიგოლია (თბილისი), ვაჟა შუბითიძე (თბილისი), მალხაზ სიორიძე, ნანა ხახუტაიშვილი, ემზარ მაკარაძე, ჯემალ კარალიძე, ეთერ ბერიძე, თამაზ ფუტკარაძე, მერაბ მეგრელიშვილი, ნუგზარ ზოსიძე.

ISSN 1987-5886

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

**მისამართი:**

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის I კორპუსი,  
ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი №47.

**Shota Rustaveli State University**

*DEPARTMENT OF HISTORY, ARCHAEOLOGY  
AND ETHNOLOGY*

# **SAISTORIO MATSNE**

## **XVI–XVII**

**PROCEEDINGS**

**Shota Rustaveli State University Press  
BATUMI  
2008**

9(341)(06)  
c187

**Issued since 1995**

**Editor-in-chief:**  
*Kakhaber Surguladze*

**Editor volume:**  
*Irakli Manvelidze*

**Editorial Board:** *Amiran kaxidze, Bidchiko Diasamidze, Tariel Chigvaria (Kutaisi), Ketevan Djidjeishvili (Tbilisi), Vaja Shubitidze (Tbilisi), Tengiz Grigolia (Tbilisi), Malxaz Sioridze, Nana Khakhutaishvili, Tanaz Futkaradze, Eter Beridze, Merab Megrelishvili, Emzar Makaradze, Jemal Karalidze, Nugzar Zosidze.*

ISSN 1987-5886  
© Shota Rustaveli State University Press – 2009

**Address:** №47, The Department of History, Archaeology and Ethnology,  
Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,

**ბისმარკის დამოკიდებულება კოლონიური  
პოლიტიკისადმი (1871 -1876)**

1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომში ფრანგთა დამარცხების შემდეგ შეიქმნა „მესამე რესპუბლიკა“. საფრანგეთის არმია არ აღმოჩნდა ისე ძლიერი, როგორც მის შესახებ იმპ. ნაპოლეონ III ხშირად იკვეხნიდა. პრუსიის გამარჯვების შედეგად დამთავრდა გერმანიის გაერთიანება. 1871 წლის 18 იანვარს ვერსალის სარკეებიან დარბაზში შეიქმნა გერმანიის იმპერია.

კაპიტალიზმის განვითარება გერმანიაში გაცილებით გვიან დაიწყო, ვიდრე ინგლისსა და საფრანგეთში. გაერთიანების შემდეგ კი ქვეყანა სწრაფი ტემპით მიდის წინ. კონტრიბუციის სახით მიღებულმა თანხამ (5 მლრ. ფრანკი) გერმანიის მრეწველობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი. ყოველივე ამის პარალელურად გერმანიის ახალგაზრდა იმპერიას გაუჩნდა მისწრაფება კოლონიური პოლიტიკისადმი. მმართველი წრეების ნაწილი აქტიური კოლონიური ექსპანსიის განხორციელებას მოითხოვდა და მას უკავშირებდა ეკონომიკურ, სამრეწველო და სავაჭრო განვითარებას. ამავე აზრისანი იყვნენ გერმანიის დაქუცმაცებისა და სისუსტის პერიოდში სამშობლოდან სხვადასხვა ქვეყნებში გადახვეწილი გერმანელებიც.

ჯერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროიდან ქვეყნის საქმიანი წრეები, განსაკუთრებით ბრემენისა და ჰამბურგის ვაჭრები, აქტიურად უჭერდნენ მხარს კოლონიურ ექსპანსიას. ისინი ცდილობდნენ ზეგავლენა მოესდინათ კანცლერ ბისმარკზე, რათა იგი დროზე შესდგომოდა კოლონიურ დაპყრობების განხორციელებას, მოითხოვდნენ პატაგონიის (არგენტინის სამხრეთ რაიონი), კუნძულ მადაგასკარისა და ზულუს ან ზულანდას (სამ-

სრეთ აფრიკა) დაპყრობას. ამ მოთხოვნებს მხარს უჭერდნენ უდიდესი ბანკის „დისკონტო-გეზელშაფტის“ დირექტორი ჰანზე-განი, საბანკო სახლი „ბალაიხრედერი“ და სხვ.<sup>1</sup>

კოლონიური სამფლობელოების შექმნის ზოგიერთი აქტიური მომხრე იმასაც მოითხოვდა, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად დაღებული ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულებაში საფრანგეთის ზოგიერთი კოლონიის გერმანიისათვის გადაცემაც გაეთვალისწინებინათ.<sup>2</sup>

1870 წლის 20 სექტემბერს გაზ. „ნაციონალ-ცაიტუნგში“ დაიბეჭდა გერმანელი მოგზაურის ფონ ვებერის სტატია, სადაც ავტორი მოუწოდებდა თავის ქვეყანას, დაეპყრო კოჰინჰინი (ვიეტნამის სამხრეთ ნაწილი), ტაიტი, მარკიზის კუნძულები და კუნძული რეიუნიონი. იგივე პოზიციაზე იყვნენ ამერიკაში მცხოვრები გერმანელები სამშობლოს მოუწოდებდნენ დაუფლებოდა კუბას, სუმატრას, ახალ გვინეას და პონდიშერს (სამხრეთ-აღმოსავლეთ ინდოეთი).<sup>3</sup>

კოლონიური დაპყრობების განხორციელებას აქტიურად უჭერდა მხარს გერმანიის იმპერიის მაღალი თანამდებობის პირთა ერთი ნაწილიც. საზღვაო ფლოტის მეთაური პრუსიელი თავადი ალბერტი და ვიცე აღმირალი ლიკონიუსი მოითხოვდნენ უპირატესობის მოპოვებას ზღვაზეც. 1871 წელს ვილჰელმსჰაფენი გერმანიის საზღვაო ბაზა გახდა. იმავე წელს, პრუსიის საზღვაო სამინისტრო, გერმანიის იმპერიის საადმირალოდ გადაიქცა.

საზღვაო ფლოტის ზრდა ხელს უწყობდა საგარეო ვაჭრობის განვითარებას. პრინცი ალბერტი ამბობდა: „მზარდი ერისათვის ექსპანსიის გარეშე არ არსებობს გაფუჩქვინა. ოკეანის გაღმა

---

<sup>1</sup> Хвостов В., История дипломатии, 1871-1914, под ред. А. Громыко, М., 1963, с. 184.

<sup>2</sup> Townsend M., The Rise and Fall of Germany's Colonial Empire, 1884-1918, New-York, 1930, p. 56.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 57.

პოლიტიკის გარეშე არ არსებოს ექსპანსია, ხოლო ფლოტის გარეშე არ არსებობს პოლიტიკა”.<sup>4</sup>

გერმანიის იმპერიის მმართველი წრეების მეორე ნაწილი მხარს არ უჭერდა კოლონიურ ექსპანსიას. ისინი თვლიდნენ, რომ დიდძალი ხარჯების გარდა, ასეთ პოლიტიკას შეეძლო გაერთულებინა ურთიერთობა ინგლისთან და სხვა ქვეყნებთან, ეს კი შეუძლებელს გახდიდა ევროპაში გერმანიის გეგმების განხორციელებას.

აქტიური კოლონიური პოლიტიკის გზას გერმანია 1884 წლიდან დაადგა, თუმცა კანცლერის მხარდაჭერის გარეშე. „გახდარა ქვეყნის ეკონომიკური ძალების ზეგავლენის მსხვერპლი, იგი მიემხრო ამ პოლიტიკას“.<sup>5</sup> მაგრამ ირკვევა, რომ საქმე მთლად ასე არ იყო - „რკინის კანცლერი“ თავის პოზიციას ყოველთვის მტკიცედ იცავდა, მართალია, კანცლერობის პირველ წლებში იგი კოლონიურ ექსპანსიას გარეგნულად მხარს არ უჭერდა, მაგრამ ამას სათანადო ახსნა ჰქონდა. ნათქვამის დასტურად ჩვენ მოვიტანთ ბისმარკის ზოგიერთ მოსაზრებას, სადაც მკაფიოდ ჩანს აღნიშნული საკითხისადმი მისი დამოკიდებულება. 1871 წელს ბისმარკმა განაცხადა: თუ გერმანიის ახალგაზრდა იმპერია გაიჩნდა კოლონიებს, იგი დაემსგავსებოდა პოლონელი შლიახტის ოჯახს, რომელსაც აქვს სიასამურის ქურქი, მაგრამ არ გააჩნია ღამის პერანგი.<sup>6</sup> ეს მოსაზრება მან პრაქტიკულადაც განახორციელა და იმავე წელს უარი თქვა კოლონია კომპინჰინზე,<sup>7</sup> რომელიც მას ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს შესთავაზეს. ეს მაშინ, როცა ბრემენის და ჰამბურგის ვაჭართა ჯგუფები კატეგორიულად მოი-

---

<sup>4</sup> Allgemeine Deutsche Biographie, vol . XIV, p. 788.

<sup>5</sup> Townsend M., დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

<sup>6</sup> Хвостов В., დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

<sup>7</sup> Townsend M., დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

თხოვნენ საფრანგეთისაგან კოლონიების ერთი ნაწილის გერმანიისათვის გადაცემას.<sup>8</sup>

ასეთი მოთხოვნები ბევრი იყო. ი. ჩარნის თავის წიგნში ერთი ამგვარი მაგალითი მოაქვს: ბრაზილიაში გერმანიის გენერალურმა კონსულმა ი. შტურცმა ბისმარკს აღმოსავლეთ ეკვატორული აფრიკის დაპყრობის გეგმა წარუდგინა, ან კიდევ, 1875 წელს გერმანელმა გეოგრაფმა რისტჰოფენმა შეადგინა უდიდესი ტრანსკონტინენტური რკინიგზის გაყვანის პროექტი, რომელიც დასავლეთ ევროპას ჩინეთთან დააკავშირებდა,<sup>9</sup> მაგრამ არცერთი პროექტი არ იქნა მიღებული.

„ბისმარკი – აღნიშნავდა აკად. ვ. ხვოსტოვი, - დიდი ხნის განმავლობაში საკითხს კოლონიების შესახებ თავშეკავებით და ცივადაც კი ეკიდებოდა“.<sup>10</sup> „რკინის კანცლერის“ ასეთ პოზიციას თავისი ახსნა აქვს. იგი დაკავებული იყო გერმანიის საშინაო საქმეებით და ევროპაში თავისი ქვეყნის პოზიციის განმტკიცებით. მართალია, გერმანია გაერთიანდა, მაგრამ ქვეყნის შიგნით შერ კიდევ ბევრი რამ მოუგვარებელი იყო, ამიტომ ბისმარკს აქ მრავალი ღონისძიების გატარება მოუხდა. (მაგ., 1871-1873 წლებში შემოიღეს ერთიანი ვალუტა; 1874 წელს ცენტრალიზებული იქნა ფოსტა-ტელეგრაფი; 1876 წელს ერთიანი გახდა სასამართლო წარმოება და ა.შ.).

ბისმარკისეული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა კათოლიკური სასულიერო წოდება, რომელსაც სურდა შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა და გავლენა. ოპოზიციას სათავეში ედგა „ცენტრის“ პარტია (შეიქმნა 1870 წლის ბოლოს). კათოლიკური ეკლესიის ზეგავლენის წინააღმდეგ გერმანიაში მიმართულ ღონისძიებებს ბისმარკმა „კულტურკამპფი“ (ბრძოლა კულტურისათვის) უწოდა.

---

<sup>8</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>9</sup> Чарный И., Начало колониальной экспансии Германии в Африке (1879-1885), М., 1970, с. 61.

<sup>10</sup> Хвостов В., დასახ. ნაშრომი, გვ. 63.



ი. ჩარნი გერმანიის კოლონიური იდეოლოგიისა და პოლიტიკის შემჩერებელ ფაქტორებად ასახელებს: გერმანიის ახალგაზრდა იმპერიის შინაგან სისუსტეს და „კულტურკამფუს“, რომლითაც დაკავებული იყო მმართველი წრეების ყურადღება.<sup>11</sup>

ჩვენი აზრით, ბისმარკის ყურადღება მიმართული იყო საფრანგეთისაგან მოსალოდნელი რევანშის საწინააღმდეგო გეგმებისაკენ. იგი ფიქრობდა, რომ საფრანგეთი არასოდეს შეურიგდებოდა ელზასისა და ლორენის დაკარგვას. აღსანიშნავია, რომ ფრანკფურტის ზავს კანცლერი დაზავებას უწოდებდა.

1871 წლის აგვისტოში საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულს ბერლინში მარკიზ დე გაბრიაკს ბისმარკმა მიმართა: „გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემო ძვირფასო, არა მგონია, თქვენ ახლა გსურდეთ არსებული დაზავების დარღვევა, გადაგვიხდით ორ მილიარდს, მაგრამ დადგება 1874 წელი და როცა საჭირო იქნება მომდევნო სამი მილიარდის შეტანა, უეჭველად დაიწყებთ ომს. ჩვენთვის უმჯობესია ის რაც უფრო ჩქარა დაიწყება... სისულელე იყო თქვენთვის მეტის წართმევა, მე არ მინდოდა შემენარჩუნებინა ის გერმანიისათვის. გენშტაბმა მკითხა, შემიძლია თუ არა მივცე გარანტია, რომ საფრანგეთი არ წავა რევანშზე? მე ვუპასუხე: პირიქით, დარწმუნებული ვარ საწინააღმდეგოში, ეს ომი იყო საფრანგეთსა და გერმანიას შორის მომდევნო ომების მხოლოდ დასწყისი. იგივეს მოგახსენებთ ელზასისა და ლორენის შესახებ. შეცდომა იყო თქვენთვის მათი წართმევა“.<sup>12</sup>

ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთი არასდროს შეურიგდებოდა ფრანკფურტის ზავის შედეგებს. იგი ცდილობდა არ დაეშვა საფრანგეთის გაძლიერება და ანტიგერმანული კოალიციის შექმნა. ამიტომაც უახლოვდებოდა ამ სახელმწიფოს პოტენციურ მოკავშირეებს (პირველ რიგში რუსეთს) და

---

<sup>11</sup> Чарный И., დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

<sup>12</sup> ი. ტაბაღუა, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ, თბ., 1960, გვ. 36-37.

ზრუნავდა სამი იმპერატორის (გერმანია, რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი) კავშირის განმტკიცებაზე.<sup>13</sup>

ბისმარკის აზრით, გერმანიას, რომელსაც ევროპაში ორ ფრონტზე ბრძოლის საშიშროება ემუქრებოდა, არ შეეძლო ინგლისთან მდგომარეობა გაერთულებინა. მით უფრო, რომ გერმანიის კოლონიურ დაპყრობათა ყოველი ნაბიჯი ინგლისთან ურთიერთობას გაამწვავებდა. ინგლისს-გერმანიას შორის კონფლიქტმა თავი ჯერ კიდევ 1871 წელს იჩინა, როდესაც ინგლისმა დაიკავა სამხრეთ აფრიკაში ბურებით დასახლებული ორანჟის რესპუბლიკის კიმბერლეის ალმასის საბადოების რაიონი.

ამრიგად, ბისმარკის მთავარი მიზანი ევროპაში გერმანიის პოზიციების განმტკიცება და იმის შენარჩუნება იყო, რაც ფრანკფურტის ზავით მიიღო. ძირითადად, სწორედ ამიტომაც იკავებდა თავს „რკინის კანცლერი“ კოლონიებისათვის ბრძოლისაგან.

ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ გერმანიის მზარდი ეკონომიკური პოტენციალი ოკეანისგაღმა ექსპანსიის გარეშე არა მარტო ვერ დაუპირისპირდებოდა რომელიმე დიდ სახელმწიფოს, არამედ ვერც ის ამოცანები განხორციელდებოდა, რომლებსაც კანცლერი გერმანიის იმპერიას უსახავდა. ამდენად, შემდგომში გერმანიას აუცილებლად მოუწევდა ადრინდელი კოლონიური პროექტების განხორციელება, რათა ევროპაში დიდი სახელმწიფოს მდგომარეობა შეენარჩუნებინა.

საერთოდ, ბისმარკის კანცლერობის პერიოდის კოლონიურ პოლიტიკას, ამ საკითხისადმი მისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ორ ნაწილად ყოფენ: 1871-1876 წწ. – მოლოდინის პერიოდი; 1876-1884 წწ. – ზღვისგაღმა, ანუ ყველა სავაჭრო მოქმედებისა და გერმანელი კოლონისტებისადმი ეფექტური მხარდაჭერის პერიოდი, რასაც 1884 წლის 24 აპრილს გერმანიის კოლონიალური იმპერიის შექმნის დაწყება მოჰყვა.

საიმპერიო კანცლერის თანამდებობაზე ბისმარკის ყოფნის პირველი ხუთი წელი (1871-1876), აღიარებულია როგორც ე.წ. მო-

---

<sup>13</sup> იქვე, გვ. 39.

ლოდინის პერიოდი, რადგან ამ ხანებში მას არ გამოუჩენია სურვილი კოლონიური ექსპანსიის ხელშეწყობისა. „კოლონიურ მიწრაფებათა აქტივიზაციას – წერს ი. ჩარნი, - რომელმაც გამოხატულება 1870-1871 წლებში მრავალი კოლონიური პროექტის შექმნაში პპოვა და ადამიანების შედარებით ვიწრო წრე მოიცვა, მთავრობაც და საზოგადოებრივი აზრიც უარყოფითად მოეკიდა. ასე რომ, უმნიშვნელო გამოცოცხლება ისევე გაქრა“.<sup>14</sup>

უკვე აღინიშნა, რომ განხილულ პერიოდში ბისმარკმა არ მიიღო არცერთი წინადადება კოლონიების დაპყრობის შესახებ. მაგ., მთავრობამ უარი თქვა დაემყარებინა გერმანიის პროტექტორატი ბორნეოზე, ზანზიბარსა და სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ ტერიტორიაზე. მან ასეთივე პოზიცია დაიკავა სამოასა და ჩინეთის სანაპიროებთან საზღვაო ბაზების შექმნის საკითხთან მიმართებაში, მაგრამ ამავე დროს გერმანელ კოლონისტებს ბრაზილიაში საკონსულოსა და საფოსტო სამსახურის შექმნის გარანტია მისცა, ხოლო გერმანელი ვაჭრების თხოვნის საპასუხოდ აფრიკაში და სამხრეთის ზღვების სანაპიროებზე კონსულები გაგზავნა.<sup>15</sup>

ამასთანავე, როდესაც ბისმარკი 1871-1876 წწ. უარს ამბობდა ამა თუ იმ ტერიტორიის პროტექტორატზე თუ კოლონიურ დაპყრობებზე, იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ერთსა და იმავე გარემოებას: ახალგაზრდა, სუსტი იმპერიის მომზადებლობას კოლონიური დაპყრობებისათვის, დიდი სახელმწიფოების მხრიდან ანტაგონიზმის გაღვივებას და ბოლოს, თვით გერმანიაში კოლონიალიზმისადმი მასიური მხარდაჭერის უკმარისობას.<sup>16</sup>

ამრიგად, ზემოჩამოთვლილი ფაქტებით კარგად ჩანს ბისმარკის დამოკიდებულება გერმანიის პოლიტიკისადმი. ფაქტია, მას მათი დაპყრობა სურდა. თუმცა, გერმანიის შიდა და ევროპის

---

<sup>14</sup> Чарный И., დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

<sup>15</sup> Townsend M., დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

<sup>16</sup> იქვე.

პოლიტიკური ატმოსფერო, კოლონიურ პოლიტიკაში მას უფრო ზომიერს ხდიდა.

**Tariel Chigvaria**

### **The Colonial Politics of Germany in 1871-1876**

#### **Summary**

The Colonial Politics of Germany during the period of Bismarck being the chancellor is divided in several parts: 1876-1884 supporting officially all the commercial activities in transoceanic areas and 1884 the beginning of the Colonial Politics of Germany.

The present article is the discussion of Bismarck's estimation to the expansion during the first five years while chancellor. This is the time of careful preparation for the colonial invasion. Bismarck is not anti-expansionist by that time. He simply was occupied in home affairs and the problems of Germany in Europe. His discretion in active colonial politics was the procrastination of the mentioned politics, than anti-expansionism. The ample clarification of the fact is that when from 1876 year the inner political situation changed, Germany relatively consolidated the position in Europe and the support of the colonial politics of Bismarck became evident.

**ინგლისის საზღვაო ფლოტის განვითარების  
ისტორიდან (XIV – XVII სს.)**

ინგლისის საზღვაო ფლოტის ისტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაუდის მრეწველობის განვითარებასთან.

XIV-XVI სს-ის ინგლისში დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება და კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება, რასაც თან ახლდა საშინაო და საგარეო ბაზრის ზრდა, ერთიანი ეროვნული ბაზრის შექმნა. ცხადია, ყოველივე ეს ხორციელდებოდა სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებული პროტექციონისტური პოლიტიკის მეოხებით, რის შედეგიც იყო XVI ს-ში ინგლისის საგარეო ვაჭრობის გადასვლა ქვეყნის მსხვილი სავაჭრო კომპანიების ხელში. ეს კი ქმნიდა წინააღმდეგ კოლონიური პოლიტიკის განხორციელებისათვის. სამეფო ხელისუფლების პროტექციონისტურმა პოლიტიკამ საზღვაო ფლოტის მიმართ სასურველი შედეგი გამოიღო და შექმნა პირობები მისი მშენებლობისათვის ინგლისში.

ინგლისელ ვაჭართა კომერციული საქმიანობის აქტივობა ზღვის გაღმა ქვეყნებში თავისთავად ეყრდნობოდა საზღვაო ფლოტის განვითარებას. მის მშენებლობას პოლიტიკოსები უკავშირებენ ედუარდ I-ის (1272-1307) სახელს. მისი მმართველობის დროს დიდი ბრიტანეთიდან ზღვაში გავიდა ხომალდები, რომელთა წყალწვევა 200 ტ. აღწევდა. ედუარდ III-ის (1327-1377) დროს დაიწყო ინგლისის სავაჭრო ფლოტის გაძლიერება. 1369 წელს გამოიცა პირველი „სანავიგაციო აქტი“, რომლის ძალით ინგლისელ ვაჭრებს აეკრძალათ საქონლის გატანა უცხოური გემებით. ეს იყო პირდაპირი მითითება ქვეყანაში საზღვაო ფლოტის განვითარებაზე. რიჩარდ II (1377-1399) დროს 1381 წელს მიიღეს ახალი სანავიგაციო აქტი, რითაც დადგინდა, რომ: „იმისათვის

რომ გაზრდილიყო ინგლისის საზღვაო ფლოტი, აღიარეს, რომ მეფის ყოველ ქვეშევრდომს ამიერიდან უნდა დაეტვირთა საქონლით მხოლოდ საკუთარი გემებით“. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა ჩამოტანილი საქონლის კონფისკაცია, დამბუზღებელს მიცემოდა საქონლის მესამედი.<sup>17</sup> მაგრამ კანონის განხორციელების რეალური პირობები ჯერ არ იყო.

1382 წლის სანაავიგაციო აქტით პირველ რიგში უნდა დატვირთულიყო ინგლისური გემები.<sup>18</sup> ასეთივე კანონები ქვეყნდებოდა ედუარდ IV მმართველობის დროსაც (1461-1483).

უნდა ითქვას, რომ ინგლისის ფლოტის სისუსტის გამო, ტიუდორების ეპოქამდე (1485-1603), შეუძლებელი იყო სანაავიგაციო აქტის განხორციელება და მისი ზუსტი დაცვა (ჯონ ტრუველიანი), რასაც არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა სწარაფად მზარდი ინგლისური ვაჭრობის მოთხოვნილება.<sup>19</sup>

ჰენრი VII-ის (1485-1509) 1485 წლის „სანაავიგაციო აქტის“ მიზანი იყო დაცემის გზაზე მყოფი ინგლისური გემთშენებლობის ფეხზე დაყენება. აიკრძალა ინგლისში უცხოური გემებით ღვინის ტრანსპორტირება გიიენიდან და გასკონიდან (საფრანგეთიდან).<sup>20</sup> 1489 წ. აკრძალვა შეეხო საფრანგეთიდან ხე-ტყის შემოტანას. საზღვაო ფლოტის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1497 წ. პარლამენტის „აქტს ვაჭარ-ავანტიურისტების შესახებ“. ამ კანონმა დარტყმა მიაყენა ავანტიურისტების მონოპოლისტურ მდგომარეობას ნიდერლანდების ბაზარზე. აქტი ყველა ინგლისელს აძლევდა უფლებას ეცურა ფლანდრიაში, ზელანდიაში, ბრეტანში და ნორმანდიაში.

<sup>17</sup> ი.ბელთაძე-ხინიკაძე, ინგლისის სავაჭრო კომპანიები და სავაჭრო ურთიერთობები XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, ბათ., 2001, გვ. 65.

<sup>18</sup> Кузнецов Е., Торговля и купеческий капитал в Англии в XIV-XV вв., Гор., 1989, с. 10.

<sup>19</sup> ი. ბელთაძე-ხინიკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

<sup>20</sup> Ротановская В., Законодательство английского парламента по вопросам ремесла и торговли в XV в., Проблемы английской истории и историографии, Гор., 1989, с.34.

ამ დროისათვის ინგლისში აგება დაიწყო 400-500 და 900 წყალწყვის ტევადობის გემების. გემთმშენებლობის განვითარებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯონ ტავერნერმა ქალაქ გულედან ააგო დიდი ხომალდი, ხოლო უილიამ კენინგმა რამდენიმე ხომალდი, რომლის საერთო ტევადობა იყო 853 ტონა. მათ შორის იყო ხომალდი 900 ტონა წყალწყვის.

XV ს-ში ინგლისის წყლებში გამოჩნდა ხომალდები ქაშაყის საჭერად, რომელიც ცნობილია „ადამ სმიტის“ სახელწოდებით. ასალ ხომალდებს შეეძლოთ გადაეყვანათ 200 კაცამდე მგზავრი.<sup>21</sup> კ. ჩიპოლამ ყურადრება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პირველი მრავალზარბაზნიანი ხომალდი „Harry Arace a Bren“ აგებულ იქნა 1514 წელს. მას აშენებდა ჰენრი VIII-ის მიერ დაარსებული „Navy Office“ (1512).<sup>22</sup>

ჰენრი VIII (1509-1547), როგორც ავლნიშნეთ, მფარველობდა საზღვაო ფლოტის მშენებლობას. როდესაც მიმდინარეობდა ომი საფრანგეთსა და ესპანეთის შორის ამ უკანასკნელს ესმარებოდა ინგლისი. ორივე მინარქი მხარს უჭერდა მუდმივი ძლიერი ფლოტის ორგანიზებას. თითოეულს ფლოტში უნდა გაეგზავნა სამი ათასი კაცი. ინგლისის ფლოტს უნდა დაეცვა ტემზის ნაპირები გიბრალტარის სრუტემდე, ხოლო ესპანეთის გემები იღებდნენ ვაღდებულებას დაეცვათ ზღვა ამ საზღვრების შიგნით. ინგლისელ ადმირალ ედუარდ ჰოვარდის უნდა გაეწია ეკიპირება. ხომალდებს უნდა ეცურათ თავისი მიმართულებით. ედუარდის განკარგულებაში ყოფილა 18 ხომალდი.

ჰენრი VIII-ის და ელისაბედის (1558-1603) დროს გამოიცა კანონები საზღვაო ფლოტის შესახებ. 1514 წ. ქარტიის ცალკეული მუხლი ითვალისწინებდა საზღვაო ფლოტის გაძლიერებას. ქა-

---

<sup>21</sup> Кенингем У., Рост английской промышленности и торговли в ранний период и средние века, М., 1909, с. 351-355.

<sup>22</sup> Chipolla C. The Guns and Sails in the Early Place of European Expansion, 1400-1700, 1965, p. 82-85.

რტიის დებულება მოიცავდა შუქურებისა და საზღვაო ნიშნების დაყენებას ინგლისის ნავსადგურებში.

ჰენრი VIII-მ სათავე დაუდო მდინარე ტემზის გამაგრების საქმეს. მის დროს იმდენად ხშირი იყო მეკობრეების თავდასმები, რომ ერთხელ მეფე ჰენრი VIII ლამის ტყვედ ჩავარდა. ამიტომ ქ. გრევეზდენში და ესექსის სანაპიროზე ააგეს დიდი ციხე-სიმაგრეები, რის შემდეგაც ლონდონელებს შეეძლოთ უფრო მშვიდად ეცურათ, ვიდრე ადრე.

ჰენრი VIII-ის მიზანი იყო ჰყოლოდა კარგად ეკიპირებული ფლოტი. მას შემდეგ, როცა ხანძარმა გაანადგურა 1000 ტ. წყალ-წყავის ხომალდი „რეგენტი“, მან გადაწყვიტა აეგო სხვა დიდი ხომალდი „Grace de dreu“, რომელიც იქნებოდა უფრო დიდი მოცულობის. ამის გარდა, არც სამეფო და არც სავაჭრო ფლოტი არ იქნებოდა კარგად ეკიპირებული თუ არ ეყოლებოდათ დიდი რაოდენობის გამოცდილი მეზღვაურები.

ინგლისის საზღვაო ფლოტის ძლიერების დამადასტურებელია 1588 წ. ესპანეთის „უძლეველი არმადის“ განადგურება, რაც ელისაბედის მმართველობის დროს ყველაზე დიდი მასშტაბის წარმატებული საზღვაო ბრძოლაა. საზღვაო ფლოტის ზრდაზე მიგვანიშნებს ასევე შემდეგი მონაცემები. მარტო 1601-1648 წლებში აიგო 46 გემი.<sup>23</sup> 1579 წ. ბალტიისპირეთში იმყოფებოდა 51 ინგლისური გემი. 1581 წ. ლევანტის კომპანია მოითვლიდა 15-20 გემს, რომელთა შორის გემები იყო 150-200 ტ. წყლის ტევადობის. XVII ს-ში ინგლისის სავაჭრო გემების სიდიდე 1572 წლიდან 1629 წლამდე გაიზარდა 50 ათასი ტონიდან 115 ათას ტონამდე.<sup>24</sup>

ამრიგად, ინგლისის საზღვაო ფლოტის განვითარების განმსაზღვრელი პირობა უდავოდ იყო სამეფო ხელისუფლების პრო-

---

<sup>23</sup> ი. ბელთაძე, ნარკვევი ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, ბათ., 2002, გვ. 133.

<sup>24</sup> ი. ბელთაძე, ინგლისის სავაჭრო კომპანიები მათი საქმიანობა და კოლონიური ექსპანსიის დასაწყისი (XVს-XVIIIს.), თბ., 2003, გვ. 258.



ტექციონისტური პოლიტიკა, რასაც ადასტურებს სანავიგაციო აქტები, რომელიც არაერთგზის გამოიცა (1381, 1382, 1480, 1485, 1514, 1572, 1629 წწ.) და რამაც განსაზღვრა ინგლისელ ვაჭართა პრივილეგიები და ნაციონალური საზღვაო ფლოტის მშენებლობის პირობები. ყოველივე ამან საბოლოო ჯამში განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ინგლისის გადაქცევა ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ. სწორედ საზღვაო ფლოტის განვითარებამ სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო ინგლისის გამოსვლას კოლონიურ ექსპანსიის გზაზე. XVII ს-ეში ინგლისს ჩამოჰქონდა საკუთარი გემებით კოლონიებიდან აბრეშუმის, ბამბის ნედლეული და ავითარებდა შესაბამისი დარგის მრეწველობას კაპიტალისტური გზით.

**Izolda Beltadze**

**From tre history of English Navy  
(the 14 th – 17 th centuries)**

**Summary**

Development of tre Englir Navy was closely connected with development of the textile industry, thet from the very start had been developing in a capitalist way.

The literary sources dated back to tre years 1381, 1382, 1480, 1485, 1514, 1572, 1629 narrate on the development of the navy.

The protectionist policy pursued by tre Royal government in the 14 – 16 centuries considered to de the main precondition for development and strengthening of the English Navy.

**ტერიტორიულ-სასაზღვრო საკითხები**  
**საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში 1919-1921**  
**წლებში**

1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში, გაფორმდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით საქართველო-თურქეთს შორის იწყებოდა ახალი სასაზღვრო რეჟიმი მდინარე ჩოლოქიდან და გრძელდებოდა აბასთუმნამდე. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც ოსმალეთის ხელში უნდა გადასულიყო. ამრიგად, ოტომანთა იმპერია კვლავ იბრუნებდა ეგრეთ წოდებულ „გურჯისტანის დიდ ვილაეთს“.<sup>25</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ 4 ივნისის ხელშეკრულებას საქართველომ რატიფიცირება არ გაუკეთა და მის გადასინჯვას მოითხოვდა. საქართველოს მოთხოვნას გერმანიამაც დაუჭირა მხარი. ეს ხელშეკრულება საქართველოსთვის წარმოადგენდა სერიოზულ დიპლომატიურ და პოლიტიკურ მარცხს.

1918 წლის შემოდგომაზე ოსმალეთის პოზიციები საგრძნობლად შეირყა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მსოფლიო ომში მარცხმა აიძულა ოსმალეთის მთავრობა გარკვეულად მოეწესრიგებინა ურთიერთობა საქართველოსთან. ამისათვის 1918 წლის ოქტომბრის დამლევეს თბილისს ეცნობა, რომ 4 ნოემბერს ოსმალეთის ჯარი ოფიციალურად დატოვებდა ბათუმს. ოსმალეთის ეს ნაბიჯი ნაკარნახევი იყო მაშინ არსებული საერთაშორისო მდგომარეობით. კერძოდ, ანტანტასთან დამარცხებულმა

---

<sup>25</sup> ნ. ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათ., 1995, გვ. 51.

ოსმალეთმა 1918 წლის 30 ოქტომბერის მუდროსის ზავით ტოვებდა მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობას თითქმის ორი წელი დასჭირდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დასაბრუნებლად, სადაც 1918-1920 წლებში ზედიზედ სამჯერ ჰქონდა ადგილი თვითმარქვია სახელმწიფოების შექმნის უშედეგო მცდელობებს: პირველად ახალციხეში, შემდეგ ყარსსა და ბოლოს ბათუმში, რომელთა უკან ან ოსმალეთი, ან ინგლისი და ან აზერბაიჯანი იდგა.

მუდროსის ზავით თურქეთზე ფაქტობრივად ანტანტის გავლენა დამყარდა. ოსმალეთის სულთანის სამარცხვინო კაპიტულაციას ქვეყანაში მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყება მოჰყვა მუსტაფა ქემალ ფაშას ხელმძღვანელობით. ოსმალეთის მძიმე მდგომარეობა კარგად გამოჩნდა მოკავშირეთა მიერ თავს მოხვეული 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის კაბალურ ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზე დადგინდა ოსმალეთის ახალი საზღვრები. ოსმალეთს რჩებოდა ცენტრალური ანატოლია, დედაქალაქი სტამბული. ქვეყანაში განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა.

თურქეთისათვის შექმნილ ამ მეტად არახელსაყრელ საშინაო და საგარეო მდგომარეობის ფონზე საქართველო-თურქეთის 1918 წლის 4 ივლისის ხელშეკრულების პირობები, მათ შორის საზღვრების საკითხშიც, აზრს კარგავდა. 1919 წლის დასაწყისიდან საქართველოს მთავრობის შეიარაღებული ძალებმა ეტაპობრივად დაიკავეს ართვინის და არტანის ოლქები. ჯერ კიდევ 1918 წლის 21 ნოემბერს საქართველოს მთავრობის სხდომაზე გაკეთდა მოხსენება საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ, რომელიც წარადგინეს 1919 წლის ივლისს პარიზის საზავო კონფერენციაზე. მოგვიანებით ეს მოხსენება პარიზშიც გამო-

ქვეყნდა რუკითურთ. ამ მოსხენების მიხედვით<sup>26</sup> თურქეთთან საქართველოს საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით, გაივლიდა ჩახირბაბას ქედს, რომელიც იყო მდინარეების არაქსისა და ჭოროხის შენაკად ოლთიჩაის წყალგამყოფი (მდ. ზემო წელის აუზებს შორის – ავტ.).

ოსკანის მთიდან საზღვარი მიემართებოდა დასავლეთით, დუმლუდაგის, კაზანბახის და კორტიკდაგის ქედებზე, შემოუვლიდა ჩრდილოეთიდან ჭოროხის ზემო წელს, რომელიც მის საზღვრებს გარეთ რჩებოდა, მაღლა აუყვებოდა ისპირს, კილისაკაულუს მონასტრის ცოტა დასავლეთით სოფელ მადნამდე.

ჭოროხის მარცხენა ნაპირზე საზღვარი კვლავ მიდიოდა ჩრდილოეთით, მთების თხემებზე, რომლებიც ლაზისტანის პონტოს ქედის განშტოებას (კეშიშკაის მთა) წარმოადგენდა. იგი გადიოდა პონტოს ქედთან, დასავლეთისაკენ, კირკლიარის მთების რაიონში ლაზისტანის სანჯაყის (თურქეთის ტერიტორია), საზღვრის საზოთ. შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთით მდინარე კალაპოტამოსის სათავისაკენ, რიზესა და ოფომს შორის შავი ზღვისაკენ, რომელიც გარს ერტყმოდა საქართველოს დასავლეთით მაკოპსეს სათავემდე.<sup>27</sup>

იქვე თანდართულ განმარტებაში მითითებული იყო, რომ „საქართველოს საზღვრის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში სანდუაკისა და ლაზისტანის შეყვანას და აგრეთვე ერზრუმის ვილაეთის ნაწილის მიერთებას (მდ. ჭოროხის რაიონი) ითვალისწინებს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიას ჩვენ ვიხილავთ, როგორც თურქების მიერ საქართველოსთვის წართმეულ უძველეს ქართულ მიწებს, რომლებიც მიუხე-

---

<sup>26</sup> ლ.თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991, გვ. 202; ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1990, გვ. 3809-382.

<sup>27</sup> ლ.თოიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 204; ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 384; ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომატია), თბ., 2004, გვ. 496-497.

დავად მოსახელების გამუსლიმანებისა, თავისი ეთნიკური ხასიათი შეინარჩუნეს“.<sup>28</sup>

იმის მიუხედავად, რომ 1919 წლის ბოლოსათვის ოსმალეთში ერთგვარად ორხელისუფლებიანობა (ანგორის-ქემალისტური და კონსტანტინეპოლის-სულთნის) დამყარდა, ორივე მათგანი ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიების განუყოფლობას უსვამდა ხაზს. 1919 წლის (23 ივლისი-16 აგვისტო) ერზრუმის დეკლარაციის, 1919 წლის (4-11 სექტემბერი) სივას კონგრესის გადაწყვეტილების, და 1920 წლის 28 იანვრის ოსმალეთის დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული „თურქეთის ეროვნული პაქტის“ მიხედვით ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები ოსმალეთის შემადგენელ ნაწილად იქნა აღიარებული, თუმცა შესაძლებლად თვლიდა ახალი პლებისციტის ჩატარებასაც.<sup>29</sup> ისევე როგორც 1918 წლის მუდროსის ზავით, ასევე 1920 წლის 10 აგვისტოს სივას ხელშეკრულებით ოსმალეთს ჩამოშორდა მთელი რიგი ტერიტორიები. მისი აღმოსავლეთი საზღვარი 1914 წლის ომამდელი მდგომარეობით განისაზღვრა. მართალია, ეს ხელშეკრულება მიიღო სულთნის მთავრობამ, მაგრამ იგი არ ცნო ანგორის ხელისუფლებამ. სწორედ ამ დროს ხდება საბჭოთა რუსეთის და ქემალისტური ოსმალეთის დაახლოება. მათი ძირითადი მიზანი იყო ანტანტის წინააღმდეგ შეთანხმებული ბრძოლა.

1920 წლის 26 აპრილს ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ თხოვნით მიმართა მოსკოვს დახმარების თაობაზე.<sup>30</sup> თავის საპასუხო წერილში 1920 წლის 2 ივნისს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიიღო და დაადასტურა ანგორის მთავრობის ის პრინციპები, რომელებიც წამოაყენა დიდმა ეროვნულმა ყრილობამ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, აქ ნათქვამია: „Советс-

---

<sup>28</sup> ლ.თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 204; ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 384;

<sup>29</sup> Документы внешней политики СССР, т. III, М., 1959, с. 682-683.

<sup>30</sup> იქვე.

кое Правительство с удовлетворением ознакомилось с основными принципами внешней политики нового Турецкого правительства, возглавляемого Великим Национальным Собранием в Ангоре. ....Решение, принятое Великим Национальным Собранием, о предоставлении Турецкой Армении, Курдистану, Лазистану, Батумской области, Восточной Фракии и всеми территориями со смешанным турецко-арабским населением права самим определить свою судьбу. Советское правительство, естественно, под этим подразумевает, что в этих местностях будет проведен свободный референдум при участии беженцев и эмигрантов“.<sup>31</sup>

ამ განცხადებით რუსეთმა ფაქტობრივად ბათუმის ოლქი ცნო თურქეთის ნაწილად. 1920 წლის ივლის-აგვისტოში დიპლომატიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა მოსკოვში, სადაც მომზადდა ხელშეკრულების პირობები. 1920 წლის ბოლოს თურქეთის მთავრობამ საბჭოთა რუსეთის მთავრობას წინადადებით მიმართა გავრძელებულიყო მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების მიზნით, რაზეც თანხმობა მიიღო.

1921 წლის 21 თებერვალს დაიწყო წინასწარი მოლაპარაკება რუსეთის და თურქეთის წარმომადგენლებს შორისი თურქეთის დელეგაციას მეთაურობდა იუსუფ ქემალ ბეი.<sup>32</sup> მოსკოვის მოლაპარაკების დროს ყველაზე დაძაბულად მიმდინარეობდა დისკუსია კავკასიაში საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით. თურქეთის დელეგაცია მოითხოვდა, რომ საზღვარი დადგენილიყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>33</sup>

სომხეთთან წარმატებული ომის შემდეგ ოსმალეთის ახალი ხელისუფლების ყურადღება საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. 1920 წლის 14 ნოემბერს ბათუმში გამართულ მიტინგზე ნ.რამიშვილმა განაცხადა: „ქემალ ფაშას ჯერაც არ უთქვამს უარი ბრესტის ზავის საზღვრებზე და კერძოდ ბათუმის ოლქზე, ამიტომ რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ყველა ზომები სა-

<sup>31</sup> Документы внешней политики СССР, т. II, М., 1958, с. 342.

<sup>32</sup> მ. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, წ. II, თბ., 2002, გვ. 304.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 306.

ხელმწიფოს საზღვრების დასაცავად“.<sup>34</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა კ.საბახტა-რაშვილმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: „არ გვაქვს არავითარი რეალური გარანტია, რომ ქემალის ჯარი, როცა სომხეთში თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანს, ჩვენს საზღვრებსაც არ გადმოლახავს“.

1921 წლის 8 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარდა თურქეთთან და ანკარაში საელჩო გაიხსნა. აშკარა იყო, რომ თურქეთი სიტყვით ერთს ამბობდა და საქმით მეორეს აკეთებდა. 22 თებერვალს ანკარის მთავრობამ საქართველოს მთავრობას ულტიმატუმში გაუგზავნა და მოითხოვა ჯარების გაყვანა ართვინიდან და არტაანიდან. საქართველოს ხელისუფლებამ რთული მდგომარეობის გამო მიიღო ულტიმატუმის პირობები. 23 თებერვალს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს არტაანი და ართვინი, ხოლო დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო დადგენილება ამ ტერიტორიების ოსმალეთთან შეერთების შესახებ. 4 მარტიდან კი დაიწყო ნ.ჟორდანიას თანხმობით ოსმალეთის ჯარების მიერ ბათუმის დაკავება. 11 მარტს ისინი უკვე ბათუმში შევიდნენ. ამავე დროს დაიკავეს ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიც.<sup>35</sup> საქართველოზე საბჭოთა რუსეთის და თურქეთის თავდასხმა თითქმის ერთროულად განხორციელდა. მას თან სდევდა მოსკოვ-ანკარის მოლაპარაკებების პროცესი. თანმხვედრი მოვლენები ადასტურებს ამ ორი სახელმწიფოს დაინტერესებას საქართველოს მიმართ. ეს კარგად გამოჩნდა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში, სადაც ერთ-ერთ მთავარი საკითხს ტერიტორიალურ-სასაზღვრო საკითხები წარმოადგენდა.

მოსკოვის მოლაპარაკებების დაწყების წინ თურქეთს უკვე დაკავებული ჰქონდა ყარსი, არტაანი და ართვინი. თურქეთის დელეგაცია დამატებით მოითხოვდა, რომ მას გადასცემოდა ბათუ-

---

<sup>34</sup> იქვე. გვ. 300.

<sup>35</sup> იქვე. გვ. 304.

მი და ბათუმის ოლქი, რაზედაც რუსეთი არ თანხმდებოდა. თურქებმა მოლაპარაკების დროს დაიწყეს ბათუმისა და ბათუმის ოლქში (ნ. უორდანიას მთავრობის თანხმობით) თავიანთი ჯარების შეყვანა. ამან მოსკოვში დიდი შეშფოთება გამოიწვია.<sup>36</sup> ამასთან დაკავშირებით ვლენინი გ.ჩიჩერინს სწერდა: „ამხ. ჩიჩერინ! მეტად შეშფოთებული ვარ იმით, რომ თურქები აჭიანურებენ ბათუმის შესასვლელ შეთანხმების ხელმოწერას, დროს იგებენ, სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მიდიან. ასეთი გაჭიანურების საშუალება არ უნდა მივცეთ. განიხილეთ ასეთი ღონისძიება: თქვენ ნახევარი საათით შეწყვეტთ კონფერენციას ჩემთან ლაპარაკისათვის, ხოლო სტალინი ამ დროს გულახდილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გაირკვეს საქმე და დღესვე მიყვანილ იქნეს ბოლომდე. ლენინი“.<sup>37</sup>

საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს ხელმოწერილ კმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების პირველსავე პუნქტში რუსეთის მთავრობამ აღიარა ოსმალეთად ის სახელმწიფო რომლის ტერიტორიას შეადგენდა თურქეთის ეროვნულ პაქტში ჩამოთვლილ მიწები. ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნულია: „Под понятием Турции настоящим договоре подразумеваются территории, включенные в Национальный Турецкий Пакт от 28 января 1920 (1336) года, выработанный и провозглашенный Оттоманской Палатой Депутатов в Константинополе и сообщенный прессе и всем государствам“.<sup>38</sup>

გარიგების შედეგად საბჭოთა რუსეთ-თურქეთს შორის საზღვრის ახალი მონაკვეთი დადგინდა: „Северо-восточная граница Турции определяется: линией, которая, начинаясь у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедисмта, линией водораздела горы Шавшети-горы Канны-даг, она следует затем по северной административной границе“. მეორე მუხლით მხარეებმა კიდევ

<sup>36</sup> იქვე, გვ. 306.

<sup>37</sup> ლ.თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

<sup>38</sup> Документы внешней политики СССР, т. III, с. 598.



ერთხელ გაუსვეს ხაზი იმ ფაქტს, რომ ბათუმი თურქეთის ნაწილი იყო და მასზე სიუზერენიტეტს ნებაყოფილობით უთმობდა საქართველოს. ამას ადასტურებს ამ მუხლის ფორმულირებაც: „Турция соглашается уступить Грузии сюзерените над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в статье первой нынешнего Договора, составлявшей часть Батумского округа, при условии, что население местностей, указанных в настоящей статье, будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении“. აშკარაა, რომ პირველი და მეორე პუნქტები ბათუმის ოლქს ოსმალეთის ნაწილად აცხადებს, ოღონდ მეორე პუნქტით თურქეთი ნებაყოფილობით ამბობს უარს ბათუმის ოლქის ნაწილზე. რუსეთ-თურქეთის ეს გარიგება ამიერკავკასიის რეგიონში მათი სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული.

მოსკოვის ხელშეკრულება გვიჩვენებს, რომ რუსეთმა სცნო სწორედ ოსმალური ეროვნული პაქტი, რადგან 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულება დაყრდნობილია სწორედ ოსმალურ ეროვნულ პაქტზე, ვინაიდან პირველი მუხლი ამ პაქტს აღიარებს და მის მიხედვით გაჰყავთ საზღვარი საქართველოსა (რუსეთს) და თურქეთს შორის. ლოგიკურად აქედან გამომდინარეობს მეორე მუხლიც, რომელიც მიუთითებს, რომ „ოსმალეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სიუზერენიტეტი ბათუმის პორტზე და ქალაქზე და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძვეს ჩრდილოეთით საზღვარზე! აქ ოსმალეთი უთმობს! ცხადია იგულისხმება, რომ ბათუმიც ოსმალეთის ყოფილა და ესლა უთმობს.<sup>39</sup>

მთავარია ის რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველომ შეინარჩუნა. როგორც პროფ. ლ.თოიძე მიუთითებს „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ დიდი საქმის წარმატება განაპირობა იმ მტიკცე, სწორმა პოზიციამაც, რომელიც საბჭოთა რუსეთის

---

<sup>39</sup> ვ.ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 123.

მთავრობამ, რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა კავშიურმა დაიკავეს ამ საკითხში.<sup>40</sup>

იმის მიუხედავად, რომ მოსკოვში 16 მარტს უკვე ხელი მოეწერა შეთანხმებას, ბათუმში შესული თურქეთის ჯარის სარდალი გენ. ქიაზიმ ბეი აქვეყნებს ბრძანებულებას ბათუმის ოლქის ოსმალეთის შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ: „В последнее время с согласия грузинского правительства, Батумская область, Ахалкалакский и Ахалцихский округа были оккупированы нашими войсками. По постановлению правительства Большого национального собрания Турции, основанному на национальных правах, в наших многократно подтвержденных разновременными договорами, эти области с сегодняшнего дня возвращаются в пределы матери отчизны и в политическом и административном отношении подчиняются турецкому национальному правительству“<sup>41</sup>. თუმცა აქ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ სავარაუდოდ, ქიაზიმ ბეის 16 მარტის ხელშეკრულების შესახებ არაფერი ეცოდინებოდა.

ამრიგად, 1918-1921 წლებსი საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხებს ფართო ადგილი ეკავა. ბრესტის საზავო ხელშეკრულებამ სავსებით დააკმაყოფილა თურქეთის ინტერესები ე.წ. სამი ოლქთან დაკავშირებით. 1920 წლის შუახანებიდან აღნიშნულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საკითხის განხილვა აქტიურად საბჭოთა რუსეთს და თურქეთს შორის წარიმართა, რაც საბოლოოდ გარიგებით დასრულდა.

ამდენად ტერიტორიულ-სასაზღვრო საკითხები აღმოჩნდა ის საბედისწერო კვანძი, რამაც ეს ორი მეზობელი სახელმწიფო ვერ მიიყვან საბოლოო მისაღებ შეთანხმებამდე. თურქეთთან ურთიერთობის მოუგვარებლობა კი საქართველოსათვის სავალალო აღმოჩნდა, რამაც ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა-

---

<sup>40</sup> ლ.თოიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 139.

<sup>41</sup> Борьба за победу Советской Власти В Аджарии, документы и материалы 1917- 1921 гг., 1961, с. 371.

ში არანაკლები როლი ითამაშა. რუსულმა დიპლომატიამ ქართული მიწების გასხვისების ხარჯზე წარმატებით გადაჭრა კავკასიური პოლიტიკის საპრობლემო საკითხები. ქართულმა მხარემ ვერ შეაფასა იმუამად არსებული საერთაშორისო ვითარება, ვერ გააკეთა სწორი დიპლომატიური სვლები, თუნდაც მცირე დათმობების ფასად რომ უზრუნველყო სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

**Nugzar Zosidze  
Irakli Manvelidze**

**Territorial-Frontier Issues of the  
Georgian - Turkish Relations in 1919-1921**

**Summary**

After restoration of independence of Georgia by one of country leaders priorities there was an establishment of friendship with neighbouring countries, that taking into account the international legal principles should provide streamlining of territorial questions. The government of democratic Georgia tried to keep territorial integrity of the country in historical borders though in then internal and external difficult conditions to reach it it was extremely difficult. The management of Georgia aspired to keep the realities of a frontier regime existing between the Russian and Osmansky empires to first world soldiers to that Ottoman empire categorically opposed.

On November, 13th, 1920 to Georgia there has arrived the official representative of the government of Ankara the colonel Kazim-bay. At a meeting with representatives of the Georgian press he has declared, that «the government of Mohair wishes to see Georgia uniform and strong, and that Georgia has deserved our liking».

On February, 8th, 1921 the Georgian ambassador has visited Mustafy Kemalja with official visit. How sons of the future republic of Turkey of the relation with a neighbouring country imagined? It is well formulated in Ataturk's reciprocal word: «Usunite with Georgia not only

mutual liking, but also unity of the purposes. Strong and independent Georgia is necessary to us». Unfortunately, the subsequent events caused by variety of objective and subjective factors, have not absolutely confirmed these kind wishes. Though it is necessary to notice, that in a neighbouring country always there were supporters of the idea of Ataturk set forth above.

In Batumi by means of military units of democratic republic of Georgia the establishment of the Soviet power has come to the end. It is possible to tell, that wrong political policy Antanta concerning Turkey, developed after the world war termination, meaning disintegration of the Turkish state, not only promoted the beginning of powerful national-liberation struggle under the guidance of Mustafy Kemalja Ataturk, but has accelerated rapprochement of the Soviet Russia and Turkey. Relations between Russia and Georgia, Georgia and Turkey the analyzed period were a consequence of a difficult world situation.

1975-1990 წლების სამოქალაქო  
ომი ლიბანში

ლიბანის უახლესი ისტორიაში ერთ ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 70-იან წლებში გაჩაღებულ სამოქალაქო ომს, რომელიც თითქმის მეოთხედი საუკუნე გაგრძელდა. ომის შედეგად მილიონამდე ადამიანი დაიღუპა, ხოლო 600 ათასამდე ადამიანმა ქვეყანა დატოვა. ომის შედეგად მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა. სამოქალაქო დაპირისპირებამ უზარმაზარი მატერიალური და ეკონომიკური ზარალი მიაყენა ქვეყანას.<sup>42</sup>

სამოქალაქო ომამდე ლიბანის მართვა ე.წ. „ეროვნული პაქტის“ საფუძველზე ხორციელდებოდა. პაქტის თანახმად სახელმწიფო თანამდებობებს ქვეყანაში დომინირებული კონფესიების წარმომადგენლები იკავებდნენ. მაგრამ კონფესიონალური სისტემა ქვეყანაში რელიგიური თემების პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ განკერძოებას იწვევდა, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ეროვნულ ერთიანობზე, და ხელს უწყობდა ქვეყნის რაიონების დისპროპორციონალურ განვითარებას, შედეგად იგი ხელს უწყობდა ლიბანის სახელმწიფოს დასუსტებას. ყოველივე ამის შედეგად ლიბანში რელიგიური თემების ერთგვარი ფედერაცია ჩამოყალიბდა. სხვათაშორის, შემდგომში სწორედ ეს ფაქტი გახდა სამოქალაქო დაპირისპირების ძირითადი მიზეზიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი თემი ნახევრად ავტონომიურ პოლიტიკურ ორგანიზმს წარმოადგენდა, რომელიც საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად საგარეო პოლიტიკურ მოკავშირეებს ეძებდა. მაგ., ქრისტიანული თემი თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად დასაველეთის სახელმწიფოებში ეძებდა მოკავშირეს, ხოლო მუსლიმი მოსახლეობა

<sup>42</sup> [http://www.-vatanyim.ru/?an=vs306\\_6](http://www.-vatanyim.ru/?an=vs306_6).

დახმარებას არაბული ქვეყნებიდან ღებულობდა. ამგავრი ვითარება სერიოზული წინააღმდეგობების ზრდას იწვევდა სოციალ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში. ლიბანის შიდაპოლიტიკურ სიტუაციის გამწვავებაზე არანაკლებ გავლენას ახდენდა ახლო აღმოსავლეთში – პალესტინა-ისრაელის სამხედრო დაპირისპირება – პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებაც.

არაბეთ-ისრაელის სამხედრო კონფლიქტში, პალესტინის შეიარაღებული ძალები, დამარცხების შემდეგ, ლიბანის ტერიტორიაზე გადავიდნენ. ლიბანურ მხარეს მათ განიარაღებაზე არც კი უფიქრია, პირიქით, ნება დართო მის ტერიტორიაზე განლაგებულიყვნენ. პალესტინური შეიარაღებული ძალების გამოყენება სცადა საკუთრი მიზნების მიღწევისათვის ლიბანის მუსლიმანმა მმართველმა წრეებმა ქვეყნის ქრისტიანული მოსახლეობის უფლებათა შეზღუდვისათვის. თავის მხრივ ქრისტიანული მოსახლეობის ნაწილმა საკუთარი შეიარაღებული ჯგუფები შექმნეს.

1975 წლის 13 აპრილს ლიბანში სამოქალაქო ომი დაიწყო პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციასა და ქრისტიანული პარტიის რაზმებს „ქათაიბს“ შორის მომხდარი შეტაკებით.<sup>43</sup>

ომის შედეგად მართალია ლიბანელმა ქრისტიანებმა დაკარგეს დომინირებადი მდგომარეობა ქვეყანაში, მაგრამ ვერც სუნიტებმა შეძლეს სრულად დაეკავებინათ გაბატონებული პოლიტიკური ძალის ადგილი ქვეყანაში. მაგრამ აშკარად კი გაიზარდა შიიტური თემის სიძლიერე და ამბიციები. ისე რომ მათ ქვეყნის სამხრეთის ნაწილი სრულად დაიმორჩილეს. სხვათაშორის, ამ საქმეში მათ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ისრაელის მიერ ლიბანის სამხრეთ ნაწილის მუდმივმა დაბომბვებმა აიძულა ქრისტიანებისა და მუსლიმი სუნიტების უმრავლესობას დაეტო-

---

<sup>43</sup> Новейшая история стран Азии и Африки XX век (1945-2000), М., 2001, с. 84.

ვებინა რეგიონი. მათ ისარგებლეს ამ გარემოებით და ქვეყნის მართვაში მონაწილეობაზე პრეტენზიაც განაცხადეს. უფრო მეტიც, შიიტებმა თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა დაიწყეს. შიიტებმა მუსა ალ-სადრის მეთაურობით „წინააღმდეგობის ლიბანური ბრიგადები“ („ამალი“) შექმნეს. ეს ორგანიზაცია მთავარ მტრად მაინც ლიბანის თემებს კი არა არამედ ისრაელს თვლიდა. ამას არ შეეძლო „ამალის“ პოპულარულობა სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა შორისაც არ გაეზარდა.

შიიტების გააქტიურებაზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა ირანში მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ. ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა ლიბანელ შიიტებს ფინანსურ და იდეოლოგიურ დახმარებას უწევდა.<sup>44</sup>

სამოქალაქო ომის მანძილზე ლიბანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობის ერთ ერთი ძირითადი თავისებურება იყო ის რომ მასში მთავარ როლს სახელმწიფო დაწესებულებები კი არ თამაშობდა, არამედ სამხედრო ფორმირებების მქონე პოლიტიკური პარტიები, თემები და სხვადასხვა გასამხედროებული დაჯგუფებები. ასეთ ვითარებაში ლიბანის სახელმწიფო ინსტიტუტებმა პრაქტიკულად დაკარგეს ფუნქცია, ვინაიდან ხელისუფლების გაყოფის თუ დანაწილების პრინციპი აღარ შეესაბამებოდა ლიბანში ძალების ახალ თანაფარდობას. ლიბანს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ორ ნაწილად გაიყო – ქრისტიანულ და მუსლიმანურ, შესაბამისად ქვეყნის პოლიტიკური ძალების კონცენტრირება ორ ფრონტზე მოხდა: მემარჯვენე ქრისტიანული პარტიების და ფრონტიპარტია „ქათაიბის“ მეთაურობით და ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ფრონტი. მემარჯვენე ქრისტიანული ძალები თავს ესხმოდნენ პალესტინელი ლტოლვილების ბანაკებს, საპასუხოდ პალესტინელები შეიარაღებულ შეტაკებებს აწარმოებდნენ მემარჯვენე ქრისტიანთა დაჯგუფებებთან.

---

<sup>44</sup> 4:<http://www.rusk.ru/st.php?idar=104438>.

ლიბანში პოლიტიკური კრიზისის გაჭიანურების და გამწვავების გამო, არაბული ქვეყნები (საუდის არაბეთი, ეგვიპტე, სირია, ქუვეიტი), პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია და არაბული სახელმწიფოების ლიგა გამოვიდნენ კრიზისის მოგვარების ინიციატივით. 1976 წლის ოქტომბერში ერ-რიადსა და ქაიროში გაიმართა შეხვედრები, სადაც შეეხნენ ლიბანში ცეცხლის შეწყვეტისა და კრიზისის ეტაპობრივ დარეგულირების საკითხებს. გადაწყდა, რომ შექმნილიყო არაბული სახელმწიფოებისაგან დაკომპლექტებული სამხედრო ძალები, რომელიც უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას ქვეყანაში. შესაბამისად, არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ ლიბანში სირიული ჯარების განლაგების მანდატი გასცა, რომელსაც უნდა უზრუნველყო დაპირისპირებული მხარეებს შორის სამხედრო შეტაკებების თავიდან აცილება. შემდგომში მათ სამშვიდო ძალების სტატუსი მიენიჭათ. ლიბანის ხალმდგანელობასთან შეთანხმებით აღნიშნული ძალები ქვეყანაში განლაგდნენ 1976 წელს.

80-იანი წლების დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში კრიზისის გამწვავებამ დიდი გავლენა იქონია ლიბანის შიდაპოლიტიკურ ვითრებაზე. კერძოდ, 1982 წლის ივნისში ლიბანის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარები შეჭრნენ. შედეგად, ლიბანში ახალი კონფლიქტური აფეთქება მოხდა. საომარი შეტაკებები წარმოებდა ისრაელის არმიასა და სირიული არმიის, პალესტინის სამხედრო რაზმებისა და ზოგიერთი ლიბანური სამხედრო ფორმირებების გაერთიანებულ ძალებს შორის.<sup>45</sup>

მრავალწლიანმა სამოქალაქო ომმა, რომელსაც თან სდევდა პერმანენტული სოციალ-პოლიტიკური კრიზისი, გამოიწვია სახელმწიფო ხელისუფლების სრულ პარალიზება. მას ასევე მოყვა

---

<sup>45</sup> Бузов В., Новейшая история стран Азии и Африки 1945-2004, Ростов-на-Дону, с. 533.



დრმა ცვლილებები ლიბანის საზოგადოების კონფესიურ და სოციალურ სტრუქტურაშიც. კერძოდ, ამ კრიზის თან სდევდა აქტიური მიგრაციული პროცესები, რამაც დიდ ზეგავლენა მოახდინა კონფესიული თემების განსახლების სტრუქტურასა და დინამიკაზე ქვეყნის მასშტაბით, მათი წევრების დასაქმებაზე, შრომის ბაზარის ათვისებაზე და საზოგადოების სოციალურ სტრატეგიკაციაზე. კერძოდ, შემცირდა ქრისტიანული მოსახლეობის რაოდენობა და პირიქით, გაიზარდა მუსლიმთა რიცხვი (1994 წლის ჩატარებულ მოსახლეობის გამოკითხვის მონაცემებით, შიიტებმა შეადგინეს მოსახლეობის 35%, სუნიტებმა – 25%, დრუზებმა – 5%; საბოლოოდ მუსლიმური თემების წევრთა საერთო რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობამ – 65%-მა შეადგინა). ქვეყანაში მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა პალესტინელი ლტოლვილებითაც იყო განპირობებული, რომელთა რაოდენობამ 80-იანი წლების ბოლოსათვის 302 ათას ადამიანს მიაღწია (და აგრძელებდა მატებას 90-იან წლებშიც, 2000 წელს კი მათი რიცხვი შედაგენდა 376 ათასს ადამიანს). პალესტინელმა დევნილებმა კარგად ისარგებლეს ხელისუფლების მიერ მიღებული №5247 დეკრეტით ნატურალიზაციის შესახებ და ლიბანის მოქალაქეობა მიიღო. პალესტინელების გარდა ლიბანში მუდმივად იზრდებოდა სირიელების – მუშა მიგრანტების რიცხვიც (აქვე უნდა აღინიშნოს ქვეყანაში დისლოცირებული სირიული ჯარების კონტიგენტიც).

უნდა ითქვას, რომ დრუზები, მათი მცირერიცხოვანობის გამო, აქტიურად ვერ მონაწილეობდნენ ლიბანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყველა შიდა ძალა, რომელიც ჩათრეული იყო ლიბანის კრიზისში, კარგად ხვდებოდა, რომ კონფესიურმა სისტემამ ამოწურა თავისი რესურსები და მომწიფდა რეფორმების გატარების აუცილებლობა. ამავე დროს, დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლები (პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სხვადასხვა ეთნოკონფესიური

ჯგუფების ინტერესებს გამოხატავდნენ და შეიარაღებული რაზმები) აღიარებდნენ, რომ ეს ბრძოლა რელიგიურზე მეტად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლისათვის ყველა ძალა განსხვავებულ ხედვებს აყალიბებდა.

მხოლოდ, 80-იანი წლების ბოლოს, მსოფლიო თანამეგობრობის და არაბული სახელმწიფოთა ლიგის ე.წ. „სამთა კომიტეტის“ (ალჟირის, საუდის არაბეთი და მაროკო) უშუალო მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა ლიბანის „ეროვნული თანხმობის ქარტიის“ შექმნა. ეს დოკუმენტი ლიბანის პარლამენტის დეპუტატების მიერ 1989 წლის 22 ოქტომბერს იქნა მიღებული ეტრაფის (საუდის არაბეთი) შეხვედრაზე, შემდგომ იგი რატიფიცირებული იქნა ლიბანის პარლამენტის მიერ. ქარტიამ (შემდგომში მან „ტაფის შეთანხმებების“ სახელი მიიღო) ლიბანი ერთიან სახელმწიფოდ აღიარა და სამოქალაქო ომი დასრულებულად გამოაცხადა. მასში საზღვასშუალო იყო, რომ აუცილებელია ლიბანის ტერიტორიაზე ყველა შეიარაღებული ფორმირებათა განიარაღება და ლიბანის სამხრეთიდან „ისრაელის ჯარების გამოყვანა“, ასევე გაეროს №425 რეზოლუციის შესრულება. იგი იმავდროულად ითვალისწინებდა სახელმწიფო წყობის კონფესიონალური სისტემის ეტაპობრივ ცვლასა და სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირებას. სამი ძირითადი რელიგიური თემის (ქრისტიანები, სუნიტები და შიიტები) წარმომადგენლებს მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე ამტკიცებდნენ (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავჯდომარე), მუსლიმთა წარმომადგენლობა კი დეპუტატთა პალატაში (პარლამენტში) ქრისტიანთა წარმომადგენლობას უტოლდებოდა.<sup>46</sup>

1989 წლის ნოემბერში ლიბანში აღადგინეს კონსტიტუციური ინსტიტუტები, ხოლო 1990 წლის სექტემბერში, როდესაც „ტაფის შეთანხმებები“ ლიბანის კანონად იქცა, 1926 წლის კონ-

<sup>46</sup> <http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=605663>

სტიტუციაში შეიტანეს არსებითი შესწორებები, რომლებმაც ქვეყანა საპრეზიდენტოდან საპარლამენტო რესპუბლიკად აქცია.<sup>47</sup>

ამრიგად, სხვადასხვა ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირებების მეტოქეობამ, ისრაელის თავდასხმებმა, პალესტინის დაჯგუფებათა შეტაკებებმა, სირიული ჯარების განლაგებამ და ა.შ. უკიდურესობამდე გაამწვავეს შიდა სიტუაცია ლიბანში, რაც საბოლოოდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. შედეგად, სამოქალაქო ომის წლებში და მის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ლიბანის სოციალურ-დემოგრაფიულმა და ეთნოკონფესიურმა შემადგენლობამ. იგი ასევე განპირობებული იყო მიგრაციული პროცესების აქტივიზაციასთან, რომელსაც სდევდა მუსლიმთა რაოდენობის ზრდა და ქრისტიანული მოსახლეობის შემცირება. გაჩნდა ახალი სოციალურად აქტიური ჯგუფები და ლიბანური საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაცია თანდათან შეიცვალა. საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით მოხერხდა ლიბანის კრიზისის მოწესრიგება.

**Natalia Lazba**

**Basic reasons of the Civil War in  
Lebanon (1975-1990)**

**Summary**

The civil war of many years with social-economic crisis became the reason of complete collapse of the state authority. All this led Lebanon sociality to deep confessional and social and structural changes and the governing form of the country was transformed.

---

<sup>47</sup> [http://www.-vatonym.ru/?an=vs306\\_6](http://www.-vatonym.ru/?an=vs306_6).

**ფეთქულაჰ გულენი - რესპუბლიკურ თურქეთში  
ალიარეზული მოაზროვნე**

ფეთქულაჰ გულენი, გამორცეული ფიგურა თანამედროვე თურქეთის კულტურის მოაზროვნეთა შორის. მას სწამს, რომ უფრო მეტია ხალხების გამაერთიანებელი ელემენტები, ვიდრე გამოთიშველი. ამ რწმენის საფუძველზე იგი მთელ თავის ცხოვრებას უძღვნის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მან მთელი თავისი ენერგია და ძალისხმევა მიმართა სხვადასხვა რელიგიების, რასების, იდეებისა და პოლიტიკური შეხედულებების დიალოგის ფარგლებში დაახლოებისაკენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ფეთქულაჰ გულენი დასძენს: „წინასწარმეტყველი ყველა ადამიანს სავარცხლის კბილების მსგავსად თანასწორებად აღიარებს. ისლამში არ არსებობს დისკრიმინაცია რასის, ფერის, ასაკის, ეროვნებისა და სხვა ფიზიკური ნიშნების მიხედვით“.<sup>1</sup>

ფეთქულაჰ გულენის მიხედვით, „რელიგიის საფუძველში პოლიტიკური ანდა სახელმწიფოებრივი პრობლემა კი არ არის, არამედ პიროვნული ან საზოგადოებრივი პრობლემა. რელიგია არის ის ერთადერთი ელემენტი, რომელიც გააერთიანებს ანგარებით, ეგოისტური გრძნობებით და უფრო მეტად მიწიერი ფაქტორებით გათიშულ ადამიანებს. ჩვენს დროში და წარსულშიც რელიგიის სახელით მთელი რიგი კონფლიქტები მოხდა და ეს არის შედეგი იმისა, რომ რამდენიმე უმწიფარი სული მსხვერპლად შეეწირა ანგარებას. ძირითადად რელიგია არის მტკიცე ხიდი მრავალ ფრონტად გათიშულ ადამიანებს შორის. იგი არის ტიგელი, რომელიც ადნობს ანგარებასა და ეგოიზმს. სიყვარული კი ამტკიცებს მტრობით მომშლილ მეგობრობას და იძლევა გა-

---

<sup>1</sup> Gülen: Din, insanlari kaynaştıran köprüdür. Zaman, 28 kasim, 2001. s.7.

რანტიას, რომ რელიგია არ მოხდება დაუდევრობის ბუდეში და არ ჩავარდება უფსკრულში“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ფეთქულაჰ გულენი ამ შეგონებით მტრობასა და ურთიერთსიძულვილს უარყოფს. მისი აზრით, ურთიერთობები აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს რწმენას, სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას, ურთიერთდახმარებასა და ურთიერთგაგებას.

1994 წელს ფ.გულენი სათავეში ჩაუდგა „ჟურნალისტებისა და მწერალთა ფონდს“ და თავისი საქმიანობით, საზოგადოების ყველა ფენაში დაიწყო დიალოგისა და შემწყნარებლობის დანერგვა. ამ მიზნით 1997 წელს ფონდმა „ცივილიზაციათა შორისი დიალოგი“-ს სახელწოდებით გამართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომეუსმა, სტამბოლში ვატიკანის წარმომადგენელმა მონსინიორ ჯორჯ მაროვინმა, კათოლიკური თემის ლიდერმა, თურქული პროტესტანული პრესპიტერიანული თემის წარმომადგენელმა და საბერძნეთის გენერალურმა კონსულმა. ფონდის პრეზიდენტმა ფეთქულაჰ გულენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ეთანხმება სამუელ ხანტინჰტონის შეხედულებას მოსაზრებებს მომავალში ცივილიზაციათა შორის კონფლიქტის წარმოშობის შესახებ.

ფეთქულაჰ გულენი 1998 წელს ვატიკანში შეხვდა რომის პაპს იოანე პავლე მეორეს, ისრაელის მთავარ ხახამს ელიაჰუ ბაჰში დორონს, თურქეთის ებრაელთა მთავარ ხახამს დავით ასკოს და სხვა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ფ.გულენი დასძენს: „ამ ერთიანობის პანორამა როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ასევე მთელი მსოფლიოსათვის იმედის ჩირაღდანიაო.“<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>2</sup> იჰსან ილმაზი, ყველა რელიგიას ერთი საფუძველი აქვს, ქ. „ახალი ხიდი“, 2003, №3, გვ. 15.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემების განსახილველად ფეთქულაჰ გულენმა მსოფლიოს ბევრი ცნობილი ინტელექტუალი შეკრიბა, რომლებმაც მსოფლიოს გლობალური საკითხები განიხილეს. აქედან გამომდინარე სრულიად ბუნებრივია, რომ როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთისა და თვით ამერიკის ბევრ შტატშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ფეთქულაჰ გულენის ფრიად გამორჩეულმა ფილოსოფიურ-თეოლოგიურმა ნააზრევმა, რომელიც „ისტორიული წარსულის გაერთიანებისა და მომავლის გონივრულად მომზადების“ სახელწოდებით არის ცნობილი. ისიც ბუნებრივია, რომ 2002 წლის ზაფხულში, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში გულენს საგანგებო კონფერენცია მიეძღვნა თემაზე: „ფეთქულაჰ გულენი და თანამედროვე ისლამი.“ კონფერენციაზე ყველა ერთხმად აღნიშნავდა თურქი მოაზროვნის ზემოთხსენებული ნაშრომის უდიდეს მნიშვნელობას მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისით, ფეთქულაჰ გულენი დიდ ყურადღებას აქცევს შემდეგ გარემოებას, რომ „სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ნიჭიერი, ჭკვიანი და გონიერი ოქროს თაობა, რომელიც ახლებურად უნდა იქნას აღზრდილი.“ სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი ინტერესი განათლებისადმი: „ჩემი სიმდიდრე ჩემი წიგნებიაო“ დასძენს გულენი.

ფეთქულაჰ გულენს კარგი ურთიერთობები ჰქონდა თურქეთის ყოფილ პრეზიდენტებთან თ.ოზალთან და ს.დემირელთან, პრემიერ-მინისტრთან ბ.ეჯევითთან და აქვს დღევანდელ სამთავრობო ხელისუფლებასთან.

ფეთქულაჰ გულენმა შეძლო სისტემაში მოეყვანა და ჩამოეყალიბებინა ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების მექანიზმი, მისი ძალისხმევით, დედამიწის ხუთ კონტინენტზე ასობით საგანმანათლებლო სასწავლებელი, საშუალო სკოლა, ლიცეუმი და კულტურული დაწესებულება გაიხსნა.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 16.

სხვადასხვა ქვეყნებში დაარსებული სასწავლებლები არის საგანმანათლებლო სფეროში გამორჩეული თურქული მოვლენა. ეკონომიკური და სოციალური გამოკვლევების ფონდის დირექტორმა და თურქეთის ყოფილმა ელჩმა ოზდენ სანბერგმა თავისი დამოკიდებულება ამ სკოლების მიმართ ასე გამოხატა: „ყველა სკოლა მხარს უჭერს დემოკრატიულ განვითარებას და რესპუბლიკური თურქეთის ევროპის კავშირში შესვლასო“.<sup>1</sup>

ფეთჰულაჰ გულენს და მის დიდ გუნდს კარგი შეხედულება და დამოკიდებულება აქვს საქართველოსადმი, ამ ფაქტთან დაკავშირებით ის დასძენს: „პირადად მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის მომხრენი ვიყავით და ვართ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობისა, ფათიჰის უნივერსიტეტში თუ ჩინურ, იაპონურ და ესპანურ ენებს ასწავლიან, რატომ არ უნდა ესწავლებინათ ქართულიც, ჩვენი მეზობელი ქვეყნის ენაო. თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში უნდა გაიხსნას ქართველოლოგიური ფაკულტეტები, რაც დიდ სარგებლობას მოგვიტანს ორივე მხარესო. კარგია, რომ საქართველოშიც არის თურქული სკოლები და უნივერსიტეტიო.“ ის იქვე დასძენს, რომ „საქართველოში არ ვყოფილვარ 1965 წელს მხოლოდ სარფამდე მოვედი, მაგრამ საქართველოში მაინც აუცილებლად ჩამოვალო“.<sup>2</sup>

ფეთჰულაჰ გულენი თურქი ხალხის ზნეობრივი მოძღვარია. მისი უამრავი წიგნი გამოქვეყნებულია მსოფლიოს ცივილიზებული ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. მისი ავტორობით გამოსულ სახელმძღვანელოში „ადამიანში არსებული სიყვარული“ (თბ., 2006), სადაც ფ.გულენი თავის მისიას ხედავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოებაში და დაჟინებით იმეორებს მიმტყვებლობის, ურთიერთგაგებისა და დიალოგის აუცილებლობაზე სხვადასხვა აღმსარებლობით ერებს შორის.

---

<sup>1</sup> სიუვარული, ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და დიალოგის ხმა, ჟ. „იმედი“, №9(12), 2002, გვ. 5.

<sup>2</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, №95, 29.12, 2001, გვ. 6.

ფეთქულაჰ გულენი რესპუბლიკურ თურქეთში აღიარებულია, როგორც მოაზროვნე ლიდერი. მას ზოგჯერ მოიხსენიებენ თურქეთის არაოფიციალურ სამოქალაქო-რელიგიურ ლიდერად. მილიონობით ადამიანებზე გავლენის მოპოვებამ, საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნამ, თავისი შეხედულებების ცხოვრებაში დანერგვამ, ოქროს თაობის აღზრდამ, გლობალური მშვიდობის განმტკიცების იდეალების განხორციელების რწმენის დანერგვამ და აქტიურმა მოღვაწეობამ იგი გამორჩეული პიროვნება გახადა.

**Emzar Makaradze**

**Pethulah Gulen – Confessed thinker in  
Republic of Turkey**

**Summary**

Pethulah Gulen is recognized as a wise leader. Sometimes he is mentioned as non official civil and religious leader. For the influence towards millions of people , for strengthening , realizing and finding belief of global peace , for his active social work he was known as a selected leader.



## თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო დოქტრინა

თურქეთი როგორც სახელმწიფო, აღმოცენდა ოსმალეთის იმპერიის დაშლის შედეგად. მრავალი ცენტრის მქონე და მრავალეროვნული ისლამური, იმპერიული სტრუქტურის ნაცვლად მუსტაფა ქემალ ათათურქმა შექმნა თურქეთის რესპუბლიკა ნაციონალისტური წყობით. თურქეთი გახლდათ აღმოსავლეთის პირველი სახელმწიფო, რომელმაც კავშირი გაწყვიტა თავის სულიერ, რელიგიურ და გეოპოლიტიკურ ტრადიციებთან.<sup>48</sup>

თურქეთის თანამედროვე სამხედრო დოქტრინის ძირითადი მიმართულებები მოცემულია შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ შემუშავებულ "ეროვნულ სამხედრო-სტრატეგიულ კონცეფციაში", რომლის თანახმადაც თურქეთის შეიარაღებული ძალების ძირითადი ამოცანებია:

- სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების დაცვა;
- სახელმწიფოს მთლიანობის და განუყოფლობის დაცვა;
- სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვა.

დღეისათვის თურქეთის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა უპირველეს ყოვლისა ნატო-ს წევრობას, წამყვანი დასავლური ქვეყნების და აშშ-ს კურსის მხარდაჭერას უკავშირებს. ამაზე დაფუძნებული თურქეთის ხელმძღვანელობის შეხედულებები ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორცაა: ბირთვული შეიარაღების როლი, პოტენციური მოწინააღმდეგის განსაზღვრა, საფრთხის დროს მოქმედებების ხასიათი, შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის და ეკონომიკის სამობილიზაციო გაშლის უნარის შენარჩუნება, ომის გაჩაღების ხერხები და მისი ხასიათი,

---

<sup>48</sup> ა.დუგინი, გეოპოლიტიკის საფუძვლები, თბ., 1999, გვ. 307.

მიზნები და ამოცანები, რომლებითაც შესაძლებელი ხდება ომში წარმატებების მოპოვება.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში გაერთიანდა. 1951 წლის სექტემბერში ნატოს საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნული ქვეყნის თავის რიგებში გაწევრიანების შესახებ. 1952 წლის 18 თებერვალს კი თურქეთის მეჯლისმა (პარლამენტმა) თავისი ქვეყნის ნატოში შესვლის საკითხის რატიფიცირება მოახდინა.<sup>49</sup> რამოდენიმე წელიწადში, კერძოდ 1959 წლის მარტში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის დაიდო ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულება, რომლის მთავარი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის, სამხრეთის საზღვრებთან ახლოს, შექმნილიყო ამერიკის სარაკეტო ატომური ბაზა.

თანამედროვე პირობებში თურქეთის სამხედრო დოქტრინის ძირითადი პრინციპებია:

1. ნატო-ში წევრობა უსაფრთხოების სფეროში თურქეთის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისგან დამოუკიდებლად, ნატო-ს ბლოკი უნდა დარჩეს, როგორც რეგიონალური და მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. ფართო მასშტაბიან ომში თურქეთს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ საკუთარი ძალებით არ ძალუძს.

2. მიუხედავად ურთიერთობების შედარებით ნორმალიზებისა, თურქეთისათვის რუსეთი კვლავინდებურად წარმოადგენს ერთ-ერთ სავარაუდო მოწინააღმდეგეს და ერთადერთ სახელმწიფოს, რომელსაც გააჩნია საკმარისი სამხედრო პოტენციალი მის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების წარმატებით წარმოებისათვის.

---

<sup>49</sup> ვ.დონაძე, აღ.მენტეშაშვილი, ი.ციცნცაძე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწ. II, თბ., 1970, გვ. 70

თურქეთის სავარაუდო მოწინააღმდეგედ რეგიონში ასევე ითვლება სომხეთი, ირანი, სირია და ერაყი. ეს უკანასკნელი ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შედეგად, დღესდღეობით თურქეთისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. სამხედრო შეტაკება სომხეთთან, თურქეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ვარაუდით, შესაძლოა, დაიწყოს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მასშტაბების გაფართოებისა და ინტენსიობის გაზრდის შედეგად და ირანის მხრიდან ისლამური ფუნდამენტალიზმის ექსპორტის შედეგად. სირიასთან ომის მიზეზად შეიძლება იქცეს ამ ქვეყნების ლიდერების მიერ თურქეთში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა.

მსოფლიოსათვის ცნობილია თურქეთსა და საბერძნეთს შორის ისტორიულად არსებული მტრობა და წინააღმდეგობანი, რომელთა საფუძველზე წარმოიშვა კვიპროსის პრობლემა,<sup>50</sup> რაც ორივე მხარისათვის დღემდე მოუგვარებელ და მტკივნეულ საკითხად რჩება ორივე მხარისათვის რჩება. სწორედ ამ მიზეზის გამო საბერძნეთი კვლავ მოიაზრება თურქეთის შესაძლო მოწინააღმდეგეთა რიცხვში. თუმცა უკანასკნელ წლებში მასთან სამხედრო შეტაკების საშიშროება, თურქი ექსპერტების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შემცირდა.

ამავე დროს თურქეთის შიდა საფრთხის განსაზღვრისადმი ახალი მიდგომით პოტენციური სამხედრო მოწინააღმდეგეთა რიცხვიდან გამოირიცხნენ ბულგარეთი და რუმინეთი.

3. თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობის აზრით, ახალ პირობებში უეცარი ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღება ნაკლებად შესაძლებელი გახდა. ომის დაწყების შემთხვევაში სამხედრო მოქმედებების ძირითადი საშუალება პირველ ეტაპზე იქნება შეტევაზე გადასვლა შეიარაღებული ძალების მთლიანად ან ნაწილობრივ სტრატეგიული გაშლის შემდეგ, რომელიც გაგრძელდეს

---

<sup>50</sup> ე.მაკარაძე, თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათ., 2000, გვ. 90

ბა არაუმეტეს ოთხი კვირისა. ეს თურქეთს საშუალებას მისცემს შეიარაღებული ძალების გარკვეული რაოდენობა მუდმივ მზადყოფნაში იყოლოს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ დღესდღეობით აუცილებელ მიზნად არის მიჩნეული სამობილიზაციო სისტემის გაშლის ხარისხის გაუმჯობესება. რეალური საფრთხის არსებობისას თურქეთს კოალიციის შემადგენლობაში, ნატოს ახალი კონცეფციის ”კრიზისების მართვა“ პირობების შესაბამისად, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შესაძლო მოწინააღმდეგეზე კომპლექსურ (პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო) ზეწოლაში. სამხედრო ზეწოლის საფუძველი შეიძლება გახდეს თურქეთში, ნატო-ს მრავალეროვნული რეაგირების ძალების კონტიგენტის სწრაფი და დემონსტრაციული, ხოლო შემდგომ, აუცილებლობის შემთხვევაში აშშ-ს და ნატოს ბლოკის სხვა ქვეყნებიდან გაძლიერებული ჯარების და ავიაციის გადასროლა.

თურქეთის სამხედრო დოქტრინა მოცემულ ეტაპზე ითვალისწინებს, კოალიციური ომის გაჩაღების ორ ვარიანტს: სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში დაძაბულობის თანდათანობითი გაზრდის შემდეგ ან ვითარების უეცარი გამწვავების პირობებში. თუმცა არ გამორიცხავს ომის თანდათანობით ესკალაციას სამხედრო კონფლიქტიდან ”ნატო-ს საპასუხისმგებლო ზონის“ ფარგლებს გარეთ და ლოკალური ომის წარმოების შესაძლებლობას სირიასთან, ერაყთან, საბერძნეთთან და ირანთან.

ასეთი ომების ყველაზე გადამწყვეტი მიზნები – შეიარაღებული ძალების მთლიანი განადგურება და ქვეყნის ომიდან გამოყვანა – განსაზღვრულია დოქტრინით საბერძნეთისა და სირიისათვის. სხვა შესაძლო მოწინააღმდეგესთან დამოკიდებულებაში ომის მიზნები მოწინააღმდეგის ტერიტორიის ნაწილობრივ დაპყრობასა და მოლაპარაკებებისთვის სადაო ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტის შესახებ პირობების შექმნაში მდგომარეობს, რასაც შემდგომ სამშვიდობო შეთანხმებები მოყვება.

4. თურქეთის ურთიერთობა ბირთვულ იარაღთან ვითარდება ნატო-ს ახალი სტრატეგიის შესაბამისად, რომელშიც იგი განი-

ხილება, როგორც "ბოლო საშუალება" ქვეყნისათვის და შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ ისეთი სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში, როცა ომის წარმატებით გაგრძელების ყველა დანარჩენი საშუალება ამოწურულია.

სამხედრო დოქტრინის თავდაცვითი ხასიათის შესახებ თურქეთის ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადების მიუხედავად, მისი სამხედრო-ტექნიკური მხარე განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების სამხედრო მშენებლობის და ტექნიკურად აღჭურვის მიმართვას ისეთი სახით, რომ მათ უკვე ომის დაწყებისთანავე შეუძლიათ კოალიციური გეგმების მიხედვით ბლოკის შემადგენლობაში და ლოკალურ ომებში დამოუკიდებლად შეტყუვითი ოპერაციები ჩატარება.

ამჟამად თურქეთის სამხედრო დოქტრინაზე მუშაობა კვლავ გრძელდება. თუმცა მოსალოდნელი ცვლილებები არ შეეხება მის ძირითად შინაარსს, რადგან თურქეთს კვლავინდებურად ენიჭება ნატო-ს წამყვანი ძალის როლი სამხრეთ ევროპის სამხედრო მოქმედებათა თეატრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. თურქეთს შესწევს უნარი სამხრეთში წინააღმდეგობა გაუწიოს ბლოკის მიმართ რეგიონის სახელმწიფოებისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შესაძლო მუქარას.

**Giorgi Chighvaria  
Kaxaber Surguladze**

### **Turkey's Contemporary Military Doctrine**

#### **Summary**

The main trends of Turkey's contemporary military doctrine is given in „national military strategical conception", which is done by general staff of armed forces. According to this document the main task is: to defence the state constitution, its independence and territorial integrity.

The main principles of Turkey's military doctrine are: 1. To be the member of NATO. 2. Russia still remains one of the probable enemies who owns enough military potential. Therein is discussed relations with Armenia, Syria and Iraq. 3. Turkey military doctrine foresees the variant of starting coalition war, after increasing tension in intergovernmental relations or in conditions of worsening circumstances, it is possible to start the local war with Syria, Greece, Iran or Iraq. 4. The relation of Turkey with nuclear weapon corresponds with new strategy of NATO. It is discussed as the last means and will be used in the case, when the resources will be depleted and it wouldn't be success to continue the war.

Nowadays working through the military doctrine of Turkey is going on. however expected changes won't refer to its basic content. Turkey still remains as the leading strength owner country in NATO, and plays the major role in south-east part of south Europe military action scene. Turkey is able to stand up against probable threat from Russian Federation or region States armed forces towards the block in south.

## ისრაელის სახელმწიფო და ახლო აღმოსავლეთის პრობლემა XX საუკუნის მეორე ნახევარში

ებრაული სახელმწიფოს წარმოშობის წინაპირობები ადრეულ ეპოქაში ჩაისახა. ასეული წლების განმავლობაში ებრაელები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ცდილობდნენ დაბრუნებოდნენ თავიანთ ძველ სამშობლოს, „აღთქმულ მიწას.“ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაციის პირველი კონგრესის გადაწყვეტილებით, რომელიც 1897 წელს პალესტინაში გაიმართა, დაიწყო ებრაული დასახლებების შექმნა. "სიონიზმი" (დაბრუნება სიონში) უძველესი მოძრაობაა, რომელიც ითვალისწინებს ებრაელთა დაბრუნებას და დამკვიდრებას მათ ძველ სამშობლოში. ამავე პერიოდიდან დაიწყო პალესტინაში პირველი სიონისტური პოლიტიკური პარტიების წარმოშობა, რამაც თავის მხრივ, საფუძველი შეუქმნა ისრაელის მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას.

1920 წელს პალესტინაში ბრიტანეთის კოლონიური მმართველობა დაწესდა, რამაც ხელი შეუწყო მომავალი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებზე სიონისტური მოძრაობის გავლენის ზრდას. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს პალესტინის მრეწველობის 80% ებრაული სექტორი შეადგენდა.

ებრაელი ხალხის ნაციონალიზაციის პროცესს და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საკითხს წინ აღუდგა პალესტინელი არაბები. პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ პალესტინის გაყოფის რაიმე შესაძლებელ ვარიანტს. 30-იან წლებში მათი დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, ხოლო 1947 წელს კი საომარმა ოპერაციებმა ქვეყნის უდიდესი ნაწილი მოიცვა. ასეთ ვითარებაში ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა პალესტინის

მომავალი სტატუსის საკითხი განსახილველად გაეროს საბჭოს სხდომებზე გაეტანა.

1948 წლის მაისიდან პალესტინაში, ინგლისის სამანდატო ტერიტორიაზე შეიქმნა ებრაული (ისრაელი – ავტ.) და არაბული (მოგვიანებით პალესტინა) ორი სახელმწიფო. იმავე წლის 15 მაისის ისრაელის სახელმწიფოს სახალხო საბჭომ გამოსცა დამოუკიდებლობის დეკლარაცია. მასში აღნიშნული იყო, „ჩვენ მშვიდობის ხელს ვუწვდით და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ვთავაზობთ ყველას; ასევე მოვუწოდებთ მათ ითანამშრომლონ ებრაელ ხალხთან... ისრაელის სახელმწიფო მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონის განვითარების საერთო საქმეში.“<sup>51</sup>

ებრაული სახელმწიფო არაბებმა იმთავითვე აღიქვეს, როგორც დასავლური ცივილიზაციის ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში და ამერიკული ცხოვრების წესის დამნერგავი. ამიტომაც არაბული სახელმწიფოების (ლიბანი, სირია, საუდის არაბეთი, ტრანსიორდანი, ერაყი, ეგვიპტე) გაერთიანებული არმია შეიჭრა და დაიწყო არაბეთ-ისრაელის პირველი ომი.<sup>52</sup>

ებრაელთათვის ეს დაპირისპირება იყო ბრძოლა საუკუნეების წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. არაბები კი, თავის მხრივ, სიონისტური იდეების გავრცელებას ჯვაროსნულ ლაშქრობებსაც ადარებდნენ.

პირველი სამხედრო დაპირისპირებისას ისრაელმა, რომელიც ძირითადად აშშ სამხედრო ძალებს ეყრდნობოდა, თავის ტერიტორიას მიუერთა 6,7 ათასი კვ. კმ. ფართობის არაბული ტერიტორია; ასევე შეიერთა მან იერუსალიმის დასავლეთი ნაწილი. ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი და მდ. იორდანის დასავლეთი სანაპირო იორდანამ დაიკავა; ეგვიპტემ კი დაზას სექტორი. დაახლოებით 900 ათასი პალესტინელი არაბი იძულებული

<sup>51</sup> Израиль, <http://hoion-city.com/history/index.html>, с. 1-2.

<sup>52</sup> Новейшая история стран Азии и Африки, XX век, ч. 3, М., 2001, с. 42.

<sup>3</sup> Бузов В., Новейшая история стран Азии и Африки (1945-2004), М., 2005, с.462.



გახდა დაეცოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი და არაბული ქვეყნებისთვის შეეფარებინათ თავი ლტოლვილების სახით. ასე წარმოიშვა პალესტინის პრობლემა, რომელიც დღესაც არ არის მოგვარებული.<sup>53</sup>

ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოთა შორის მეორე ომის მიზეზი იყო ღაზას სექტორში ისრაელის არმიის მიერ რეიდის მოწყობა. ეგვიპტის არმია არ იყო სათანადოდ შეიარაღებული და ვერ გაუწია მათ სათანადო წინააღმდეგობა. აშშ აყოვნებდა იარაღის მიწოდებას ეგვიპტისთვის და ამ რთულ მომენტში ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერს დახმარება საბჭოთა კავშირმა გაუწია.<sup>54</sup>

ამის შემდეგ ეგვიპტე უფრო აქტიურად იწყებს საკუთარი პოლიტიკის გატარებას ახლო აღმოსავლეთში. 1956 წელს მან მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზება, რასაც საფრანგეთის და ინგლისის აღშფოთება მოჰყვა. ისინი ვერაფრით შეეგუებოდნენ სუეცის ზონაში საკუთარი პოზიციების დაკარგვას. ამიტომაც ისრაელის, საფრანგეთის და ინგლისის შეტევა ეგვიპტეზე უკვე გაერთიანებული ძალებით დაიწყო. აშშ ამჯერად თავი შეიკავა აშკარა კონფრონტაციისგან. მართალია სსრ კავშირის ჩარევამ ამ დაპირისპირებაში თავისი შედეგი გამოიღო და საომარი ოპერაციები შეწყდა, მაგრამ რეგიონში ვითარება უფრო დაიძაბა. ამ პერიოდიდან

ახლო აღმოსავლეთში არსებულ მოვლენებზე უკვე ორი დიდი ძალა (აშშ და სსრკ) ახდენენ გავლენას.<sup>55</sup>

ისედაც რთული ურთიერთობა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის 1967 წელს კიდევ უფრო დაიძაბა. 22 მაისს ეგვიპტემ ტირანის სრუტე საერთაშორისო ნაოსნობისთვის დახურულად

---

<sup>53</sup> ა. მენთეშაშვილი, XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები, თბ., 2005, გვ. 479.

<sup>54</sup> Бывов В., დასახ. ნაშრომი, გვ. 464.

<sup>55</sup> კ.ქემოკლიძე, ექვსდღიანი ომი, „ახლო აღმოსავლეთი“, №9, 2005, გვ. 12.

გამოაცხადა, რითაც მოახდინა ისრაელის ნავსადგურ ეილაეთის ბლოკირება. ეს ბლოკადა ისრაელისთვის ირანისგან ნავთობის მიღების ერთადერთი გზის ჩაკეტვას ნიშნავდა. ჯერ კიდევ 1956 წელს აშშ ხელისუფლება აღიარებდა, რომ ისრაელის ებრაულ სახელმწიფოს გააჩნდა მნიშვნელოვანი უფლებები ტირანის სრუტეზე და ეს ფაქტი 1957 წლის გაეროს ერთ-ერთ სხდომაზეც დადასტურდა.

ისრაელი ასე მარტივად თავის უფლების ტირანიის სრუტეზე არ დათმობდა. ამაში უპირველეს ყოვლისა ეგვიპტის მთავრობა იყო დარწმუნებული და სინას ნახევარკუნძულზე თავისი არმიის ქვედანაყოფების კონცენტრაცია დაიწყო. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ 1967 წლის 4 ივნისს ეგვიპტე-იორდანის თავდაცვით პაქტს მიუერთდა ერაყი.

5 ივნისს ისრაელის ავიაციამ ფრანგული გამანადგურებლებით მოულოდნელი იერიში მიიტანა და ხმელეთზევე გაანადგურა ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო პოტენციალი. 7-9 ივნისს წარმოებული ბრძოლებით მან დაიკავა სირიის გოლანის მადლობი და იორდანის დაქვემდებარებაში მყოფი პალესტინის ტერიტორია („დასავლეთის ნაპირი“ და აღმოსავლეთი იერუსალიმი ძველი ქალაქითურთ). ისრაელის მხარემ დაკარგა 777 მებრძოლი, ხოლო დაჭრილ იქნა 2586 ადამიანი, არაბების მხრიდან დაიღუპა 15000 კაცი.

ომის დამთავრებისთანავე ისრაელის ქნესეთის დადგენილებით იერუსალიმის საზღვრები აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით 70,2 კვ კმ-ით გაფართოვდა. ამ ფართობზე ისრაელის ხელთ არსებულ დასავლეთ იერუსალიმთან (37,3 კვ მ) ერთად „ერთიანი იერუსალიმი“ შეიქმნა.<sup>56</sup>

ეს ომი ექვს დღეს გაგრძელდა და ისტორიაშიც „ექვსდღიანი ომის“ სახელით შევიდა (5.06.67 – 10.06.67.) თუმცა ამ ომს მშვიდობა არ მოჰყოლია რეგიონში.

---

<sup>56</sup> კ.ქემოკლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

თუმცა ძირეული გარდატეხა ისრაელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაში 1967 წლის ომმა და არაბული ტერიტორიების მიერთებამ მაინც მოახერხა:

შეიცვალა არა მარტო ქვეყნის სამხედრო სტრატეგიული მდგომარეობა, არამედ შიდაპოლიტიკური და მორალური იერსახეც. ცვლილება დაეტყო სიონისტურ მოძრაობასაც. ჩამოყალიბდა მოძრაობანი, რომელთაც ოკუპირებული ტერიტორიების ათვისებაში უნდა შეეწყოთ ხელი, მაგრამ 70-იან წლებში ეს პროცესი შეფერხდა.<sup>57</sup>

1973 წლის 6 ოქტომბერს ახლო აღმოსავლეთში ახალმა ომმა იფეთქა. ეგვიპტე და სირია ერთდროულად დაესხა თავს ისრაელს. ამ ომში რამდენიმე გაურკვეველი ფაქტია. ეგვიპტის არმიამ მოულოდნელად მოახდინა სუეცის არხის ფორსირება, მაგრამ შემდეგ სამხედრო შენაერთების მოქმედებები შეახერხეს. ისრაელის არმიამ საფრთხე შეუქმნა როგორც ეგვიპტის დედაქალაქს – ქაიროს, ასევე სირიის – დედაქალაქს დამასკოს. 2 წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ ისრაელმა გამოიყვანა თავისი არმია დაკავებული ტერიტორიიდან. ომმა დიდი ზარალი მოუტანა არაბულ ქვეყნებს და მნიშვნელოვნად შეარყია არაბული სამყაროს პრესტიჟი.<sup>58</sup>

ამ ომმა ნათელი გახადა, რომ აუცილებელი იყო ისრაელთან ურთიერთობის გადასინჯვა. არაბული სამყაროს მიერ არაღიარებული ისრაელის სახელმწიფოსთან ურთიერთობის შეცვლა პირველად ეგვიპტემ დაიწყო. ეგვიპტის პრეზიდენტმა სადათმა დიპლომატიური კავშირი აღადგინა ისრაელთან და 1979 წელს ზავიც გააფორმა მასთან. არაბულმა ქვეყნებმა უარყოფითად შე-

---

<sup>57</sup> ზ.მენტეშაშვილი, ისრაელის პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი, „ახლო და შუა აღმოსავლეთი“, ტ. I, თბ., 2002.

<sup>58</sup> რ. განჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა, თბ., 2003, გვ. 338.

აფასეს ეგვიპტის ასეთი პოლიტიკა და იგი არაბული ქვეყნების ლიგიდანაც კი გარიცხეს.<sup>59</sup>

ეგვიპტის გამოსვლამ საომარი პროცესებიდან მნიშვნელოვნად შეცვალა საერთო სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში. 70-იანი წლების შუა ხანებიდან წინააღმდეგობათა სიმძიმე უკვე პალესტინელებს დააწვათ. მის შემდეგ უკვე თვით პალესტინელებს უნდა ეზრუნათ საერთაშორისო აღიარების მოპოვებისათვის, თვით უნდა მოეძიათ სამშობლოში დაბრუნების ალტერნატიული გზა. პალესტინელებმა შექმნეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და დაიწვეს ტერორისტული აქტების მოწყობა. ამას რა თქმა უნდა, ევროპული ქვეყნების და აშშ-ის მხრიდან მათი საერთაშორისო აღიარება არ მოჰყოლია. 1972 წლიდან ტერორისტული აქტები სულ უფრო ხშირი გახდა. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ მიიღო რა სსრკ დახმარება და თანაც წარმოადგენდა გაეროში რამდენიმე ორგანიზაციის წევრს, ისრაელზე შეტევა განახორციელა. მათი რეგულარული არმია და ბაზები სირიასა და ლიბანში იყო. ასეთ ვითარებაში ისრაელის არმიამ გადაკვეთა ლიბანის საზღვარი და 1982 წელს ოპერაციით „მშვიდობა გალილეაში“ პრაქტიკულად გაანადგურა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სამხედრო და ორგანიზაციული სისტემა.

1982 წელს საომარი ოპერაციების შემდეგ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია ორად გაიყო: ერთი პარტია „ფახტი“, იასირ არაფატის მეთაურობით, რომელიც ცდილობდა ისრაელთან ურთიერთობის დარეგულირებას და მეორე რადიკალური ჯგუფი, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციას – ჰამასს შეუერთდა და მხარს უჭერდნენ პალესტინის პრობლემის იარაღის ძალით მოგვარებას.

1993 წლიდან იწყება პრობლემების მოგვარების მშვიდობიანი გზების ძიება. სექტემბერში მოხდა მოწინააღმდეგი მხარეების

---

<sup>59</sup> Гейзель З., Политические структуры государство Израиль, <http://www.il14u.org.il14u/society/geizel/61.html>, с.1-3.

პირველი შეხვედრა და აქ იცხაკ რაბინი და იასირ არაფატი შეთანხმდნენ რომ პრობლემათა მშვიდობიანი მოგვარება უნდა დაწყებულიყო. თუმცა თვით პალესტინელთა მიერ იგი არაერთგვაროვნად იქნა გაგებული. ჰამასის რიგებში არ წყდებოდა ტერორისტული აქტების სამზადისი. სწორედ ეს ქმნიდა პრობლემას.

1995 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი ექსტრემისტი ებრაელის მიერ მოკლულ იქნა. ტერაქტის საპასუხოდ. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა ბ.ნეთანიაჰუმ დროებით უარი თქვა პალესტინის სახელმწიფოს ცნობაზე. 1996 წლის არჩევნებზე პალესტინის თვითმართველობის საბჭოზე იასირ არაფატმა ხმების 80% მოაგროვა და ავტონომიის პრეზიდენტი გახდა.

პალესტინის თვითმართველობის საკითხის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად 1998 წელს გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი. ნოემბერში აშშ აქტიური მონაწილეობით გაფორმდა ხელშეკრულება (ე.წ. „მშვიდობა მიწის სანაცვლოდ“), რომლის მიხედვითაც ისრაელს უნდა გამოეყვანა ჯარი მდ. იორდანის დასავლეთ სანაპიროდან, ამავე დროს აღნიშნული ტერიტორიის ნახევარი პალესტინის ცონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. მოლაპარაკებები გაგრძელდა ახალი პრემიერის ე. ბარაქის დროსაც. 2000 წელს კემპ-დევიდში გაიმართა შეხვედრა ისრაელის პრემიერსა და ი.არაპატს შორის, აშშ პრეზიდენტ ბ.კლინტონის მონაწილეობით. მსჯელობის საგანი გახდა აღმ. იერუსალიმი, რომელიც პალესტინელთა მოთხოვნით ავტონომიის დედაქალაქი უნდა გამხდარიყო. ეს წინადადება თავის მხრივ, მიუღებელი იყო არაბებისთვის, რადგანაც ერთიანი იერუსალიმი ისრაელის კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. საბოლოო შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აქვე უნდა გაეთვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ორ მხარეს შორის დიალოგი მიმდინარეობდა დაძაბული საერთაშორისო ვითარების, ტერორისტული აქტების ფონზე, რაც რასაკვირველია, უარყოფითად აისახებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესებზე.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ერთის მხრივ გააქტიურდნენ ექსტრემისტული დაჯგუფებანი, რომლებიც ტერორისტული აქტებით არსებულ სიტუაციაზე მანიპულირებდნენ. გაიზარდა ტერორისტული აქტების რიცხვი თვით ისრაელშიც. მეორეს მხრივ, ისრაელისა და არაბული ქვეყნების მთავრობათა ანტიტერორისტული საქმიანობა აშშ და ერაყის ომმა უფრო გაზარდა.

მართალია პალესტინის ავტონომიის პრესიდენტს, იასირ არაფატს ისრაელის ხელშეწყობა ჰქონდა ქვეყნის მართვაში, მაგრამ ავტონომიის შიგნით „ჰამასის“ მსგავს ტერორისტულ დაჯგუფებებთან მას ურთიერთობა დაეძაბა.

2003 წელს პალესტინაში, იორდანის კურორტ აქაბაში მოეწყო შეხვედრა პალესტინის პრემიერს მაჰმუდ აბასს, აშშ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და ისრაელის პრემიერ მინისტრს არიელ შარონს შორის. შეხვედრის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმას – ე.წ. „საგზაო რუკა“-ს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დასამყარებლად მოითხოვდა პალესტინის ავტონომიის შექმნას. მაგრამ ამ გზაზე საბოლოოდ უნდა აღკვეთილიყო „ჰამასის“ და „ისლამური ჯიჰადის“ მსგავსი სხვა ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა.

2005 წლის პალესტინის ავტონომიის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული მაჯმუდ აბასი თვლიდა, რომ პალესტინელები მზად არიან სამშვიდობო მოლაპარაკებების გასაგრძელებლად, მაგრამ ქვეყნის შიგნით დაპირისპირებას ტერორისტულ ორგანიზაციებთან, წინამორბედის მსგავსად ვერც მ.აბასი გაექცა.

პალესტინის ავტონომიის მეტაური მაჰმუდ აბასი თვლის, რომ ერთ წელიწადში სავსებით შესაძლებელია მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევა და მან ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარებაში აშშ-ს მედიატორობა შესთავაზა, რომე-

ლიც პალესტინაში მთავრობის არჩევნების დამთავრებისთანავე უნდა დაწყებულიყო.

სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დასამყარებლად აუცილებელია ევროპის ქვეყნებისა და აშშ დიდი მონაწილეობა, სწორედ ისინი უნდა იყვნენ დაინტერესებული რეგიონში სტაბილური მდგომარეობის შესაქმნელად. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია თვით ავტონომიასა და ისრაელს შორის ურთიერთობაც. მაგრამ რეგიონში საბოლოოდ მშვიდობის დასამყარებლად ჯერ კიდევ საკმაოდ დრო დასჭირდება.

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთის ეს პრობლემა მხოლოდ არაბეთ-ისრაელის დაპირისპირებას არ მოიცავს. საერთაშორისო მდგომარეობა ამ რეგიონში ძალთა განლაგებაზე გახდა დამოკიდებული. კონფლიქტს საგარეო ფაქტორები უფრო განსაზღვრავდნენ, ვიდრე საომარი მოქმედებები. ახლო აღმოსავლეთის კრიზისში ბევრი ქვეყანა ჩაერთო, რამაც თავის მხრივ გააჭიანურა პრობლემის მოგვარების პროცესი. პირველი არაბეთ-ისრაელის დაპირისპირების შემდეგ ახლო აღმოსავლეთი თანდათან გადაიქცა დიდ სახელმწიფოთა მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროებად დაყოფის ბრძოლის ასპარეზი.

## **Madona Gogitidze**

### **The Problem of the state Of Israel and the Near East of the second half of the XX<sup>th</sup> century.**

#### **Summary**

Two states: Jewish (Israel) and Arabian (Palestine) appeared on the former British territory in May 1948. From the very beginning Arabians perceived the Jewish State as an advanced post of the West civilization on the Near East, and also as an instillation of the American way of life. For the

Jewish this confrontation (comparison) was the struggle for the lost territories during the centuries. In their turn the Arabians compared the spreading of Zionist ideas with the crusades. This problem on the Near East is characterized not only by the struggle of Arabian and Jewish. The international situation in this region depends on the arrangement of forces. In the conflict the international factors are determined more than military action. Many countries are included in the crisis of the Near East, that from its side worsened the process of the regulating the problem. After the first confrontation of Ar /Isr. the Near East (from time to time became arena of fighting between big countries for separating of spheres for political and economical influence).



**ბათუმის წმ. ნიკოლოზის  
მართლმადიდებლური ეკლესია**

ბათუმის წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია მდებარეობს ფარნავაზის ქუჩა № 20-ში (ყოფილი ტელმანის ქუჩა).

დიმიტრი ბაქრაძე წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში აღნიშნავდა: ბათუმის წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია ახლახან აიგო რუსეთის ვიცე კონსულის ოფიციალური ჩარევის წყალობით.<sup>60</sup> დ. ბაქრაძემ აჭარაში იმოგზაურა 1874 წელს. ეკლესიის მარცხენა კედელზე არსებული წარწერა წმ. ნიკოლოზის გამოსახულებით მიუთითებს, რომ ეკლესია აშენდა 1865 წელს. თავდაპირველად იგი შედიოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია წარმოადგენს ქვის შენობას, გუმბათოვანს, ოვალური სარკმლებით და ქვის სამრეკლოთი. ეკლესიის კუთვნილებას შეადგენდა სოფ. ყოროლისთავში 1898 წელს აშენებული წმ. პანტელეიმონის ქვის ეკლესია. ეკლესიასთან არსებობდა ერთკლასიანი ქალთა და ორკლასიანი მამაკაცთა სასწავლებელი.<sup>61</sup>

XX ს-ის 70-იან წლებში ეკლესიის კედლები ფრესკებით დაუმშვენებია მხატვარ სტეფანეს. ორი წლის უკან დაიწყო და მიმდინარეობს ეკლესიის რესტავრაცია. ფრესკები ძირითადად შეიქმნა ბიბლიურ თემებზე.

ეკლესიის კედელთან დამარხული არიან ექიმი ტიმოთე პერიკლეს ძე ტრიანტაფილიდისი (1858-1908) და ვიცე ადმირალი ალექ

<sup>60</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987, გვ. 8.

<sup>61</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო არქივი. ფ. 54, ს. 25; ფ. 56, ს. 5; ფ. 60, ს. 1; ფ. 689, ს. 776.

ქსანდრე ივანეს ძე გრიოვე. იქვეა უცნობი საფლავი, რომელსაც ეკლესიის მსახური ხუროთმოძღვარს მიაკუთვნებენ. განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებენ ეკლესიის წინამძღვარს ეფრემ ილიას ძე ეფრემიდის. 90 წელს მიტანებული ეკლესიის მსახური მარია ბელიჩენკო ივონებს: მხატვარი სტეფანე ილია მეორემ მოიყვანა. საქართველოს კათალიკოსის საპატივცემულოდ სტეფანეს შეუქმნია მისი ორი პორტრეტი, რომელიც ეკლესიაში ინახებოდა. ასევე აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი ქეთევან დედოფლის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, კონსტანტინეს, ვლადიმირის და სხვათა ისტორიული პორტრეტები.

ეკლესიის კედელთან განსვენებულ ექიმ ტიმოთე ტრიანტაფილიდის დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბათუმის გაშენებაში. მისი პროექტით არის აშენებული ბარბარეს ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს არსებული თეთრი ქვის შენობა. ტრიანტაფილიდის ექიმი იყო. ამის მიუხედავად, მან, ყურადღება მიაქცია ბათუმის კლიმატის შესწავლის საქმესაც. მას ეკუთვნის შრომები: „Малярная астма“ (1891) „Малярный кашель и бронхит“ (1891) „Нервоз и малярия“ (1896) და ა.შ. მისი მეუღლე გახლდათ პირველი გინეკოლოგი ქალი აჭარაში.

საბჭოთა ხანაში, 1932 წელს, ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესია დახურეს. მაშინდელი ქალაქის საბჭოს 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე ეკლესიის ქონების აღწერისა და მისი სათანადო ორგანიზაციებზე გადაცემის მიზნით შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1. ბათუმის საბჭოს საფინანსო განყოფილების წარმომადგენელი, იგივე ქალაქის ლომბარდის დირექტორი ევსტატე სემიონიდი; 2. აჭარის ხელოვნების სამმართველოს წარმომადგენელი – ილია სეფერთელაძე; 3. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკი დავით მამფორია. ხატები, წიგნები, საეკლესიო ინვენტარი, მღვდლის ტანისამოსი გადაეცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ტანსაცმლის ნაწილი გადასცეს აჭარის ხელოვნების სამმართველოსთან არსებულ ხალხური შემოქმედების კაბინეტს, ხოლო ქონების ნაწილი ბათუ-

მის საბავშვო ბაღებს და სახელმწიფო თეატრს. მთელი ფერადი ლითონი ჩაბარდა ფერადი ლითონების ტრესტის წარმომადგენელს. ხელნაწერი ფონდი გადაეცა სახელმწიფო არქივის სამმართველოს. ერთ-ერთ ყუთში არსებული მეფის დროინდელი ოქროს ხუთმანეთიანი გადაეცა სახბანკს.

ჩვენს მიერ აღწერილი და შესწავლილი იქნა ეკლესიაში დღეს არსებული შემდეგი განძი:

1. ხატი „წმ. ვიქტორია“ ოსტატი, ფ.დ. XIX ს. დასასრული ზეთი. მოვარაყებული ვერცხლით და ნაწილობრივ ოქროთი, გრავირებული. ზომა 30x35 სმ. წონა 350 გრ.;

2. ღვთისმშობლის ხატი. XIX ს. დასასრული. უცნობი ავტორი. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული, მოოქროვილი, მთლიანად გრავირებული. ზომა 29x25 სმ. წონა 300 გრ.;

3. ხატი „ღვთიური სიხარული“ XIX ს. დასასრული. ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული, ნაწილობრივ მოოქროვილი, გრავირებული, საზიკოვის სახელოსნო;

4. ხატი „წმ. პეტრე და პავლე“ XIX ს. დასასრული. ოსტატი „მ.გ.“ ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული და მოოქროვილი, მთლიანად გრავირებული. ზომა 29x35სმ. წონა 300 გრ.;

5. ხატი „წმ. ალექსანდრე ნეველი“ XIX ს. დასასრული. ოსტატი „ს.ს.“ ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული, ნაწილობრივ მოოქროვილი. გრავირებული. ზომა 42x37 სმ., წონა 400 გრ.;

6. ხატი „წმ. პანტელეიმონი“ XIX ს. დასასრული. ოსტატი „ტ.ნ.“ ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული. ადგილებზე მოოქროვილი, გრავირებული. ზომა 46x42 სმ. წონა 400 გრ.;

7. ხატი „ღვთიური ძალა“ XIX ს. დასასრული. ოსტატი „ა.ს.“ ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული, ნაწილობრივ მოოქროვილი. ზომა 30x26 სმ. წონა 250 გრ.

8. ხატი „წმ. დღესასწაულები“. უცნობი ავტორი. XIX ს. დასასრული. ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული. ზომა 51x47 სმ. წონა 500 გრ.;

9. ხატი „ღვთისმშობელი“ ავტორი უცნობია. ხე. ზეთი. ვერცხლით მოვარაყებული. ზომა 28x31 სმ. წონა 410 გრ.
10. ხატი „წმ. მიხეილი“ XIX ს. დასასრული. ვერცხლით მოვარაყებული. გრავირებული. ზომა 35x30 სმ. წონა 400 გრ.;
11. ხატი „იესო ქრისტე“ 1798 წელი. ვერცხლით მოვარაყებული. ზომა 29x24 სმ.;
12. ხატი „ივერიის ღვთისმშობელი“ XIX ს. დასასრული. ხე. ტემპერა. მოვერცხლილი. გრავირებული. ზომა 22x20 სმ. წონა 150 გრ.;
13. ხატი „წმ. ნიკოლოზი - სასწაულმოქმედი“ XIX ს. დასასრული ხე. ზეთი. მოვერცხლილი. გრავირებული. ზომა 47x38 სმ. წონა 500 გრ.;
14. თასი დისკო. სახელოსნო „ა.რ.“ - ოსტატი „ვ.ა.“ 1888 წელი. ვერცხლი. წონა 1385 გრ.;
15. თასი დისკო. სახელოსნო „ა.კ.“. ოსტატი „ა.რ.“ 1895 წელი. ვერცხლი. წონა 1350 გრ.;
16. თასი. სახელოსნო „ე.წ.“ ოსტატი „რ.კ.“ ორთავიანი არწივის გამოსახულებით. 1861 წელი. ვერცხლი. სიმაღლე 26 სმ. წონა 860 გრ.;
17. ჯვარი. ოსტატი „ე.კ.“. 1890 წელი. ვერცხლი. ზომა 30x18 სმ. წონა 305 გრ.;
18. ლამპადა. XIX ს. დასასრული. ემალი. 60 სმ.;
19. ლამპადა. უცნობი ავტორი. XIX ს. დასასრული. ემალი, ფერი – თეთრი, ცისფერი, ლურჯი, წითელი;
20. ხატი. „გლადიმირის ღვთისმშობელი“. 1874 წელი. ხე. ზეთი. „ვერცხლით მოვარაყებული. ოსტატი, „ნ.ზ.“. სახელოსნო „ა.ს.“-ის. ზომა 33x22 სმ. წონა 300 გრ.;
21. ხატი „ყაზანის ღვთისმშობელი“. XIX ს. დასასრული. ვერცხლით მოვარაყებული. ზომა 25x10;
22. ხატი „წმ. ბარბარე“, ხე. ზეთი. ზომა 125x75;
23. ხატი „წმ. გაბრიელი“. ზეთი. ზომა 55x13;
24. წმინდა ნინოს ხატი. ზეთი. ზომა 130x50;

25. წმინდა გიორგის ხატი. ზეთი. ზომა 130x55;
26. ხატი „იოანე ნათლისმცემელი“. ზეთი. ზომა 130x50;
27. ხატი „საიდუმლო სერობა“ ზეთი. ზომა 100x70;
28. „ევანგელისტი მათე“. ზეთი. ზომა 24სმ;
29. ევანგელისტი მარკოზი“. ზეთი. ზომა 21 სმ;
30. „ევანგელისტი ლუკა“. ზეთი. ზომა. 24 სმ;
31. „ევანგელისტი იოანე“, ზეთი. ზომა 24 სმ;
32. ხატი „იოანე ნათლისმცემელი“. XIX ს. ხე. ზეთი. მოოქროვილი. ზომა 31x26 სმ;
33. ხატი „ღვთისმშობლის გამოცხადება“ XIX ს. ხე. ზეთი ზომა 35x30;
34. ხატი „იერუსალიმში შესვლა“. XIXს. ზეთი;
35. ხატი „შიო მღვიმელი“. ზეთი. ზომა 55x32სმ;
36. ხატი „ღვთისმშობელი“. 1901წ. ხე. ზეთი. მოოქროვილი. ზომა 118x69;
37. წმ. ნინოს ხატი. XIX ს. ხე. ზეთი. მოოქროვილი. ზომა 22x18;
38. „გოლგოთა“. ხე. ზეთი. ზომა 200x70;
39. ხატი „წმ. იოანე“ ზეთი. ზომა 88x44;
40. ხატი „დავით აღმაშენებელი“. ზეთი. ზომა 50x40;
41. ხატი „დიდებული მეფე“. XIX ს. ტემპერა. ზომა 55x41;
42. ხატი „ნათლობა“. XIXს. ხე. ტემპერა;
43. საქართველოს პატრიარქის ილია მე-2-ის პორტრეტი. 2 ც. XXს;
44. სახარება XIX ს. მოვერცხლილი;
45. ბრინჯაოს ჯვრები, ქართულ, ბერძნულ და სლავურ ენაზე.

**Merab Megrelishvili**

**Batumi st. Nikolas orthodox Church**

**Summary**

In the article there is presented the history of Batumi st. Nikolas Orthodox Church, basing on archive data and study of kept in the church.

ბათუმის ოლქის აღდგენა  
(1903 წელი)

რუსეთის ხელისუფლებამ 1878 წელს ბერლინის ტრაქტატის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახლად შემოერთებულ ტერიტორიების ბაზაზე ცალკე ადმინისტრაციული ერთეული – ბათუმის ოლქი შექმნა. 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში სამხედრო გუბერნატორი ედგა. ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი.<sup>62</sup> ბათუმის ოლქი დაიყო სამ ოკრუგად:

ა) ბათუმის ოკრუგი – ბათუმის, კინტრიშის და გონიოს უბნები;

ბ) ართვინის ოკრუგი – არტანუჯის, ართვინისა და შავშეთის უბნები;

გ) აჭარის ოკრუგი – ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უბნები.<sup>63</sup>

ბათუმის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფით რუსეთის ხელისუფლება ორ მიზანს ისახავდა: ჯერ ერთი, ამით ხელი შეეშლებოდა აჭარის დანარჩენ საქართველოსთან შერწყმის (ეკონომიკური და პოლიტიკური-ავტ.) ბუნებრივ პროცესს და მეორეც, ხელისუფლება უფრო სწრაფად მოახდენდა აჭარის (და საერთოდ ბათუმის ოლქის – ავტ.) კოლონიზაციას. მთავრობა მაღე დარწმუნდა, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ცარიზმს აშკარად

<sup>62</sup> Батумь и его окрестности, Бат., 1906, с. 105.

<sup>63</sup> Френкель А., Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1879, с. 122.

არ აკმაყოფილებდა ბათუმის ოლქის კოლონიზაციის ტემპები.<sup>64</sup> ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის შენახვა მთავრობას არც თუ მცირე თანხა უჯდებოდა. „კავკაზის“ ცნობებით ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ხარჯები, სასამართლოსა და სხვა სპეციალური დაწესებულებების გარდა ხაზინას ყოველწლიურად უჯდებოდა 219,419 მანეთი.<sup>65</sup> XIX ს-ის 80-იან წლებში კავკასიის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირების მიზნით მომზადდა რეფორმები, როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე ადმინისტრაციულ მოწყობაში.

ასეთ ვითარებაში გაჩნდა ბათუმის ოლქის გაუქმებისა და მისი ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების იდეა. საკითხის ასე გადაწყვეტა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ხარჯებისაგან გაათავისუფლებდა. ოლქის ცენტრალური მმართველობა შეიძლება გაუქმდეს საქმისადმი ყოველგვარი ზიანის გარეშე. ამ გზით სახელმწიფო შეამცირებს ხარჯებს 173.349 მანეთით - წერდა „კავკაზი“.<sup>66</sup> ხელისუფლებას მოეწონა აღნიშნული მოსაზრება და ბათუმის ოლქის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

ბათუმის ოლქი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული არსებობდა დაახლოებით 4 წელს. 1883 წლის 12 ივნისს მისი უდიდებულესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა ბათუმის ოლქის შეერთება ქუთაისის გუბერნიასთან. რითაც გაუქმდა საოლქო მმართველობა და ჩამოყალიბდა ბათუმის და ართვინის ოკრუგები.<sup>67</sup> ბათუმის ოლქის გაუქმებამ გამოიწვია გარკვეული ცვლილებები მმართველობის სფეროში. 1883 წლის 12 ივნისს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით ბათუმის და ართვინის ოკრუგები დაიყო 7 უბნად. ამავე გადაწყვეტილებით ქუთაისის გუბერნატორს ეწოდა სამხედრო გუბერნატორი და შემოღებული იქნა სამხედრო გუბე-

<sup>64</sup> ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა), ფ. 130, ა. 1, ს. 258, ფ. 24.

<sup>65</sup> „Кавказ“ №115, 1882.

<sup>66</sup> „Кавказ“ №115, 1882.

<sup>67</sup> ქცსა, ფ. 130, ა. 1, ს. 258, ფ. 4.



რნატორის თანაშემწის თანამდებობა“.<sup>68</sup> ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე ბათუმში იჯდა. რეფორმის შემდეგ ბათუმში საპოლიციო აპარატი არა თუ შემცირდა, პირიქით, უფრო გაიზარდა. ქალაქში შემოიყვანეს დამატებითი სამხედრო ნაწილები.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ცარიზმის მზაკერული მიზანი - ბათუმი წმინდა რუსულ ქალაქად გადაქცეულიყო, ხოლო აჭარა საერთოდ მოწყვეტოდა ქართულ სამყაროს - განუხორციელებელი დარჩა. ცარიზმის ერთგულმა გუშაგებმა გვიან იგრძნეს ეს მარცხი და ამის უმთავრეს მიზეზად 1883 წლის რეფორმის შედეგად ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება მიიჩნის.<sup>69</sup>

რუსეთის ხელისუფლების სურვილი, სწრაფად მოეხდინა აჭარის კოლონიზაცია, მიუღწეველი იყო. ეს მაშინ, როცა ბათუმის ოკრუგი (ე.ი. აჭარა-ავტ.) მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე არამჭიდროდ დასახლებული მხარეს წარმოადგებდა. ქუთაისის გუბერნიის 1892 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „ყველაზე მცირერიცხოვანი დასახლებები არის ბათუმის ოკრუგში. თუ საშუალოდ გუბერნიაში ერთ დასახლებაზე მოდის 87 კომლი 530 მცხოვრებით, ბათუმის ოკრუგში ეს ციფრი შესაბამისად ადგენდს 28 კომლს და 157 მცხოვრებს.“<sup>70</sup> ამის მიუხედავად, გადმოსახლებული ერთგული ელემენტის რაოდენობა არც ისე ბევრი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებდნენ რუსი მოხელეები“. ბათუმის და ართვინის ოკრუგში მოსული მოსახლეობა არის უმნიშვნელო. სულ არის ორი რუსული დასახლება – ერთი ჩურუქ-სუსთან, სადაც მოახალშენეებს გამოეყოთ 11 დესეტინა მიწა თითო კომლზე, და მეორე – ხოლოდნაია სლობოდა ბათუმთან ახლოს. აქ მხოლოდ მამულისათვის გამოეყოთ მიწები.<sup>71</sup>

<sup>68</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფ. 12, ა.1, ს. 2947, ფ.2.

<sup>69</sup> ე.სიჭინავა, ბათუმის იტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 83.

<sup>70</sup> ქცსსა, ფ. 130, ა. 1, ს. 175, ფ. 2.

<sup>71</sup> ქცსსა, ფ. 18, ა. 1, ს. 2145, ფ. 4.

საქმე მთლად ასე როდი იყო. ჯერ ერთი რუსი კოლონისტები ძნელად ეგუებოდნენ ადგილობრივ კლიმატურ თუ საყოფაცხოვრებო პირობებს, მეორეც მათ სურდათ მხოლოდ ზღვისპირა ზოლში დასახლება, სადაც თავისუფალი მიწები უკვე იმ დროს ძნელად იშოვებოდა. ამით იყო გამოწვეული, რომ XIX ს-ის 90-იანი წლების შუა ხანებამდე აჭარაში გადმოსახლებულ რუს კოლონისტთა შედარებითი სიმცირე, რასაც ასე „გულისტკივილით“ უსვამდნენ ხაზს მთავრობის მოხელეები. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის სამრეწველო განვითარების მასშტაბებმა, და ჩაკეში საუფლისწულო მამულის დაარსებამ, რაც თავის მხრივ დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვდა, ხელისუფლებას ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორების საშუალება მისცა.

1896 წელს დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ კავკასიის მთავარმართებელი გახდა გენერალი გოლიცინი. იგი მთავარმართებელის მოვალეობას ასრულებდა 1896-1904 წლებში. ახლადდანიშნული მთავარმართებელი აკრიტიკებდა 1883-1885 წლების რეფორმის ორგანიზატორებს, რომელთა ძირითად მიზანს მხარის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირება შეადგენდა.<sup>72</sup> გოლიცინი სასტიკად ილაშქრებდა ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების წინააღმდეგ. მიაჩნდა, რომ ეს ხელს უწყობდა არა მარტო მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების აღმდგენას, არამედ გააძლიერებდა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესს. ეს კი ნამდვილად არ შედიოდა კოლონიური პოლიტიკის თანმიმდევრულად გამტარებელი მთავარმართებლის ინტერესებში. ამას დაემატა ისიც, რომ XIX ს-ის დამლევებიდან ბათუმი მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. კავკასიის ადმინისტრაცია რევოლუციური გამოსვლების გაძლიერებისა და მის წინააღმდეგ არაეფექტური ბრძოლის მიზეზს ბათუმში ადმინისტრაციული ცენტრის არ არსებობაში ხედავდა.

---

<sup>72</sup> შ. ვანიშვილი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, (1864-1917 წწ.), თბ., 1989, გვ. 86.

ბათუმის ოლქის ადდგენის საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1900 წელს დამდგარა. ამას ადასტურებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში 1900 წლის 23 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი (№4821), რომელშიც ნათქვამი იყო: „თქვენო უმაღლესობავ, ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გამოყოფა ვცანით სასარგებლოდ და აუცილებლად.“<sup>73</sup>

აღნიშნულ საკითხზე საქმის კურსში ყოფილა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებაც, რასაც მოწმობს პეტერბურგიდან თბილისში, მთავარმართებელთან 1901 წლის 24 აპრილს გამოგზავნილი წერილი: „თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობებთ, რომ ბათუმიდან ჩვენთან მოდის მეტად შემადრწუნებელი ამბები. იქ ძალადობასა და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას საზღვარი არა აქვს. თქვენთვის ისიც არის ცნობილი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჩვენი იმპერიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან და სტრატეგიულად სასიცოცხლო მხარეს. ამიტომ, ჩვენთვის ყოველად მოუთმენელია ამ კუთხის აგრე უყურადღებოდ მიტოვება. გუბერნიის ხელმძღვანელობას ვერ გაუთავისებია ის მნიშვნელობა, რომელსაც ბათუმის ოლქი წარმოადგენს ჩვენთვის. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩევა და როდესაც დაინახავს, რომ ჩვენი ხელისუფლება არ იცავს მათ ინტერესებს, შესაძლებელია ზურგი გვაქციოს და ჩვენ უნდობლობა გამოგვიცხადოს. ეს კი ჩვენთვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი. ამიტომ, გთხოვთ დავიწყოთ ფიქრი, რომ ბათუმის ოლქი გამოვიდეს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან.“<sup>74</sup> მაღალი რანგის მოხელეთა დიდი სურვილის მიუხედავად ერთბაშად ამ საკითხის გადაწყვეტა მაშინ შეუძლებელი გახდა.

<sup>73</sup> ქცსსა, ფ. 186, ა. 1, ს. 759, ფ. 1.

<sup>74</sup> ქცსსა, ფ. 12, ა. 1, ს. 156, ფ. 24.

1902 წლის 9 მარტის მოვლენებმა კვლავ განსაკუთრებული აქტუალობით დასვა ბათუმის ადმინისტრაციული სტატუსის აღდგენის საკითხი. იმპერატორის კანცელარიიდან მთავარმართებლის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „როგორც ჩანს თქვენ ვერ იმოქმედეთ ისე, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბების საკითხი. სწორედ ეს უმოქმედობა გახდა მიზეზი 1902 წლის 9 მარტის სისხლისღვრისა. ამჟამად, მგონი აღარ გამოინახება იმის საბაზი, კიდევ გადაიდოს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი. დროის მოგების მიზეზით. ამიტომ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ პროექტი ბათუმის ოლქის ცალკე გამოყოფის თაობაზე.<sup>75</sup> ოფიციალური ბათუმის ოლქის გამოყოფის ასეთნაირად ასაბუთებდა: 1883 წელს ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება იყო ხელოვნური და მექანიკური გაერთიანება ერთ მმართველობაში ორი პრინციპულად განსხვავებული სისტემისა და აბსოლუტურად სხვადასხვაგვარი ადგილებისა და ამ დონისძიებამ შეაფერხა ახლადშემოერთებული ოლქის განვითარება ყველა მიმართულებით და მოუტანა ხაზინას ზარალი, რომელიც აჭარბებდა ეკონომიას, მიღებულს დამოუკიდებელი ბათუმის ოლქის მმართველობის გაუქმებით.

ნამდვილად, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში რუსულმა მმართველობამ ამ მხარეში თითქმის უკვალოდ ჩაიარა ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისათვის. ამის ძირითად მიზეზად უნდა ჩავთვალოთ 1883 წლის რეფორმა, რომელმაც ელემენტარული ეკონომიის ძიებაში შეამცირა ადგილობრივი ადმინისტრაციის შემადგენლობა, შეასუსტა ეს ზემოქმედების ერთადერთი იარაღი მხარეში.

ამის შედეგად ადმინისტრაციული ზემოქმედება ძალზე სუსტი იყო, რითაც ეს ოლქი პოლიტიკური განვითარების თვალსაზ-

---

<sup>75</sup> აჭარის ცენტრალურის ახელმწიფო არქივი (აცსა), ფ. 7, ა. 1, ს. 431, ფ. 46.

რისით სრული უძრაობისათვის აღმოჩნდა განწირული.<sup>76</sup> ეს სიტყვები ნათლად აჩვენებს რუსეთის ხელისუფლების ნამდვილ დამოკიდებულებას საქართველოსადმი.

1903 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ 11 ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის აღდგენის შესახებ დადგენილებას. 1903 წლის 17 მარტს მისი უმაღლესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს წინადადების საფუძველზე იმავე წლის 1 ივნისს ქუთაისის გუბერნიის შემდაგენლობიდან მასთან შეერთებული ბათუმისა და ართვინის ოკუპაციები გამოიყო დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, სამხედრო გუბერნატორის მმართველობით. ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქ.ბათუმი.<sup>77</sup>

ბათუმის ოლქის დამოუკიდებლობის აღდგენას ცარიზმის მხრიდან შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა. იმპერიის მესვეურები შეშფოთებული იმით, რომ ბათუმში თავი მოიყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მთავრობისადმი არასაიმედო მასამ, ცდილობდნენ ბათუმის ოლქი გადაექციათ რუსული შოვინისტური პოლიტიკის გატარების ეპიცენტრად<sup>78</sup>.

ახლადგამოყოფილი ბათუმის ოლქის საზღვრები ასეთი იყო: ჩრდილოეთიდან – ქუთაისის გუბერნია, აღმოსავლეთიდან – თბილისის გუბერნია და ყარსის ოლქი, სამხრეთიდან – თურქეთი (კერძოდ ლაზისტანის სანჯაყი), დასავლეთიდან – შავი ზღვა. ახალ ოლქს ეჭირა 6195 კვ.კმ. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ახალი ოლქის ორი ოკრუგი – ბათუმის და ართვინის – იყოფოდა 7 უბნად. ბათუმის ოკრუგში ოთხი უბანი იყო: კინტრიშის, გონიის, ქვედა – აჭარის და ზედა – აჭარის ართვინის ოკრუგში სამი უბანი იყო: ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის და ერთი საპრისტავო ართვინში. თითოეული უბანი

<sup>76</sup> სცსსა, ფ. 12, ა. 1, ს. 2947, ფ. 2.

<sup>77</sup> ქცსსა, ფ. 130, ა. 1, ს. 258, ფ. 4.

<sup>78</sup> ო.გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათ., 2005, გვ. 34.

იყოფოდა 24 სასოფლო ოკრუგად, რომელიც იმართებოდა თავად გოლიცინის მიერ 1900 წლის 22 ივლისს დამტკიცებული დებულების შესაბამისად.<sup>79</sup>

ამრიგად, XX ს-ის დასაწყისის ბათუმის აქტიურმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ დაახქარა რუსეთის ხელისუფლების განზრახვის – ბათუმის ოლქის აღდგენა – სისრულეში მოყვანა.

## **Djema! Karalidze**

### **The restoration of Batumi District (1903 y.)**

#### **Summary**

Russian authority created a separate administrative unit – Batumi District, on the basis of integrated territories of Southern-Western Georgia, in 1878. In 1883, for the purpose of reducing state expenses, some changes took place in the administrative organization of Caucasus, which resulted in the integration of Batumi District with Kutaisi Province. The authority, aiming at colonization of newly-integrated District, realized its mistake very soon. In fact, the steps made by the authority were favorable for Georgians' consolidation. That is why the officials put a question of separating Batumi District, which had been realized by the order of Nicolay II on 17 of March, 1903.

The given work is dedicated to the problem mentioned above

---

<sup>79</sup> ქცსსა, ფ. 18, ა. 1, ს. 1554, ფ. 45-46.

**საქართველოს საბარეო საქმეთა მინისტრის  
რამდენიმე საკროტესტო ნოტა ინგლისის  
მთავრობას ბათუმის ოლქის ბამო (1918-1920 წწ.)**

1918 წლის ნოემბრიდან ბათუმი და ბათუმის ოლქი ინგლისელების ოკუპაციის ობიექტად იქცა. თურქი ხელისუფლების მსგავსად სამუსლიმანო საქართველოს ძარცვა და გლეჯა ამიერიდან ინგლისელებმა ითავეს და არანაკლებ უხეში მეთოდებით წარმართავდნენ თავიანთი მიზნების განხორციელებას. ერთი მხრივ, დამარცხებული თურქეთის ხელისუფალნი ხელს როდი იღებდნენ სამუსლიმანო საქართველოზე, განსაკუთრებით ბათუმის ოლქზე და თავიანთი დასაყრდენი ძალებით აგრძელებდნენ ფარულ თუ აშკარა მუშაობას; მეორე მხრივ, ინგლისელები, რომლებიც მოევლინენ ბათუმის ოლქს, მსოფლიო რეაქციულ ძალებთან კავშირში, გეგმავდნენ მხარის საქართველოსაგან ჩამოცილებას და დანაწილებას.

საამისოდ ყურადსაღებია მრავალმხრივი ოფიციალური ისტორიული მასალები თუ მემუარული წყაროები. იტალიის სამხედრო მისიის მეთაური, პოლკოვნიკი გაბა, თავის მთავრობას ატყობინებდა: „ინგლისელები არ არიან დაინტერესებული ბათუმსა და ბათუმის ოლქში ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენაში... ბათუმს არ შეუძლია არსებობა საქართველოს გარეშე“.<sup>80</sup>

ინგლისელების ბათუმის ოლქში ბატონობის დროს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას წერილით მიმართავს პოლკოვნიკ გაბას, რომელშიც ნათქვამია: „... ჩვენი საზღვრები იმყოფებიან არა მარტო საშიშროების ქვეშ, არამედ ისინი დღემდე ცნობილი არაა. ის, ვინც ცოტა მაინც

---

<sup>80</sup> ზავალიანი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1920 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990, გვ. 46.

იცის საქართველოს რუკა, დარწმუნდება, რომ საქართველო ბათუმის გარეშე და ბათუმი საქართველოს გარეშე ვერ შესძლებენ არსებობას. მიუხედავად ამისა, ბათუმის ბედი წყდება ჩვენი აზრისა და ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების გარეშე. ბათუმის სახელმწიფოს შექმნა, რის შესახებ ჩვენ გვაცნობა საფრანგეთის მისიამ, ნიშნავს ან საქართველოს სახელმწიფოს დაღუპვას, ან ბათუმის დაღუპვას, ვინაიდან შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მათი არსებობა ერთმანეთის გარეშე“.<sup>81</sup>

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, ინგლისის სარდლობა აგრძელებდა თავის თავშეუკავებელ მოქმედებას ქალაქ ბათუმში და ბათუმის ოლქში. ეგვიპტი გეგეჰკორი, 1920 წლის 15 მაისს, პოლკოვნიკ გაბასადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „ჩემი მთავრობის სახელით, ჩემს მოვალეობად ვთვლი განვაცხადო ყველაზე გადამწყვეტი პროტესტი გენერალ კუკ-კოლისის უმსგავსო მოქმედების წინააღმდეგ. შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ბათუმის ოლქის ქობულეთის რაიონში მოქმედებენ, განხდნენ არა გუმინ. ჩემი მთავრობის სახელით არაერთხელ გაცნობეთ, რომ მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელი, თურქი და ბოლშევიკი აგენტი, საოკუპაციო ხელისუფლების თვალწინ თავისუფლად ეწოდნენ პროპაგანდას, ქმნიდნენ დაქირავებული აგენტების ჯგუფებს ჩვენს წინააღმდეგ. ამისათვის დაიხარჯა რამდენიმე მილიონი მანეთი... ინგლისის სარდლობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩვენს პროტესტებს. ბათუმი გახდა ნამდვილი ბაზა, საიდანაც ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია ველოდოთ თავდასხმას.“

საქართველოს მთავრობა დღემდე ახერხებდა ამ საშიშროების პარალიზებას, ბათუმის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში თავისი ჯარის ნაწილების განლაგების საშუალებით, სადაც სიმშვიდე და არსებობს საშუალება, დაცული იქნეს საქართველოს საზღვრები თურქეთის შემოტევისაგან. ამის შემდეგ ხსენებულმა ბანდებმა თავი მოიყარეს ქობულეთის რაიონში.

---

<sup>81</sup> ა.სურგულაძე, მ.სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1995, გვ. 24.



მან გვაიძულა შეგვეყვანა ამ რაიონში ჩვენი ჯარები, ინგლისის სარდლობა ამაში დაინტერესებულ უნდა ყოფილიყო, რამდენედაც ლაპარაკია ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაზე და რაიონში წესრიგის დამყარებაზე. მაგრამ ვამტკიცებთ, რომ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. როდესაც ჩვენი ჯარის ნაწილები შეიჭრნენ ქობულეთის რაიონში და დაიწყეს ბრძოლა ზემოხსენებული ბანდების წინააღმდეგ, რომელთა სათავეში იდგნენ თურქი ოფიცრები და პაიჭაძის (ინგლისელი ექიმის მკვლელის) ტიპის მოღალატე ელემენტები, საქმეში ჩაერია ინგლისის სარდლობა. პირველ რიგში გენერალი მილნი, რომელიც ბანდების წინააღმდეგ სროლის დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ცეცხლის ქვეშ და მისცა ამ ფაქტს ისეთი შეფასება, რომ თითქოს ჩვენი ნაწილები ესროდნენ მას და ბრძანა უკანვე გაეყვანათ ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი. როდესაც ჩვენი მთავრობა მიდიოდა რა დათმობაზე, შეასრულა ეს მოთხოვნა, გენერალმა კუკ-კოლისმა მოითხოვა საერთოდ ჩვენი ჯარების გაყვანა ამ რაიონიდან, მან ჩვენს წინააღმდეგ წარმართა ინდოელთა რაზმი, რომელიც ცეცხლის გასხნით გვემუქრებოდა. ქობულეთის რაიონში ჩვენს წინააღმდეგ ბანდების მოქმედება დაემთხვა საბჭოთა აზერბაიჯანის საომარი მოქმედების დაწყებას საქართველოს წინააღმდეგ. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ეს ორი ფრონტი ერთია: აქაც და იქაც ერთიდაიგივე მტერია.

ვადასტურებ რა გენერალ კუკ-კოლისის ჩვენდამი მტრულ მოქმედებას, რაც ეწინააღმდეგება ანტანტის ქვეყნების, კერძოდ, ბრიტანეთის მთავრობის განცხადებებს საქართველოს რესპუბლიკისადმი, გთხოვთ, აცნობოთ ეს თქვენს მთავრობას, ამავე დროს, ჩემი მთავრობის დაგალებით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენს შემდგომ მოქმედებაში სრული თანხმობის ინტერესებისათვის საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ბათუმში დანიშნულ იქნება ადამიანი,

რომელთანაც მას შეეძლება ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს“.<sup>82</sup>

ინგლისის მთავრობა თვითნებურად აგრძელებდა ბათუმსა და მის ოლქში აღვირახსნილ მოქმედებას; ევგენი გეგეჭკორის, 1920 წლის 16 მაისის წერილში კონკრეტულადაა მითითებული და ჩამოთვლილი ინგლისელთა ნამოქმედარი ბათუმის ოლქში, კერძოდ, წერილში ნათქვამია: „სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით, არაერთხელ მივაქცევდით დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ყურადღებას იმ არანორმალურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ბათუმსა და მის ოლქში ბრიტანეთის ოკუპაციის პირველ დღიდანვე. ამის დასადასტურებლად, აუცილებლად მიმაჩნია აქ ჩამოვთვალო ის ფაქტები, რომლებმაც თავის დროზე მიიქციეს ჩვენი ყურადღება და გახდნენ ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ჩვენი მიმოწერის საგანი“.<sup>83</sup>

წერილში ჩამოთვლილა ეს ფაქტები: 1. 1919 წლის 5-6 თებერვალს ღამით, მდ. ჩოლოქის ხიდზე გუშაგებმა სროლა აუტეხეს ქართველ მესაზღვრეებს, რომლის შედეგად ერთი ქართველი ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე დღეს, უმიზეზოდ, ქართული ჯარის ოფიცერი აბაშიძე, მის მშობლიურ სოფელ ბორჩხაში მიმავალი, ბრიტანეთის ხელისუფლებამ დააკავა. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ბათუმში პოლკ. გედევანიშვილმა მიღება თხოვა გუბერნატორს, მაგრამ დროის უქონლობის გამო მან იგი არ მიიღო.

2. იმავე წლის 1 ივნისს ჩემს განცხადებაში, რომელიც მიმართული იყო ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდლისადმი, პროტესტს ვაცხადებდი გენერალ-გუბერნატორის

---

<sup>82</sup> სცსსა, ფ. 1864, ა. 1, ს. 144, ფ. 68.

<sup>83</sup> იქვე, ფ. 71.

პოსტზე გენერალ რომანოვსკი-რომანენკოს დანიშვნის გამო, რომელმაც პირველმა შექმნა ანარქია ბათუმში.

3. ამავე წლის 20 და 21 თებერვლისა და 1920 წლის 6 მარტის წერილებში ვაცნობები საფრანგეთის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს და პოლკოვნიკ ჰასკელს, რომ ბათუმში ბოლშევიკებისა და თურქეთის აგენტების ორგანიზაცია. მათი ჯგუფებად შექმნა ხდება ბრიტანეთის ხელისუფლების თვალწინ, ხოლო ეს ჯგუფები იქმნება ერთადერთი მიზნით: შექმნან ანარქია ქვეყანაში და გააჩაღონ სამოქალაქო ომი მთელს ამიერკავკასიაში. საქართველოს რესპუბლიკისა და ანტანტის ყველა მტერმა თავშესაფარი პპოვა ბათუმში და იქ შექმნა ბაზა ძირგამომთხრელი მუშაობისათვის. ქობულეთის რაიონში ასეთ ბანდებს სათავეში უდგანან თბილისში ინგლისელი ექიმის მკვლელი პაიჭაძის მსგავსი სხვა აგენტები, რომლებმაც თავიდან აიცილნენ თბილისში მართლმსაჯულება.

4. მიმდინარე წლის 6 მარტს ვაცნობე მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენლებს და ლორდ კერზონსაც ის ფაქტი, რომ გენერალი კუკ-კოლისი არიგებს იარაღს ბათუმის მოსახლეობაში და ჰქმნის რაზმებს ქართული ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც უკავია ზოგიერთი პოზიცია ამ რაიონში.

5. 5 აპრილს, სოფელ კინტრიშში ხიდის აფეთქების მეორე დღეს, კვლავ მივაქციე თქვენი ყურადრება იმ არასასიამოვნო ფაქტებს, რაც ხდება ბათუმის რკინიგზაზე და გამოვთქვი პროტესტი გენერალ კუკ-კოლისის განცხადების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით, თითქოს, ამ რაიონის მოსახლეობა განწყობილია ქართული ჯარის წინააღმდეგ, რაც უსაფუძვლო განცხადებაა, თქვენდამი მიწერილ წერილებში და პირადი საუბრის დროსაც, ყოველთვის თქვენს ყურადღებას მივაქციედი ინგლისის სარდლობის დაუინტერესებლობას, დაამყაროს წესრიგი ბათუმსა და ბათუმის ოლქში, მიიღოს ზომები საზოგადოებრივი დაწესებულებების, მაღაზიების მძარცველების წინააღმდეგ. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ბათუმის ბაზარზე

სრულიად თავისუფლად იყიდება თურქეთიდან ჩამოტანილი ვაზნები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და შაშხანები. ბრიტანეთის სარდლობის წარმომადგენლები კრებებზე და მიტინგებზე დევნიან იმათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის მხარდასაჭერად გამოდის, ხოლო ანტიქართულ ელემენტებს ეძლევათ სრული თავისუფლება.<sup>84</sup>

ე. გეგოჭკორის წერილში ხაზგასმულია: საქართველოს გააჩნია ბათუმსა და ბათუმის ოლქში მეტად მნიშვნელოვანი ინტერესები, რომლებიც დაფუძნებულია პოლიტიკურ, ეროვნულ-ეკონომიურ და სტრატეგიულ მოსაზრებებზე. რომ უდალატო ამ მოსაზრებებს ან უარი თქვა მათზე, ეს იქნებოდა გამოუსწორებელი კრახი... როდესაც ჩვენ სანდო წყაროებიდან მივიღეთ ცნობები, რომლებიც შეეხებოდნენ ინგლისის ჯარების გაყვანას ბათუმიდან, საქართველოს მთავრობამ დაინახა საშიშროება, რომელიც თურქეთის, აზერბაიჯანისა და ბოლშევიკებისმითითებით მოქმედი ანარქისტული ელემენტებისაგან ემუქრებოდა ამ რაიონს, უბრძანა თავის ჯარის ნაწილებს მისულიყვენ ბათუმის რაიონის საზღვრებთან და დაეკავებინათ ზოგიერთი სტრატეგიული პუნქტი, რომელიც ბრიტანეთის სარდლობასთან ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად უკვე დატოვებული იყო, მაგრამ გენერალმა კუკ-კოლისმა ეს არ დაუშვა და ჩვენი ჯარების უკან დახევა მოითხოვა. ... ბანდიტურ ჯგუფებთან ქართული ჯარის ნაწილების შესხედრის დროს, იქ აღმოჩნდნენ ინგლისელი ოფიცრები – კაპიტანი რეინიკი და ლეიტენანტი ოლვერი, რომლებმაც გენერალ მილნის სახელით აიძულა ქართული ჯარები შეჩერებულიყვენ. გარდა ამისა, ინგლისელებმა ქართველებს ბრალი დასდეს იმაში, რომ ისინი თითქოს ესროდნენ არა ბანდიტებს, არამედ ინგლისელებს, მათ შტაბს და სხვა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მტკიცე პროტესტს აცხადებდა ინგლისელების მტკიცების წინააღმდეგ, რომ თითქოს „ქართულ არტილერიამ ესროლა გენერალ მილნის შტა-

---

<sup>84</sup> იქვე, ფ. 76-77.

ბს“ და თითქოს ქართული ჯარის ნაწილები „ინგლისის სარდლობის თანხმობის გარეშე შევიდა ბათუმის რაიონში“.<sup>85</sup>

აჭარის მოსახლეობა მტკიცედ იცავდა საქართველოს ერთიანობის იდეას. ამ მოსაზრების ერთ-ერთი დამადასტურებელია 1919 წლის 31 აგვისტოს, სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლები, შეკრებილნი ქალაქ ბათუმში, რიცხვით ასი, 1919 წლის აგვისტოს 31-სა, კვირას, ვაცხადებთ ერთხმად ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რომ წააწყდა რა დიდ წინააღმდეგობას ინგლისის მთავრობა, იძულებული შეიქმნა ანგარიში გაეწია საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის ნება-სურვილისათვის და ბათუმის ოლქი გადაეცა მისი კანონიერი მფლობელისათვის – საქართველოსათვის. ეს მოხდა 1920 წლის 7 ივლისს.

## Otar Gogolishvili

### Summary

From November of 1918 Batumi and its region were object of English occupation. As like Turkey now Englishmen begin to rob Muslim Georgia. They were made plans to be having act Batumi in orbit to other countries. That's why The Ministry of Foreign Affairs Evgeni Gegechkori was undercompulsion to sent some protest note to English power where was pronounce severe protest for dis Georgian effectiveness, what have been made from occupy English board of administration in Batumi for move off its from Georgia. The Ministry in protest note categorical asked to stop effectiveness without state realization to region of Batumi.

---

<sup>85</sup> სცსსა, 1864, ა. 1, ს. 115, ფ. 36.

აბუსერისძეები XI საუკუნის საქართველოს  
პოლიტიკურ ცხოვრებაში

აბუსერისძეთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს ისტორია მთლიანობაში ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. მართალია, მისი სახელოვანი წარმომადგენლის, XIII ს-ის მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის-ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთი გამოკვლევა შეიქმნა (ღ.მუსხელიშვილი, ი.სისარულიძე, ნ.გოგუაძე, მ.ქავთარია, რ.ჩაგუნავა, რ.ხალვაში, გ.აბუსელიძე, და სხვა), სადაც ამ გვარის სხვა ცნობილ მოღვაწეთა შესახებაცაა საუბარი, მაგრამ, ტბელის წინაპრებისა თუ მომდევნო თაობათა შესახებ ისტორიული წყაროები იმდენად მცირეა, რომ მათ შესახებ სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის, თუმცა არსებულ წყაროთა ანალიზით, მაინც შესაძლებელი ხდება ისტორიულ მოვლენათა კონტექსტში გავიაზროთ ამ გვარის წარმომადგენელთა ადგილი და როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამჯერად, წარმოდგენილ ნაშრომში მიზნად დავისახეთ აბუსერისძეთა გვარის იმ წარმომადგენლებზე შევანეროთ მკითხველის ყურადღება, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს მათი საგამგეო მხარისა და მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართულ ისტორიულ წყაროებში აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლები XI ს-ის დასაწყისიდან ჩანან. 20-იანი წლების ბოლოს ისინი არტანუჯსაც ფლობდნენ. სწორედ ამ წლებზე მოდის „მატიანე ქართლისა“-ში ნათქვამი: „ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“.<sup>86</sup> აქ ორი საკითხია გასარკვევი: პირველი - როგორ გავიგოთ ერისთავის დასახელება - „იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“ და მეორე, როდის მიიღეს აბუსერისძეებმა არტანუჯის ციხე.

---

<sup>86</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 299.

მკვლევარი ლ.მუსხელიშვილი „აბუსერსა“ საკუთარ სახელად მიიჩნევდა და ტექსტის გასწორების ვარიანტსაც იძლეოდა: იოვანეს ერისთავსა აბუსერისძესა,<sup>87</sup> ხოლო პროფ. ი.სიხარულიძე თვლის, რომ „აბუსერი“ არაბული „აბუსარის“ ოდნავ სახენაცვალ ფორმაა (აბუ-მამა, სარ-დიდსულოვანი, მამაცი), რაც იოვანეს თვისებათა ეპითეტადაა გამოყენებული და შემდეგ ის ამ ერისთავთა გვარად იქცაო.<sup>88</sup>

ჩვენ უფრო მისაღებ განმარტებად მიგვაჩნია ი.სიხარულიძის მოსაზრება, რადგან შემდეგ ამ საგვარეულოში ხშირად ჩანს გამოყენებული ეს ეპითეტი ადამიანთა სახელადაც და გვარადაც.

რაც შეეხება მეორე საკითხს, არტანუჯი 1011 წლამდე „კლარჯთა მეფეთა“ ხელში იყო. ამის გამო მათ არტანუჯელებსაც უწოდებდნენ. სწორედ ამ წელს შეიპყრო ბაგრატ III-მ სუმბატ და გურგენ არტანუჯელები მათი საგამგეო მიწების შემოსაერთებლად და ამდენად, მაშინ შეიძლება რომ მეფეს ეს მხარე აბუსერისძეთათვის გადაეცა, მაგრამ მკვლევარები თვლიან, რომ რადგან არტანუჯსა და აჭარას შორის შავშეთია, ამ უკანასკნელის შემოერთებამდე ეს არ მოხდებოდა. შავშეთს 1028 წლამდე ჩანჩახ ფალელი ფლობდა, ვიდრე იგი ბერძნების მხარეს არ გადავიდა და მეფემ, როგორც მოლაღატეს, შავშეთი არ წაართვა. ვარაუდობენ, რომ აჭარის ერისთავს სწორედ ამ დროს უნდა მიეღო შავშეთიც და არტანუჯიც, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მეფეს ადრე გადაეცა არტანუჯი, როგორც მისი საგამგეო ქვეყნის ერთი პროვინცია.

აშკარად ჩანს, რომ როგორც გიორგი I-ის, ისე ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში აბუსერისძეთა გვარი ერთგულია ცენტრალური ხელისუფლების, აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და შესაბამისად ჯილდოვდება კიდევ. ამას ადასტურებს 1046-1047 წლებისათვის ციხისჯვარისა და აწყურის ციხის მათი გამგებლობის ქვეშ მოხსენიება. ცოტა

---

<sup>87</sup> ლ.მუსხელიშვილი, აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ – ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთან, თბ., 1941, გვ. 17.

<sup>88</sup> ი.სიხარულიძე, ნათელი დაუღამებელი, ბათ., 1979, გვ. 8.

ადრე, აბუსერისძეთა გამგებლობაში ყოფილა ახლადშემოერთებული ანისიც. მემკვიდრე გვამცნობს, რომ 1045 წელს „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატ დედასა, რამეთუ მამულ ეყოდეს სომეხნი, სენაქერიმ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა“<sup>89</sup> დედოფალს ანისში ერისთავი აბუსერი დაუდგენია გამგედ.<sup>90</sup> თუმცა იგი მცირე ხნით დარჩენილა მის ხელში. კერძოდ, ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ერისთავს შორის დაპირისპირებისას, როცა იგი ანისში იყო დედოფალთან ერთად, ლიპარიტმა „გამოიტყუენა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხისათა და ციხისჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი“.<sup>91</sup> მალე ლიპარიტ ერისთავმა გაათავისუფლა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი ტყვეობიდან, მეფეს ტყვეობაში მყოფი თავისი შვილის იოვანეს გაათავისუფლების სანაცვლოდ. ასე რომ, აბუსერი საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის პატრონია და კვლავ მონაწილეობს იმ რთულ შინაპოლიტიკურ დაპირისპირებებში, რომელიც გრძელდება მეფესა და ერისთავ ლიპარიტს შორის. აბუსერის თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან სასირეთის ბრძოლაში იგი სხვა დიდებულებთან ერთად კვლავ ლიპარიტ ერისთავს ჩაუვარდა ტყვედ.<sup>92</sup>

ამის შემდეგ ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა გვარში აბუსერის შვილი გრიგოლი ჩანს, „ერისთავი არტანუჯისა“. ისიც მამის მსგავსად მონაწილეობდა მეფის მხარეზე ლიპარიტის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც უკანასკნელმა არაერთხელ გამოავლინა არტანუჯის წართმევის სურვილი.

1047 წელს გრიგოლ ერისთავი არტანუჯელი, ერისთავი სულა კალმახელი და მესხი აზნაურები მეფე ბაგრატ IV ძალებთან ერთად არყის ციხესთან შეებნენ ლიპარიტის მომხრე ძალებს. „და სძლია ლიპარიტვე, და გაიქცა მეფე, შეიპყრეს სულა, კალმახისა ერისთავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისი და სთხოვეს არტანუჯი, სიკუდილისა ქად-

<sup>89</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

<sup>90</sup> ი.ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 143.

<sup>91</sup> ქართლის ცხოვრება, I, 300.

<sup>92</sup> იქვე, გვ. 301.



ებითა და მისცა“.<sup>93</sup> ასე რომ, ცოცხლად დარჩენის საფასურად გრიგოლმა დაკარგა არტანუჯი, მამისაგან გმირული ბრძოლებითა და მეფისაგან ერთგულების სანაცვლოდ ძღვნად მოპოვებული.

საისტორიო წყაროების მიხედვით გრიგოლ აბუსერისძე ჩანს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით. დაახლოებით 1046 წელს, ჯავახეთში, სოფ. ღრტილასთან შედგა საეკლესიო კრება, რომელშიც მეფესთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ წურწყაბელის ეპისკოპოსს, გვარად მიქელაძეს, ყველელ ეპისკოპოსს სანანოს, გრიგოლ აბუსერისძეს და გაბრიელ უფისძეს.<sup>94</sup> ეს კრება ჩატარებულია იმ დროს უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ამიერკავკასიაში მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ სომხეთში მონოფიზიტობამ გაიმარჯვა, საქართველოში კი დიოფიზიტობამ. ირანის მხარდაჭერით სომხური ეკლესია დიდხანს მძლავრობდა ამიერკავკასიაში, იგი თავის გავლენას ავრცელებდა სომხეთის მომიჯნავე ქვემო ქართლის ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაზე. მიმდინარეობდა აქ მცხოვრები ქართველების „გასომხება“. ამიტომ ხშირი იყო ქართული და სომხური ეკლესიების წარმომადგენელთა შეხვედრა-კრებები, სადაც მიმდინარეობდა დისკუსიები სარწმუნოებრივ საკითხებზე. სწორედ ასეთ კრებას წარმოადგენდა ღრტილას 1046 წლის კრებაც. ეს კრება ჩვენთვის იმ თვალსაზრისით არის საინტერესო, რომ მასში მონაწილეობდა გრიგოლ აბუსერისძე და ყველელი ეპისკოპოსი სანანო. მკვლევარი ლ.მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ რადგან ყუელის ციხე ერუშეთში მდებარეობდა, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, შესაძლებელია იგი აბუსერისძეთა ხელში იყო, რადგან სახელი სანანო ძალიან გავრცელებული იყო აბუსერისძეთა გვარში. თუ ამ ვარაუდს მისაღებად ჩავთვლით, გამოდის, რომ ღრტილას კრებაში აბუსერისძეთა გვარის ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა: საერო და სასულიერო. მაშინ იმის ეჭვიც ჩნდება, რომ კრებაზე დასმული პრობლემა აბუსერისძეთა საერის-

<sup>93</sup> იქვე, გვ. 301-302.

<sup>94</sup> ა. ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, II, თბ., 2003, გვ. 100.

ავოსაც ეხება და მონოფიზიტობასთან, კერძოდ, სომხური ეკლესიის გაავლენის წინააღმდეგ ბრძოლა ამ საერისთავოსთვისაც აქტუალური ყოფილა.

გრიგოლ აბუსერისძე მონაწილეა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენისა. ერისთავ ლიპარტის მძლავრობით შეწუხებული მეფე ბაგრატ IV 1054-1056 წლებში კონსტანტინეპოლში ჩადის, რათა ბიზანტიის იმპერატორს თხოვოს დახმარება, ლიპარიტთან შერიგება. აქ შეხვდა მეფე დიდ საეკლესიო მოღვაწეს წმ. გიორგი მთაწმინდელს და აქედან დაიწყო იმ „დიდი საქმის“ განხორციელება, რომელიც გიორგი მთაწმინდელის სახელს უკავშირდება. მეფეს, სხვა დიდებულებთან ერთად, ყველა იმ საქმეების მოგვარებისას ხლებია გრიგოლ აბუსერისძეც.<sup>95</sup>

ყველა ზემოაღნიშნული ადასტურებს გრიგოლ აბუსერისძის აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასა და დიდ გავლენას სამეფო კარზე, მაგრამ არცის ციხესთან მარცხის, ტყვედ ჩავარდნისა და არტანუჯის დაკარგვის შემდეგ, აბუსერისძეთა გავლენა შესუსტდა. 1058-1059 წლებში ლიპარიტ ერისთავის შეპყრობის შემდეგ, მეფემ არტანუჯი აბუსერისძეებს კი არ დაუბრუნა, არამედ თვითონ დაისაკუთრა. აგრეთვე, სულა კალმახელი ლიპარიტის შეპყრობისათვის დააჯილდოვა აბუსერისძეთა საგამგეო მიწებით – ციხისჯუართა და ოძრხეთი. როგორც ჩანს, ამის შემდეგ აბუსერისძეთა საერისთავოში აღარ შედის შავშეთიც, რადგან თამარის ისტორიკოსის მიხედვით, 1190-1191 წლებში შავშეთს ფლობს გუზან აბულასანისძე „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“. მალე აბუსერისძეებს აღარც ყველის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები დარჩათ. 60-იან წლებში ამ ციხის პატრონად და ყველის ერისთავებად ჯაყელებია.<sup>96</sup> ასე რომ, XI ს-ის 50-იან წლების ბოლოს აბუსერისძეების საგამგეო ტერიტორია, როგორც ჩანს, მხოლოდ აჭარა იყო. ამის შემდეგ, მიუხედავად აბუსერისძეთა მხრივ დიდი მცდელობისა, ამ გვარის აღზევება ამ საუკუნეში ვეღარ მოხერხდა, თუმცა არც XI ს-ის ბოლო ხანებში და არც XII ს-ის II ნახევარში ცენტრალური ხელისუფ-

<sup>95</sup> რ.ხალვაში, წმ. ტბელ აბუსერისძის დვაწლი, ბათ., 2006, გვ. 4.

<sup>96</sup> ი.სისარულიძე, ნათელი დაუღამებელი, ბათ., 1979, გვ. 11

ლები წინააღმდეგ ფეოდალთა გამოსვლებში აბუსერისძეები არ ჩანან. მათ, როგორც ადრე ეჭირათ ქვეყნის ერთიანობის დაცვისა და ხელისუფლების მხარდამჭერი პოზიციები, ახლაც ასე აგრძელებდნენ, რამაც განსაზღვრა ამ საგვარეულოს პოზიციების განმტკიცება და საქვეყნო საქმეებში ჩაბმა XII ს-ის II ნახევარსა და XIII ს-ის პირველ მესამედში.

**Bichiko Diasamidze**

**The Abuserisdzes in the Politikal Life of georgia in  
the 11-ht Century**

**Summary**

The artikle with active participation of the representatives of the famous Abuserisdze feudal patrimony (Ioane Abuseri, Abuseri Ivanes dze, Grigol Abuserisdze) in tne politikal life of georgia in 11-th century. Though until the 1060s hte abuserisdzes owned wast territoies (Adjara, Shavsheti, Artanuji, Tsikhisjvari, atskuri Fortress) later only Adjara remains under their governance.

Despite this fact thr Abuserdisdezes still actively participated in the politikal life of the country in the following centuries as wwell.

## **პოლარული თუ მულტიპოლარული მსოფლიო?**

საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება სწრაფი გარდაქმნებით, გავლენის და ძალუფლების ახალი ფორმების განვითარებით. ისტორიას ჩაბარდა ორი ზესახელმწიფოს აშშ-ის და სსრკ-ს დაპირისპირება. დაინგრა საერთაშორისო ურთიერთობების იალტა-პოტსდამის სისტემა რომელსაც ბიპოლარული ანუ ორპოლუსიანი სისტემა იყო. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ძველის მოშლისა და ახლი ასპექტების დამკვიდრების პირობებში უფრო და უფრო რეალური ხდება გარკვეული ტენდენციების გამოკვეთა, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას თანამედროვე ეტაპზე.

მთავარ ტენდენციებად დღეს შეიძლება დასახელდეს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სწრაფვა მრავალცენტრისტულობისაკენ, ამის მანიშნებელია საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია, მსოფლიო დემოკრატიზაცია და რეგიონალური ასპექტების გაძლიერება საერთაშორისო ურთიერთობებში. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული კვლევის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი არის იმის განსაზღვრა და პროგნოზირება, თუ, როგორი შეიძლება იყოს XXI ს-ის მსოფლიო: პოლარული თუ მულტიპოლარული?

პოლარული მსოფლიოს მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სამ კლასს ყოფენ: ერთპოლუსიანი, ბიპოლარული და მულტიპოლარული.

ერთპოლუსიან მსოფლიოში დომინირებს ერთი ძალის ცენტრი ერთი პოლუსი. ეს არც თუ ისე ხშირად ხდება, მაგრამ ისტორიას რომის სახით ახსოვს ამის მაგალითი ძველი რომი. ამის შემდეგ ერთგავრი პაუზა და XX და XXI ს-ბის მიჯნაზე ამერიკის შეერთებული შტატები. ერთპოლუსიანი მსოფლიო ბევრად მოხერხებულა. ამ ერთადერთ პოლუსზე თავდასხმა გარკვეულად

თითქმის გამორიცხულია. წესრიგი, დისციპლინა, თანასწორობა პოლიტიკურ ზედაპირზე ხშირად მაღავს განხეთქილებას და უკმაყოფილებას ამ ზედაპირულობის ქვეშ.

ბიპოლარული მსოფლიო (მისი ისტორიული პრეცედენტი იყო იალტა-პოტსდამის სისტემა) კიდევ უფრო მშფოთვარეა. ვინაიდან საქმე ეხება არ ორ სახელმწიფოს, არამედ ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიას, ორ ანტაგონისტურად განწყობილ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას. აშშ-ის და სსრკ-ს მშვიდობიანი არსებობა თეორიულად არ გამორიცხავდა მათ შორის ომის აღბათობას. ორპოლუსიანი სისტემა ხასიათდება მკაცრი ბლოკური დისციპლინით, ინტერესების და იდეოლოგიის დაჯახებით. ორი ძალის ცენტრის წინააღმდეგობის მთავრი საშიშროება იყო მათ შორის მუდმივი შეიარაღებული შეჯიბრი. რაც შეეხება მულტიპოლარულ მსოფლიოს, აქ მსოფლიო თანამეგობრობა ოპერირებს ურთიეთანამშრომლობაზე, რამდენიმე ძალთა ცენტრის თანასწორობასა და სხვა ასპექტებზე. ფაქტია, მაგრამ ორივე მსოფლიო ომი წარმოიქმნა სწორედ მრავალზომიერი ბალანსის დარღვევის შედეგი, რომელიც გამოწვეული იყო იმ წლების ზესახელმწიფოების თავშეუკავლებობით მკვეთრი მოქმედებებისაგან<sup>97</sup>. მაგრამ არსებობს სხვა თვალსაზრისიც მულტიპოლარულ მსოფლიოზე. კერძოდ, იგი წარმოდგენს როგორც ამოსავალ მიჯნას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენლობის ძირითად ნორმას, იმდენად რამდენადაც იგი პასუხს აგებს თანამდროვეობის საერთოცივილიზაციურ და ფორმაციულ პროცესებზე. მთელი მსოფლიო საზოგადოების ინტერესებთან ერთად.

ამჟამად არსებობს მსოფლიო მასშტაბით გავლენის და ძალუფლების განაწილების რამდენიმე ვარიანტი. მკვლევართა ერთი ნაწილი (მაგ., ბ. ბუზანი) მიუთითებს რომ ზესახელმწიფოების არსებობა განსაზღვრავს სისტემის განვითარების ვექტორს.

---

<sup>97</sup> Бовин А., Ведущие тенденции развития международных отношений, Международная жизнь, М., 2004, №4-5.

კერძოდ, არსებობს სამი სცენარი:  $1+x$ ,  $2+x$ ,  $0+x$ , სადაც 1,2 და 0 ეს არის ზესახელმწიფოების, ხოლო  $x$  ძლიერი სახელმწიფოების რაოდენობა. პირველი სცენარი გეთავაზებს იმ გარემოებას, რომ მოხდეს არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნება, როცა აშშ რჩება ერთადერთ ზესახელმწიფოდ, რომელიც გარშემორტყმულია ოთხი დიდი სახელმწიფოთი – იაპონია, ჩინეთი, რუსეთი და ევროკავშირი. არსებული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტაბილურობა უზრუნველყოფილია იმ გარემოებით, რომ არცერთი შემოდასახელებული დიდი სახელმწიფო არ მიიწვრავის ზესახელმწიფოს სტატუსისაკენ. მხოლოდ ევროკავშირი პოტენციურად ხელს უწყობს შესთავაზოს მსოფლიოს „ევროპული ოცნების“ პროექტი, რომელსაც თქმა უნდა გარკვეული საკითხების ორჭოფობაც ახლავს. ამის გარდა, ერთიანი ევროპა აუცილებლად მზად უნდა იყოს საკუთარ თავზე აიღოს გლობალური ვალდებულებები და გლობალური პასუხისმგებლობები. მაგრამ როგორც მკვლევარები მიუთითებენ, თუკი ეს მოხდება, მაშინ მსოფლიო ორი ზესახელმწიფოს პირობებში იქნება სტაბილური. იდენტურობის კუთხით ატლანტიკის ორივე მხარეს შორის განხეთქილება იქნება მინიმალური. ამასთან მკვლევართა ერთი ნაწილი არარელურად მიიჩნევს უახლესი 20 წლის განმავლობაში ახალი პოლუსის გამოჩენას ასპარეზზე. ფაქტია, რაღაც გარემოებების გამო აშშ გარკვეულად დაკარგავს თავის ამჟამინდელ სტატუს.<sup>98</sup> ბ.ბუზანისაგან განსხვავებით კ.კისინჯერი ამტკიცებს, რომ XXI ს-ის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა მის შემადგენლობაში აუცილებლად მოიცავს სულ ცოტა ექვს მთავრ მონაწილეს აშშ, ევროპა, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი და ინდოეთი. მომავალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა იქნება ექვსპოლუსიანი, ხოლო მისი ერთ ერთი

---

<sup>98</sup> Кузнецов Е., *Мировая политика: игра по правилам и без*, Международная жизнь, М., 2006, №1-2.

წვერი ევროპა წარმოდგენილი იქნება სახელმწიფოებების გაერთიანებით<sup>99</sup>.

არსებული ვითრებიდან გამომდინარე ბევრად უფრო რეალურად შეიძლება ჩაითვალოს ის თვალსაზრისი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ტენდენციად მიიჩნევა პოლარული სისტემიდან მულტიპლალურ სიტემაზე გადასვლას. ერაყში ხუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ბევრი ალაპარაკდა საერთაშორისო ურთიერთობებში ერთპოლუსიანი ერის-ამერიკის ბატონობაზე დაწყების შესახებ. 90-იანი წლების მანძილზე ამერიკის ეკონომიკა ვითრდებოდა უპრეცედენტოდ მაღალი ტემპებით. სამხედრო ძალის ბევრი პარამეტრებით იგი სხვებს სჯობნის. მაგრამ წარმატებული ათწლეული დასრულდა და ამერიკის ეკონომიკაც გარკვეულ ძვრებს განიცდის. ეს მაშინ, როდესაც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, პირიქით, ადგილი აქვს სწრაფ ტემპებს (მაგ., ჩინეთი) ან შეინიშნება განვითარების ტენდენციები (მაგ., რუსეთი). სავსებით შესაძლებელია, რომ არსებულ სიტუაციაში სახელმწიფოთა ძალთა განლაგებაში, მათი დაჯგუფების კუთხით, არ მოხდეს რადიკალური გადაჯგუფება. მსოფლიოში უკვე გამოჩნდა არც თუ ისე სრულად დამოუკიდებელი, ძლიერი და მტკიცედ განწყობილებების მქონე „მოთამაშეები“ მკაცრი კონკურენციით. ეს არის ინდოეთი, სამხ. კორეა, თურქეთი, ბრაზილია და ინდონეზია.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც გვიჩვენებს თანამედროვე მსოფლიოს ერთპოლუსიანობას – ეს არის ვაშინგტონის უპრეცედენტო მისწრაფება ჰეგომონობის შენარჩუნებისაკენ. სხვათაშორის დასვლეთში ფართო ტირაჟით გამოდის შრომები, სადაც თეთრი სახლის ინტერესების შესაბამისად არის დასაბუთებული ამგვარი ტენდენცია. მათში აღნიშნულია, რომ თეთრი სახლი, როგორც გლობალიზაციის ობიექტური და პროგრესული პრო-

---

<sup>99</sup> Хозин Г., Каким быть международными отношениям в XXI веке, Международная жизнь, М., 2002, №2.

ცვის ინიციატორი არის მისი გარანტი. თუმცა ამერიკის ამგავრი მისწრაფებას ვერ გუობს მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოები (რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ირანი....). მათ არ სურთ აღიარონ ამერიკის დეკტატი მსოფლოზე. უფრო მეტიც არის ტენდენციები ამ სახელმწიფოებს შორის ორმხვრივი თუ მარაგალმხვრივი თანამშრომლობისა რათა შეასუსტონ და ამერიკის გავლენა მსოფლო პოლიტიკურ პროცესებზე.

საინტერესოა ჩინეთის პოლიტიკა. იგი უკვე 20 - წელია ატარებს პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს რაიმე ბლოკში არ შესვლას და დიდ სახელმწიფოებს შორის ღრმა ბალანსირებულ პოლიტიკას.<sup>100</sup> აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2001 წლიდან ახალმა პრობლემებმა იჩინა თავი ჩინეთისა და ევროპის მიმართ აშშ-ს ურთიერთობებში. ეს არის მსოფლიოში ზესახელმწიფოების მიერ ზეგავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილების საკითხი. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მმართველობის პირველ წელიწადს აშშ თითქმის მარტო აღმოჩნდა სართაშორისო საზოგადოების წინაშე მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში. ეს იქნებოდა სარაკეტო თავდაცვა, გლობალური დათბობის შესახებ დადებული კიოტოს ხელშეკრულება, ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების ძალაში გატარება, საერთაშორისო მასშტაბით ცეცხლასროლი იარაღის გაყიდვაზე აკრძალვის დაწესება, საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულებათა სასამართლოს დაარსება, განვითარებად ქვეყნებში თამბაქოთი ვაჭრობის შეჩერება. ამას ისიც დაემატა, რომ 2001 წელს ევროპის ქვეყნების გადაწყვეტილებით აშშ გაეროს ორ მნიშვნელოვან კომისიაში არ მიიღეს.<sup>101</sup>

ამერიკის ჰგემონობის არსებით შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა. ავღანეთსა და ერაყში ამ პრობლემის წინააღმდეგ აშშ საკუთარ თავზე ვერ აიღო მთელი პასუხისმგებლობა და კოალიციური ძალე-

<sup>100</sup> Бажанов Е., Невизбежность многополюсного мира, МЭИМО, М., 2004, №2.

<sup>101</sup> Goldstein S. J., Pevehouse C. J., International relations, New-York., 2007.



ბის საფუძველზე დაიწყო მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, მთელი მსოფლიო აშშ-ს მხარდასაჭერად გაერთიანდა. თუმცა იგი შეერთებულ შტატების მხრიდან გამოყენებული იქნა საკუთარი მიზნების რეალიზაციისათვის. კერძოდ, ძალაუფლების გადანაწილების პროცესი განახლდა 2003 წლის დასაწყისში, როდესაც აშშ და ბრიტანეთი იღებენ გადაწყვეტილებას დაამხონ სადამ ჰუსეინის რეჟიმი ერაყში. საფრანგეთი და გერმანია (რუსეთთან და ჩინეთთან ერთად) ომის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამერიკის თავდაცვის მინისტრი საფრანგეთსა და გერმანიას „ძველ ევროპად იხსენიებს“ - ხოლო უფრო პრო-ამერიკულად განწყობილ „ახალ ევროპად“ სახელდება ადმოსავლეთ ევროპის ნატოში ახლადგაწევრიანებული ქვეყნები. შედეგად დაიმსხვრა საფრანგეთის „იმედის კოშკები“ – გაერთიანებული ევროპული საგარეო პოლიტიკის სათავეში ყოფნის შესახებ. ერაყში ომმა შეასუსტა გაეროს ცივი ომის შემდგომი პერიოდის უსაფრთხოების გარანტიის როლი, ვინაიდან აშშ-ს ხელმძღვანელობით კოალიცია მრავალი წარუმატებლობის მიუხედავად უშიშროების საბჭოსაგან ერაყში ომის წარმართვის ოფიციალურ ნებართვას ითხოვდა<sup>102</sup>.

ექპერტები აღიარებენ, რომ დემოკრატიის და სამხედრო ჰეგემონობის ექსპორტის საშუალებები გლობალური მასშტაბით სულ უფრო ნაკლებია.<sup>103</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მულტიპოლარული მსოფლიოს განვითარება აშშ აჩვენებს გაიაზროს ის ფაქტი, რომ ჩვენი ურთიერთდამოკიდებული მსოფლიოს ბევრი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მსოფლიოს სხვა წევრების მჭიდრო და თანასწორუფლებიანი პარტნიორობის საფუძველზე. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ტერორიზმის პრობლემა,

---

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> Терентьев Н., Миростройство начала XXI века, МЭИМО, М., 2004, №10.

რომლის წინააღმდეგაც ბრძოლამ ამერიკას დაანახვა მოკაფ-შირეთა ძალა და როლი.

ამრიგად, მსოფლიოს ერთპოლუსიანობიდან მულტიპოლარულად გარდაქმნის წინაპირობები, რაც ნიშნავს ამერიკის ხვედრითი წილის შესუსტებას მსოფლიო ეკონომიკაში და მსოფლიო პოლიტიკაში თანდათან შეცვლის ერთპოლუსიანი მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებს სხვა სტრუქტურით. მსოფლიოს დამოკიდებულება აშშ-ზე შესუსტდება. იმის მიუხედავად, რომ დანარჩენი მსოფლიო დამოკიდებულია ამერიკის შეერთებულ შტატებზე თანამედროვე მსოფლიოში პირიქითაც კი შეიძლება იყოს. ცხადია, საუკუნის მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობების გლობალური სტრუქტურის ტრანსფორმაციამ დაასრულა სრული ციკლი. მულტიპოლარულობიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა XIX ს-ის დასასრულამდე, ხოლო შემდეგ მან განვლო ბიპოლარული პერიოდი (1945-1991), რომელიც დასრულდა პოლარული მსოფლიოთი. XXI ს-ის დამდეგიდან კი იგი ისევ ბრუნდება მულტიპოლარულობისკენ.

უნდა ითქვას ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მთელი რიგი ტენდენციები არყევს მრავალპოლუსიანობას, როგორც მისი ორგანიზაციის პრინციპს. იგი ახდენს ტრანსფორმირებას და გავლენას მრავალპოლუსიანი მსოფლიოს კონფიგურაციაში და საერთაშორისო ურთიერთობების ცალკეული მონაწილეების დიქტატზე.

ამრიგად, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებს და მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს აქვს ტენდენცია მოშალოს ერთპოლუსიანობა, რომელიც შეიქმნა 90-იანი წლების დასაწყისში და გარდაქმნას იგი მრავალცენტრისტულად. ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები მოგვევლინა ეროვნული და გლობალური ძალების გამწვავებულ არენად. მსოფლიო სცენაზე თანმიმდევრულად იცვლება ეროვნული სახელმწიფოების როლი. იზრდება არა მხოლოდ სახელმწიფოების დამოკიდებულება საერთაშორისო საზოგადოების გლობალური

პრობლემებისადმი, არამედ მათი გადაწყვეტა მოითხოვს მათი ძალების გაერთიანებას, ინტეგრაციული ვექტორის შემუშავებას. ამის გარდა, აღნიშნული პროცესები პოლიტიკური ჯგუფებისაგანაც მოითხოვს ბევრად უფრო განვითარებული ქვეყნების ძლიერ სამხედრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, მათ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებს.

ინტეგრაციული ფაქტორების გავლენის ზრდა მოასწავებს ზესახელმწიფოთა მონოპოლისტური მდგომარეობის შერყევას. ისინი განიხილება როგორც ერთადერთი მხარე მსოფლიო ბედის გადაწყვეტაში. საერთაშორისო თანამშრომლობის დემოკრატიზაციამ რეალურად გააღმავა ქვეყნების თანამშრომლობა (მაგ., გაერთიანებული ევროპის ფარგლებში, ასევე სხვა საინტეგრაციო ცენტრებსა და გაერთიანებებში).

საერთაშორისო სფეროში სხვადასხვა კულტურული და პოლიტიკური ცენტრების გავლენის როლის გაძლიერების ტენდენციას მიყვავართ მრავალპოლუსიანი სამყაროს ლოგიკურ განვითარებამდე. კერძოდ, დასავლეთ ევროპა: მიუხედავად რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული ზოგიერთი შიდაწინააღმდეგობისა იგი შენგენის შეთანხმების ეგიდით ერთიანდება იმისათვის, რომ ადკვეთოს ევროპაში ამერიკის ბატონობის მცდელობა, იაპონიის და ჩინეთის ექსპანსია. 1999 წლის 1 იანვრიდან შენგენის შეთანხმების ქვეყნებში შემოდის ერთიანი ვალუტა – ევრო. იგი ხელს უწყობს რომ ამ ქვეყნებში იყოს სრული თავისუფლება ფინანსების, შრომის და კაპიტალის და ამავე დროს წინააღმდეგობა უწევს ამერიკულ დოლარს. ამრიგად, ევროპაში კვლავ ძლიერია ევროცენტრისტული ტენდენცია.<sup>104</sup>

ამერიკის შეერთებული შტატები: იგი ინერციით დღემდე აგრძელებს და საკუთარ თავს მიიჩნევს მსოფლიოს ლიდერად.

---

<sup>104</sup> „ევროცენტრიზმი“ ეს არის ევროპის რეგიონების ქვეყნების მისწრაფება გამოვიდნენ ერთიანი საგარეო პოლიტიკით საერთაშორისო არენაზე, და რეგიონში შექმნან ბალანსირებული პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკურ თანასწორობას.

ცხადია, იგი თანამედროვე ეტაპზეც ფლობს დიდი გავლენას სხვა ქვეყნების პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. მაგრამ, ამჟამად იძულებულია ანგარიში გაუწიოს მსოფლიო წესრიგის ახალ რეალიებს და დაემორჩილოს მას.

ჩინეთი: მიუხედავად არსით კომუნისტური წყობისა, მან მიაღწია დიდ ეკონომიკურ წარმატებებს. მან მოახერხა დაკარგული ტერიტორიების (ტაივანის გარდა) დაბრუნება „ერთი სახელმწიფო ორი სისტემის ჩარჩოებში“. ჩინეთი არის ბირთვული სახელმწიფო და მან ამავე დროს შეძლო ადამიანის კოსმოსში გაშვება. არის მისი ზესახელმწიფოდ გადაქცევის პერსპექტივა.

რუსეთი: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში დიდხანს ბატონობდა აზრი გორბაჩოვის ადმინისტრაციის დროს ჩამოყალიბებული, რომ „რუსეთს არ ეავს მოწინააღმდეგე“, რომ „რუსეთი ამერიკის პარტნიორია“, ეს არ იყო რეალობა. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლამდე რუსეთი მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში აშკარად არ ერეოდა. თანამედროვე ეტაპზე კოსოვოს საკითხზე, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განლაგებაზე დაფიქსირებულმა მწვავე რეაქციამ უკვე აჩვენა, რომ რუსეთს აღარ სურს იყოს მაყურებლის როლში და სურს დაკარგული პოზიციების დაბრუნება საერთაშორისო ასპარეზე.

რაც შეეხება იაპონიას მისი ეკონომიკური მდგომარობა აძლევს პოტენციურ შესაძლებლობას აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში.

**Polar or Multi-polar World**

**Summary**

The trend in modern international relations and world political processes is to say no to unipolar system established early 90-ies after the United States had taken control over the world politics.

The field of modern international relations has become the challengeable arena for national and global powers.

Role of nation states is changing in the world politics as well as attitude of states towards global issues of the international community is increasing and resolution of complicated problems makes it necessary for states to unite and work out plans for integration. Moreover, the mentioned processes require establishment of stronger and more developed economic and military relations between states and raises necessity for military-political alliances.

Consequently monopolist status of super powers is reduced. They are considered as the only party in making decisions over the future of the world. Democratiation of international cooperation, which refers to development of information exchange practice, really deepens cooperation between states (even in frames of united europe, as well as other integration centers and unions). Enhanced role and influence of various cultural and political centers logically leads to development of multipolar world.

1918 წლის 14 ივნისის რეზოლუციის  
აჯარაში

1918 წლის 4 ივნისის საქართველო-თურქეთის ხელშეკრულება, კიდევ ერთი შავი ფურცლის სახით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში, რადგანაც ბათუმის კონფერენციაზე ქართულმა დიპლომატიამ უდიდესი მარცხი განიცადა. ისარგებლა რა თურქეთის მთავრობამ მსოფლიო ომისაგან გამოწვეული მძიმე პოლიტიკური ვითარებით, დაარღვია საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმები, იგნორირება გაუკეთა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და საქართველოს რესპუბლიკას თავს მოახვია მძიმე კაბალური პირობები, რომლის ძალითაც ერთიან ქართულ ტერიტორიულ სივრცეს მოწყვეტილი აღმოჩნდა 9500 კვ/კმ ტერიტორია 350 ათასი მცხოვრებით.<sup>105</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ხელშეკრულების რატიფიკაცია ერთი თვის განმავლობაში უნდა მომხდარიყო, ეს არ განხორციელებულა და არც არავის დაუმტკიცებია, რადგანაც საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ მიიღო ზომები, საერთაშორისო იურიდიული ნორმების დაცვით შეეცვალა 4 ივნისის ხელშეკრულება.

ამ მიზნით, 1918 წლის 6 ივნისს ბერლინში მყოფმა დიპლომატიურმა მისიამ აკაკი ჩხენკელის მეტაურობით, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ბათუმის კონფერენციაზე ხელშეკრულების დადება მოხდა ძალდატანებით და საჭიროა, აღნიშნული ხელშეკ-

---

<sup>105</sup> ნ.ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა 1918-1920 წლებში, ბათ., 1995, გვ. 52.

რულების გადასინჯვა, წამყვან სახელმწიფოთა განსაკუთრებულ კონფერენციაზე.<sup>106</sup>

ასევე საინტერესო გახლავთ, აკაკი ჩხენკელის წერილი, გაგზავნილი გენერალ ბ.შტუმფის სახელზე, სადაც კიდევ ერთხელ იყო დასაბუთებული ბათუმის ხელშეკრულების გადასინჯვისა და ახალი კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა. განსაკუთრებული გულისტკივილი მაინც ამ წერილში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების უკანონოდ მიტაცებაზე იყო გამახვილებული: „საქართველო ახალციხის გარეშე უკარო სახლია და ეს ისეთი აქსიომაა, რომელიც იცის ყველამ, როგორც საქართველოში, ისე ოსმალეთში. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები მდებარეობს ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებს შუა. მაშასადამე, თუ ხსენებული მაზრები გადაეცემა თურქეთს, ამით ავტომატურად ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქების ბედიც წყდება და ისინი ოსმალეთის სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას.<sup>107</sup>

გერმანიის მოლაპარაკებები მოკავშირე სახელმწიფოებთან კონფერენციის მოწვევის თაობაზე არ გაჭიანურებულა და 24 ივნისს ფონ კიულმანმა რაიხსტაგის სხდომაზე გააკეთა განცხადება, მოკავშირე სახელმწიფოებთან მიღწეულ შეთანხმებაზე, რათა ჩატარებულიყო კონფერენცია, რომელიც კავკასიის საკითხებს განიხილავდა.<sup>108</sup>

მიუხედავად ყოველივე ამისა, კონფერენციის ჩატარება ჭიანჭურდებოდა და საბოლოო ჯამში ის არც ჩატარებულა, პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ გაცდილი მარცხის გამო.

---

<sup>106</sup> ვ.ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო., თბ., 1989, გვ. 37.

<sup>107</sup> სცსსა; ფ. 1864; ა. 1; ს. 114; ფ. 2-3.

<sup>108</sup> ზ.ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საქართველოს პოლიტიკაში, თბ., 1990, გვ. 123-124.

<sup>5</sup> აცსა; ფ. 7; ა. 1; ს. 705; ფ. 12.

თურქეთის მთავრობა კარგად აცნობიერებდა, რომ მოახლოებულ საზავო კონფერენციაზე, მისი ტერიტორიული პრეტენზიები მინიმუმამდე დავიდოდა და ბევრი ოკუპირებული ტერიტორიის დაცლაც მოუწევდა, ამიტომ თურქებმა გარკვეულ დიპლომატიურ ხერხს მიმართეს. კერძოდ, იმისათვის რომ დაესაბუთებინათ ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქების მიტაცების იურიდიული საფუძველი, გადაწყვიტეს, აღნიშნულ ოლქებში ჩაეტარებინათ სახალხო რეფერენდუმი.

თურქების ამ განზრახვას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დიდი წინააღმდეგება შეხვდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე გადასახლდა. მაგალითად: თუ ბათუმის მკვიდრი მოსახლეობა 1917 წელს 34.688 ადამიანს შეადგენდა, თურქთა მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის შემდეგ მოსახლეობა 15.284 სულამდე შემცირდა.<sup>109</sup>

1918 წლის 11 ივლისს ბათუმის გუბერნატორის ხელმძღვანელობით, ქალაქის თვითმართველობას დაევალა საარჩევნო კომისიის შექმნა. შეიქმნა 16 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უმოკლეს დროში შეიმუშავა რეფერენდუმის მოწყობისა და ჩატარების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა კენჭისყრის პროცედურის ღია წესით ჩატარებას. ამ წინადადებას შეეწინააღმდეგა გრიგოლ გიგინეიშვილი, რომელმაც ამხილა რეფერენდუმის ყალბი, ფიქტიური ხასიათი და დაასაბუთა, რომ ეს რეფერენდუმი ოკუპაციის პირობებში ვერ იქნებოდა მოსახლეობის ნამდვილი ნება-სურვილის გამომხატველი („ერთობა“, №154, 1918).

სამუსლიმანო საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია თუ როგორ შეხვდა რეფერენდუმის ჩატარების ფაქტს, კარგად ჩანს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ სულეიმან ირემადის წერილში. „როგორც ცნობილია, ბათუმში ოსმალეთის მთავრობა უკვე შეუდგა რეფერენდუმის მოხდენას, რომელიც იქნება ოსმალთა



იმპერიალისტების და არა ხალხის სასარგებლოდ. ნათლად რომ ვთქვათ, ასეთი მოვლენა სერიოზულად უსარგებლოა ხალხისათვის. ოსმალთა ასკერები, როცა ხიშტებით გადგანან თავს, მაშინ კანონიურად რეფერენდუმის მოხდენა ყოველად შეუძლებელია. მაშ რა პირობაა საჭირო, რომ რეფერენდუმი კანონიერი იყვეს?! უპირველეს ყოვლისა ბათუმის ოლქი ოსმალების სამხედრო ძალებისაგან უნდა გაიწმინდოს და მაშინ ხალხს ძალის დამტანებელი არ ეყოლება და იგიც თავისუფლად მისცემს ხმას ვისაც სურს. თუ ეს ასე მოხდება, ხალხი გაიმარჯვებს, თუ არა და – იმპერიალისტები. ყოველთვის რეფერენდუმი თავისუფალი უნდა იყვეს, მაგარამ ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთის მეოხებით თავისუფლება იქ აღარ არსებობს. ოსმალეთის მთავრობამ ერთი თვის წინეთ, სამაჰმადიანო საქართველო შეგნებული პირებისაგან გასწმინდა და გაგზავნა ისინი ოსმალეთის კატორღაში – სივასში, რომ რეფერენდუმი თავის გუნებაზე მოეხდინა. როგორც ბათუმის ოლქის მაჰმადიანების ერთი წევრთაგანი, ასეთი რეფერენდუმის გამო პროტესტს ვაცხადებ, ვინაიდან ის რეფერენდუმი, რომელსაც ახდენს ოსმალეთი არის უკანონო და ვითხოვთ თავისუფლად რეფერენდუმის მოხდენას („ერთობა“, №147, 1918).

მიუხედავად ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებისა, თურქებმა რეფერენდუმი მაინც ჩაატარეს. ქართული პრესის ცნობით, ბათუმში 14 ივლისს დანიშნულ რეფერენდუმში 4312 კაცის ნაცვლად მონაწილეობა მიიღო 2829 ადამიანი. ოსმალეთის სასარგებლოდ ხმა მისცა 2669 კაცმა, წინააღმდეგი კი 160 გამოსულა. ეროვნების მიხედვით ხმები ასე გადანაწილდა:

1. პოლონელებმა, უკრაინელებმა, სპარსელებმა, თურქებმა და ჩრდილო კავკასიელებმა ოსმალეთის სასარგებლოდ 728 ხმა მისცეს. წინააღმდეგი ყოფილა 95, ხოლო არ გამოცხადებულა 357 კაცი.

2. 4076 ქართველიდან, რეფერენდუმში მონაწილეობა მიუღია 413 კაცს. რუსი ეროვნების 1062 კაციდან რეფერენდუმში მო-

ნაწილეობა მიიღო 467-მა, ბერძენთაგან კი – 838-მა ადამიანმა („ერთობა“ №153; 1918).

საარჩევნო წესთან დაკავშირებული მთელი რიგი პროცედურები მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა. კერძოდ, საერთაშორისო ნორმებით დადგენილი ერთი ფერის ბიულეტენის ნაცვლად გამოიყენეს ორი ფერის ბიულეტენი. თეთრი ფერის ბიულეტენი თურქეთთან შეერთებისათვის ხმის მიცემას გულისხმობდა, შავი კი – საქართველოსათვის. რეფერენდუმში მონაწილე პირნი, თურქეთის ჯარის ნაწილებით გარშემორტყმულნი, ღებულობდნენ ორ ბიულეტენს და სურვილისამებრ ამა თუ იმ ფერის ბიულეტენს მთავრობის წარმომადგენელს აძლევდნენ.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა შეუძლებელი იყო თავისუფალი არჩევანის გაკეთება, ამიტომ ადამიანები პირადი დაუცველობის შეგრძნებით, იძულებულნი იყვნენ, თავისი სურვილის საწინააღმდეგო არჩევანი გაეკეთებინათ.

თურქებს განსაკუთრებულად გაუჭირდათ რეფერენდუმის ჩატარება ქობულეთში, რადგანაც მოსახლეობა ღიად აფიქსირებდა მათ ნება-სურვილს და ხმას აძლევდა აჭარის საქართველოსთან შეერთებას. ქობულეთის მოსახლეობას ამ მხრივ გმირული მაგალითი მისცა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა ხასან თხილაიშვილმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხმის მისაცემ ადგილას იმყოფებოდა ქალაქის გუბერნატორის წარმომადგენელი, არ შეუშინდა მათ მუქარას და ყველასათვის გასაგონად და დასანახად ხმა მისცა საქართველოსთან კვლავ შეერთებას და იქ შეკრებილ ხალხსაც ამისკენ მოუწოდა.<sup>110</sup>

ამ ფაქტს უფრო დაწვრილებით აღწერს თვით ხასან თხილაიშვილი გაზეთ „ერთობაში“ მიცემულ ინტერვიუში. აი რას წერს ის: „ქობულეთში ოსმალებმა ხუთშაბათს, 11 ივლისს მოახდინეს

---

<sup>110</sup> ე.მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1997, გვ. 27-29.

ხმის მიცემა. ყუთი დადგეს შიგ ქობულეთში და იქ მიიწვიეს მთელი რაიონის მცხოვრებნი, მაგრამ ხმის მისაცემად ცოტა გამოცხადდა. წინასწარ მოვიდნენ ბათუმიდან მთავრობა, ადები და ადგილობრივ ადებთან გამართეს ბჭობა. გამოიყვანეს დიდძალი ჯარი და აჭიდავეს ფალანგები. უკრავდა ზურნა და მუსიკა. შემდეგ მოუყარეს ხალხს თავი, ირგვლივ ყუთთან შემოამწკრივეს ტყვიათმფრქვევები და ზარბაზნები და გამოუცხადეს ხალხს: 40 წელიწადი დასტიროდით თქვენს ბედს, რადგან თქვენ ქრისტიანების ხელში იყავით ჩავარდნილი. ესლა დაგვიდგა დრო, რომ შეგეკითხოთ – ქრისტიანობა გინდათ თუ მაჰმადიანობა. ქრისტიანობას ნიშნავს შავი ბიულეტენი და მაჰმადიანობას – თეთრი და დაიწყეს ხმის მიცემა, ყუთზე დაბრძანდა ბათუმის ვალი (გუბერნატორი). ადები ხალხს ეუბნებოდნენ, ღმერთი არ გაგიწერეთ, შავი ქაღალდი არ ჩააგდოთ ყუთში. მე და რამდენიმე პირი შევეცადეთ აგვეხსნა ხალხისათვის სინამდვილე, მაგრამ შემამჩნიეს და მიმიყვანეს ყუთთან. ვალმა მითხრა: „შენ სულთანი და მაჰმადიანობა არ გინდაო?! მე ვუპასუხე – სულთნის მონობა რომ არ მინდოდეს, ეს მაჰმადიანობის უარყოფას არ ნიშნავს. მე „ხურიეთი“ (თავისუფლება) და ჩემ ძმებ ქართველებთან დარჩენა მინდა. ვთქვი და ყუთში შავი ქაღალდი ჩავაგდე. ვალი განრისხდა – ბოლშევიკობა სდომებიაო, სულთნისა და მაჰმადის სჯულის წინააღმდეგ მიდისო იყვირა და იქვე დამიჭირეს. რამდენიმე ხანს იმავე ხალხის დასანახად მამყოფეს, მერე ხალხის თანდასწრებით გამოიყვანეს ზღვის პირას და ხელეზგაშლილი ამაკრეს ჯვარსავით მომზადებულ ხეზე. გამოიყვანეს ჯარიდან 6 ასკერი და მხვრეტდნენ, მაგრამ ამ დროს მოვიდა ავტომობილით ვინმე ნემეცი და გამათავისუფლეს, დამით კი ისევ დამიჭირეს და მოკლა მომინდომეს, მაგრამ ადრე გავიგე და დავიშალე. ესლა უპატრონოდ მივატოვე ცოლ-შვილი და გამოვედი. ქართველებმაც სულთანს მისცა ხმა, რადგანაც არ შეეძლო სხვა მხრივ მოქცევა, რადგანაც ყველას დასწყევტდნენ. ხმის მიცემაში ასკერებიც იღებდნენ მონაწილე-

ობას. 12-13 წლის ბავშვებსაც მისცეს ნება, ქალები კი ყუთთან არ მიუშვეს. ქალებს რომ ხმა მიეცათ, ყველანი ჩვენ ქართველებს მოგვცემდნენ ხმას, რადგანაც ძლიერ შეწუხებული არიან ოსმალო ჯარისაგან. საერთოდ საშინელ მდგომარეობაში არის მთელი ქობულეთის რაიონის მცხოვრებნი. საჭმელ-სასმელი და ავეჯი მთლად წაართვეს ხალხს. თუმცა ამ დღეებში ლეღვას მდამოებიდან ერთი „ფირკე“ ჯარი (12000) სადღაც, ვგონებ კონსტანტინეპოლისაკენ გაისტუმრეს, მაგრამ საკმაოდ დარჩა, რომელიც სადგურ ქობულეთის ახლოს დგას და მცხოვრებლებს ავიწროებს. უკმაყოფილება დიდია ხალხში, მაგრამ შიშით ვერ გამოუთქვამთ. თუ თვით არ განიცადა კაცმა, წარმოუდგენელია იმ საშინელების აღწერა, რაც მე მომაყენეს ამ შავი ქაღალდის ყუთში ჩაგდებისათვის” („ერთობა“ №154; 1918).

აი ასეთი ზეწოლისა და არაობიექტურობის პრინციპებით ჩატარდა აღნიშნული რეფერენდუმი. თურქეთის მთავრობის მონაცემებით მათ სასარგებლოდ ხმა მიუცია 83.000 ადამიანს, წინააღმდეგი კი 2.000-სი ყოფილა. იმდროინდელი ბოლშევიკური პრესის მონაცემებით კი რეფერენდუმში მონაწილეობა მიუღია 11.000 ადამიანს, რომელთაგან ოსმალთა სასარგებლოდ ხმა მიუცია 8.500 კაცს.<sup>111</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პროტესტს რეფერენდუმის წესების უზულველყოფისა და ფეხქვეშ გათელვის გამო, დაერთო თვით გერმანიის მთავრობის პროტესტი თურქეთის ხელისუფლებისადმი. ამ პროტესტში, გერმანიის მთავრობა, თურქეთის მთავრობას ადანაშაულებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ნორმების დარღვევაში.<sup>112</sup>

---

<sup>111</sup> მ.სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ., 2002.

<sup>112</sup> Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тиф., 1919, с. 374.

თურქეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილ აჭარის მოსახლეობის პროტესტს ხელს აწერდა 4 ათასი კაცი. გამათავისუფლებელმა კომიტეტმა იმავე წელს აგვისტოს თვეში თავისი წარმომადგენლები: ზია ბეგ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე მიაგვლინა ბერლინში, საიდანაც ევროპის საზოგადოებას გააცნეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოზიცია ბათუმის ოლქში ჩატარებული რეფერენდუმის გამო.

რეფერენდუმის გაყალბების შემდეგ, სამაჰმადიანო საქართველოში, ეროვნული მოძრაობა და ბრძოლა თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ არ მინელებულა. პირიქით, უფრო გაძლიერდა და ეს ორ წლიანი ბრძოლის პერიოდი დასრულდა ბათუმში საქართველოს შეიარაღებული ძალების სახეიმო აღლუმითა და უამთა სიავის გამო გახლეჩილი საქართველოს გამთლიანებით.

**Archil Varshalomidze**

### **The referendum of 14 Juli, 1918 in Adjara**

#### **Summary**

on June 4, 1918 an agreement on peace and cooperation was signed between the governments of the Democratic Republic of Georgia and the Ottoman Empire in Batumi In it the Georgian-Turkish border was determined in accordance with the state borders existing before the Russo-Turkish war in 1928-1929. The Turkish government took the advantage over the hard political situation in Europe caused by World War I and having violated the international Law and the Brest-Lithuanian Treaty taxed Georgia with hard conditions. As a result 9500 sq.m. of The area with 350 000 population was cut off the entire territory.

With the assistance of the German government Georgia achieved its way in the results of the Batumi conference to be reconsidered. However, the conference was finally never held. The reason was the defeat of Germany and its alliance. The Turkish government well knew that on the coming place

conference its territorial claims would appear inconsistent and it would have to cede most of its occupied territories.

Consequently it applied to certain diplomatic methods. Namely, in order to make the union of Batumi-Karsy-Artaani regions a legal document, the Turkish government decided to hold a referendum in these regions.

The referendum was held but with significant violations. According to the data of the Turkish side 83 thousand people voted in their favor but only 2 thousand-against them. On the other hand, according to the data of the Bolshevik press of that periods, 11 thousand people participated in the referendum, out of which 8500 voted in favor of the Turkish government.

Today it is difficult to trust either of these data but one is clear – neither of them expressed the will of the population or the real situation

**მგლის კულტის პარალელები ინდოევროპულ და  
ქართულ ცივილიზაციაში**

მგლის კულტის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს.<sup>113</sup> აღნიშნავენ<sup>114</sup>, რომ ინდოევროპულ ენებში „მგელს“ გარკვეული რიტუალური როლი ენიჭებოდა. ძველი ხეთური ტრადიციის თანახმად „მგელი“ საკრალური თვისებების განმასახიერებელია. „მგელი“ და „მგლების სროვა“ ერთიანობას და ყოვლისმცოდნეობასთან არის გაიგივებული. მაგალითად, მეფე ხატუსილი, როდესაც მეომრებს მიმართავს, მოუწოდებს მათ ისეთივე ერთიანობა დაიცვან, როგორც ეს „მგლის მოდგმას“ ახასიათებს.

მგლის ტყავის ჩაცმა (ადამიანი-მგლები) ადამიანებისა და მგლების გაიგივებას უკავშირდება, რასაც მაგიურ ძალას მიაწერდნენ და განსაკუთრებული იურიდიული მდგომარეობის აღმნიშვნელიც იყო. ძველბერძნულ ტრადიციაში მკვლევლობის რიტუალური ფორმის დროს ადამიანი „მგლად გადაიქცეოდა“. ასეთ მდგომარეობას შეესატყვისებოდა გერმანული ტრადიციაც, როდესაც მკვლელი „მგლად იწოდებოდა“. ძველ ხეთურ რიტუალთან პარალელებს ვპოულობთ<sup>115</sup> გერმანულ ტრადიციებში, როდესაც შობის დღესასწაულებზე მგლის ტყავში ჩაცმული მეომრების ცეკვები სრულდებოდა. საყურადღებოა, გერმანულ (და არა მხოლოდ) ტრადიციაში საკუთარ სახელებში ლექსემა „მგლის“ გამოყენება. მგლის სახელს უკავშირდებიან ე.წ. მაქცია-

<sup>113</sup> Мифы народов мира, 1982, с.242-243.

<sup>114</sup> Гамкрелидзе Т., Иванов В., Индоевропейский язык и индоевропейцы, 1984, с. 442-514.

<sup>115</sup> იქვე, გვ. 495.

ვურდალაკები, რომლებიც ყველაფრის „მცოდნენი“ იყვნენ. მგელს ძაღლთანაც აიგივებდნენ. მაგ. ლატვიურში გვხვდება „ღვთის ძაღლი“. ბალკანეთის ძველ ინდოევროპულ ენებში დაფიქსირებულია „კანდავლას“, მგლის ღვთიური კულტი, რომელსაც მსხვერპლად ძაღლებს სწირავდნენ.

გაერცვლებული იყო სიტყვა „მგლის“ ფუძესთან დაკავშირებული ეთნონიმები და ტოპონიმები. მრავალი ხალხი და ქვეყანა „მგლის სახელით“ მოიხსენიებოდა რაც, ალბათ ტოტემურ წარმოშობას<sup>116</sup> ადასტურებს. მაგ. ძველ იტალიური ტომი „ლუკანი“-„მგლის“ ფუძეს უკავშირდება, ბალკანეთში „დაკების“ სახელწოდება „მგლის“ ფუძემდე დაიყვანება, საბერძნეთში და მცირე აზიაში „ლიკაონია“, რაც მითოლოგიურ მეფე „ლიკონასთან“ არის დაკავშირებული, აგრეთვე სიტყვა „მგლის“ ფუძეს ასახავს. ასევე მცირე აზიაში, ფრიგიაში ძველ დროში მცხოვრები ტომი „ორკა“, სარმატული ტომი „ურგი“ და ძველსპარსულად ქვეყნის სახელწოდება „პირკანია“ მგლის სახელიდან წარმოდგება.

საყურადღებოა, რომ ინდოევროპულ ტრადიციაში ეტიმოლოგიურად „ტურა“ და „მელია“ უკავშირდება „მგელს“. პარალელები სხვა ენებშიც დასტურდება. მაგ. აფხაზურში „აბგა“ (მგელი) აღნიშნავს „მელიასა“ და „ტურას“.

ზოგიერთ ინდოევროპულ დიალექტში „ძაღლი“ აღნიშნავს „მგელს“. ასეთი რამ შეინიშნება მითოლოგიაშიც. მაგ. გერმანულ ტრადიციაში „ოდინა-ვოტანის“ ორი წმინდა ცხოველი (მგელი) ძაღლებად იწოდება. მეომრები გერმანულ ტრადიციაში აღნიშნებიან როგორც „მგლები“ და როგორც „ძაღლები“. ადამიანის „მგლად“ გარდაქმნის პარალელურად მიუთითებენ ადამიანის ძაღლად გარდაქმნაზე ძველ ინდოევროპულ ტრადიციაში.

მგლის კულტი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ რუსეთში მგლებისაგან ძროხების ჯოგის დასაცავად, წინ მიმავალ ძროხას

---

<sup>116</sup> იქვე.



ტომარას ჩამოკიდებდნენ. ხოლო ცხენების რემის რუხი მგლები-საგან დასაცავად მათ შემოატარებდნენ ბოქლომს, რაც სიმბოლოურად რუხი მგლების ხახის ჩაკეტვას ნიშნავდა.<sup>117</sup>

საფრანგეთში, გერმანიაში და სლავურ ქვეყნებშიც მგელი და ძაღლი განასახიერებდა პურეულის სულს. აქაც მგლის კულტთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგალითად, სილეზიაში ხორბლის უკანასკნელი ძნის შემკვრელს „ხორბლის ძაღლს“ უწოდებდნენ.<sup>118</sup>

მგლის კულტი ქართველურ ცივილიზაციაშიც ცხადად არის წარმოდგენილი. „მგლის ნიღბიანი“ ადამიანები ქართველური კულტურის სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანი მოტივია. „მგლის“ კულტის ნაკვალევი განსაკუთრებით კარგად ჩანს სვანურ ტრადიციაში, სადაც „მგელი“ ძველი ინდოევროპული ტრადიციის მსგავსად გარკვეული სოციალური ორგანიზაციის სიმბოლოდ გვევლინება, ხოლო სვანური დროშა „ლეში“ კი „მგლის“ კულტთან არის დაკავშირებული.<sup>119</sup> „მგლის“ კულტის ასახვასთან უნდა გვქონდეს საქმე ვახტანგ მეფის ზედწოდებაში „გორგასალი“, რაც სპარსულად „მგლის თავს“ ნიშნავს, ხოლო თვითონ სახელი „ვახტანგი“ კი „მგლის სხეულის მქონეს“. თვით ძველი იბერიის სახელწოდებაც „ჰირკანია“ „მგლის“ სახელს უკავშირდება. როგორც ჩანს ადრინდელი ზოგადქართველური „მგლის“ აღმნიშვნელი სიტყვა ტაბუირებული იქნა ქართველურ ცივილიზაციაში და ამიტომ ამჟამინდელი ქართული „მგელი“ და მეგრული „გერი“ სომხურიდან ნასესხები ჩანს, ხოლო სვანურში შესატყვისი სიტყვა ბერძნულიდან უნდა იყოს ნასესხები<sup>120</sup>.

<sup>117</sup> Фрэзер Д., Золотая ветвь, М., 1983, с. 234.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 419.

<sup>119</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. დროშა „ლეშ“, მგელი-ძაღლი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963, გვ. 141-156.

<sup>120</sup> Гамкрелидзе Т., Иванов В., დასახ. ნაშრომი, გვ. 496.

„მგლის“ კულტი განსაკუთრებით კარგად არის ასახული ქართულ ფოლკლორში. გავისხენოთ, ყველასათვის ცნობილი ლექსი:

„იდევეც დაიზრდებიან ალგეთს ღეკეკები მგლისანი,  
ისე არ ამოსწყდებიან ჯავრი არ სჭამონ მტრისანი.“

აქ უეჭველი პარალელი გვაქვს ძველ ინდოევროპულ ტრადიციასთან, სადაც მეომრები მგლებთან არიან გაიგივებულნი<sup>121</sup>. ქართული ფოლკლორი გვიდასტურებს, რომ მთლიანად სამხედრო ორგანიზაცია, ერთობა „მგლის“ კულტს უკავშირდებოდა, ისევე, როგორც ეს ინდოევროპული ტრადიციასათვის იყო დამახასიათებელი. ეს მოტივი კარგად ჩანს ხალხურ ლექსში „ხევსურები აწყურთან“.

„სანეს ხევსურებ ივრების,  
უფროსებ თემ-თემისაო;  
„წასვლა გვი, არ გვეშველების,  
არ წასვლა არ იქნების?  
არაგვი ჩამამტვრიეს,  
ქავ აღარ დაუდგებისა.  
ღელ-უბან გადმოდიოდეს,  
ელვა დვა ჩაჩქნებისაო;  
კუკიას ჩამადიოდეს,  
ჭექა მახქონდა ცისაო;  
ქალაქს მიუვა ბატონსა  
ჯოგი ღეგისა მგლისაო.“<sup>122</sup>

საყურადღებოა, რომ მეომრები რუს (ღეგი) მგლებთან არიან გაიგივებულნი, რაც სლავურ და თურქულ ტრადიციებში პოულობს ანალოგიებს. ისევე, როგორც ინდოევროპულ ტრადიციაში „მგელთან“ არის დაკავშირებული მრავალი ქართული გვარი (მაგალითად „მგელაძე“, „გელაძე“, „გელავა“), სახელი (მგელიკა). იგივეს ადასტურებს ფოლკლორიც:

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup> ქართული ხალხური პოეზია, XI, თბ., გვ. 51.

„აკუმოს მგელის შვიდნო,  
დედა ვაცხოვნე თქვენიო.“<sup>123</sup>

ქართულ კულტურაში მეომრული სულისკვეთება მგლებთან გაიგივებით აღინიშნება. „მგელი“ ძლიერ, ენერგიულ, შემტევ, დაუნდობელ არსებად მიიჩნევა. „მგელს დავაცვითე კბილები“ – კეითხელობთ ხალხურ ლექსში – „ხმალს აქებს გაფრინდაული“<sup>124</sup>, ანუ ხაზს უსვამენ გაფრინდაულის სიძლიერეს, მეორე ლექსში კი მგელთან შედარება „თათრებს გავუღებ მგელივითა“<sup>125</sup> – აღნიშნავენ გამბედაობას, ენერგიულობას, მხედრულ უპირატესობასა და დახელოვნებულობას. მგლის დაუნდობლობასთან გაიგივება ჩანს ხალხურ ლექსში, – „გაშმაგებული საცემლად მგელივით ვეტანებოდი“.<sup>126</sup> „მგელი“ არა მხოლოდ ძლიერ ადამიანთან, არამედ საერთოდ სიძლიერესთან გაიგივდება. ამიტომაც ამბობენ „მგელივით არაყი“.

მგელი პრინციპულობასთან და გაუტეხლობასთან არის გაიგივებული, რაც შეესაბამება ინდოევროპულ ტრადიციას. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოგვყავს კიდევ ერთი ბრწყინვალე ქართული ხალხური ლექსი - „გაუტეხობლობა“

„არცარას მოჯაბრეს ვაძღვე,  
ვერცარას მტერი მრჩების,  
ძველთაგან მოდის თქმულება;  
მგელი არ იცარცვების:  
რაც არა სცვა ტანზედა,  
არც-არა გაეხდებისა.“<sup>127</sup>

მგელი სიჯანსაღესთან, სიმწიფესთან, ენერგიით სისავსესთან არის გაიგივებული:

„ჩემს წაწალს რამ რა ჩაუხსნა  
წითელ თვალნი მგელივითა.“<sup>128</sup>

<sup>123</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>124</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>125</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>126</sup> ქართული ხალხური პოეზია, XII, თბ., 1980, გვ. 38.

<sup>127</sup> იქვე, გვ. 127.

მტრული დამოკიდებულებაც მგელთან გაიგივდება:

„ბასილი და მურღოშვილი,  
გიყურებენ მგლის თვალზედა,  
თუ სად გაგიმარტოხეხელეს  
შაგჭრიან ხმელის ფხაზედა“.<sup>129</sup>

ამავე დროს შრომისმოყვარეობაც, მონღომებით შრომა მგლის ენერგიულობასთან გაიგივდება:

„დავლოცოთ ყველას მარჯვენა  
ვინც შრომაშია მგელია“.<sup>130</sup>

საყურადღებოა მგლის კულტის ასახვა მეტყველებაში. მაგ.მეგრულში დადასტურებულია „ბა“ პრეფიქსიანი სიტყვა–„ბათურა“ (ბათურას)–ძაღლის მსუქანი ლეკვი, თამაშის მოყვარული. გადატანით მსუქანი, ბუთხუხა (ბავშვი)<sup>131</sup>.

ამავე დროს გვხვდება „ბა“ პრეფიქსის გარეშე სიტყვა–თური (თურს) მოგვარე; სისხლით ნათესავი; ტომის, მოდგმის წარმომადგენელი<sup>132</sup>. ლაზურში „თირი“ (მთირი)–სიმაპრია, ხოლო „მთირე“–დედამთილი, „დამთირე“–სიდედრი.<sup>133</sup>

ამრიგად, სიტყვები „ბათურა“ და „თური“ არა მხოლოდ ჟღერადობის საფუძველზე უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ ეტიმოლოგიურადაც. ამასთან დაკავშირებითივენ ვთავაზობთ შემდეგ პიპოთეზას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ძველი ინდოევროპული ტრადიცია და მითოლოგია ხშირად აიგივებს ადამიანებსა და ძაღლებს. მგლისა და ძაღლის ერთ ხატში გაერთიანება არც ძველი ქართველური ტრადიციისათვის იყო უცხო. მაგ. სვანურ ტრადიციაში ძაღლები და მგლები ღმერთების „ძაღლ-მგლებთან“ გაიგივდებიან.<sup>134</sup>

---

<sup>128</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>129</sup> იქვე, გვ. 207.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 206.

<sup>131</sup> ო.ჯიქია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001, გვ.213.

<sup>132</sup> ო.ჯიქია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002, გვ.67.

<sup>133</sup> Март Н., Грамматика Чанского (лазского) языка, СПб., 1910, с. 138-167.

<sup>134</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15-153.

შესაძლებელია, რომ „მგლის“ აღმნიშვნელმა სიტყვამ ქართველურში ტაბუირება იმიტომ განიცადა, რომ ტოტემურ ცხოველთან დაკავშირებული ნათესაობის აღნიშვნა უნდა შეცვლილიყო უბრალოდ ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვით, რისი განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ტოტემური ცხოველის სახელწოდება (ამ შემთხვევაში „მგელი“) შეიცვლებოდა. ქართველურ ენებში კი, ამჟამად ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებშია შემორჩენილი „მგლის“ აღმნიშვნელი უძველესი, პირვანდელი ფუძე-„თურ“-ი, მგერული-„თურ“-ი-მოგვარე, „ბა-თურ“-ა-ძაღლის მსუქანი ლეკვი, „მუა-ნ-თილ-ი“ (მუა-ნ-თირ-ი)-მამამთილი, სიმამრი, ლაზური-„მთირ-ი“- მამამთილი, სამამრი, ქართულში-„მამა-მ-თილ-ი“. „მგლის“ ძველ სახელწოდებას უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა „ტურ-ა“ც (ლაზურად „თურა), როგორც ეს არის ინდოევროპულ ტრადიციაში.<sup>135</sup> საყურადღებოა, რომ „შუამთობის“ ერთ-ერთ მონაწილეს „მემთევრი“ ეწოდებოდა. ხომ არ არის ეს სიტყვა მგერულ-ლაზურ „თურ“-თან (სისხლით ნათესავი) და აქედან მგლის კულტთან და მგლის ტოტემთან დაკავშირებული? ეს. მიღერის ცნობით თუთირი-„მგელთა მფარველი და მბრძანებელი სულის სახელია“.<sup>136</sup> შუამთობის დღესასწაულთან დაკავშირებული ტერმინები-თივრობა | თევრობა, შუამთობა-შუამთევრობა, მემთევრი, ნამთივრი,<sup>137</sup> „თურ“-ს უკავშირდება. აქედან შესაძლებელია შუამთობის დღესასწაულის მგლის კულტის დღესასწაულთან იდენტიფიცირება.<sup>138</sup> ამას ადასტურებს ცხოველთა ტყავების ტანზე

<sup>135</sup> Гамкрелидзе Т., Иванов В., დასახ. ნაშრომი, გვ. 513.

<sup>136</sup> ვ.შამილაძე, აგრარულ-რელიგიური დღესასწაულების ისტორიიდან აჭარაში-აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1971, გვ. 28.

<sup>137</sup> ვ.შამილაძე, ცნებისათვის „მთური მესაქონლეობა“-აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, 1967, გვ. 121.

<sup>138</sup> ვ.შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 117-120.

მოსხმა, მსხვერპლშეწირვა, წმინდა ადგილების მონახულება, შეჯიბრება და ცეკვებში მხედრული ელემენტები.

მიუთითებენ,<sup>139</sup> რომ უძველეს პერიოდში ადამიანთა ერთიანობის განცდა კონკრეტულ ცხოველს დაუკავშირდა. წარმოიშვა რწმენა, რომ ადამიანთა კოლექტივი და მასთან დაკავშირებული ცხოველი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. ამგვარად წარმოიშვა ტოტემიზმი,<sup>140</sup> როდესაც ასეთი ცხოველი ადამიანთა კოლექტივისა და კოლექტივის ყველა წევრის ტოტემი (ანუ პირვანდელი კულტი) იყო. ტოტემთან ერთიანობა კი ადამიანთა „ნათესაობასთან“ იქნა გაიგივებული, რომლებიც ერთ „სისხლსა და ერთ ხორცს“ წარმოადგენდნენ.

პიპოთეზა კანონზომიერად გამომდინარეობს არსებული მონაცემებიდან და ქართველურში ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთა ნაწილი ნამდვილად შეიძლება უკავშირდებოდეს მგლის კულტს.

**Guram Chaganava; lali Tugushi; Eter Khetsoidze**

### **Parallels of Volf cult in Indo-European and Kartvelian civilizations**

#### **Summary**

The article submitted for consideration is dedicated to the problem of Volf cult in Indo-European and Kartvelian civilizations. It is well known that there are a lot of different examples which confirmed the existance of parallels of Volf cult in both civilizations and the authors tries to add some new examples. Beside of it in the article is proposed the hypothesis that in compliance with the ancient tradition it is quite possible that some Kartvelian terms of the kinship are connected with Volf cult.

---

<sup>139</sup> Семенов Ю., Как возникло человечество, М., 1966, с. 333.

<sup>140</sup> იქვე.

## დასახლებების სტრუქტურა შავშეთში

შავშეთი საქართველოს უძველესი ისტორიული მხარეა, სადაც ბოლო დრომდე შემორჩენილია დასახლების ძველქართული ტიპი. შავშეთის სოფლები წარმოდგენილია ჯგუფ-ჯგუფად გაფანტული სახლებით. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ადმინისტრაციითა და სამლოცველო-მეჩეთით. ვფიქრობთ, რომ დასახლების ასეთი ძველქართული ტიპი განპირობებულია ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული თავისებურებებით. სოფლები გაშენებულია ხეობების გასწვრივ და სახლების ცალკეული ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი. დასახლების ძირითადი ერთეულიც სოფლების ცალკეული ჯგუფების გაერთიანებაა. დასახლების მსგავსი სტრუქტურა შენიშნა ა.რობაქიძემ მთიან აჭარაში.<sup>141</sup>

წარმოგიდგინოთ შავშეთის სოფლების დასახლების სტრუქტურას მდ. იმერხევის გვერდითი ბაზგირეთის წყლის ხეობის რამდენიმე სოფლის მაგალითზე. საილუსტრაციოდ ავიღოთ ხეობის უკიდურესი სოფელი - ბაზგირეთი//ბაძგირეთი. იგი რაიონული ცენტრიდან-შავშეთიდან 42 კმ-თაა დაშორებული და მდებარეობს მდ. ბაზგირეთის წყლის შუა წელზე კლდოვანი ფერდობების ერთ მხარეს. ტოპონიმი „ბაზგირეთი“ ფლორონიმია და ბუნქნარს „ბაძგს“ უკავშირდება. მისი პირვანდელი ფორმა უნდა იყოს ბაძგირეთი. საბას განმარტებით ბაძგარი არის „ეკლიანი, ჭყორნალი, ბარდნალი“. ხალხური გადმოცემით ბაზგარი არის პატარა ხე, ზეთისხილის მსგავსი მცენარე. თურქულ ენაში არ გამოიყენება ასობგერა „ძ“ ამიტომ „ბაძგირეთის“ ნაცვლად მეტყველებაში დამკვიდრდა „ბაზგირეთი“.

<sup>141</sup> ა.რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბსკი შრომები, ტ.1, ბათ., 1960, გვ. 16.

სოფლის სახელწოდების შესახებ არსებობს სხვა ვერსიაც. მოხრობელთა ერთი ნაწილი აღნიშნულ ტოპონიმს ბაზრობის ადგილსაც უკავშირებს. თურქები ამ სოფელს მადენ ქოის (ქართულად მადანი) ეძახიან.

შავშეთის გეოგრაფიულ ნიშნულატურაში ბაძგირეთს მოიხსენიებს გ.ყაზბეგი, ნ.მარი და სხვა მოგზაური მკვლევარები.<sup>142</sup>

ბაზგირეთი მრავალგვარიანი სოფელია და აერთიანებს 4 „მეჭლეს“ (უბანს): ქომუბანი, ზემუბანი, გამეშეთი კარჩხალი. ბაზგირეთში დარღვეულია უბნების მონოგენურობა. თუმცა ხეობის სოფლების ზოგიერთ უბანში ვხვდებით მონოგენურ დასახლებებსაც.

ზემუბანი (ზემო უბანი) დასახლებულია ყასიმოდლები//ყასმიენტებით (რომლებიც აქ კარჩხალიდან გადმოსულან), თამთოდლები//ცვარიენტებით (ცვარაძეები მოსულან ციხისხევთან) და აღიენტები//აღიშვილებით (ბოლქვაძეები), გადმოსულან არტანუჯიდან XIX ს-ში). ცვარაძეებს აქ დაბელიენტებსაც ეძახიან.

ქომუბანში (ქვემო უბანში) ცხოვრობენ: ბეზგიენტები//ბეზინგაროდლები, თეთრიენტები(თეთრაძეები), კეფუნები (კეფოდები), ჯივანიენტები//ჯივანოდლები, ბისონიენტები//ბისონოდლები, ეინარები და ხოჯიენტ//ხოჯიოდლები.

სარიანოდლები//გამეშიძეები, დელი-ჰასანოდლები, შავშეთის სინქორიდან მოსული ბოიანჩაროდლი//ბოიანჩარიშვილები დასახლებული არიან გამეშეთის მეჭელეში, ხოლო ყასმიენტები//ყასიმოდლები, მეჭმედიენტ//მეჭედოდლები და დელიჰასანოდლები კარჩხალის მეჭელეს მაცხოვრებლები არიან.

---

<sup>142</sup> ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან, ბათ., 2004, გვ. 19, 21, 24.



უბნების ნაწილი ძველია, ზოგიერთი კი წარმოქმნილია მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის საფუძველზე. მაგ. ქომუბანში პირველად კეფოძეები//კეფუნთები დასახლებულან. მათი წინაპრები აქ ბათუმიდან ასულან, გაუჩეხიათ ტყე და დასახლებილან, ჯივანოღღები შემდეგ არიან დამკვიდრებული და „ახალციხიდან მოსულობას იტყვიან“.

სოფელში შეინიშნება ძველი ნასახლარების ნაკვაღევი და მატერიალური კულტურის ნაშთებიც. სოფლის სათიბების ერთ-ერთი მონაკვეთს საზვირელი ჰქვია, გადმოცემით იქ ყოფილა ქართულწარწერიანი ქვები. ამ ადგილას ხალხის რწმენით თამარ მეფეს („დედა თამარას“) სასახლე ჰქონია, სადაც ზაფხულობით ჩამოდიოდა დასასვენებლად.

სოფელში მრავლადაა სამეურნეო საქმიანობის, ისტორიული წარსულის გამომხატველი ტოპონიმები. მაგ., სვანეთი//სვანიხევი, ბაღმიეთი (უკაეშირდება ბაღმიძეთა საგვარეულოს), სადრამეთი, ჩირველი, ურისაკლავი, კოფტო (ბევრია რკო), სანეკრე (ნეკერის საკაფი ადგილი), ღეკნათი, კენათი, საქერი ხევი, ასკი ნარა და ა.შ. ერთ-ერთ ტოპონიმს აქაურები იაღისადრობს ეძახიან. გადმოცემით მაჭახლიდან ერთ-ერთ პიროვნებას მსხალი წამოუღია და იაღზე (კარაქზე) გადაუცვლია. გადაცვლილი პროდუქტი „ჩახვი“ (ნაჭრისგან შეკერილი „თორბა“) მოუთავსებია და ცხენზე გადაუკიდა. ჩახვი დასველებულა. ამიტომ იაღი გაუფენია, გაშრესო, მაგრამ სიცხეში გამდნარა. პატრონს ეს ცხენისათვის დაუბრალებია და მოუკლავს. ამიტომ ჰქვია ამ ადგილს იაღისადრობიო- მოგვითხრობს რესპონდენტი.

სოფლის ძველი და ტრადიციული უბნები (ქომუბანი, ზემუბანი) გამოირჩევა მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალი კოეფიციენტით, ვიწრო გასასვლელებითა და ქუჩებით. სახნავ-სათესი მიწების (ყან-

ები) ძირითადი ნაწილი სოფლისგან მოშორებით მდებარეობს. სახნავი ფართობები ვერტიკალურ გეგმაშია წარმოდგენილი.

იმერხევის ხეობაში დასახლების ძირითადი ერთეული იყო და არის სოფელი. მაგრამ განსახლების წესი, დასახლებული პუნქტების მორფოლოგიური და ბუნებრივი ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ ძველად დასახლების ძირითადი ერთეული დასახლებული პუნქტების უფრო ფართო გაერთიანება იყო. ნორმალური სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელი ყველა პირობა - სახნავი, ტყე, წყალი - ამ გეოგრაფიული ერთეულის ფარგლებს შიგნით იყო მოქცეული, მაგრამ ბუნებრივი მატების შედეგად მოსახლეობის ზრდამ განაპირობა სიმჭიდროვის მაღალი კოეფიციენტი. რამაც განაპირობა სახნავ-სათესი ფართობების ნაწილის გადანაცვლება მიმდებარე ტერიტორიებზე.

შავშეთის სოფლების განლაგება ტერასობრივი ხასიათისაა. განსახლება არის ხაზოვანი, მისდევს სერებს, გზა-ქუჩებს, ზოგან კი უწესრიგოა. რელიეფის მკვეთრი დასერილობა დასახლების აღნიშნული ფორმის ბუნებრივი პირობაა. ბაზგირეთი ადრე ერთი თემი იყო, მისი უბნებად დაყოფა კი განვითარების იმ საფეხურის ამსახველია, როცა თემში შემავალი ერთი დასახლებული პუნქტი იქცა სოფლად, რომელიც ისევე ცალკე უბნებად დაიყო.

ერთი სიტყვით, შავშეთის დასახლება თავისი მორფოლოგიური და ბუნებრივი თავისებურებებით ემსგავსება მთიანი აჭარისათვის დამახასიათებელ ტიპს და ხასიათდება მაღალი სიმჭიდროვით, კომლთა საშუალო და შედარებით დიდი რაოდენობით (რაც სოფლების უბნებად დაყოფას გულისხმობს) და ტერასობრივი განლაგებით.

**The structure of settlement in Shavsheti**

**Summary**

Shavsheti is one of the sides of the historical Georgia, where the type of old Georgian settlement still exists. This fact is due to the topographic peculiarities of its location. The basic unit of the settlement is the union of separate groups of villages. The given work represents the general Georgian peculiarities and specific marks of Shavsheti settlement.

*მარინა ჯინჭარაძე*

**ადრეული რენესანსული პორტრეტის  
მხატვრულ-გამომსახველობითი ენის  
თავისებურება**

იტალიის ადრეული რენესანსის ხელოვნება წარმოადგენს არაჩვეულებრივად რთულ და მრავალფეროვან სურათს. ეს არის ახალი საერო ხასიათის ხელოვნებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ენის ჩამოყალიბების ეპოქა, რომელიც იქმნებოდა შუა საუკუნეების მხატვრულ კულტურასთან ბრძოლაში. ჩნდება ღრმა ინტერესი რეალური სამყაროსადმი, ცოცხალი, ხორციელი ადამიანისადმი, იწყება ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისადმი. პარმონიულად განვითარებული, პერიოზებული ადამიანი ეპოქის იდეალი ხდება. ხელოვნება აღარ წარმოადგენს რელიგიური დოგმების მხოლოდ ილუსტრირების საშუალებას. ეს პერიოდი ყველაზე მეტადაა ორიენტირებული გარემომცველი სამყაროს გადმოცემის შესაძლებლობებზე. სწორედ ამ დროს იწყება ხაზოვანი, ჰაეროვანი პერსპექტივების, პროპორციების, შუქჩრდილების, სიმეტრიის, მთლიანი კომპოზიციის, კოლორიტის, რელიეფურ გამოსახულებათა და სხვათა ძიება. იქმნება მონუმენტური მხატვრობის მთელი ციკლები, დიდ ადგილს იჭერს თანამედროვეთა პორტრეტები. იწყება სრულიად ახალი ეტაპი იდეალიზებული პორტრეტის განვითარებაში. ეს იდეალიზაცია, რომელსაც მიმართავდა რენესანსის მხატვარი, ორგანულად გამომდინარეობდა თავად ორიგინალის არსებიდან. რენესანსის პორტრეტი მაღლდება რეალურ ორიგინალზე, მაგრამ ამავე დროს არ წყდება მას.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ამოცანაა აღორძინების ეპოქის პორტრეტის ხასიათისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ენის თავისებურებების გამოვლენა, მისი კავშირის დადგენა

რენესანსული რეალიზმის განვითარებასთან. ყოველივე ამას კი საფუძვლად უნდა დაედოს ჰუმანისტური მსოფლმხედველობა და მისი როლის ჩვენება ადრეული რენესანსის პორტრეტული ხელოვნების განვითარებაში.

როგორც ცნობილია, აღორძინების ეპოქაში ჰუმანიზმი იქნეს ფართო კულტურული მოძრაობის ხასიათს, რომლისთვისაც დამახასიათებელია თავისუფალი აზროვნება და საერთო ინდივიდუალიზმი. მკვლევარ ლ. ბრაგინას აზრით, „იტალიური ჰუმანიზმი აღორძინების ეპოქის მოწინავე იდეოლოგიაა იტალიაში და წარმოადგენს რთულსა და მრავალმხრივ ისტორიულ მოვლენას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული XIV-XV ს-ბის იტალიის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განსხვავებულ სფეროებთან“.<sup>143</sup>

რენესანსის ჰუმანისტური ეთიკის მთავარი პრინციპი იყო მოძღვრება ადამიანის მაღალი დანიშნულების შესახებ. პეტრარკადან დაწყებული, მსჯელობა ადამიანის ღირსების შესახებ საყვარელი საგანი ხდება ჰუმანისტებისათვის. ამ თემას სპეციალური ტრაქტატი მიუძღვნა მანეტომ, აღსანიშნავია აგრეთვე პიკო დელა მირანდოლას თხზულება „ადამიანის ღირსების შესახებ“, მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ახალი ჰუმანისტური ესთეტიკის ჩამოყალიბებაში ჰქონდა ალბერტის თხზულებებს, რომელმაც ანტიკური ლიტერატურული ტრადიციები ორგანულად დაუკავშირა რენესანსული ხელოვნების მოთხოვნებს.

XIV-XV ს-ბის მიჯნაზე კოლიუჩო სალიუტატის და ლეონარდო ბრუნოს თხზულებებში წინ გამოდის სამოქალაქო ცხოვრების ახალი იდეალი. სამოქალაქო ჰუმანიზმის ეთიკურმა იდეებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ფლორენციული ოსტატების შემოქმედებაზე და აგრეთვე ადრეულ პორტრეტულ ხელოვნებაზე. ჰუმანისტების მრავალფეროვანი მოღვაწეობიდან უნდა გამოიყოს ორი პრობლემა, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ რენესანსული პორტრეტის ისტორიასთან. პირველი პრობლემა - ეს არის

---

<sup>143</sup> Брагина Л., Итальянский гуманизм, М., 1977, с. 53.

პიროვნების ახალი იდეალი, რომელიც წარმოიშვა ჰუმანისტური მსოფლმხედველობისგან, ხოლო მეორე პრობლემაა ჰუმანიზმის კავშირი ადრეული აღორძინების ხელოვნებასთან, მის თეორიასთან და პრაქტიკასთან, პირველ რიგში კი პორტრეტთან.<sup>144</sup>

სამოქალაქო ჰუმანიზმის ეთიკა თავისი აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალით არა მარტო ხსნის ადრეული ფლორენციული პორტრეტის თავისებურებებს, არამედ ბევრ რამეში ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას მთელი ადრეული რენესანსის პორტრეტისათვის, როგორც ფლორენციაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. XV ს-ის ბოლო მესამედში, ჰუმანისტური მოძრაობის ინტერესები სულ უფრო შესამჩნევად შეერია აქტუალური ისტორიულ-პოლიტიკური სფეროდან უფრო განყენებულ, მორალური ფილოსოფიის სფეროს. ჰუმანიზმის ეთიკურ კონცეფციაში მთავარი როლი ენიჭებოდა ფლორენციული ნეოპლატონიზმის იდეას, რომელიც XV ს-ის ბოლოს გავრცელდა იტალიის მთელ მხატვრულ კულტურაზე. ფლორენციული ნეოპლატონიზმი მარსილიო ფინინის მეთაურობით ცდილობდა გაერთიანებინა კლასიკური ფილოსოფიის თვალსაზრისი (პირველ რიგში პლატონის მოძღვრება) ქრისტიანულ თეოლოგიურ დოქტრინასთან.

ინდივიდუალობის გაგება XV ს-ის პორტრეტში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰუმანისტური ეთიკის ნორმებთან. აქედან გამომდინარეობს პორტრეტული სახის ის დემოკრატიზმი, დამოუკიდებელი და საერო ხასიათი, რომლითაც აღნიშნულია ეპოქის პორტრეტული ხელოვნება.

ახალი პიროვნების ჰუმანისტურ იდეალსა და ადრეული აღორძინების პორტრეტულ ხელოვნებას შორის კავშირის დადგენას მივეყვართ ამ პრობლემის სოციოლოგიურ ასპექტთან. XV ს-ში ჰუმანიზმი თავის სხვადასხვა მიმართულებაში გამოდიოდა, როგორც ეპოქის სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აერთიანებდა ორ პრინციპულად სხვადასხვა წო-

---

<sup>144</sup> Гращенко В., Рисунок мастеров итальянского Возрождения, М., 1975, с. 133; Всеобщая история искусства, т. III, М., 1986, с. 153.

დებრივ იდეალს - ბიურგერულს და ფეოდალურს. სასახლის კარზე პორტრეტი შედარებით ადრე იქნეს დამოუკიდებელი დაზგური სურათის ფორმას. ის წარმოადგენს მმართველის განდიდების საშუალებას. ქალაქის კომუნის სამოქალაქო ცხოვრებაში კი პირიქით ხდება. აქ ინდივიდუალურმა პორტრეტმა დიდხანს ვერ შეძლო მიეღო სრულფასოვანი მხატვრული გამომსახველობა. ფლორენციელები მტრულად იყვნენ განწყობილნი ყოველივე იმისადმი, რომ რომელიმე მოქალაქე გამოეყოთ საერთო რიგებიდან. ამიტომ ფერწერული პორტრეტი დაიშვებოდა ან როგორც იდეალიზებული გამოსახვა ქალაქის „უდიდესი ადამიანის“, უმეტეს შემთხვევაში - უკვე გარდაცვლილისა, ან როგორც დამატება რელიგიური და საერო მონუმენტური კომპოზიციისა. მხოლოდ XV ს-ის შუა წლებში, მრავალრიცხოვანი ჯგუფური პორტრეტის გვერდით გაჩნდა დაზგური პორტრეტები - ფერწერული და სკულპტურული. სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი ის ფაქტი, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ იმ ეპოქის ადამიანები საკუთარ პორტრეტთან, როგორი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ, როცა აფასებდნენ სურათის ნაკლსა თუ ღირსებას, რა მოთხოვნებს უყენებდნენ მხატვარს. ფლორენციული დოკუმენტები სდუმან ამის შესახებ, მაგრამ ფლორენციული პორტრეტის ისტორია და მისი მხატვრული ევოლუცია მოწმობს იმას, რომ პორტრეტიდან უცვლელად ელოდებოდნენ ცხოვრებისეული მსგავსების გადმოცემას და დროდადრო ეს მოთხოვნილება სულ უფრო იზრდებოდა.

ჩვენი მიზანია, XV ს-ის იტალიელი მხატვრების პორტრეტების განხილვის გზით წარმოვაჩინოთ ამ პერიოდის პორტრეტის განვითარების გზა და მისი მხატვრულ-გამომსახველობითი ენის თავისებურება. ადამიანების პორტრეტული გამოსახულებები ადრეული რენესანსის ეპოქაში თავდაპირველად წარმოადგენდა საერთო რელიგიური კომპოზიციისა თუ ისტორიის შემადგენელ ნაწილს. ამ მხრივ აღსანიშნავია მაზაჩოს მიერ შესრულებული ფრესკული პანო „სამება“, ფლორენციის სანტა მარია ნოველას

ეკლესიიდან. „სამების“ კომპოზიცია წარმოადგენს დრმა კასეტირებული თაღით გადახურულ ნიშას, რომლის ცენტრშიც გამოსახულია ჯვარცმული ქრისტესა და მამადმერთის ფიგურები. ამ ფიგურების ორივე მხარეს ნიშის სიდრმეში გამოსახულია მარია-მისა და იოანეს ფიგურები, ხოლო ნიშის წინ, მის ორივე მხარეს, პილიასტრების ფონზე გამოსახულია მუხლმოდრეკილი დონატორების ლენცისა და მისი მეუღლის პროფილური გამოსახულებები. ფრესკის ქვედა ნაწილში, სარკოფაგზე, კომპოზიციის პორიზონტალურად გამოსახულია ადამის ჩონჩხი. დონატორების ფიგურები „სამების“ კომპოზიციის შემადგენელი, ორგანული ნაწილია, რაც განპირობებულია საერთო კომპოზიციური გადაწყვეტით – მთელი კომპოზიციისათვის დამახასიათებელი სიმეტრიულობით, ფიგურების მასშტაბური შეთანხმებით, ფერით, განზოგადებული გამომსახველობითი ფორმებით. მაზაჩოსათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი ფორმების განზოგადება დონატორების ფიგურებზეც ვრცელდება. დონატორებს, ქრისტესა და წმინდანებთან შედარებით, სახის უფრო დამახასიათებელი ნაკვთები აქვთ და მათთან შედარებით იმყოფებიან უფრო კონკრეტულ სივრცეში. ზემოთ აღნიშნული ფრესკის თავისებური სივრცული გადაწყვეტის შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ დონატორების ფიგურები არსებობენ იმ რეალური ინტერესის სივრცეში, სადაც იმყოფება მაცურებელი<sup>145</sup>. ამის შედეგად მაზაჩო ქმნის რეალური ადამიანის განზოგადებულ სახეებს ლენცისა და მისი მეუღლის პორტრეტული ნიშნებით. როგორც ჩანს, კვატროჩენტოს ეპოქის ეს დონატორების გამოსახულებები მოკლებულია შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი ენის პირობითობას და მონუმენტურობით ხასიათდება.

დროთა განმავლობაში საერო საწყისის გაძლიერებასთან დაკავშირებით იქმნება დამოუკიდებელი პორტრეტული კომპოზი-

---

<sup>145</sup> Лазарев В., Начало раннего Возрождения в итальянском искусстве, М., 1979, с. 162.



ციები, ისტორიული გმირების, პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლებისა და ხშირად უბრალო ადამიანების გამოსახულებანი. 1436 წ. ფლორენციის სანტა მარია დელ ფიორეს ეკლესიაში უჩელოს მიერ შესრულებული ფრესკა მემორიალური ხასიათისაა. მასზე გამოსახულია ინგლისელი კონდოტიერის ჯონ ხოკუდის ცხენიანი ქანდაკება. ის შესრულებულია მონოქრომული ფრესკული ტექნიკით, მაღალ პოსტამენტზე, ხედვის წერტილი აქვს ქვევიდან ზევით, რაც მას გარკვეულ მონუმენტურობას ანიჭებს. უჩელიმ ფერწერის საშუალებით შეძლო შეექმნა სკულპტურული გამოსახულებების ილუზია.

ადრეული რენესანსული პორტრეტის ევოლუციის თვალსაზრისით საინტერესოა XV ს-ის მხატვარ-მონუმენტალისტის ანდრეა დელ კასტანიოს ფრესკული დეკორაციები, რომელიც შეასრულა მან პანდოლფინის ვილისთვის (ფლორენცია, კასტანიოს მუზეუმი სანტა აპოლონია). კასტანიო მისწრაფვის არა მარტო პლასტიკური მოდელირებისაკენ, არამედ სკულპტურული სიმაგრისაკენ, შესაგრძობი ფორმებისაკენ. ის თითქოს ძერწავს ფიგურებს, აღწევს მათ განსაკუთრებულ მოცულობითობას. შემდეგ თანდათანობით იქმნება პორტრეტები ფიგურის პროფილური გამოსახულებით, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ხასიათისა და გამომსახველობითი ენის პირობითობა. თვით ადამიანის გამოსახვა პროფილში ზღუდავს მის სრულყოფილად დახასიათების საშუალებას. სახის პროფილის მკვეთრი გამომსახველი კონტური ადრეული რენესანსის ეპოქის მხატვრებთან გამოსახავს ინდივიდუალური მოდელის დამახასიათებელ ნიმუშს, გადმოსცემს პორტრეტულ მსგავსებას და ამავე დროს თავისი სიბრტყობრიობით, სტატიურობით, ლოკალური ფერით, სიბრტყობრივ ფონთან შერწყმით ქმნის საერთო კომპოზიციის დეკორატიულ მთლიანობას.<sup>146</sup> ამის მაგალითია ადრეული რენესანსის ეპოქის ერთ-ერთი საინტერესო მხატვრის

---

<sup>146</sup> Виппер Б., Введение в историческое изучение искусства, М., 1985, с. 212; Зингер Л., О портрете, М., 1966, с. 71.

ანტონიო პიზანელოს შემოქმედება. პორტრეტის ჟანრის სფეროში ის ფართოდ ცნობილია, როგორც მედალიონი, რომელმაც შექმნა მთელი რიგი ბრწყინვალე ნიმუში ხელოვნების ამ სახეში. მას მიეკუთვნება რამდენიმე ფერწერული პორტრეტიც, რომელთაგანაც აღსანიშნავია ჯინევრა დაესტეს პორტრეტი (პარიზი, ლუერი). კომპოზიციის ცენტრში ბადის ფონზე გამოსახულია ქალის ფიგურა: წელს ზემოთ, სახე პროფილში, სხეული ნახევარბრუმში. ქალის ფიგურა სიბრტყობრივი ხასიათისაა. სახის გამომსახველი კონტურული ხაზი, სამოსის ლოკალური წითელი, თეთრი, ყავისფერი ფერები, სახელის მცენარეული ორნამენტის მორთულობა საერთო ფონთან ქმნის დეკორაციულ მთლიანობას. სურათის ნათელი, ცოცხალი კოლორიტი სულიერ სიღრმეს მოკლებულ მხატვრულ სახეს გარკვეულ სილამაზეს და პოეტურობას ანიჭებს.

რეალისტური გამომსახველობითი საშუალებების ზრდასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ფლორენციის სკოლაში ჩანს სწრაფვა ადამიანის უფრო სრულყოფილი დახასიათებისაკენ. როგორც ცნობილია, ფლორენციის სკოლის წარმომადგენლების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ადამიანის ფიგურის, მისი პლასტიკის სრულყოფილი გადმოცემა. ადამიანის გამოსახულება იძენს მოცულობას, ხდება პლასტიკური, მოთავსებულია სამ განზომილებაში. ქრება ადრეული პორტრეტებისათვის დამახასიათებელი გაზგასმული დეკორატიულობა და დიდ მნიშვნელობას იძენს ფერწერის გამომსახველობითი მხარე. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ აქ ჯერ საქმე არა გვაქვს სწრაფვასთან ადამიანის პიროვნების უფრო სრულყოფილი დახასიათებისათვის. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია ადრეული რენესანსის ეპოქის რეალისტური გამომსახველობითი ენის განვითარებასთან.

ადრეული რენესანსის მხატვარ-მონუმენტალისტების შემოქმედებაში მონუმენტური ფერწერა განსაზღვრავს დაზგური ფერწერის განვითარების გზას, მის სპეციფიკას. მათი არა მარტო

ფრესკულ-პორტრეტული გამოსახულებებისათვის, არამედ დაზგური სურათებისათვისაც, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან თავისი ჩამოყალიბების პროცესში, დამახასიათებელია გამომსახველობითი ენის განზოგადოება-კომპოზიციური გადაწყვეტის ლაკონურობა, მოცულობითი ფორმის, გამომსახველი სილუეტური ხაზის, ფერის ლაკონიზმი.<sup>147</sup>

XV ს-ის რენესანსული რეალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია მხატვარ-მონუმენტალისტი პიერო დელლა ფრანჩესკა. მისთვის დამახასიათებელია გამომსახველობითი ენის განზოგადება და ლაკონიზმი, სრულყოფილი პერსპექტივა და მკაცრი პროპორციულობა. ფერწერულ პორტრეტებს შორის აღსანიშნავია პიერო დელლა ფრანჩესკას წყვილი პორტრეტი ჰერცოგ ფედერიგო და მონტეფელტროს და მისი მეუღლის ბატისტა სფორცასი. ეს პორტრეტული გამოსახულებები თითქოს გვერდითი ნაწილებია ტრიპტიქისა, რომლიანაც ამოვარდნილია ცენტრალური, ყველაზე მთავარი ნაწილი. არაერთხელ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ პეიზაჟი ორივე პორტრეტზე წარმოდგენს ერთიანი პანორამის ნაწილს. როგორც თვლიან, ამით მხატვარმა ხაზი გაუსვა მათ სიუჟეტურ კავშირს. ამასთან ერთად, სწორედ პეიზაჟური ფონის ეს ერთიანობა ქმნის სივრცითი პაუზის არსებობის აუცილებლობას პორტრეტულ კომპოზიციებს შორის. ინტერვალს, რომელშიც რეალურად თუ არა, პოტენციურად მაინც უნდა არსებობდეს ნაგულისხმევი ნაწილი საერთო კომპოზიციისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე პროფილური გამოსახულება, მოთავსებული ერთმანეთის გვერდზე, მაყურებლის აღქმით ეჯახება ერთმანეთს<sup>148</sup>. ფედერიგო და მონტეფელტროს (ფლორენცია, უფიცის გალერეა) პროფილური გამოსახულება წითელ ტანსაცმელში და იმავე ფერის ქუდში

<sup>147</sup> Данилова И., Итальянская монументальная живопись раннего Возрождения, М., 1970, с. 148.

<sup>148</sup> Данилова И., Портрет в итальянской живописи Кватроченто, сборник статей, «Советское искусствознание», М., 1974, с. 157; Лазарев В., Пьеро делла Франческа, М., 1966, с. 79.

მკაფიოდ გამოიყოფა ფერმკრთალი ცის და მოცისფრო პეიზაჟის ფონზე. პორტრეტული სახის განზოგადებული სილუეტური ხაზი, ტანსაცმლისა და ქუდის გამომსახველი ფორმისა და ფერის ლაკონურობა ჰერცოგის სტატიურ ფიგურას განსაკუთრებულ მონუმენტურობას ანიჭებს.

პროფილური პორტრეტის განვითარების შემდგომი ეტაპი არის ადამიანის გადმოცემა 3/4 ბრუნში. ადრეული რენესანსის პორტრეტი თავისი განვითარების მთელ მანძილზე არ მისულა ადამიანის გამოსახულებამდე ფასში.

ადამიანის ფიგურის ასეთი მდგომარეობა მისი უფრო სრულყოფილი დახასიათების საშუალებას იძლევა. პორტრეტი იძენს განსაზღვრულ დინამიურობას. თავსდება არა გამოსახულ ფონზე, არამედ უკვე გარკვეულ სამგანზომილებიან სივრცეში. მართალია, ეს სივრცე ჯერ კიდევ არ არის ღრმა და ხშირად მოცემულია მუქი ნეიტრალური ფონის საშუალებით, რაც განსაზღვრავს მოცულობიანი ფიგურის წინ გამოწვევის ტენდენციას, მაინც უფრო კონკრეტულია თავისი ხასიათით. 3/4 ბრუნში, რომელსაც ფიგურა გამოჰყავს სტატიურობიდან უფრო კონკრეტული გარემოცვა, ფიგურის თავისებური დაყენება და გარკვეული მოძრაობის რითმი ადამიანის სახის უფრო კონკრეტული დახასიათების საშუალებას იძლევა.

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადრეული რენესანსის პორტრეტში, ერთი მხრივ, ყალიბდება დაზგური საერთო პრინციპები, მეორე მხრივ, მასზე დიდ გავლენას ახდენს მონუმენტური ფერწერა, რაც ვლინდება წინა პლანის ხაზგასმულ გადმოცემებში, კომპოზიციის ჰორიზონტალურ ხასიათში და ფორმათა განზოგადებაში.

XV საუკუნის ვენეციურ ფერწერაში განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია ანტონელა და მესინას. მან თავის პორტრეტებში განასახიერა ადამიანის სახის სრულიად ახლებური გაგება. ასეთია მაგალითად, მისი რეალისტური პორტრეტი, ე.წ. „კონ-

დოტიერი” (პარიზი, ლუერი) და „მამაკაცის პორტრეტი” (ლონდონის ნაციონალური გალერეა).

„მამაკაცის პორტრეტი” ანტონელო და მესინა მამაკაცს გამოსახავს მკერდამდე, 3/4 ბრუნით, შავ ნეიტრალურ ფონზე. სახე, რომელიც განათებულია მარცხენა მხრიდან დაცემული შუქით მთლიანად იკვეთება შავი ფონიდან. ყოველგვარ სიღრმეს მოკლებულნეიტრალურ ფონზე გამოსახული ფიგურის სახეში მხატვარი შუქჩრდილების მკვეთრი მოდელირებით ქმნის სახის პლასტიკურ მოცულობას. მიუხედავად იმისა, რომ ანტონელო და მესინას ფერთა გამა არ გამოირჩევა სიმდიდრით, სურათის კომპოზიციურ გადაწყვეტაში მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ქუდის ხასხასა წითელი ფერი კონტრასტს ქმნის შავ ფონთან და კიდევ უფრო ამახვილებს ყურადღებას სახეზე, რომელსაც ენიჭება ძირითადი როლი მხატვრული სახის ხასიათის გახსნაში.

სანდრო ბოტიჩელს განსაკუთრებული ადგილი უკავია იტალიის აღორძინების ხელოვნებაში. ბოტიჩელი პირველ რიგში გამოხატავდა თავის საკუთარ განცდებს, ამიტომ მისი ხელოვნება იძენს ღირიულ ხასიათს. 1478 წ. ბოტიჩელი ქმნის ჯულიანო მედიჩის პროფილურ პორტრეტს (ბირგამო, კარარას აკადემია). ბოტიჩელის პორტრეტული პროფილური გამოსახულებებით გაცეცხა განპირობებული იყო მისი გამომსახველობითი ენის თავისებურებით. ჯულიანოს მხატვრული სახის გახსნაში, მისი განწყობილების გადმოცემაში ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება სახის კონტურის გამომსახველობას. სახის ნაკვთების მოძრავე, გრძნობადი და ხვეული თმების დანაწევრებული, ერთგვარად ნერვული კონტურები გადმოგვცემს ჯულიანო მედიჩის შინაგანი სამყაროს ფაქიზ, დახვეწილ ბუნებას.

ამრიგად, XV ს-ის წამყვანმა ოსტატებმა შექმნეს ადრეული რენესანსის პორტრეტის ტიპი, რომელიც გამოირჩევა გმირული სულისკვეთებით, ჰუმანიზმით და მხატვრული სახეებისა და გამომსახველობითი ენის თავისებურებებით. ამ ეპოქაში, რომ-

ლის პათოსი იყო „სამყაროსა და პიროვნების გახსნა“ (ი.ბურკარდტი), ხელოვნების ძირითად ტენდენციას წარმოადგენს ადამიანის განდიდება, რეალური სამყაროს სილამაზის ჩვენება.

შესამჩნევი წინსვლა მოხდა პორტრეტული სახის შინაგანი სამყაროს გადმოცემაშიც. აღორძინება ქმნის სრულიად ახალ ტიპს იდეალიზირებული პორტრეტისა. ადრეული რენესანსის „ბუნებისადმი მიბაძვის“ სპეციფიკა ვლინდება პორტრეტის სფეროშიც, რომელიც გულისხმობს გარკვეულ განზოგადობას, ტიპიზაციას. ადრეული რენესანსის პორტრეტებში შექმნილია ადამიანის ინდივიდუალური სახე თავისი პორტრეტული ნიშნებით და ამავე დროს ის თავისი ეპოქისა და ქვეყნის ტიპური წარმომადგენელია. ადრეული რენესანსის ეპოქის პორტრეტი თავისი გამომსახველობითი თავისებურებებით წარმოადგენს მნიშვნელოვან საფეხურს პორტრეტული ჟანრის განვითარებაში და ამავე დროს ხასიათდება მაღალმხატვრული ღირსებით.

**Marina Jincharadze**

**The portrait's artistic language peculiarity in the early Renaissance epoch.**

**Summary**

Discussing the portraits of Italian artists of 15 th century shows the development of the portraits of this epoch. The masters of this century have created a type of portrait which is selected with heroic spirit and humanity. The human's individual face is created in the portraits of early Renaissance.

The portrait of this epoch is a significant step in the development of portrait genre and at the same time it is known by artistic feature.

## ქართული ფოლკლორის ტრადიციები თანამედროვე სცენოგრაფიაში

რაოდენ მრავალფეროვანი არ უნდა იყოს 70-80-იანი წლების სცენოგრაფიის პრინციპების განვითარება ქართულ თეატრში და როგორი სრულყოფილებისთვისაც არ უნდა მიედწიათ ცალკეულ ოსტატებს, ყოველივეს საფუძველი ჩაყრილი ჰქონდა 60-იანი წლების სპექტაკლებში, ესენია: მ. ნახუცრიშვილის – „ჭინჭრაქა“, პ. კაკაბაძის – „კახაბრის ხმალი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“.

მ. თუმანიშვილის საბავშვო ზღაპრის „ჭინჭრაქა“-ს დადგმაში, რომელიც განხორციელდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრის მცირე სცენაზე, სამეულის მხატვრები (ო. კონიკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაძე) მსახიობებს თამაშისათვის სთავაზობენ მოძრავი ფარდების სისტემას და ირონიულ-გროტესკულ კოსტუმებს, რომლებიც შედგენილია ზღაპრული, „ისტორიული“ და „თანამედროვე“ დეტალების შეზავებისგან. გოლიათი დევი ჩაცმული იყო ძველ ჯაჭვის პერანგში და თანამედროვე ჯინსების ტიპის შარვალში. თავზე – ფესი ახურავს, ფესზე ალპინისტური ჩექმები აცვია. ქამარში ბრაუნინგის შურდული და ბუდე აქვს. მარცხენა ფეხთან ხანჯალი, ხელში ავტომატი. იმისათვის, რომ მგელი განესახიერებინა, მსახიობი იხურავდა ბოხოსს იცვამდა მაღალყელიან ჩექმებს, ჩოხას და ფართემხრებიან ნაბადს. დათვის განასახიერებდა სქელ-სქელი კაცი, გამოწვობილი ჯვალოს ზოლებიან პიჯაკში, თავზე, თვალზე ჩამოწეული დაჭმუჭვნილი ქუდი ახურავს, გრძელ წამწამებიანი მსახიობი ქალი შავმურა ქურქს იხსამდა და მელად გარდაიქმნებოდა და ასე შემდეგ.

რეჟისორი მ: თუმანიშვილი იხსენებს რა ამ სპექტაკლის შესახებ, საუბრობს მის სათავეებზე, რომლებსაც ის ქართულ ხალხურ ზეიმებში ყვენობასა და ბერიკაობაში ხედავს. თუმცა

გარეგნულად „ჭინჭრაქასა“ და სხვა მომდევნო წლების დადგემები თითქოს ნაკლებად ჰგავს სანახაობას მიუხედავად ამისა ისინი იკვებებიან ხალხური ტრადიციებით და მათ პრინციპებს ავითარებენ. ამ შემთხვევაში – მასკირების, კაზმულობის, კოსტუმბთან და საგნებთან თამაშის პრინციპები გაფორმების სხვა ელემენტებთან არის შერწყმული.

მ. თუმანიშვილი თავად არის ხალხური კარნავალური სანახაობის მხილველი. აი როგორ აღწერს ერთ-ერთი ეპიზოდის გაფორმებას, რომელშიც მოკაზმული ბრბოს მსვლელობა დაიპყრო დამპყრობელმა ყვენმა: „მას ეცვა ჯარისკაცის ფარაჯა, თავზე უზარმაზარი მოოქროვილი გვირგვინი ინდაურის ფრთებით, დახატული ჯვრით და ნახევარმთვარით. მისი სახე გრიმით იყო დაფარული, ტუჩები თეთრი საღებავით და შავი კონტურით შემოწერილი, ღოყები აღისფერი. ტირანთან ერთად მოწყალების ამკრებიც გარბის. ის იყო თანამედროვე სამოსში გამოწყობილი, მკერდზე ცისფერი ყუთით, რომელზეც იკითხება წარწერა - „სალარო“. ტირანს მოჰყვებოდნენ თავისი მეომრები წითელ ჟაკეტში, შავ ფიგაროში ჩაცმულნი, წელზე სანადირო მრავალფეროვანი თავსაფრებით და ა.შ.

„ყვენობა“ და „ბერიკაობა“ არის ქართული სცენოგრაფიის ნაციონალური ტრადიცია სახეიმო კარნავალური მოქმედებების სათამაშო. თეატრის ყველა უძველესი და ყველი ფორმების გაფორმების საკუთარი ტრადიცია და უშრეტი წყარო.

აი, როგორ ვითარდება სათამაშო წარმოდგენა შოთა რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „კავკასიური ცარცის წრე“.

ფარდა არ არის. სიბნელიდან ავანსცენაზე გამოდის მთხრობელი, მუსიკოსი და მაყურებელს მიმართავს. შუქი თანდათან ძლიერდება, რომელიც სცენის სიღრმეში აღწევს, დასანახი ხდება ფიცრიანი ღობე, ჭიშკარი... მოულოდნელად ა ჭიშკარი იდება და განათებულ სცენაზე სიბნელიდან გაისმის ხმაური, მუსიკის თანხლებით გამოცვივა კომენდანტების ბრბო, ერთნი ნიღბებში, მეორენი ნახევარნიღბებში, ან უბრალოდ გაღებილები



– უხეშად, გულწრფელად გროტესკულად. მესამენი კი თავისი „დაუგრძობად“, ცოცხალი სახეებით. სცენა გადაიქცევა მოედნად, უფრო მეტიც ბალანად, ზემოდან, დაქანებულად დაკიდულან ყველი დაკრებული თხელი საბნები, ტილოს და ცვალის ნაჭრები. მოქმედების პროცესში ისინი ზოგჯერ ზევით ზოგჯერ ქვევით მოძრაობენ. რითაც ხდება სცენის შევიწროვება-გაფართოება. სამოსი მრავალსახოვანია აქ საუკუნის დასაწყისის ქართული ნაციონალური სამოსიც არის, ქალაქურიც, სოფლის და მედიკოსთა თეთრი ხალათებიც, ასევე სამხედრო პირობითი ფორმაც. ხოლო მაუწყებლის როლის შემსრულებელი ჩნდება 20 - იანი წლების მოტოციკლეტისტის კოსტუმში შავი დერმანტინის ქურთუკი და შარვალი, ტყავის ხელთათმანები, წითელი „შლე-მი“. ამ სახით ის გამოდის ბუტაფორულ ცხენზე, რომელიც-წარმოადგენს ლითონის მავთულისაგან დამზადებულ კარკასს, ის ყველა მხრიდან არ არის თაბაშირით დაფარული, მხოლოდ მავთული ჩანს ნაწილობრივ და ცხენი შეუქდება. ცხენი გამოჰყავთ სადავეებით გორგოლაჭებზე, მაუწყებელი გაჰყვირის თავის უწყებებს „რუპორში“. ცხენის გარდა მსახიობთა თამაშში კიდევ მონაწილეობენ სხვადასხვა საგნები: ნაჭრის თოჯინა, რომელიც განასახიერებს ბავშვს, რუკა, ცარციტ შემოხაზული კავკასიით, საღებავით დასვრილი სამიზნე /„სისხლი“, რაც მიანიშნებს, რომ სიმონ ჩაჩავა მიდის ომში. წამყვანის ხელთათმანზე დახატული თვალი და ლეონარდო და ვინჩის „მადონა ლიტას“ რეპროდუქცია, რომელსაც ის იკიდებს გულზე, როცა იწყება გრუშეს მიერ მიტოვებული ბავშვის გადარჩენის ისტორია. ფიცრებზე „ეკორ-შეს“ ტიპის ანატომიური გამოსახულებები, როცა გაშიშვლებულია კუნთები და მყესები. კასრი და წყალი, რომლითაც ნამდვილად ასველებენ იოსებს და ის სველი გარბის სცენიდან. დიდგვაროვანი ქალების ქოლგები. მოლბერტი, ოჯახური პორტრეტის შექმნის პროცესი პოზირებადი ადამიანების, ფიგურებისაგან. მხატვარ მთხრობელის მიერ ისინი უკვე ჩარჩოში სხედან. დამარცხებულ მტერთა ბუტაფორული თავები და მიკროფონი,

რომლითაც მთხრობელი მუშაობს. მიკროფონის ზონარით, ასრულებს ყველაზე არაჩვეულებრივ როლებს. მაგალითად: ხიდის, როცა ფრთხილად გადადის აბობოქრებულ „მდინარეს“ გრუშე ბაეშვით ხელში. შემსრულებლებს გამოაქვთ თან რაღაც ნივთები, დანარჩენი კი დევს სცენის კიდეებში, რომელსაც ისინი საჭიროების შემთხვევაში იღებენ, ხოლო თამაშის შემდეგ ისევ თავის ადგილზე დებენ.

ამრიგად, მაყურებლის წინაშე მიმდინარეობს სათამაშო წარმოდგენა, რომელშიც მთელი გაფორმება და დეკორაციის დეტალები: რეკვიზიტის საგნები, მითუმეტეს კოსტიუმები, – წარმოადგენენ მსახიობის შესრულების განუყოფელ კომპონენტს. უფრო მეტიც, ის თავად მსახიობების მიერ იყო არჩეული. მაგრამ ისინი შექმნა მხატვარმა გოგი ალექსი-მესხიშვილმა, მოედნის უხეში მოქმედების ხილვადობის მიღმა იმალება თანამედროვე თეატრალური ფერმწერის დახვეწილი, გაწაფული ოსტატობა.

სპექტაკლი „რინარდ III“ წარმოდგენილია სამოედნო წარმოდგენის სახით, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც გროტესკული, ხალხური პოლიტიკური ტრაგიფარსი ბოროტმოქმედ რინარდზე და აქ იყო ყველაზე განსხვავებული შალის მრავალსახოვანი სტილის ექლექტიკური, იმპროვიზაციული კოსტიუმები. ისევ და ისევ თითქოს მსახიობების მიერ არჩეული იქედან, რაც გაანდათ ხელთ. თავისუფალი იმპროვიზაციის /თუმცა რეპეტიციებზე დამუშავებულ და დახვეწილ/ პრინციპზე იკება საგნებით თამაში, მაგალითად: გვირგვინით მან ყველას ხელში გამოიარა. გვირგვინს იქნევდნენ და თელავდნენ ფეხით იატაკზე, მერე და რაჰ იატაკზე აგდებდნენ ბედის წიგნს ის ეჭირათ ხელში მადლა, სახეიმო განწყობით მოჰქონდათ საორკესტრო ორმოდან, კითხულობდნენ, წიგნის საშუალებით მოდრიკეს, მუხლებზე დააყენეს ლორდ სტენლი. ქოლგით თამაში, როგორც სცენა მიუზიკლიდან რეჟისორის მიერ გადაწყვეტილია მსუბუქად, ძალდაუტანებლად. ამ სცენაში ქოლგებით,

ხალხი ცდილობს, გლოსტერი დაითანხმოს, რომ ძალაუფლება ხელში აიღოს. გლოსტერი კი იპრანჭება, „თამაშობს უარს“, მასთან ერთად ქოლგებიც, გაიხსნებიან–დაიხურებიან, „წაველენ“ სცენის სიღრმეში, შემდეგ ისევ „დაბრუნდებიან“, დაიწვიან ცოტათი, აფრინდებიან დატრიალდებიან, მაგრამ ყველა ისინი დაიხურებიან, როცა ავაზაკი „გაიხსნება“ – მისცემს პირობას, მიიღოს გვირგვინი. სიკვდილის სცენა.

და ბოლოს რიჩარდის და რიჩმონდის ბრძოლის საფინალო სცენა გადაწყვეტილი ბალაგანის, ერთდროულად გროტესკურიც და სიმბოლური სანახაობის სახით. მებრძოლთა ტანი და ხელები უზარმაზარი საერთო ტილოს ჭრილებში ჩნდებოდა, რომელზეც ინგლისის რუკა იყო გამოსახული. თავის გიგანტურ ბუტაფორულ ხმლებს, ისინი აქნევდნენ მთელი ქვეყნის თავზე. მათი გაშიშვლებული ტორსების მოქმედებებისგან ტილო ზევით ადიოდა და ირხეოდა, აღელვებული ზღვის ტალღების მსგავსად. როდესაც რიჩარდი ვარდებოდა, ის ებმებოდა და კვდებოდა ქსოვილთა მასაში. გამარჯვებული კი გადააბიჯებდა მას, მიისწრაფოდა სამეფო ტახტისკენ, ოცნების გვირგვინისკენ, ამრიგად, მ. შველიძის დეკორაციები „ცხოვრობენ“ სცენაზე – სპექტაკლის დასაწყისიდან სპექტაკლის დასასრულამდე. მსახიობებთან თანაბარი სრულუფლებიანი, აქტიური ცხოვრებით.

ჩვენ უკვე ვახსენეთ დეკორაციის ერთი საინტერესო პერსონაჟი – მ. შველიძის მიერ მიგნებული „მეფე ლირში“ – მაყურებელი მანეკენი, „მცდომი“ თეატრის დეკორაციის ერთ-ერთ იარაღსზე. აი რა: მთელი სპექტაკლის განმავლობაში ჩვენ თვაყლურს ვადევნებდით ამ პერსონაჟს. ჩვენ ვფიქრობდით, რა უნდა ყოფილიყო ეს, ნუთუ ეს ამ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სპექტაკლის ბოლომდე, თუ იქნებ მას რაიმე უნდა დამართოდა და არ შემეცდარვართ. ეფექტურ ფინალში თეატრ-დეკორაციის კედლები ინგრევა, სცენა ორთქლით ივსება, შუქი ციმციმებს, ჟღერს მუსიკა. ამის შემდეგ შუქი სტაბილიზირდება, თბილ-იასამნისფერამდე, ვხედავთ, რომ „ჩვენი მყინარე მაყურე-

ბელი“ ბაწარზე ჰკიდია უსულოდ, დამახინჯებული – თურმე მას არ გააჩნია ფეხები მუხლებამდე. მხატვარი თითქოს ამბობს, რომ ყოველი უმოქმედობა, გულგრილობა, უარი აქტიურ პოზიციებზე შესაძლოა დასრულდეს ცუდი ფინალით. ეს ტრაგიკული სიმბოლო – სიფრთხილის ნიშანი, სცენაზე მომხდარის დასასრულის მხატვრული გამოსატყულება. (შექსპირის ტრაგედიის დრამატურგიაშიც) ადამიანების მიერ ჩადენილი სისაბაგლისა (უფრო ზუსტად არაადამიანების მიერ).

ჭეშმარიტად უსასრულოა შემოქმედებითი ფანტაზია სცენოგრაფიული მეტაფორების მოძებნაში.

და დიდი ხნის წინათ, შორეულ წარსულში, და დღესაც ამჟამად არსებულ ფოლკლორულ დღესასწაულებში, ჩვენი გარემომცველი მთელი საგნობრივი სამყარო – ეს არის პოტენციური „რეკვიზიტი“, რომელსაც შემსრულებლის ხელში შეუძლია გახდეს მონაწილე გათამაშებული წარმოდგენის. თუ გავიხსენებთ ხალხური სარიტუალო წესების და სახეიმო თამაშობების ფასდაუდებელ გამოცდილებას, შეგვიძლია დავინახოთ ყველაზე მრავალფეროვანი საგნები, რომლებიც გათამაშებულია საგნობრივი „პარტნიორის“ სახით: – მისი როლის ან შემსრულებელი ან ატრიბუტი. ამავედროულად ძალიან ხშირად საგანი შემსრულებლის ხელში თამაშობს რაიმე სხვა მხატვრული სახის „როლს“. ის მსახიობის, თამაშის პროცესში მასთან ერთად თითქოს „გარდაიქმნება“ რაღაც სხვა სახედ, წარმოდგება რა ამ სახედ, მოგვაჩვენებს თავს, თუმცა ამ დროს ის არ იცვლის თავის სახეს.

ნაფოტი განასახიერებდა ბავშვს, ჯოხი გამოდიოდა იარაღის, დათვის და ძაღლის როლში და ა.შ. ეს ყველი სცენოგრაფიული ხერხი გამოიყენება რუსთაველების მიერ. მიკროფონის ზონარი გადაიქცევა მდინარედ. ლითონისაგან შედგენილი კარკასი – პარალელოპიპედი წარმოგვიდგება პატივცემული ქალბატონის ეტლის ტიპის კარადად ან სატრანსპორტო საშუალებად („წრე“). გეოგრაფიის რუკა გადაიქცევა საბრძოლო

ველად /„რიჩარდ III“/, ქოლგა – ფარად და სახრხოველად /„რიჩარდ III“/. თევზსაჭერი ცვლის საბუთების საქაღალდეს – /„მეფე ლირი“/.

ამრიგად, შოთა რუსთაველის თეატრის ყველა ოსტატი პრაქტიკულად განიცდის სათამაშო სცენოგრაფიის შექმნისაკენ მისწრაფებას. ეს აიხსნება – ქართული ხასიათის ნაციონალური წყობის თავისებურებით. აი რას ამბობს ამის შესახებ რობერტ სტურუა: „ქართველებმა შესძლეს შეენარჩუნებინათ ცხოვრების რიტუალურობა, საკულტო ხასიათი, რომლებმაც ბევრ შემთხვევაში განსაზღვრეს ქართული ხასიათის სპეციფიკა. ჩვენს მაყურებელს სურს იხილოს მოულოდნელი და განუმეორებელი სანახაობა, რომელიც ძლიერ განსხვავდება ცხოვრებიდან და ხელოვნების სხვა სახეებიდან. თეატრიდან მიიღოს არა მარტო იდეები და ემოციები არამედ ზეიმის შეგრენებაც<sup>149</sup>“.

ბუნებრივია, რომ სპექტაკლის სათამაშო გაფორმების ხერხებმა და პრინციპებმა მიიღო ენერგიული განვითარება, თეატრის წამყვანი მხატვრების ყველა ჟანრში ნამუშევრებში: საბავშვო თეატრის მხიარული კომედიური სპექტაკლებიდან, ტრაგედიაზე დადგმებამდე, რომლებშიც წამოჭრილია ადამიანის ყოფნის ყველაზე გლობალური საკითხები თანამედროვე სამყაროში.

საბავშვო სპექტაკლების სათამაშო სცენოგრაფიის ყველაზე საუკეთესო მაგალითების, რიჯხვში წარმოდგება სპექტაკლები: – ზღაპრები: „საღამურა“ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში და „ჭინჭრაქა“ ქ. მოსკოვის ჯენტრალურ ბავშვთა სახლში. ორივე სპექტაკლს აფორმებდა მხატვარი ნიკოლოზ იგნატოვი.

ა. სულაკაურის სპექტაკლ „საღამურა“-ში<sup>150</sup> მხატვარ ნ. იგნატოვის მხატვრული გაფორმების პრინციპი ნაპოვნი იყო უკვე ესკიზების პირველ ვარიანტში. ფერადოვანი უკანა დეკორაცია, რომელიც მოქმედების პარალელურად იცვლება, გარშემორტყმუ-

---

<sup>149</sup> რ. სტურუა, ავტობიოგრაფიული თეატრალურ ინტერვიუში – თანამედროვე დრამატურგია, 1983 №4, გვ. 252.

ლია ორნამენტულად გადაწყვეტილი ჩარჩოთი, შემდგარი ზედა სარტყელისა და გვერდითი კულისებისაგან. (ილ. 20). ქვევით ამ ჩარჩოს მინდორი იქმნება თავისებური თეატრალური ღობეებით, მაყურებლის დარბაზის მხარეს სათამაშო მატარებლის ღია ვაგონების სახით, რომელიც დამაგრებულია სჯენის მოძრავ წრეზე. პიესის მსვლელობის პარალელურად შემოკავენები ერთ-მანეთს ენაცვლება: ერთ-ერთ მათგანში წარმოდგენილია პრინცესას საყინებელი, მეორეში – გედების პარკი და ა.შ. მხიარული, ირონიული მანერა, რომელშიც შესრულებულია ეს შემოკავენები, პაროდირებს თეატრალური დეკორაციების მოსიარულე შტამპებს. ამრიგად, აქ ჰპოვეს თავისი გამოყენება სათამაშო, საკარნავალო თეატრის ხერხებმა.

მუდმივი შემოღობვისაგან განსხვავებით, სპექტაკლში ფერწერული უკანა დეკორაციები იცვლება მოქმედების მსვლელობასთან ერთად, ამ დროს თითოეულ მათგანში იგივე მხიარული და ირონიული მანერით ხდება იმ მოვლენების კომენტარის მოწოდება, რომლებიც ვითარდება სჯენაზე. სჯენური მოქმედების დაპირისპირება და მისი მიამიტური-გამომგონებლური ინტერპრეტაცია სპექტაკლს ანიჭებს განსაკუთრებულ ბრწყინვალებას, სცენოგრაფიის ხერხებით ასხივებს ზღაპრის ქარაგმის ფარულ აზრს. სპექტაკლის ბოლოს მხატვრის გონებამახვილური გამოგონება სცენურ წრეზე ვაგონებით - შემოკავენებით იყენდა კიდევ ერთ მოულოდნელ მახვილს: მსახიობები მაყურებლის დარბაზიდან სცენაზე ბავშვებს იწვევენ, ათავსებდნენ მათ „ვაგონებში“ და ისინი აღტაცებულნი ატარებდნენ დროს. ამ სათამაშო ვაგონ კარუსელებში. ამგვარად, მხიარული, ფერადოვანი სპექტაკლი-სანახაობა ბუნებრივად გადაიზრდებოდა საერთო საბავშვო დღესასწაულში.

სპექტაკლის გაფორმებაში იგნატოვის მიერ გამოყენებული ზღაპრის ფერადოვანი, მომხიბვლავი შემეცნებითი სამყარო, სათავეს იღებს, რა თქმა უნდა, ქართული ხალხური პოეზიიდან.

დეკორაციები გამსჭვალულია ნაციონალური ფოლკლორის სუ-  
ლით.

მაგრამ, ყველაზე სახესე და ნათლად ქართული პოეზიის  
მხატვრული სახეები, ხალხური კარნავალის მხქეფარე სტიქია  
იგნატოვთან ხორცს ისხამს – ზ. ფალიაშვილის სახელობის  
თბილისის ოპერისა და ბალეტის ქორეოგრაფიული სპექტაკლის  
„ბერიკაობის“ გაფორმებაში.

სპექტაკლ „ბერიკაობი“-ს სცენოგრაფიის დეტალური ანა-  
ლიზის გარეშე აღენიშნავთ, მხოლოდ ფანტაზიას და  
გამოგონებას, რომელიც თავს იჩენს მხატვრის მიერ მასობრივი  
სცენების, ბალეტის სოლისტების კოსტიუმების ესკიზების, დამუ-  
შავების დროს. ყველაზე ტრადიციული ფიგურების: მეომრების,  
ქალიშვილების და ვაკხანკების გვერდით, აქ შეიძლება შევხვ-  
დეთ არაჩვეულებრივ კოსტიუმებს – ნიღბებს, მაგალითად: მეომ-  
რების, რომლებიც სიმბოლიზირებენ ციხესიმაგრეს, ან ტაძრის  
ან მიწის უხვი ნაყოფიერების ალეგორიული განსახიერებისა.

„ბერიკაობის“ მხატვრულ გაფორმებაში მთელი დეკორატიუ-  
ლი სიუხვით გადმოიფრქვა ხალხური საკარნავალო სტიქია ქარ-  
თული დღესაწაულისა, რომელიც თავის ფუძით დაკავშირე-  
ბულია უძველეს წარმართულ დროსთან.

ბერიკაობა ნიღბების დღესასწაულია. ბერიკაობა არის  
იმპროვიზაცია, თამაში. ბერიკაობის დღესასწაულზე ახალგაზრ-  
და ყმაწვილთა გროვა წარმოუდგენელ ნიღბებში (ნიღაბი – ხე,  
ნიღაბი – ხარი, ნიღაბი – ჩიტი, ნიღაბი – სახლი, ნიღაბი –  
ბედის განსაჯდელის და ა.შ.) სახლიდან სახლში დადიოდა და  
იქ სადაც ჩერდებოდა ერთ წრედ შეკრული ჩადდებოდა თვატრი.  
ნიღაბი კვახისაგან, თიხისაგან, ნაჭრებისაგან, არაფრისაგან. ნი-  
ღაბი ყველაზე უძველესია, რაც ჩვენთვის ცნობილია კულ-  
ტურაში.

ბერიკაობა ქართველი სცენოგრაფისტების სისხლშია. ის  
აღვიძებს ფანტაზიას. ის გამოიყენება თანამედროვე სცენოგრა-

ფიაში, მაგრამ გასაოცარია, თუ როგორი განსხვავებული ხერხებით იყენებენ მხატვრები ნიღბით თამაშს!

ამრიგად, გალექსი-მესხიშვილი ნიღბით ამძაფრებს ტიპაჟს (პერსონაჟები „კავკასიური ცარჯის წრის“) და იწვევს ასოციაციურ მხატვრულ სახეებს, ხოლო მხატვარი მ. შველიძე ლირის გამოფხიზლების სცენაში აცმევს რა დომინოს ნიღბს, სათვალის ნიღბს, ქალიშვილების, მათი ქმრების, მოსამსახურეების მეომრების სახეებზე ტრაგედიაში ქმნის მებრძოლი, ორი განსხვავებული ძალების დაპირისპირების ეფექტს. მეფე ფხიზლდება, სხვანი კი თითქოს ბრმაგდებიან და ყოველივე ეს ერთდროულად გვზარავს და გვაშინებს. თითქოს „ლამის წყვდიადის“ დურბინდი მიმართულია ლირისკენ და მაყურებლისკენ. ცალკეული პერსონაჟი უსახურდებიან, შავი ნიღბებით ერთიანდებიან ერთიან ბოროტების განმასახიერებელ ძალად და ეს კლასიკურ ნაწარმოებშია. მერე რა ნიღაბი, ხომ ყოველთვის თეატრის საკუთრება იყო.

ამრიგად, ფოლკლორში მუდამ ცოცხალი სპექტაკლის გაფორმების სანიღბო კოსტუმის პრინციპი აღებულია და დამუშავებულია თანამედროვე ქართული თეატრის, კერძოდ შოთა რუსთაველის თეატრის მხატვრების მიერ.

ცნობილია, რომ ბერიკაობას ახასიათებს თამაშში რიტმის ცვლა. ასევე რუსთაველებსაც ცალკეული სცენები, როცა ყველა მსახიობი ქვავდება დამანჯული სახეებით, მაშინ ნიღბები იყენენ დამატებით, გამომსახველობას, უკიდურესად მყაფრდებიან, აჩერებ მაყურებლის ყურადღებას და არა მხოლოდ ნიღბები, არამედ კოსტიუმებიც იყენენ უფრო მეტ მნიშვნელოვან სიმძაფრეს სილუეტსა და ხაზში სახვითი ხერხების საშუალებით ავლენენ რა ფსიქოლოგიური დრამის სათუთ მხარეებს. დეკორაციის ელემენტებიც – პერსონაჟები მათთან ახლოს არიან ერთიან კომპოზიციურ რიტმშია განთავსებული მხატვრის მიერ. „სდუმან“, ამგვარად უფრო აქტიურად „თამაშობენ“ თავის როლს.



მხატვრის მიერ მკვეთრად იჯცვლება სპექტაკლის ფერითა და შუქით გათორმება, რომელიც ხდება საცეკვაო ჩართვების საშუალებით მუსიკის თანხლებით, ან სათუთი ვიოლინოთი ან ხმაურიანი ჯაზით მიუზიკლის მსგავსად (კაგაკასიური ცარცის წრე“, „რინარდ SSS“, „მეფე ლირი“ და ა.შ.)

ასე მაგალითად. „მეფე ლირში“ სცენაზე უცებ ქრება შუქი, მაგრამ უკანა დეკორაცია უცებ წითლად ნათდება. წითელ ფონზე ფიგურები ხდება სილუეტური, თითქმის შავი. ისინი ჯაზის მუსიკის თანხლების ქვეშ აქტიურად და მხნედ ცეკვავენ, თუმცა აქამდე მშვიდად თამაშობდნენ თითქოს დიდი ხნით შეკავებულმა ვნებამ აღტაცებით არ სპექტაკლის მიზანსცენების იდეებით გამოაღწია რა გარეთ და სისხლისფერი ყათით მჩქეფარე ნიშნით აღინიშნა საკუთარი თავი. აქ მუსიკა, ჯეკვა და ფერი მოქმედებენ და ერთდროულად მაყურებელს ტვირთავენ ემოციურად. პარალელურად ამ მიზანსცენაში ამზადებენ მომდევნოსთვის, მეორე სცენაში, ხომ ფიგურები სხვაგვარად იქნებიან განლაგებულნი, ასევე სხვა განათება იქნება, როგორც წესი კონტრასტული იმისა, რაც იყო პაუზაში.

ჭეშმარიტად ქართული ფოლკლორის ტრადიციები პოულობენ განსახიერებას თეატრის თანამედროვე სცენოგრაფიაში. სამყაროს პორტრეტი, შექმნილი თეატრის მიერ ინახავს საკუთარ თავში ხალხური ხელოვნებისთვის დამახასიათებელ თვისებებს: მის ხერხებს, სამყაროს თავისებურ შეგრძნებას, ხალხური ტრადიციებისადმი სიყვარულს, გულწრფელობას, უშუალობას.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში მხატვარი და რეჟისორი თანასწორია. მათი ურთიერთობა ეს არის თამაშისა და დეკორაციის ურთიერთდამოკიდებულება. დეკორაციისა, რომელიც ისეთივე მონაწილე სპექტაკლის, როგორც ავტორი, რეჟისორი და მსახიობი.

**კულტურის ისტორიისა და თეორიის ზოგიერთი  
საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში**

XX ს-ის შუა ხანებში უცხოეთის ბევრ ქვეყანაში დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებად ჩამოყალიბდა კულტუროლოგია კულტურის ისტორია და თეორია. სამეცნიერო ლიტერატურაში სიტყვა „კულტუროლოგია“ პირველად 1913 წელს შემოიტანა გერმანელმა ქიმიკოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ვილჰელმ ოსტვალდმა. მან „კულტუროლოგიას“ უწოდა „მეცნიერება ცივილიზაციის შესახებ“.

კულტუროლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის მიმართ უცხოეთში, ასევე საქართველოშიც, დღემდე არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი მკვლევარი კულტუროლოგიას უკვე ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებად მიიჩნევს, არსებობს მოსაზრება, რომ „კულტუროლოგია იმყოფება ფორმირების პროცესში და ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობს.“ (ღებანიძე, 2004: 2-15).

მიუხედავად აზრთასხვადასხვაობისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კულტუროლოგიამ უკვე დაიმკვიდრა ადგილი, როგორც ახალმა სამეცნიერო დისციპლინამ. ამის აღიარების საფუძველს გვაძლევს თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო მასშტაბით კულტუროლოგიურ კვლევაში მიღწეული შედეგები.

კულტუროლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, არ აღიარებს ერთი რომელიმე მონათესავე დარგის პრიორიტეტს ან მემკვიდრეობას. მართალია, დღემდე განსჯისა და კამათის საგანია კულტუროლოგიის რაობა, შესწავლის ობიექტის, მეთოდის, სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის მისი ადგილის საკითხები, მაგრამ იგი მაინც მიჩნეულია საზოგადოებათმცოდნეობის ცალკე დარგად, რომელიც შეიქმნა ისტორიის, არ-

ქეოლოგიის, ეთნოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის მიღ-  
წვევით სინთეზის საფუძველზე (კულტუროლოგია, 2003: 1-3).

კულტუროლოგია აღიარებით, ეს დისციპლინა შეისწავლის ისეთ ფენომენს, როგორცაა ადამიანის მიერ შექმნილი სული-  
ერი და ნივთიერი ღირებულებების ერთიანობა. კულტუროლო-  
გიის კვლევის ობიექტია კულტურებისა და მსოფლიო ცივი-  
ლიზაციების განვითარების პროცესები, (ავალიანი, 1997) თავად  
„კულტურის“ და „ცივილიზაციის“ ცნებათა ურთიერ-  
თმიმართების საკითხები (ავალიანი, გვალია, 1997) და სხვ.

ამ ახალი დისციპლინის მიმართ საქართველოში ინტერესი  
დღითიდღე იზრდება. კულტუროლოგია, ანუ, როგორც ხშირად  
უწოდებენ, კულტურის ისტორია და თეორია, ამჟამად ყველა  
წამყვან უმაღლეს სასწავლებელში იკითხება. საქართველოს  
შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა კულტუროლოგიის სპეციალობა,  
რომელიც მოამზადებს ამ დარგის სპეციალისტებს. მთელ რიგ  
უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს კულტუროლოგიის  
დეპარტამენტი, სადაც, საგანმანათლებლო პროგრამების  
მომზადებასთან ერთად, მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი  
ძიებანი.

გამოიცა სახელმძღვანელოები კულტუროლოგიაში (კულტუ-  
როლოგია, 2003; ვაშაყმაძე, კულტუროლოგია. 2003; ყულიჯანიშვი-  
ლი, კულტუროლოგია, 2001). საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, თბილისის ივანე ჯავახი-  
შვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის  
ისტორიისა და თეორიის კათედრა და სხვა სამეცნიერო ცენტ-  
რები საგანგებოდ იკვლევენ კულტურის ფილოსოფიის რიგ  
პრობლემებს. გამოქვეყნდა საყურადღებო მონოგრაფიები და  
ნაშრომები კულტურის ისტორიისა და თეორიაში. საგანგებოდ  
გვინდა აღვნიშნოთ ქართული კულტურის ისტორიაში მიღწეუ-  
ლი შედეგების შესახებ. დღეისათვის მაღალმეცნიერულ დონე-  
ზეა აყვანილი კულტურის ცალკეული დარგების (ზოგიერთი

დარგის გამოკლებით) კვლევა. თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ლიტერატურის, ფილოსოფიის, ხელოვნების დარგების შესწავლაში. საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულში არის მცდელობა კულტურის ისტორიის პერიოდიზაციის და ანალიზის. პროფესორმა ა. სურგულაძემ კი მიზნად დაისახა ნაწილობრივ ამ ხარვეზის შევსებაც (სურგულაძე, 1989). ყოველივე ეს ქმნის საფუძველს ქართული კულტურის ისტორიის, როგორც ერთიანი და უწყვეტი კულტურულ-ისტორიული პროცესის სისტემური ანალიზისათვის.

ერთი სიტყვით, საქართველოში, არც ისე ცოტა რამ გაკეთდა კულტუროლოგიური კვლევა-ძიების ტრადიციის დასამკვიდრებლად. მიუხედავად ამისა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში, ჯერჯერობით, არათუ ქართული კულტურის თეორიაში, კულტურის ისტორიაში არ გაგვანია ფუნდამენტური, მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც დასაბამიდან დღემდე ერთიანად, ყოველმხრივ იქნებოდა გააზრებული სულიერი და ნივთიერი კულტურის მიღწევები, ზოგადად ქართული კულტურის ფენომენის რაობა და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

ვიდრე ქართული კულტურის ისტორია და თეორია ერთიანად იქნებოდეს გააზრებული, მანამ სულ „ცოტა“ უნდა შეიქმნას გამოკვლევათა მრავალტომეული ქართული კულტურის ისტორიაში. ვეჭვობ, ამ საქმის გადაწყვეტა უახლოეს პერიოდში იყოს შესაძლებელი, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ, ჯერჯერობით, ცალკეული დარგების სრული ისტორიაც კი არ გაგვანია (ბაქრაძე, კინო, თეატრი. 1989:7-97). აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია, ჯერ ერთი, დაიწეროს კულტურის სრული ისტორია, მეორეც გააზრებული იქნას კულტურის თეორიის არსი.

ეს უადრესად რთული საქმეა. ამ სირთულეს ისიც ქმნის, რომ სპეციალისტთა შორის დავის საგანს წარმოადგენს, ვისი

პრეროგატივა კულტურის ისტორიისა და თეორიის კვლევა. ალბათ, სწორედ კვლევის ობიექტის სირთულე და მრავალფეროვნება, აგრეთვე, ჩვენში კულტუროლოგიური კვლევის ტრადიციის არარსებობა განაპირობებს სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამ მეცნიერებისადმი. ერთნი მის „დასაკუთრებას“ და ერთი რომელიმე მეცნიერების (მაგალითად, ფილისოფიის) ფარგლებში მოქცევას ცდილობენ. მეორენი, საერთოდ, უარყოფენ კულტუროლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, არსებობის ფაქტსაც და საჭიროებასაც (კულტუროლოგია, 2003:18).

წამყვან როლს კულტურის ისტორიის (და არა დარგობრივი ისტორიების) კვლევაში, პროფესორი აკ. სურგულაძე ისტორიკოსებს (და სამართლიანადაც, ე.მ.) აკისრებდა, რადგან ეს სამეცნიერო დისციპლინა მისი მრავალწახნაგოვნების მიუხედავად, განუყოფელი ორგანული ნაწილია საერთო ისტორიული პროცესისა (სურგულაძე, 1989:14). კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ პრობლემა მრავალგანზომილებიანია. ამიტომ კულტუროლოგიის და არა კულტურის ისტორიის კვლევისას უპირატესობის მინიჭება მეცნიერების ამა თუ იმ დარგისათვის, არასერიოზულად მიგვაჩნია. კულტუროლოგიის კვლევა კომპლექსურად უნდა წარიმართოს.

ბოლო პერიოდში კულტუროლოგიურ კვლევაში ნაყოფიერ შრომას ეწევა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, პროფესორ გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. გარდა იმისა, რომ კულტურისა და ცივილიზაციის საკითხებზე წიგნებად გამოიცა ცალკეულ ავტორთა საყურადღებო ნაშრომები, კათედრის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კულტუროლოგიის სახელმძღვანელოს შესადგენად და გამოსაცემად (კულტუროლოგია, 2003). უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელმძღვანელო ქართულ ენაზე დაწერილი კულტუროლოგიის (კულტურის ისტორიისა და თეორიის) პირველი ორიგინალური წიგნია (ნაწილი I). მასში განხილულია კულტურისა და ცივილიზაციის რაობა; კულ-

ტურის სტრუქტურა და ფუნქციები; კულტურათა ისტორიული ტიპოლოგია; კულტუროლოგიური სკოლები და კონცეფციები; მსოფლიო კულტურის ისტორიის ეტაპები, დაწესებული პრეისტორიული ხანიდან ძველადმოსავლური ცივილიზაციებითა და აღორძინება-რეფორმაციის ხანით დამთავრებული. კათედრის წევრები გამოსაცემად ამზადებენ სახელმძღვანელოს II ნაწილს.

როგორც ვხედავთ, ავტორებმა პედაგოგებს, სტუდენტებსა და კულტუროლოგიის თემით დაინტერესებულ საზოგადოებას მიაწოდეს სრულყოფილი სახელმძღვანელო. (ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2003 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „კულტუროლოგია“. ავტორი ნ. ვაშაყმაძე. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი, ძირითადად, იგივე სქემას ეყრდნობა, მიგვაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოს უფრო მეტი აკადემიურობა და სრულყოფილება ეტყობა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან უკანასკნელი შედგენილია არა ერთი, არამედ ავტორთა ჯგუფის მიერ).

ასეთი წარმატებული შედეგის მიუხედავად, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოების შესახებ. მართალია, სახელმძღვანელოს ავტორები ცდილობენ მსოფლიო კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი განიხილონ ქართული კულტურის ისტორიიდან რამდენიმე მაგალითის მითითებით (გვ. 164, 186, 192, 244, 298, 312, 318, 338, 363, 366, 399), მაგრამ, მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი და დამაჯერებელი.

სასურველი იყო, სახელმძღვანელოს ავტორებს ცალკე თავი მიეძღვნათ ქართული კულტურის ფენომენის თეორიული ასპექტების ანალიზისათვის, ან სულ მცირე, შესაბამის პარაგრაფებში უფრო მეტი ადგილი დაეთმოთ, ვიდრე ეს წინამდებარე სახელმძღვანელოშია ასახული. ამის გაკეთება იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ მკითხველის თვალში ქართული კულტურა არ დარჩენილიყო მსოფლიო კულტურული პროცესებისაგან იზოლირებული.

სახელმძღვანელოს ავტორებმა კარგად იციან, რომ მთელ წინააზიურ სამყაროში საქართველო და ამიერკავკასია, მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურის პერიოდში, სამიწათმოქმედო ცივილიზაციის ერთ-ერთ დაწინაურებულ და მადღაგანვითარებულ კერას წარმოადგენდა. იგი ტოლს არ უდებდა მეზობელი ტომების არცერთ სინქრონულ კულტურას. ამავე დროს, დღეს მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს კონცეფცია (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი) ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ფუძე-ენების ქრონოლოგიური თანახვდომისა და კავშირურთიერთობის შესახებ. ამ კონცეფციის ავტორთა აზრით, ინდოევროპულ ენას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა სამხრეთით სემიტურთან, ჩრდილოეთით – ქართველურთან (სურგელაძე, 1989:26). გარდა უბრალო კონტაქტებისა, ეს პროცესები უფრო შორსაც მიდიოდა და ამ ენების მატარებელი ტომები თავიანთი კულტურით ურთიერთგავლენასაც განიცდიდნენ.

სახელმძღვანელოს ავტორებს გვერდი არ უნდა აეგლოთ ამ საკითხისათვის, მითუმეტეს, რომ ინდოევროპული ენის რეკონსტრუირებული მოდელის დადგენით მეცნიერებმა (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი) მოგვცეს ინდოევროპელთა პირველადი ადგილსამყოფელის წინააზიური ლოკალიზაცია: ივარაუდება, რომ ინდოევროპელნი სახლობდნენ ამიერკავკასიის სამხრეთით მესოპოტამიამდე, ხოლო შემდეგ მიმდინარეობს მათი თანდათანობითი განვრცობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით.

აკადემიკოს თ. გამყრელიძის მტკიცებით „ქართველური სამყარო, საერთო-ქართველური ენა თანადროული იყო ინდოევროპულისა, ე.ი. გავრცელებული იყო ინდოევროპულის მახლობლად IV-III ათასწლეულებში ძველი წელთაღრიცხვით“, რომ „ინდოევროპელები ქართველები“ და სემიტები იყვნენ (გამყრელიძე, 1986:49-51).

ქართველმა ანთროპოლოგებმა მოძიებული მასალის საფუძველზე შეიმუშავეს კონცეფცია იმის თაობაზე, რომ სამხრეთევროპული რასის პირველსამშობლო მცირე აზიის ტერიტორიაა.

ანთროპოლოგიური მასალა საფუძველს უმაგრებს თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის კონცეფციას ინდოევროპული ხალხის ეთნოგენეზზე. ამ არეალში იგულისხმება ის ეთნიკური ჯგუფი, რომლებმაც მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურა შექმნეს (სურგულაძე, 1989:39).

არაფერს ვამბობთ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში (ს. ჯანაშია, რ. გორდეზიანი, ზ. გამსახურდია, ზ. ქაფიანიძე, თ. მიბზუანი, ვ. ჰუმბოლტი და სხვ.) დამკვიდრებულ მოსაზრებებზე ქართულ-შუმერული და პალეოკავკასიურ (პროტო-იბერიულ) – წინა აზია – ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურების საერთოწარმომავლობისა და ნათესაობის შესახებ. ასეთივე სურვილი გვაქვს არამხოლოდ დასახელებული თემების, არამედ საქართველოს კულტურის ისტორიის მომდევნო პერიოდების მიმართაც. ეს არ არის მხოლოდ ეროვნული თავმოყვარეობის ან პატივმოყვარეობის საგანი, გარდა ამისა, ეს საკუთარი წარსულის უკეთ გაცნობიერების და საერთო-საკაცობრიო კულტურაში ჩვენი ადგილის და როლის წარმოჩენის საგანიცაა.

ვინაიდან წინამდებარე სახელმძღვანელო, ძირითადად, გამიზნულია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, ამდენად, მსოფლიო ცივილიზაციებისა და კულტურების განხილვა შესაბამისი ეპოქის ქართული კულტურისაგან იზოლირებულად, არ მიგვაჩნია გამართლებულად. ამ საკითხის ერთი ან ორი წინადადებით მოხსენიება არაფერს ეუბნება მათ, ვინც სახელმძღვანელოს ეყრდნობა. კარგად გვესმის ისიც, რომ სტუდენტები ამ საკითხებს საფუძველიანად სწავლობენ საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და სხვა დისციპლინების გაეღისას, მაგრამ აქ მხედველობაში გვყავს იმ არასპეციალობის სტუდენტები, რომლებმაც შესაძლოა საერთოდ არ გაიარონ დასახელებული დისციპლინების კურსები და მხოლოდ „კულტუროლოგია“ აირჩიონ, როგორც არჩევითი საგანი.



ამ მხრივ, სასიამოვნო გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი ქართველი კულტუროლოგის ა. ყულიჯანიშვილის სახელმძღვანელო „კულტუროლოგია“ (თბ., 2001). გარდა იმისა, რომ ავტორი ძირითადი კულტუროლოგიური თეორიების საფუძვლიან ანალიზს გვთავაზობს, ამავე დროს სახელმძღვანელოში ქართულ კულტურას ცალკე თავი ეთმობა.

ავტორი ასევე სამართლიანად მიუთითებს იმ მიზეზებზე, რის გამოც ქართული კულტურა არ მოექცა კულტურის პრობლემებით დაინტერესებულ უცხოელ მკვლევართა ინტერესების სფეროში. „რაც შეეხება ამ მხრივ ქართული აკადემიური წრეების ინტერესს, ის ძირითადად შემოიფარგლება ქართული კულტურის ისტორიოგრაფიული კვლევით, ჩვენშიც არ განხორციელებულა მისი კულტუროლოგიური ანალიზი. ჩვენს ამუამინდელ განზრახვას შეიძლება ვუწოდოთ ქართული კულტურის ისტორიის, როგორც მთელის გააზრების მცდელობა“, – დაასკენის ავტორი (ყულიჯანიშვილი, 2001:226).

ბოლო პერიოდში კულტუროლოგიის თემაზე გამოქვეყნებულ ზოგიერთ ნაშრომში შეინიშნება ერთი ტენდენცია: ისინი ძველი ცივილიზაციებისა და კულტურების შესწავლით დაინტერესებულნი არიან (რაც მისასაღმებელია), საინტერესო დაკვირვებებსაც გვთავაზობენ, მაგრამ მათ ნაშრომებში ვერ მოიძებნა ადგილი პარალელურად ქართული კულტურის ისტორიიდან მაგალითების მოსაყვანად.

ნაწილობრივ ეს ხარვეზები თითქოს გათვალისწინებულია ე. ავალიანისა და ტ. გვალიას საინტერესო წიგნში „კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა ინტერპრეტაციის საკითხისათვის“. ავტორებმა მათ ნაშრომში გამოძებნეს ადგილი „ვეფხისტყაოსნისათვის“, როგორც ქართული კულტურის მხატვრული აზროვნების ნიმუშის, წმინდა ქართული მოვლენის მიმართ. რამდენადაც სასიამოვნოა ამის აღნიშვნა, მით უფრო გერჩება უკმარისობის გრძნობა. მართალია, „ეს ნაწარმოები წარმოადგენს ქართული კულტურის სულიერი პლასტის მხატვრულ ხორც-

შესხმას” (ავალიანი, გვალია, 1997:17), მაგრამ თავად „ვეფხისტყაოსანი” არის გვირგვინი იმ მემკვიდრეობის, რომელიც სათავეს იღებს ანტიკური პერიოდის ქართულ ისტორიულ და მითოლოგიურ სამყაროში. ადრევეოდალური ხანის ქართული ფილოსოფიური სკოლა (ფაზისის აკადემია, პეტრე იბერი და სხვ.) სომ ამის დიდებული მაგალითია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული კულტუროლოგიის თემას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ტ. გვალიამ (გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1991). ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი გლობალური პრობლემაა. აღნიშნულ ნაშრომში სწორედ გეოგრაფიული ფაქტორისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების სხვადასხვა საკითხია განხილული. მისი სიახლე ისიცაა, რომ გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად ახლებური აზრობრივი მნიშვნელობითაა დასმული ტერმინი „გეოგრაფიული ფაქტორი“. ავტორმა ამ ნაშრომით მიზნად დაისახა ქართული სინამდვილიდან აღებული მასალების საფუძველზე ეხევენებინა გეოგრაფიული ფაქტორის როლის ზოგიერთი მომენტი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში (გვალია, 1999:3).

ქართული კულტურის თეორიისა და ისტორიის კვლევაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავენ რევაზ სირაძის მონოგრაფია „ქართული კულტურის საფუძვლები“. ნაშრომში განხილულია ქართული კულტურის ფესვები, უპირველესად, ბიბლიურ-ქრისტიანული წინამძღვრები. ასევე გათვალისწინებულია მითოსური და აღმოსავლური (სპარსული) საფუძვლებიც. ავტორს „კულტურა“ გააზრებული აქვს ვითარცა პიროვნებათა შინაგანი რაობა, მათი სულიერი „განწყობა“, რომლითაც განისაზღვრება მოვლენათა და საგანთა სულიერი ღირებულება.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართული რენესანსული კულტურის პრობლემებს, ქართული კულ-

ტურისა და ენობრივი მსოფლმხედველობის, ისტორიის ესთეტიკისა და კულტუროლოგიის ურთიერთმიმართების საკითხებს.

ქართული ცივილიზაციის წარმოშობის პირობებსა და მისი განვითარების კანონზომიერებებს რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა ოთარ ლორთქიფანიძემ. მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაშრომი „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“ საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში საფუძვლიანად და დამაჯერებლად არის განხილული ქართული ცივილიზაციის რაობა და მისი გავლენა სხვა ქვეყნის კულტურაზე, ნაშრომი ასევე პასუხობს იმ სკეპტიკოსებსა და ქართული კულტურის კრიტიკოსებს, რომლებიც ეჭვის ქვეშ აყენებენ ქართული კულტურის თვითყოფადობას და საერთოდ გამორიცხავენ ქართული ცივილიზაციის არსებობას. ავტორი აგრეთვე მნიშვნელოვან მოსაზრებებს გვთავაზობს კულტურის თეორიაში.

ქართული კულტუროლოგიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია ჯანრი კაშიას მონოგრაფია „უბისი“. რენესანსი „ურენესანსოდ“. ავტორი რენესანსის საფუძველს ქრისტიანულ ცივილიზაციის კათოლიკურ - რომაულ ფორმაში ხედავს. იგი ამავე დროს საფუძვლიანად გამორიცხავს ბერძნულის და, მით უმეტეს ბიზანტიურის, რამენაირ აღორძინებას იტალიურ რენესანსში.

მეცნიერის დაკვირვებით, რენესანსი (იტალიური და ევროპული გაგებით) არ შეხება ქრისტიანული ცივილიზაციის მეორე მართლმადიდებლურ სუბკონტინენტს. „აღმოსავლური“, „იტალიური“, „ქართული“ თუ სხვა რენესანსების აღმოჩენა არის ხელოვნური და აკვიატებული ევროცენტრისტულობის მაჩვენებელი (კაშია, 2004: 76-77).

ნაშრომში არის მცდელობა იმ მიზეზების ასახსნელად, თუ რატომ „ვიდოდა დრო სხვადასხვა სინქარით საქართველოსა და ევროპისათვის“ და არ დაემთხვა ურთიერთს „ქართული აღორ-

ძინების და იტალიური (ევროპული) რენესანსის გზები” (კაშია 2004: 80).

ავტორი ასევე საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ქართული კულტურის ტიპოლოგიის და ისტორიოგრაფიის სხვა საკითხებზე.

ამ თემის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ე. ხეჩიას ნაშრომი „ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია” (თბ., 2004). წიგნი ეძღვნება ქართველი ერის იდენტიფიკაციის პრობლემას. ავტორი ავითარებს და ეყრდნობა დ. უზნაძის განწყობის თეორიას ერის და ცივილიზაციის კატეგორიების დეფინიციისათვის და, აგრეთვე, იძლევა ანალიზს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ქართველი ერის ადგილის შესახებ. ნაშრომს გვერდს ვერ აუვლიან ქართული კულტურის თეორიის მკვლევარები.

რაც შეეხება გ. მჭედლიშვილის ნაშრომს „ქართული კულტურის პარადიგმა” (თბ., 2004) რუსთაველის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გარკვევით ახსნილია ჩვენი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოებაში პოემისადმი დამოკიდებულების საკითხები და შესაბამისად ნაჩვენებია ქართული კულტურის განვითარების დონე ქვეყნის ისტორიის ცალკეულ პერიოდებში.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული კულტუროლოგიის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრას. უკვე რამდენიმე წელია კათედრის წევრები გამოსცემენ ნაშრომების კრებულს „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები”. აქ გამოქვეყნებული ნაშრომების დიდი ნაწილი შეიძლება საფუძვლად დაედოს ქართული კულტუროლოგიის ქრესტომატიას.

ცხადია, წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელია ყველა პუბლიკაციის მიმოხილვა (ამისათვის ბოდიშს მოვუხდით ავტორებს), მაგრამ ზოგიერთ მათგანზე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გაგვემახვილებინა ყურადღება. ცივილიზაციათა ურთიერთობა

მომავალი მსოფლიოს სახის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი შეძლება გახდეს, ცივილიზაციური რაობის საკითხის გარკვევამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა იმ ქვეყნებისა და ხალხებისათვის, რომლებიც მკაფიოდ არ არიან ინტეგრირებული ამა თუ იმ ცივილიზაციურ ერთობაში. ამ თემას ეძღვნება ნ. ჩიქოვანის საინტერესო ნაშრომი „კავკასიის, როგორც ერთიანი კულტურული სივრცის, საკითხისათვის“ (კრებული „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, XI, 2002). მასვე ეკუთვნის დამხმარე სახელმძღვანელო ჰუმანიტარული პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისათვის (ქართული კულტურის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1993; ნაწილი II, თბ., 1993). ნ. ჩიქოვანმა გ. ლორთქიფანიძესთან ერთად 1997 წ. გამოსცა ახალი სახელმძღვანელო „ქართული კულტურის ისტორია“ (უძველესი დროიდან XIX ს. I ნახევრის ბოლომდე). ქართული კულტურის თეორიის საკითხებს ეხება ნ. ჩიქოვანის ნაშრომები, რომლებიც პერიოდულად იბეჭდება კრებულში „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“.

ქართული კულტუროლოგიის სხვადასხვა საკითხია განხილული ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ შემდეგ ავტორთა ნაშრომებში: ნ. აბაშიძის „ტრადიციული კულტურა თანამედროვე საქართველოში“ (თბ., 2004); ი. აფაქიძის „კულტურული შოკი: მისი წარმოქმნა და აცილების ხერხები“ (კრებული „ცივილიზაციური დიებანი“, № 2, 2004); ი. ბახტაძის „გლობალიზაცია და ქართული კულტურის ალტერნატივები“ (პოლიტოლოგიის ინსტიტუტის „წელიწდეული“, 2003); გ. გაჩეჩილაძის „ქართული კულტურა გლობალიზაციის კონტექსტში“ (კრებული „კრიტიკურიუმი“, № 13, 2005); ნ. გეგეშიძის „ქართული კულტურული სამყარო“ (კრებული „ეთნოგრაფიული მოგზაურობა საქართველოში“, 2003); გ. გვასალიას „რა არის დღეს ქართული კულტურა“ (თბ., 2000); თ. კაკიტელაშვილის „ტრადიციული და ინოვაციური კულტურები და ქართული კულტურა“ (კრებული „შავიზღვისპირეთი – ხმელთაშუა ზღვისპირეთი“, 1999); აკ. კენჭოშვი-

ლის „ჩვენ – უძველესი ევროპელები“ (კრებული „კრიტიკიუმი“, №13, 2005); მ. კვატაიას „დასავლეთის იბერთა კულტურული მემკვიდრეობა“ (კრებული „ლიტერატურული ძიებანი“ XX, 1999); ნ. კუპრეიშვილის „ქართული კულტურის ტიპოლოგიისათვის“ (კრებული „კლასიკური და თანამედროვე მწერლობა“, № 8, 2005); გ. მჭედლიშვილის „ქართული ცივილიზაციის იდენტიფიკაციისათვის“ (კრებული „საისტორიო შტუდიები“, III, 2002); თ. ნუცუბიძის „რენესანსი საქართველოში“ (კრებული „საქართველო არის ესე“, წიგნი 8, 2003); ტ. სიხარულიძის „საქართველოს მომავალი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე XXI ს-ში (კრებული „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, XXII, 2005); ნ. ფირცხალაგასა და ნ. ჩიქოვანის „ცივილიზაციათა კონტაქტის პრობლემა და საქართველო“ („ძეგლის მეგობარი“ № 2, 1992); ივ. წერეთლის „ტონის გამოწვევა -პასუხის“ თეორია და საქართველოს კულტურის ისტორიის განვითარების ზოგიერთი პრობლემა“ (კრებული „ცივილიზაციური ძიებანი“, №1, 2003); მისივე „ცივილიზაციათა კონტაქტის პრობლემა და საქართველოს კულტურულ-ისტორიული განვითარების საკითხები“ (კრებული „შავიზღვისპირეთ-ხმელთაშუაზღვისპირეთი“, თბ., 1999); დ. ქერქაძის „ილია ჭავჭავაძე ერის ფენომენის შესახებ. კულტუროლოგიური ცნებების გააზრების ცდა“ (კრებული „კულტურული ლოგიისა და ესთეტიკის საკითხები“, თბ., 2005)

კულტუროლოგიაში მეცნიერული კვლევის მიღწევები საინტერესოდ აქვთ ასახული და მნიშვნელოვან დასკვნებსაც გვთავაზობენ დისერტანტები: ლ. მელიქიშვილი სადოქტორო დისერტაციაში „ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში“ (თბ., 2001, ხელნაწერის უფლებით); ზ. კიკვიძე სადოქტორო დისერტაციაში „ენა კულტურაში და კულტურა ენაში“ (თბ., 2004, ხელნაწერის უფლებით); ლ. სურმანიძე სადოქტორო დისერტაციაში „კულტურის კვლევის პარადიგმულ-თეორიულ და მეთოდოლოგიური ტენდენციები“ (თბ., 2004, ხელნაწერის უფლებით)

კულტუროლოგიის საკითხებზე ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტ-ასპირანტთა რამდენიმე სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია და დისკუსია, დაიბეჭდა კონფერენციაში მონაწილეთა შრომების კრებულები.

ამდენად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კულტურის ისტორიისა და თეორიის კვლევა წარმატებით მიმდინარეობს. მთავარია, ამ მიმართებით მუშაობა ორგანიზებულად წარიმართოს და გავითვალისწინოთ უცხოეთის სამეცნიერო ცენტრების გამოცდილება, ამასთანავე თავისი ადგილი მიეუწინოთ ქართულ კულტურასა და ცივილიზაციას მსოფლიო კულტურის ისტორიის შეფასებისას.

#### **ლიტერატურა:**

1. კულტუროლოგია, გ. ლორთქიფანიძის რედაქციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003
2. ა. ყულიჯანიშვილი, კულტუროლოგია, თბ., 2001
3. გ. ლებანიძე, კულტუროლოგიის საფუძვლები, თბ., 2004
4. ნ. ვაშაყმაძე, კულტუროლოგია, ქუთაისი, 2003
5. ა. სურგულაძე, ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 1989
6. ა. ბაქრაძე, კინო. თეატრი, თბ., 1989
7. ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990
8. ზ. ქაფიანიძე, კაცობრიობის პირველი ანბანი. შუმერულ-ქართული ასომთავრული, კრებული „შუმერი“, თბ., 2002
9. თ. მიბზუანი, შუმერულ-ქართული პარალელები, კრებული „შუმერი“, თბ., 2002
10. თ. გამყრელიძე, ინდოევროპული „წინარე – სამშობლო“ და ქართველურ ენები“, მითითებულია აკ. სურგულაძის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 39
11. რ. სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000

12. ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002
13. ჯ. კაშია, უბისი. რენესანსი „ურენესანსოდ“, პარისი. თბილისი, 2004
14. ე.ხეიჩია, ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია, თბ., 2004
15. გ. მჭედლიშვილი, ქართული კულტურის პარადიგმა, თბ., 2004
16. ტ. გვალია, გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1991
17. ე. ავალიანი, კულტურების სივრცესა და დროში ტრანსფორმაციის ფენომენი (ძველი ცივილიზაციები), თბ., 1997
18. ე. ავალიანი, ტ. გვალია, კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა ინტერპრეტაციის საკითხისათვის, თბ., 1997

## Эрмиле Месхиа

### Культурологические поиски в Грузии

#### Резюме

В середине прошлого века (XX в) культурология сформировалась как независимое направление. В Грузии ежедневно растет интерес к этой дисциплине. Во всех ведущих высших учреждениях читается курс по культурологии. В Грузинском институте театра и кино им. Ш. Руставели открыта специальность культурологии.

Изданы научные труды и учебные пособия по этой дисциплине. Несмотря на это, не только в теории грузинской культурологии, но и в истории культуры не имеем фундаментальные, монографические исследования. Сомневаюсь в разрешении этого вопроса в ближайшем времени, поскольку нет полной истории отдельных частей. Без выше указанного невозможно во-первых, написать полную историю культуры и во-вторых, осмыслить суть теории культуры.



## ანტიკური ხელოვნების ისტორიის არქაიკული ლაიტმოტივები

როგორც ცნობილია, ბერძნული ხელოვნების საწყის თარიღად ძვ. წ. VII ს-ის შუა რიცხვებია მიჩნეული. ბერძნული ხელოვნების სათავეები ბუნდოვანია. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ყველა ადრეულ კულტურაში [ეგვიპტურში, მინოსურსა და მიკენურში] ხელოვნება გამოხატავს ადამიანის უმწეობას ყოველისშემძლე ზემოწიერ ძალთა შესახებ. არქაიკულ ხელოვნებაზე ადრეულ კულტურათა გავლენის კვალი თუმცა აშკარაა,<sup>151</sup> მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურ ასხნაში გვეხმარება და არა თვით ბერძნული ხელოვნების სათავეების იდეური შინაარსის გაგებაში. საქმე იმაშია, რომ არქაიკულ საბერძნეთში განსხვავებული პოზიცია ფიქსირდება ტრანსცენდენტურ ავტორიტეტებთან დამოკიდებულებაში. კერძოდ, მითოსური დმერთი პირქუში ზეციური დემონი კი აღარ არის, არამედ – მიწიერი ადამიანის მსგავსი არსება. ნიშანდობლივია, რომ აზროვნების ასეთმა ახალმა ტიპმა სულ უფრო მეტად გამოკვეთა ბერძნულ ხასიათში სწრაფვა პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისკენ.<sup>152</sup> ეს უკანასკნელი არქაიკულმა ხელოვნებამ, იმთავითვე, სათანადო დონეზე გამოსახა მხატვრულად, ანუ უძველესმა ბერძნულმა კულტურამ საკუთარი თავის შესახებ თავადვე შემოგვინახა თვალსაჩინო ინფორმაცია მატერიალური კულტურის ძეგლთა სახით.

აღსანიშნავია, რომ ანტიკური საბერძნეთის ისტორიის ძირითადი არქაიკული მოტივები წარმოდგენილია დიდსივრცული

---

<sup>151</sup> Акимова Л., Искусство Древней Греции: Геометрика, архаика, М., 2007, с. 45-49.

<sup>152</sup> რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვეთი I, თბ., 1988, გვ. 108-167.

არქიტექტურის, მონუმენტური პლასტიკისა და ფიგურატიული მხატვრობის სახით.

არქაიკული ხელოვნების თვითმყოფადობა ყველაზე კომპლექსურად არქიტექტურაში გამოვლინდა. პოლისმა თავისი სოციალური სტრუქტურით მოითხოვდა განსხვავებული არქიტექტურა ახალი ფუნქციური გარკვეულობით.<sup>153</sup> საქმე ისაა, რომ პოლისში აღარც “ღმერთის აღზრდილი მეფეები” იყვნენ და, შესაბამისად, აღარც მათი სასახლეების აგება იყო საჭირო, აღარც აკროპოლისის საგანგებოდ გამაგრებას ჰქონდა აზრი. სამაგიეროდ არქაული ქალაქის არქიტექტურაში გაჩნდა სრულიად ახალი აქცენტები: საკულტო ცენტრი ტაძრის გამორჩეული ნაგებობით, აგორა ანუ მოქალაქეთა შეკრების ადგილი, რომელიც თავის გარშემო იკრებდა კულტურული თუ სავაჭრო ხასიათის ნაგებობებს.

სავსებით ბუნებრივია, რომ არქიტექტურული თვალსაზრისით უპირველესი ყურადღება მიექცა ტაძრის გამოკვეთას, რომელიც იდგა ქალაქის ყველაზე გამოსაჩენ ადგილას და ყოველი მხრიდან თვალთა აღქმის საშუალებას იძლეოდა. არქაიკული არქიტექტურის უდიდეს მიღწევად სწორედ ბერძნული ტაძარი უნდა მივიჩნიოთ. არქაიკული ბერძნული ტაძარი ღვთის სახლია, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, და, ძირითადი არქიტექტონიკური ფორმით, ადამიანის ჩვეულებრივ სადგომს მოგვაგონებს; იგი, თუმცა ცისკენ აწვდილია და საზეიმოდ გამოიყურება, მაინც მიწიერი ნაგებობაა. მასში დაცულია ადრეისტორიული, მეგარონის ტიპის, საცხოვრებელი ნაგებობის ფორმა დახურული დარბაზებითა და ანტებიანი პორტიკუსით.<sup>154</sup> ანტურ ტაძარს შემდეგ მეორე პორტიკუსიც მიუშენეს და იგი ორმაგ ანტურ

---

<sup>153</sup> B. Sarah Pomeroy, *Ancient Greece: A Political, Social and Cultural History*, New York City, Oxford University Press, 1999, p. 147-154.

<sup>154</sup> ლათ. portikus – სვეტებისაგან წარმოქმნილი დახურული გალერეა, რომელიც ხშირად შენობის შესასვლელს არის მიშენებული (იხ. *Античная культура, Словарь-справочник*, М., 1995, с. 97).

ტადრად აქციეს. შენობის შემდგომ გადიდებაზე მეტყველებს პროსტილოსი და მისი ტოლსიმეტრიული ამფიპროსტილოსი. ძვ.წ. VII ს-შივე ჩნდება პერიპტეროსი ანუ სვეტებით გარშემორტყმული ტაძარი.<sup>155</sup> გრძივი და სწორკუთხა ნაგებობა, ამგვარი სიმეტრიისა და გარსმოვლებული სვეტების მეოხებით, თავისთავში დაგანებულ პლასტიკურ ორგანიზმად იქცა. გარემომცველ ბუნებასთან შერწყმული, იგი სააქაოს კი არ უპირისპირდება, არამედ ღმერთის, ადამიანისა და ბუნების შინაგან ერთიანობას გამოხატავს.

საყურადღებოა, რომ არქაიკული პლასტიკისთვის დამახასიათებელი ორი მთავარი ტიპი: კუროსი და კორე, რომლებიც განასახიერებენ ბერძნების ახლებურ წარმოდგენას ადამიანზე. კუროსი შიშველი ჭაბუკია, კორე – შემოსილი ქალწული.<sup>156</sup> ცნობილია, რომ მე-15 ოლიმპიადის შემდეგ (720-717 წწ.), მამაკაცი სპორტულ შეჯიბრებაში შიშველი მონაწილეობდა. ამან მოქანდაკეებს საშუალება მისცა შეესწავლათ მამაკაცის სხეული სატანვარჯიშო მოედნებზე.<sup>157</sup> მაშასადამე, კორე და კუროსი არა ღმერთის, არამედ სამხედრო ან სპორტული გამარჯვებისადმი მიძღვნილი სკულპტურული გამოსახულებაა. მათ ძერწავენ სახელოვან მიცვალებულთა მოსაგონებლადაც.

მიუხედავად მთლიანი პლასტიკური მოდელირებისა, კუროსის და კორეს ფიგურები მაინც ბრტყელ-რელიეფური ქანდაკების შთაბეჭდილებას ახდენს; სხეულის ფორმები, თუმცა ანატომიურად პროპორციულია, მაგრამ უსიცოცხლოა და მკაცრი ფრონტალობით ხასიათდება: ერთ პოზაში გახვევებულ სკულპტურებს მკლავები დუნედ ჩამოუშვიათ; ამოზურცული

---

<sup>155</sup> Lawrence A., *Greek Architecture*, 4th ed., rev. by R. A. Tomlinson. Harmondsworth, Penguin, 1983, p. 101.

<sup>156</sup> აქვე შევნიშნავთ, რომ უფრო გვიანდელ ფიგურებში კორეს გამჭვირვალე სამოსი აცვია; მასში კარგად ინაკვთება ქალის სხეული (იხ. Акимова Л., დასახ. ნაშრომი, 56-64).

<sup>157</sup> Дмитриева Н., Акимова Л., *Античное искусство*, М., 1988, с. 49-50.

კუნთები მარტივ-სქემატურია, რაც ფიგურების მონუმენტურობას აძლიერებს.

არქაიკულ სკულპტურულ ქმნილებებში გარკვევით იკითხება წინაარქაიკული ხელოვნების გეომეტრიული სტილი, მეტადრე – სქემატურად დატალღულ თმაში, სამოსის ნაკვეთა გრაფიკულ გამოსახვასა და პირისახის ხაზობრივ დამუშავებაში. აქ, გამოყენებითი ხელოვნების ისტორიაში პირველად, თავი იჩინა “არქაიკულმა ღიმილმა”, ანუ სააქაო ტკობის, მიწიერი სიხარულისა და ადამიანის სულიერი აქტივობის პირველმა გამოსატყულებამ.<sup>158</sup> როგორც ჩანს, სკულპტორებს თავიანთი პირმშობისთვის “ცოცხალი სულის” შთაბერვისათვის, გაშეშებულ, უტყვე გამოკვეთილ პლასტიკურ სხეულში შემოაქვთ გარკვეული “მოძრავი” შტრიხი – ღიმილი. ეს უკანასკნელი მათ ნამუშევრებს შეუმცდარად გამოარჩევს სხვა ეპოქის გამომსახველობითი ხელოვნების ნიმუშთაგან.

როგორც ვიცით, რომ კედლისა თუ დაზგური მხატვრობის არქაიკული ნიმუშები მთლიანად დაკარგულია. ბერძნული არქაიკის ფერწერაზე წარმოდგენას გვიქმნის მხოლოდ კერამიკული ჭურჭლის მოხატულობა, რაც უხვადა არის შემორჩენილი. საგულისხმოა, რომ ბერძნები მისდევდნენ წმინდა სიბრტყულ მხატვრობას, ე.ი. უარყოფდნენ მოცულობითობასა და სივრცობრიობას, რაც იმის მანკენებელია, რომ ფერწერა მათ დამოუკიდებელ დარგად მიანდათ. ყველაზე ადრინდელი ჭურჭლის მხატვრობა გეომეტრიული სტილისაა, ანუ შესრულებულია წმინდა აბსტრაქტულ-ხაზოვანი ორნამენტით.<sup>159</sup> ძვ. წ-ის IX ს-დან გვხვდება კლასიკური მენდრის ნიმუში.<sup>160</sup> ძვ. წ-ის VIII ს-ში წნდება პირველი ფიგურული გამოსახულებები. ისინი მკაცრად სტილიზებული, ხშირად სიმბოლური ხატებია. ძვ. წ-ის VI ს-ია

<sup>158</sup> Michael J., The Centaur's Smile, The Human Animal in Early Greek Art. Exhibition catalogue, Padgett ed., Princeton, 2003, p. 127-128.

<sup>159</sup> Cook R., Greek Painted Pottery, New York, Routledge, 1996, p. 34-44.

<sup>160</sup> იქვე, გვ. 45-62.

შუა წლებამდე ნახატი სრულდებოდა ფუნჯით, მოწითალო თიხაზე. 550 წლიდან ჩნდება “შავფიგურული სტილი”, სადაც ფუნჯს გრიფელი ცვლის. იგი უფრო მკაფიოა და, რაც მთავარია, წმინდა კონტურს იძლევა. ძვ. წ-ის VI ს-ის ბოლოდან კი გზას იკაფავს “წითელფიგურული” მხატვრობა.<sup>161</sup> აქ ნახატი შავად მოჭიქულ ფონზე იკეთება. შიდანახატი წერილი ფუნჯით სრულდება. ხაზის დინება ცხოვლად წარმოსახავს სამოსის ნაკეცებსა და სხეულის ფორმათა თამაშს, რაც სრულიად არ არღვევს ნახატის სიბრტყეობრიობას.

დასასრულს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არქაიკულ კულტურას არ განუცდია დეგრადაცია [ნებისმიერი სხვა კულტურის, როგორც ასეთის, მსგავსად]; იგი თავისი კულმინაციის მომენტში გარდაისახა ახალ, კლასიკურ კულტურად. ამდენად, არქაიკისთვის არსებითად მხოლოდ აღმავლობა არის დამახასიათებელი, რაც მას ჭეშმარიტად განუმეორებელს ხდის.

**Irma Bagrationi**

### **Archaic Latemotives of Ancient Art History Abstract**

#### **Summary**

The present paper discusses, that Archaic period (circa 650 BC - 480 BC) was an important era of innovation and achievement in Greek art history. During this period, ancient Greek artists increasingly came into contact with ideas and styles from outside of Greece. However, it was also a time when vase painting and sculpture began to reflect Greek ideals. In the

---

<sup>161</sup> Susan Langdon, *From Pasture to Polis: Art in the Age of Homer*, Exhibition catalogue, Columbia, 1993, p. 57-69.

Archaic period, kouros and kore statues were created, and these stylized images of young men and maidens represent the birth of a particularly Greek artistic obsession - the idealization of the human figure. In addition, the art of vase painting reached a level of technical and artistic excellence during the Archaic period.

The paper underlines, that there were no more kings in Greece after the Dark Ages, and so there were no more palaces. Instead, people began to build big temples for the gods. Greek temples are the most famous part of Greek architecture. They combine the Greek tradition of the megaron house with the Egyptian temple to make a new, simple, and elegant form.

The paper examines, that the archaic smile, outstretched palm, clenched fist, and wooden posture of a striding figure are all stylistic devices which compensate for an inability to portray a figure in full action during the emerging stages of naturalism. These devices were experiments in the service of artistic expression, the pinnacle of which took seven centuries of Greek and Roman art to reach. The trend toward naturalism declined but was never entirely eclipsed during the early and medieval Christian era. Even until recently it dominated western art and will probably continue haunting it during the coming centuries.

**ნიგალის ხეობის თურქულენოვანი ტოპონიმია**

დღევანდელი ნიგალის ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში (ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონები) მრავალენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, ართვინის რაიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართული ენა არა ახსოვს, ამიტომ ლექსიკაშიც და ტოპონიმიაშიც საკმაო ადგილი უჭირავს უცხოენოვან (ძირითადად თურქულ) გეოგრაფიულ სახელებს.

საკვლევი რეგიონის თურქულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი: 1. მარტივი სახელები; 2. სუფიქსებით ნაწარმოები სახელები; 3. რთული ტოპონიმები.

**მარტივი სახელები**

როგორც ცნობილია, გეოგრაფიული სახელი ისე თავისთავად და სტიქიურად არ წარმოიქმნება. მის შექმნასა და დამკვიდრებას. მრავალი ფაქტორი განაპირობებს, ხშირ შემთხვევაში ადგილის სახელი პირდაპირ მიმართებაშია სახელიდების ობიექტთან. გეოგრაფიული ობიექტის სახელი რაიმე ნიშნის მიხედვით არ ხასიათდება. იგი გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას ტოპონიმის შესახებ.

მარტივი ტოპონიმების ფუძე ძირითადად საზოგადო სახელია:

ბ ო ღ ა ზ ი – გზა (მირვეთი). თურქ. “bogaz” “ყელი, ვიწრო გზა, ყელის ფორმა აქვს და ამიტომ ჰქვია ეს სახელი.

გ ო ღ ი – ტბა ნატბური (ჯუანი, არხვა), თურქ “gol” ტბა,

დ ე რ ე – დელე (ნაჯვია, ბეშაერი). dere “ხეობა”, “ხევი” საკვლევი რეგიონში ამ სახელით აღინიშნება ზოგადად როგორც ხეობა, ასევე პიდრონიმული ობიექტი – დელე ნაკადული, მდინარე;

დ უ ზ ი – ჩაის პლანტაცია, სათესი (კატაფხია, მონასტერი),  
თურქ. duz “ვაკე”, “დაბლობი”;

თ ა რ ღ ა – სათესი (არხვა), თურქ. tarla “ყანა”, “სათესი”;

თ ე ფ ე – სათესი, მწვერვალი (ბაგინი, ნაჯვია). tefe “მთა”,  
“ბორცვი”, “მწვერვალი”;

ო ა ი ღ ა – იაილა (ორჯოხი) თურქ. yasak “აკრძალული”.  
ცალკეულ სოფლებში გამოიყოფა ტყეები, სადაც ხის მოჭრა  
აკრძალულია ნიადაგის ეროზიის თავიდან აცილების მიზნით.  
ასეთი იასალი ხშირ შემთხვევაში სოფლის თავში მდებარეობს.

მ ა დ ა რ ა -გამოქვ., (ქართლა). თურქ. magara “გამოქვა-  
ბული”;

მ უ ს ლ უ დ ი -წყარო, სათიბი (ადილი). თურქ. muslug;  
“წყარო”;

ო რ მ ა ნ -ტყეები (ნაჯვია, არხავა). თურქ. orman “ტყე”;

ს ა ყ ა თ -თხილნ. (შუახევი). თურქ. sakat “ხეიბარი” ამ  
ადგილას ადრე ხშირი ნაძვნარი იყო. ისი განეხვის ანუ  
განადგურების გამო ამ ადგილას დაერქვა ასეთი სახელი.  
შემდეგ გაშენდა თხილი.

ს ი ნ ო რ -ბალი (იოშხაბილი). თურქ. sinit “საზღვარი” ეს  
ადგილი მიჯნავს ორი ოჯახის კუთვნილ ტერიტორიას  
ერთმანეთისაგან და ასრულებს საზღვრის ფუნქციას სინორი  
ადგილის სახელად დასტურდება აჭარაში.

ყ ა ლ ე ციხე (ბაშქრი). თურქ. kale “ციხე”.

### **სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები**

ნიგალის ხეობის თურქულენოვან ტოპონიმებში სუფიქსებით  
გაფორმებულ სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს .

სუფიქსებად ხშირად დასტურდება -luk, -lar/./-ler, იშვიათად –  
gil, -ci და -li.

Luk “ლულ”, “ლუს”, -“ლუქ”, “ლუგ” ფორმით გვხვდება.  
სუფიქსის ლიტერატურული სახეა – lik, რაც საერთოდ არ  
დასტურდება ამ რეგიონის ტოპონიმებში. ეს თურქული სუფიქსი



ქართული –ნარ, ივიათად –იან სუფიქსებისა და სა-ე, სი-ე პრეფიქს-სუფიქსების ფარდია და საზოგადო სახელთა ფუძეებისაგან აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს:

ბ ე გ-ლ უ დ-ი სათესი (ვაზრია). თურქ. Pek, peg. “აღა”, “ბატონი”, ეს ტერიტორია ბეგის კუთვნილი ადგილია.

დ ე რ ე-ლ უ ხ - დედეები (ბეშავრი). თურქ. dere “ხევი”, (ხეობა) დედეებიანი ადგილი.. აქ პრეფიქსი აღნიშნავს მრავლობითობას;

ო ნ ჯ ა-ლ უ დ - სათიბი (არხვა). თურქ. Yonca “ქერი”, სათესი, იონჯიანი ადგილი:

მ ე ზ ე რ-ლ უ ხ - სასაფლაოები (ორჯოხი, დევესკელი). თურქ. Mezar “სასაფლაო”;

ჩ ა ი რ-ლ უ გ - საძოვრები, ჩაის პლანტ. (ქართლა, ავანა, ბაშქრი, მაქრეთი); თურქ. Gayr “საძოვარი”;

ჩ ა მ-ლ უ ქ - წყარო (ბაშქროი). თურქ. Gam “ფიჭვი”; ფიჭვნარი ადგილი:

ყ ა ი ა-ლ უ დ - კლდეები (დამფალი, თხილაზრო). თურქ. Kaya “ქვა”, “კლდე”. ქვიანი, კლდოვანი ადგილი;

ხ ო ზ ა ნ-ლ უ დ – თხილნ., (ბორჩხა). თურქ. Khazan “უვარგისი”, “მწირი”; ამ სახელწოდებით აღინიშნება ისეთი ადგილი რომელიც მხოლოდ საძოვრად გამოიყენება და არა თივის მოსაყვანად. ხოზანი ხშირად დასტურდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში და უნაყოფო ადგილს აღნიშნავს.

თურქული სუფიქსი –lar საგნის მრავლობითობას აღნიშნავს. იშვიათად დასტურდება ფორმით –ler იგი ქართლ –ებ სუფიქსის შესატყვისია და ტოპონიმებს აწარმოებს ძირითადად საზოგადო სახელებისაგან:

ბ ა ღ ჩ ე-ლ ე რ - ბაღი (ბაშქოი). თურქ. Bagca “ბაღი”, “ბოსტანი”, ბაღიანი ადგილი;

დ უ ზ-ლ ა რ - სოფლ. უბანი, სათესი (სვეტი, დამფალი, თურქ. duz “ვაკე, სწორი ადგილი”;

თ ა რ ლ ა-ლ ა რ - სათესი (მონასტერი) თურქ. Tarla “ყანა, სათესი” თარღალარ ნიშნავს ყანებს, სათეს ადგილებს.

ი ნ ჯ ი-ლ ა რ (←ინჯინ-ლარ) - ტყე, მთა (ოხორდია), თურქ. inel მარგალიტი.

მ ე ი დ ა ნ-ლ ა რ - სამ, (სვეტი) თურქ. Meidan “მოედანი” იშვიათად -lar სუფიქსი გვხვდება პიროვნულ სახელებთან და მათ კუთვნილი საცხოვრისზე მიუთითებს:

კ ა კ უ თ- ლ ა რ - ტყე, ს უ ლ ო-ლ ა რ - სოფლ. უბანი (ომანა). აქ კაკუთ კაკუთა და სულო ადამიანის საკუთარი სახელებია. პირველი ტოპონიმი პიროვნების კუთვნილ ადგილს მიგვანიშნებს, მეორე-კი სულოს შთამომავალთა საცხოვრებელს.

ამ შემთხვევაში - lar სუფიქსი ქართული -ანთ, -იენტ, -ა ან სუფიქსების ფუნქციას კისრულობს: სულო- სულო-ანთ-ი, სულო- იენტ, სულოს-ან-ი;

- li სუფიქსი ქართულ -იან სუფიქს შეესაბამება. იგი არსებითი სახელებისაგან აწარმოებს ტოპონიმებს:

ბ ა ლ უ ქ-ლ ი - ტყე (დუზოი) თურქ. Balik “თევზი”. ბალუქლი არის ადგილი, სადაც თევზია;

გ უ ნ ე შ - ლ ი სოფ., (ბორჩხა). ტურქ. gunes “მოვარე”;

ე ლ მ ა -ლ ი - სოფლ. უბანი (მამანათი). თურქ. Elma ‘ვაშლი’, ვაშლიანი ვაშლოვანი;

იშიქ -ლი - სოფლ. უბანი (გუნეშლი) თურქ isik “სინათლე”

იშიქლი არის დასახლება, რომელიც მზიან ადგილას მდებარეობს.

ს ი ნ ე ქ-ლ ი - ტყე (ბაგინი). თურქ. Sineg “ბუზი” სინექლი არის ტყე სადაც ბევრი მწერი;

ჯ ე ვ ი ზ-ლ ი - ქალაქის უბანი (ართვინი). თურქ. ceviz “ნიგოზი” ჯევიზლი ნიშნავს ნიგოზიან უბანს.

-ci - ხელობა – საქმიანობის აღმნიშვნელი სუფიქსი აწარმოებს ორიოდე გეოგრაფიულ სახელს:

ა რ ა ბ ა-ჯ ი ტყე (დუზქოი). თურქ. Araba “მანქანა”, არაბა-ჯი ის ადგილია, სადაც მანქანების ხელოსანი ცხოვრობს;

კ ა ზ ა ნ-ჯ ი - ტყე, სათესი (ქვ. მარადიდი, მაქრეთი). თურქ. kazan...

ასევე იშვიათად დასტურდება –gil სუფიქსი, რომელიც, ჩვეულებრივ ანთროპოტოპონიმებს აწარმოებს:

რ უ ჰ ი-გ ი ლ სოფლ. უბანი (ვარაჩკანი)

### **თხზული გეოგრაფიული სახელები**

ნიგალის ხეობის თურქულენოვანი რთული გეოგრაფიული სახელები საკმაოდ მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა. ამ გაფორმების ტოპონიმები მსაზღვრელი-საზღვრულის წესითაა ერთმანეთთან დაკავშირებული

ხშირად საზღვრული ინდიკატორის როლს ასრულებს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: მ ა ჰ ა ლ ე, დ ე რ ე, ყ ა ი ა, ხ ა ნ ა, ყ ა ფ ი, ფ უ ნ დ ა რ, თ ე ფ ე, თ ა რ ლ ა, დ ი ბ ი, ქ ი ლ ი ს ა, მ ე ზ ე რ, ი ო ლ, ი ა ი ლ ა, ი ა თ ა დ ი, ს ი რ თ ი, ს უ და ა.შ. სხვა.

ასეთი გაფორმების სახელები რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს

### **საზღვრულია “მაჰალე”, მსაზღვრელი ანთროპონიმული ან გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სახელი**

თურქულში mahhale//mahele აღნიშნავს დასახლებულ პუნქტს, სოფლის უბანს.

მსაზღვრელი ანთროპონიმული წარმოების სახელია; საზღვრული მაჰალე.

ა ვ ჯ ი ო დ ლ ი მ ა ჰ ლ ე - სოფლ. უბანი (ვაზრია), თურქ. av “ნადირი”, avci “მონადირე”, მონადირის შვილის უბანი;

ბ ა დ უ ჩ ო დ ლ უ ლ ა რ მ ა ჰ ა ლ ე ს ი - სოფლ. უბანი (კვარცხანა, ბადუნის შვილების უბანი ბადუჩი//ბადუცა პიროვნული სახელია;

თ ო ფ ჩ უ ლ ა რ მ ა ჰ ა ლ ე ს ი - სოფლ. უბანი (მაქრეთი), თურქ. top “თოფ, იარაღი”, თოფჩულარ – “მეთოფეები”, მეთოფეების უბანი;

მ ო ლ ლ ა ო ლ ლ უ ლ ა რ მ ა ჰ ა ლ ე ს ი - სოფლ. უბანი (კვარცხანა), მოლას შვილების უბანი. მოლლა-მაღალი სასულიერო ფენის წარმომადგენელია;

რ ე ჰ დ ე ვ ა ნ ო ლ ლ უ მ ა ჰ ა ლ ე ს ი - სოფლ. უბანი (არხვა), რეჰდევანისშვილის უბანი.

რ ე შ ი ტ ო ლ ლ უ ლ ა რ მ ა ჰ ა ლ ე ს ი - სოფლ. უბანი (კვარცხანა), რეშიტის შვილები უბანი.

ჰ უ შ ო მ ა ჰ ა ლ ე ს ი - სოფლ. უბანი (შუახევი), ჰუშოს უბანი.

რ ე ჰ დ ე ვ ა ნ ი, რ ე შ ი ტ ი ჰ უ შ ო ადამიანის საკუთარი სახელებია.

მსაზღვრელი ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას აღნიშნავს.

ა შ ა ლ ქ ი მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ. უბანი (ნაჯვია). თურქ. Alaggi “ქვედა” ქვედა უბანი

ი უ ქ ა რ ი მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ. უბნები (კვარცხანა, ნაჯვია). თურქ. yukari “ზედა”, ზედა უბანი; შდრ. ზედობანი (←ზედა უბანი) სოფლ. უბანი (ხება);

ო რ თ ა მ ა ჰ ა ლ ე - სოფლის უბნები (დამფალი, გუნეშლი, ავანა, ნაჯვია). ქალაქის უბანი (ართვინი) თურქ. orta “შუა”, შუა უბანი შდრ.: შუბანი (←შუა უბანი სოფ. შუახევის რაიონი, აჭარის მთიანეთში);

მ ე რ ქ ე ზ მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ. უბნები (ბაშქოი, არხვა). თურქ. merkez “ცენტრი”, ცენტრის უბანი;

ყ ა რ შ ი ქ ი მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ უბანი (სინკოთი) თირქ. Karsi “პირდაპირ” მოპირდაპირე მხარეს მდებარე უბანი;

ჩ ი ფ თ ლ ი მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ უბანი (კვარცხანა). თურქ. ciptli “სწორი”, სწორ, ვაკე ადგილას მდებარე უბანი;

უბანს სახელი დაერქვა რაიმე ნიშნის გამო:

ფ ე თ რ ო ლ მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ. უბანი (მაქრეთი).  
თურქ. petrol “საწვავი ბენზინი”, უბანი, სადაც არის  
ბენზინგასანმართი სადგური;

ჯ ა მ ე მ ა ჰ ა ლ ე ს ი - სოფლის უბნები (ვაზრია,  
ბეშავრი, აგლახა, ირსა). თურქ. came “მეჩეთი” მეჩეთის უბანი.

**საზღვრულია “დერე”, მსაზღვრელი არსებითი სახელი,  
ზედსართავი სახელი, ან ზმნიზედა**

საზღვრული წვერია dere “დელე, ხევი, ხეობა წყალი”, ხოლო  
მსაზღვრელი არსებითი სახელი (lik) სუფიქსითაა  
წარმოდგენილი:

ა ლ ა ბ ა ლ ი ქ დ ე რ ე ს ი - დელე (მონასტერი). თურქ  
ulabal “კალმახი”, alabalik “კალმახიანი”, კალმახიანი დელე;

ბ ა ლ უ ქ ლ ი დ ე რ ე - დელე (დუხქოი). Balik “თევზი”,  
balikli “თევზიანი”, თევზიანი დელე;

ფ ი ნ დ ი ქ ლ ი დ ე რ ე ს ი - დელე (დუხქოი). თურქ.  
pindik “თხილი”, pindikli “თხილნარი”, თხილნარის დელე;

ყ ა ნ ლ ი დ ე რ ე - სათესი (შუახევი). თურქ kan  
“სისხლი”, kanli “სისხლიანი”, სისხლიანი დელე;

მსაზღვრელი ზედსართავი სახელია;

ბ უ ი უ ქ დ ე რ ე - დელეები (სინკოთი მამანათი). თურქ  
buyuk “დიდი”, დიდი დელე;

უ ფ ა ქ დ ე რ ე - დელე (არჩვეთი) თურქ. upak “საფთა”,  
სუფთა დელე. მსაზღვრელია ზმნიზედა;

ო რ თ ა დ ე რ ე - სოფლის უბნები (შუახევი არჩვეთი).  
თურქ. orta “შუა”, შუა დელე. მსაზღვრელი სოფლის სახელია;

ბ ა შ ქ ო ი დ ე რ ე ს ი - დელე (გიუზელიურთი). თურქ.  
bas “თავი”, koy “სოფელი, ბაშქოი აღნიშნავს ხეობის ზემოთ  
მდებარე სოფელს;

შ ე რ ე ფ ი ე დ ე რ ე ს ი - დელე (ოხორდია). შერეფიეს  
დელე.

საზღვრულია “ყაია”, “ხანა”, ყაფი”, “ფუნდარ”, “თეფე”,  
ბოლაზ”, “დუზ”, “ქოფრი”, “ორმან”, “გოლ”... მსაზღვრული-  
არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი. რიცხვითი სახელი

ყ ა ი ა - თურქ kaya “კლდე”;

დ ე ლ უ ქ ლ ი ყ ა ი ა - კლდე (ქართლა). თურქ. Deluk  
“ნახვრეტი”, delukli “ნახვრეტიანი”, ნახვრეტიანი ქვა;

ყ ა ნ ლ ი ყ ა ი ა - კლდე (ქართლა). თურქ. kan “სისხლი”,  
kanli “სისხლიანი კლდე”;

ყ ა ზ ა ნ ყ ა ი ა - საძოვრები (კვარცხანა, ვარზია). თურქ.  
kazan

ყ ი ს ი რ ყ ა ი ა - კლდე (ავანა). თურქ. kisir

ხ ა ნ ა - თურქ. xana “სადგომი”;

ბ უ ზ ხ ა ნ ა - გამოქვ. (დამფალი). თურქ. buz “ყინული”,  
საყინულე;

კ ა ს ა ფ ხ ა ნ ა - საძ, კლდე (შუახევი, ბაგინი). თურქ.  
kasap “kasapxana” სასაკლაო”, საქონლის დასაკვლელი ადგილი;

ტ უ ზ ხ ა ნ ა - სათესი (მაქრეთი). თურქ. tuz “მარილი”,  
სამარილე ადგილი, სადაც საქონელს მარილს აძლევენ;

ფ ე თ ე ქ ხ ა ნ ა - საძ. სათესი (თხილაზრო). თურქ. petek  
“ფუტკარი”, საფუტკრე;

ქ ა თ ი ბ ხ ა ნ ა - სოფლ. უბანი (ადაგული, ებრიკა),  
თურქ. katip “მწერალი”, ადგილი, სადაც მწერალი ცხოვრობს;

ყ უ ზ ი ხ ა ნ ა - სოფლ. უბანი (მირვეთი), თურქ. kuz  
“ჩიტო”, ჩიტის ადგილი.

ყ ა ფ ი - თურქ. - kapi “კარი”;

დ ე მ ი რ ყ ა ფ ი - საძ. (არავეთი). თურქ. demir “რკინა”,  
რკინის კარი,

დ ე გ ი რ მ ა ნ ყ ა ფ ი - საძ.(ავანა), თურქ. degirman  
“წისქვილი, წისქვილის კარი, ადგილი სადაც წისქვილია;

მ ა ღ ა რ ა ყ ა ფ ი - ტყე საძ, (ომანა). თურქ. magara  
“გამოქვაბული”, გამოქვაბულის კარი, შესასვლელი;

ო ქ უ ლ ყ ა ფ ი - სათესი (არხვა). okul “სკოლა  
სასწავლებელი”, ადგილი სადაც სკოლაა;

ქ ი ლ ი ს ა ყ ა ფ ი - ეკლესია, სოფლ. უბანი (სვეტი).  
თურქ. kilise “ეკლესია”, ეკლესიის კარი, ადგილი სადაც  
მდებარეობს ეკლესია,

ფ უ ნ ღ ა რ / ფინარ, - თურქ. pinar “წყარო”;

ა ქ ფ ი ნ ა რ - წყარო (მონასტერი) თურქ. ak “თეთრი”,  
თეთრი წყალი;

უ ჩ ფ ი ნ ა რ - წყარო (ორჯოხი. თურქ. uc “სამი”, სამი  
წყარო, სამთაწყარო;

ყ ა ნ ლ ი ფ უ ნ ღ ა რ - საძ. (ვაზრია). თურქ. kan  
“სისხლი”, kanli “სისხლიანი”, სისხლიანი წყარო;

ყ უ შ ფ უ ნ ღ ა რ - წყარო (არხვა). თურქ. kus “ჩიტი”,  
ჩიტის წყარო;

თ ე ფ ე - თურქ. tefe “მწვერვალი”, “ბორცვი”;

მ ა ლ თ ე ფ ე - საძ. (ბაგინი). თურქ. mall “საქონელი”,  
საქონლის ბორცვი;

ტ უ ზ ლ უ ხ თ ე ფ ე ს ი - მთა საძ. (აგლახა). თურქ. tuz  
“მარილი”, tuzluh “მარილიანი”, მარილიანი მწვერვალი;

შ ი რ ი ნ თ ე ფ ე - სოფლ. უბანი (გუნეშლი). შირინის  
მადლობი. შირინი კაცის სახელი;

ჩ ე გ ი ლ ლ ი თ ე ფ ე - საძ. (ბეშავრი). თურქ. Gegil  
“დაბლობი”, აქ უნდა ნიშნავდეს ჩრდილიანს, ჩრდილიანი  
მწვერვალი;

ბ ო ღ ა ზ - თურქ. bogaz “ყელი”, “სრუტე”.

გ ო ლ ბ ო ღ ა ზ ი - საძ. (არავეთი). თურქ. gol “ტბა”, ტბის  
ყელი;

მ ა ღ ა რ ა ბ ო ღ ა ზ ი - საძ. (ბეშავრი). თურქ. magara  
“გამოქვაბული”, გამოქვაბულის ყელი შესავლელი;

ყ უ რ თ ბ ო ღ ა ზ ი - საძ. (ადაგული). თურქ. kurk  
“მგელი”, მგლისყელი.

დ უ ზ - თურქ. duz “ვაკე”, “სწორი”.

ბ უ ი უ ქ დ უ ზ ი - საძ. (თოლგომი) თურქ. büyük “დიდი”,  
დიდი ვაკე;

დ უ რ ნ ა დ უ ზ ი - სათიბი (არხვა) თურქ. durna “წერო”,  
წეროს ვაკე;

ე შ ე ქ დ უ ზ ი - საძ. (სვეტი) თურქ. esek “ვირი”,  
“სახედარი”, ვირის ვაკე;

უ ზ უ ხ ო ს მ ა ნ დ უ ზ ი სათიბი (გოლა) თურქ. uzun  
“გრძელი” გრძელი ოსმანის ვაკე

ქ ო ფ რ ი //ქოფრო - თურქ. kopru “ხიდი”;

ბ ე თ ო ნ ქ ო ფ რ ი - ხიდი (ქვ. ქლასკური) თურქ. beton  
“ასფალტი”, ასფალტის ხიდი;

დ ე მ ი რ ქ ო ფ რ ი - ხიდი (ქვ. ქლასკური). demir “  
რკინა”, რკინის ხიდი;

თ ო ფ რ ა ხ ქ ო ფ რ ი ხიდი (ჩაილი). თურქ. toprak  
“მიწა”, მიწის ხიდი;

ტ ა შ ქ ო ფ რ ი თ ა ღ ი ა ნ ი - ხიდი (ქვ. ქლასკური).  
თურქ. tas “ქვა”, ქვის ხიდი.

ო რ მ ა ნ - თურქ. orman “ტყე”;  
ზ ე ნ გ ი ნ ო ღ ლ ი ო რ მ ა ნ ი - ტყე (ზედა  
ქლასკური) თურ. zengin “მდიდარი”, მდიდრი შვილის ტყე;

ფ ე თ ე ქ ხ ა ნ ო რ მ ა ნ ი - ტყე (თხილაზრო), თურქ.  
petek “ფუტკარი”, han “სადგომი” ფუტკრის სადგომი ტყე;

ქ ო ფ რ ი ო რ მ ა ნ ი - ტყე (მაქრეთი). თურქ kopru  
“ხიდი”, ხიდის მიდამოებში მდებარე ტყე.

გ ო ღ - თურქ. gol “ტბა”;

ი ნ ე ქ გ ო ღ ი - ტბა (აგლახა). თურქ. ineg “ძროხა”,  
ძროხის ტბა (ამ ტბაში ძროხა დამხრჩვალა და სახელდებაც  
აქედან მოდის);

ს უ ლ უ ქ გ ო ღ ი - ტბა (სინკოთი). თურქ. suluk  
“წურბელა”, წურბლის ტბა (ტბაში ბევრი წურბელაა);

ყ ა რ ა გ ო ღ ი - ტბები (სინკოთი ნეშავრი, ზედა  
ქლასკური). თურქ. kara “შავი”, შავი ტბა.



ქ ო ი - თურქ. koy “სოფელი”;

ბ ა შ ქ ო ი - სოფელი, სოფლ. უბანი (ბორჩხა, სინკოთი).  
თურქ. bas “თავი”, ხეობის თავში მდებარე სოფელი;

დ უ ზ ქ ო ი - სოფ. (ბორჩხა), თურქ. duz “ვაკე”, ვაკე  
სოფელი ანუ სოფელი, რომელიც გაშენებულია ვაკეზე;

ქ უ ჩ უ ქ ქ ო ი - ქალაქის უბანი (ართვინი). თურქ. kucuk  
“პატარა”, პატარა სოფელი, ამ შემთხვევაში – დასახლება.

თ ა რ ღ ა - თურქ. tarla “სათესი”, ყანა;

დ ე რ ე თ ა რ ღ ა - ბაღი, სათესი (დამფალი). თურქ. dere  
“ღელე”, “ხევი”, “წყალი”, ღელის ყანა ანუ სათესი, რომელიც  
ღელის პირასაა;

მ ო ლ ღ ა ა ლ ი თ ა რ ღ ა ს ი - სათესი (მაქრეთი),  
მოლა ალის სათესი;

ქ უ ჩ უ ქ ო ლ ღ ი თ ა რ ღ ა ს ი - სათესი (მაქრეთი),  
თურქ. kucuk “პატარა”, oglu “შვილი”, პატარა შვილის ყანა’

ჩ ა ი რ ღ უ ქ თ ა რ ღ ა ს ი - სათესი (ბაშქოი), თურქ.  
gayr “საძოვარი”, “ჭალა”, ეს ტოპონიმი აღნიშნავს საძოვართან  
მდებარე სათესს;

დ ა ღ - თურქ. dag “მთა”.

ქ უ ჩ უ ქ დ ა ღ ი - საძ. (კვარცხანა). თურქ. kucuk  
“პატარა”, პატარა მთა;

ყ ა ი ა დ ა ღ ი - ტყე (დუზქოი). თურქ. kaya “კლდე”,  
“ქვა”, ქვა მთა ანუ მთა სადაც ბევრი ქვა და კლდეა.

ჩ ა ი რ - თურქ. cayr “ჭალა”, “საზოვარი”;

ბ უ ი უ ქ ჩ ა ი რ - საძ. (ავენა), თურქ. buyuk “დიდი”,  
დიდიჭალა;

ა რ ფ ა ჩ ა ი რ - სათესი (მონასტერი) თურქ. arpa “ქერ”,  
ქერის ჭალა, ანუ საძოვარი სადაც ადრე ეთესა ქერი.

ს უ/სუი//სუიუ თურქ. su “წყალი”;

დ ე რ თ ღ ი ს უ - წყარო (ბაგინი). Dert “დარდი”,  
დარდიანი წყარო (ამ წყაროზე მომსვლელი ყველა თავის  
დარდზე ლაპარაკობდა);

ს ო უ ქ ს უ - წყარო (ბეშავრი). თურქ. soyk “ცივი”, ცივი წყალი.

ს ი რ თ ი - თურქ. sirt “ბორცვი”, “მაღლობი;

ო მ ე რ ო ღ ღ ი ს ი რ თ ი - სათესი (ომანა) თურქ. ogul “შვილი” ომერის (ომარის) შვილის მაღლობი;

ო ა თ ა ღ ი - თურქ. yatak “საწოლი”, “სადგომი”;

ო რ თ ა ი ა თ ა ღ ი - ტყე (ბეშავრი); თურქ. ორთა “შუა”, შუა სადგომი;

ო ქ უ ზ ი ა თ ა ღ ი - საძოვრები (არავეთი, ქართლა). თურქ. okuz “ხარი”, ხარის საწოლი, შდრ: ხარი იათადი.

ი ო ღ - თურქ. yol “გზა”;

რუს იოღ - გზა (სვეტი), რუსის გზა, რუსული მმართველობის დროს გაკეთებული გზა, რომელიც მიუყვებოდა, ჩვეულებრივ, ხეობის შუა ფერდობზე, და არა მდინარის პირას;

ყიშღალუნ ოიღ (ორჯოხი). თურქ. kis “ზამთარი”, kislak “საზამთრო სადგომი”, საზამთრო სადგომის გზა.

“ო ღ ღ ი - თურქ. ogul “შვილი”;

გ უ რ ჯ ი ო ღ ღ ი - ტყე (თოღგომი). თურქ. gurci “ქართველი” ქართველის შვილის ტყე.

თ ო ფ ა ღ ო ღ ღ ი - ჩაის პლანტ. (მირვეთი). თურქ. topal “კოჭლი”, კოჭლი შვილის ჩაი;

ი ხ ტ ი ა რ ო ღ ღ ი - სოფლ. უბახნი (ვაზრია). თურქ. intiar “მოხუცი”, მოხუცი შვილის უბანი.

მ ე ნ შ უ რ ო ღ ღ ი - სოფლ. უბანი (თხილაზრო), მენშურის შვილის უბანი;

ქ ე შ ი შ ო ღ ღ ი - სოფლ. უბანი (ვაზრია), თურქ. kesis “მღვდელი”, “ქრისტიანული სასულიერო პირი”, მღვდლი შვილის უბანი.

თ ა შ - თურქ. tas “ქვა”;

ქ ი ღ ი ს ა თ ა შ ი - ნაეკლ., (მამაწმინდა). თურქ. kilisse “ეკლესია”, ეკლესიის ქვა.

ღ ი ბ ი - თურქ. dip “ძირი”;

ყ ა ი ა დ ი ბ ი - სოფელი (ბორჩხა). თურქ. kaya “კლდე”, “ქვა”, კლდის ქვის ძირი.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ნიგალის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ადგილი აქვს სუფთა თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის სახელებს, რაც რა თქმა უნდა, აიხსნება ამ რეგიონში თურქული ენის მომძლავრებაზე და მის გავლენაზე ტოპონიმებზე.

თურქულენოვანი ტოპონიმები ძირითადად იმ სოფელში გვხვდება, სადც ქართული ენა არ იცინა, თურქული ენის შემოსვლას თან მოსდევს თურქული ტოპონიმების გაჩენა და დამკვიდრება ან ქართული სახელების თარგმნა-კალკირება.

#### **სამ და მეტ ფუძიანი ტოპონიმები:**

ნიგალის ხეობის თურქულ გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა მრავალფუძიანი, ძირითადად – სამფუძიანი სახელები, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია მსაზღვრელ-საზღვრულის პრინციპით. კომპოზიტში შემავალი ყველა წევრი მხოლოდით რიცხვშია.

ა ლ თ უ ნ დ ი შ ლ ი ი ე რ ი - სათესი (არხვა), . თურქ. altin “ოქრო”, dis “კბილი”, disli “კბილიანი” yer “ადგილი”, ოქროს კბილიანი ადგილი;

ა შ ა დ ი ო ს მ ა ნ ი ი ე რ ი - სად. (თხილაზრო). თურქ. asagi ქვედა yer “ადგილი”, ქვედა ოსმანის ადგილი;

ბ ი ჩ ქ ი ს ი რ თ ი თ ე ფ ე ს ი - დედე, მთა (გოლა)-. თურქ. bigki “გაჭრილი”, sirt “ბორცვი” tepe “მწვერვალი”, გაჭრილი ბორცვის წვერი”.

ი ე დ ი ტ ა შ ა თ ა ჯ ა ლ ი ე რ ი - გზა, ტყე, (ბეშაერი). თურქ. yedi “შვილი”, tas “ქვა” atacal “.....”, yer “ადგილი”, შვილის ქვის ადგილი;

ი ე შ ი ლ ქ ო ი დ ე რ ე ს ი - დედე (მონასტერი). თურქ. yesil “მწვანე”, koy “სოფელი”. dere “დედე”, მწვანე სოფლის დედე. იეშელქოის ქართული სახელია მონასტერი.

ტ ა ვ შ ა ნ თ ე ფ ე დ ე რ ე ს ი - დედე (აგლახა).  
თურქ. tavsan “კურდრელი”, dere “მწვერვალი” tepe “დედე”,  
კურდღლის მწვერვალის დედე;

### შერეული გაფორმების გეოგრაფიული სახელები

ნიგალის ხეობის ტოპონიმური მასალა ქართულ-თურქული  
ენობრივი კონტაქტის ბევრ საიტერესო მომენტს წარმოაჩენს.  
საკვლევ რეგიონში ხშირად ვხვდებით შერეული გაფორმების  
გეოგრაფიულ სახელებს. ამ თვალსაზრისით მიხედვით გამოი-  
ყოფა ორი ძირითადი ჯგუფი:

ა) ქართულ-თურქული მაწარმოებლით გაფორმებული  
სახელები;

ბ) ქართულ-თურქული სიტყვებით შექმნილი სახელები.

### ქართულ-თურქული მაწარმოებლებით გაფორმებული ტოპო- ნიმები

სახელწოდების ფუძე ქართულია, მაწარმოებელი – თურქუ-  
ლი.

-lar.

ა ნ ჩ- ე ლ – ღ ა რ - სათესი - (მამაწმინდა), ორმაგი  
მაწარმოებლიდან ერთი ქართულია (-ელ), მეორე თურქული (-  
ლარ); ა ხ ო-ღ ა რ ტყე, საძ. (ომანა, ქართლა), გოგოლარ  
სოფლ. უბანი(იშხაბილი) დ უ რ დ უ ლ-ღ ა რ - სათესი  
(სვეტი), ჭ ო ლ ო(ტ)-ლარ - სოფლ. უბანი (კვარცხანა).

-lukh //-lug

მ ა რ წ ე ვ ი-ღ უ დ-ი - სათესი (დამფალი).

სახელწოდების ფუძე თურქულია, მაწარმოებელი –ქართული.  
-ებ:

დ ე რ გ-ე ბ-ი - ტყე (ჯუანი) თურქ. derg “ქვევრი”; ქვევრ-ე-  
ბ-ი;

დ უ ზ-ე ბ-ი – საძ., (ადაგული), თურქ. duz “ვაკე”, ვაკე-ე-ბ-ი;

თ ე ფ ე-ე ბ-ი - ტყე (ადაგული). თურქ. tefe “მწვერვალი”,  
მწვერვალ-ე-ბ-ი;

ხ ა რ დ-ე ბ-ი - არხი (ბაგინი) თურქ. harg “არხი”, არხ-ე-ბ-ი;

-ურ-ა; -ა-ურ:

ფ უ ნ დ უ კ-უ რ-ა სათესი (ხეხა), თურქ. pindik “თხილი”;

ხ ა ჩ ი კ-ა-უ რ საძ., (სვეტი) თურქ. hag “ჯვარი”.

-ნარ;

ი ნ ჯ ი(ლ)-ნ ა რ - მთა (ქვ. მარადიდი). თურქ. incil “მარგალიტი”, მარგალიტ-ნარი, მარგალიტ-იანი.

-იეთ:

ღ ო ჯ-ი ე თ-ი - სასაფლაო (ხეხა) თურქ. goce “კედელი”;

ნა-ეე:

ნ ა-ხ ი ზ ნ-ე ვ-ი (←ნა-ხოზნ-ევი) საძ. (შუახევი),

ნ ა-თ ა ხ(თ)-ე ვ-ი სათიბი (მელო). თურქ. tahta “ფიცარი”.

ნ ა-ჯ ა მ-ე ვ-ი სოფლ. უბანი (მარადიდი). თურქ. came “მეჩეთი”.

ა-არ: ნა-ი

ნ ა-ქ ი ლ ი ს(ე)-არ-ი ნაეკლ. (ქვ. მარადიდი). თურქ. Kilisse “ეკლესია”, ნა-ეკლესი-რი.

ს ა - ე;

ს ა-ჩ ა ი რ-ე სათიბი (ხეხა) gayr “სათიბი”, “საძოვარი”, სასათიბე.

**ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები**

მსაზღვრელი ქართული სახელია, საზღვრული თურქული, ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია: ორივე მხოლობით რიცხვშია:

გ ე ლ ი ს ბ ო ღ ა ზ ი - საძ. (არავეთი) – “მგელის ყელი”, მგლის ყელი”;

დ ე ვ ე ს კ ე ლ ი ს ი ა ი ღ ა - იაღაღი, “დევესკელის იაღაღი”;

თ ხ ი ღ ა ზ რ ო ს ი ა ი ღ ა - იაღაღი, “თხილაზროს იაღაღი”;

კ ა ლ ო ს ფ უ ნ დ უ ხ ლ უ ღ ი - თხილ, (არხვა) – “კალოს თხილნარი”;

კ ო ტ რ ა ს ი ე რ ე ბ ი - ტყე (ჯუანი) – “კოტრას ადგილები”. კოტრა//კოტორა მამაკაცის სახელია;

ს ა ნ ა ხ შ ი რ ე თ ი ს ს ი რ თ ი - ქედი, ტყე (ქმ-  
მარადიდი) – “სანახშირეთის ბორცვი”;

ძ ვ ე ლ ფ უ რ ე ბ ი ს ი ე რ ი საძ. (ქართლა) – “ძველ-  
ფურების ადგილი”.

მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის  
თანხმოვნითი ნაწილი (ს) ან მთლიანად ბრუნვის ნიშანი, ორივეს  
რიცხვი მხოლოდითია, იშვიათად – მრავლობითი, მსაზღვრული  
წარმოდგენილია არსებითი და ზედსართავი სახელებით,  
სახელზმნით, მარტივი ფორმით, სუფიქსებით გაფორმებული ან  
თხზული სახით, ხოლო საზღვრული თურქული სახელი –  
მარტივი სახელით, რომელსაც იშვიათად ერთვის კუთვნილებითი  
აფიქსი –სი:

ა ვ ა ნ ი ს ი რ თ ე ბ ი - ტყე (დამფალი) – “ავანის  
ბორცვები”;

ა ლ ვ ა ნ ა დ ე რ ე - ღელე (სვეტი) “ალავნის ღელე”;

ა ხ ა ლ ს უ ლ ა ლ ი წ ყ ა რ ო- (ტრაპენი) –  
“ახალმოსახლია ტყარო”;

ბ ო რ ბ ა ლ დ ე რ ე ს ი - ღელე (ვარაჭკანი) – “ბორბ-  
ლია ღელე”;

გ ო გ ო მ ე ზ ე რ ი - საძ. სასაფლაო (შუახევი ადაგული)  
- “გოგოს საფლაო”;

დ ა თ ვ ი მ ა ლ ა რ ა - გამოქვ. (ჯუანი) – “დათვის  
გამოქვაბული”;

დ ა მ ფ ა ლ ი ს ი რ თ ი - ქედი (დამფალი) – “დამფალის  
ბორცვი”;

დ ო დ ო ფ ა ლ ყ ა ი ა - ტყე (ვარაჭკანი) – “დედოფლის  
ტყე”;

ვ ა ნ ა თ დ ე რ ე ს ი - ღელე (აგლახა) – “ვანათის  
ღელე”;

თ ხ ი ლ ი თ ა რ ლ ა - სათესი (ტრაპენი) – “თხილის  
ყანა” ანუ ყანა, რომლის ირგვლივ თხილის ბაღია;

ლ ე დ ვ ი დ ი ბ ე - სათესი (ადაგული) – “ლედვის  
ძირი”;

ნ ი შ ი ე თ ო რ მ ა ნ ი - ტყე (ქვ. ქლასკური) – “ნიშიეთის ტყე”;  
 ს ა თ ა ვ ა ს უ ი უ - წყარო (კვარაცხანა) – “სათავის წყალი”;  
 ს ი ნ კ ო თ ყ ა ლ ე ს ი - ციხე (სინკოთი) – “სინკოთის ციხე”;  
 ს კ ი დ ე რ ე - სათესი (ბაშქოი) – “სკის დელე”;  
 ს ო ტ ი ბ ა რ დ ე რ ე ს ი - დელე (სვეტი) – “სოტიბარის დელე”;  
 ფ ი ნ ხ ი თ ე ფ ე - მთა (ბაშქოი) – “ფინხის ბორცვი”;  
 ქ უ რ დ ი ე თ ო რ მ ა ნ ი - ტყე (ქვ. ქლასკური) – “ქურდიეთის ტყე”;  
 წ ყ ლ ი ს ა ყ ა რ ო რ მ ა ნ ი - ტყე (ქვ. ქლასკური) – “წყლისაყარის ტყე”;  
 ხ ა რ ე ბ ი ი ა თ ა ღ ი - საძ., (ომანა) – “ხარების სადგომი”; მსაზღვრელი პრეფიქს-სუფიქსური წარმოების სახელია:  
 ხ ა ქ ა თ მ ე ბ ო ღ ა ზ ი - საძ. (ადაგული) – “საქათმის ყელი”;  
 ს ა თ ი ბ ე თ ა ღ ი - მთა (ჩაილი) “სათიბე მთა”;  
 ს ა თ ა ვ ე დ ე რ ე - დელე (სინკოთი) “სათავის დელე”;  
 ს ა თ ი ბ ე ს უ ი უ - დელე (მაქრეთი) – “სათიბეს წყალი”;  
 ს ა თ ი ბ ე ო რ მ ა ნ ი - ტყე (ბაშქოი) – “სათიბეს ტყე”;  
 ხ ა ბ უ ზ ა რ ა ყ ა ი ა - კლდე (ავანა) – “საბუზარის კლდე”;  
 ხ ა წ უ რ ბ ლ ე ი ე რ ი - საძ. (არხვა) – “საწურბლე ადგილი”. მსაზღვრელი ზედსართავი სახელია, საზღვრული – არსებითი სახელი:  
 თ ა ვ ჯ ა მ ე ნ ა ც ი ხ . (ირსა) – “მთავარი, დიდი მეჩეთი”;  
 დ ი დ ი დ უ ზ ი - სათესი (გოლა) – “დიდი ვაკე”;  
 დ ი დ ი ი ა ი ღ ა - საძ. (ვაზრია) – “დიდი იალაღი”;

პ ა ტ ი ნ ა თ ე ფ ე - ტყე, მთა (არავეთი) – “პატინა ← პატარა მწვერვალი”;

პ ა წ ა ლ ი ა ი ლ ა - იალაღი (ზედა ქლასკური) – “პატარა იაილა”;

პ ა ტ ი ნ ა გ ო ლ ე ბ ი - ტბები (არავეთი) – “პატარა ტბები”;

მსაზღვრელი ზმნიზედაა, საზღვრული – არსებითი სახელი, ორივე მხოლობით რიცხვში დგას;

გ ა ღ მ ა დ უ ზ ი - სათესი (არხვა) – “გაღმა ვაკე”;

ზ ე დ ა ლ მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ. უბანი (ზედა ქლასკური) – “ზედა უბანი”;

ზ ო მ ო მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ. უბანი (ადაგული, თხილაზრო) – “ზემო უბანი”;

ქ ო მ ო მ ა ჰ ა ლ ე (←ქვემო მაჰალე) - სოფლ. უბნები (ადაგული, ჯუანი, ტრაპენი) – “ქვემო უბანი”;

შ უ ა მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ. უბანი (ზედა ქლასკური) – “შუა უბანი”; შდრ. შუბანი (←შუა უბანი)–, სოფ. შუახევის რაიონში;

ანთროპონიმული წარმომავლობის მსაზღვრელს დართული აქვს მაწარმოებელი ოღლი // ოღლუ “ქე”, “შვილი”;

გ უ ნ დ ო ღ ლ უ მ ა ჰ ა ლ ე - სოფლ. უბანი (ნაჯვია) – “გუნდაძის უბანი”;

გ უ ნ დ ო ღ ლ უ მ ა ჰ ა ლ ე ქალაქის უბანი (ბორჩხა) – გუნდაძის უბანი;

შ ა თ ი რ ო დ ი მ ა ჰ ა ლ ე ს ი სოფლ. უბანი (ირსა) – “შათირიშვილის უბანი”;

წ ი ნ წ კ ა ლ ო ღ ლ ი ო რ მ ა ნ ი - ტყე (ქვ. ქლასკური) – “წინწკალაშვილის ტყე”

**თურქული- ქართული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები**

მსაზღვრელი თურქული სახელია, საზრგული – ქართული, ორივე წევრი მხოლობით რიცხვში დგას, მსაზღვრელის ნათე-



საობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი მოკვეცილია, იშვიათად – შენარჩუნებული:

გ უ რ ჯ ი ყ ა ნ ა - თხილ, (არავეთი) – “ქართველია ყანა”;

მ ა ღ ა რ ა კ ა რ ი - საძ. , გამოქვ. (თხილაზრო) – “გამოქვაბულის კარი”;

მ უ ს ლ უ ღ ი კ ა რ ი - საძ. (ქვ. მარადიდი) – წყაროს კარი”;

ფ უ რ უ ნ ი კ ა რ ი - სათიბი, თხილნ., (ზედა ქლასკური, ხედა) – “პურის საცხობის კარი”;

ყ ა ი ა დ ი დ ი - მთა (ქვ. მარადიდი) – “კლდე დიდი”;

ყ უ რ წ ყ ა ლ ი - ტყე (ადაგული) – “მშრალი წყალი”;

ყ ა ლ ო თ ა ვ ი - საძ., (ქართლა) – “კლდის თავი”;

ყ ა ლ ი ძ ი რ ი - ტყე (კირნათი) – “ციხის ძირი”;

ხ ო ჯ ი ყ ა ნ ა - სათესი (ჯუანი) – “სასულიერო პირის ყანა”, სხვა მნიშვნელობით ხოჯა მასწავლებელსაც ნიშნავს,

ჯ ა მ ი კ ა რ ი - საძ. სოფლის ცენტრი, სოფლ. ცენტრი, სოფლ. უბანი, სათესი (შუახევი, ქვ. მარადიდი, ჯუანი, მაქრეთი);

ფ უ რ უ ნ ი ს კ ა რ ი - წყარო (ჯუანი) – “პურის საცხობის კარის წყარო”.

მსაზღვრელად გამოყენებულია თურქული ანთროპონიმული სახელი, საზღვრულის ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილი მოკვეცილია ან შენარჩუნებული ტოპონიმი აღნიშნავს ადგილის მფლობელის ვინაობას:

ა ლ ი ვ ე ნ ა ხ ი - ბაღი (არხვა);

დ ე ლ ა ლ ო ს ყ ა ნ ა - სათესი (ჯუანა);

დ ე ლ ი მ ე მ ე დ ი ს ყ ა ნ ა - ტყე (არავეთი);

ე მ ი ნ კ ა ლ ო - სათესი (მაქრეთი);

ე ზ ი ზ ვ ე ნ ა ხ ი - ბაღი (დამფალი);

ი ს უ ფ ი კ ა რ ი - სათესი (ზედა მარადიდი);

ი ს უ ფ ა დ ი თ ა (←იუსუფადის მთა) - საძ. (ბაგინი);

ი ა მ ი ს ვ ე ნ ა ხ ი - ბაღი, სათესი (დამფალი);

ი ა ყ ო ფ ა ს ვ ე ნ ა ხ ი - ბაღი (არხვა);

მ ე მ ო წ ყ ა ლ ი - წყარო (ადაგული);  
ო ს მ ა ნ ა ლ ა ს წ ყ ა ლ ი - წყარო (ადაგული);  
ამ გეოგრაფიულ სახელებში ჩანს პიროვნული სახელები:  
ალი, დელალო, დელი მემედი, ემინი, ეზიზი, უსუფი, უსუფადა,  
მემო, ოსმანადა და ა.შ.

## Этери Беридзе

### Топонимика Нигальского ущелья турецкого происхождения

#### Резюме

Тао-Кларджети на протяжении нескольких веков находилось в составе Османской империи. В этот период данный регион стал заселяться населением негрузинского происхождения. Турецкий язык насильственно стал языком общения. Однако, грузинский язык продолжал свое существование, испытывая сильное влияние турецкого языка.

Сегодня на территории Нигальского ущелья, находящегося в составе Турции (Борчха, Мургульский и Артвинский район), проживает многоязычное население. Большая часть населения Артвина не знает грузинского языка и поэтому в лексике и топонимике много иноязычных (в основном турецких) географических имен.

В турецкой географической номенклатуре исследуемого района три основные группы: 1) простые имена; 2) имена, происходящие от суффиксов; 3) сложные топонимы.

**ქურნალი „კრებული“**

XIX ს-ის 70-იანი წლების დამდეგისათვის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენცირება გამოიხატა მრავალ გაერთიანებათა ჩამოყალიბებაში, რაც პრაქტიკულად გამოვლინდა ახალ პერიოდულ გამოცემათა დაარსების სახით. ქურნალი „კრებული“ (1871-1873), რომლის გარშემო გაერთიანდა მოაზროვნე ქართული საზოგადოება, თვისთავად აღმოჩნდა ცხოვრების შუაგულში.

„დასაწყისისათვის „კრებული“ გამოვიდა როგორც „დროების“ ლიტერატურული დამატება, მაგრამ იმდენად თამამი, გაბედული და მომწიფებული აზრებისა და შეხედულებებისა იყო, რომ დაიმკვიდრა დამოუკიდებელი გამოცემის იმიჯი.<sup>162</sup>“

გაზ. „დროებაში“ გაჩაღდა პოლემიკა „მნათობლებთან“ (ნ. ავალიშვილი, ანტ. ფურცველაძე, მ. ქიქოძე...) ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე უარყოფითად შეხვდნენ ახალი პერიოდული გამოცემის დაარსებას. მათი აზრით საქართველოს მოსახლეობა ვერ შეძლებდა მორიგი პერიოდული გამოცემის შენახვას, მიზეზად იშველიებდნენ ქართველი ხალხის მძიმე სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას. ამდაგვარი დამოკიდებულება უარყოფით გაველენას ახდენდა პერიოდული გამოცემის თითოეულ წარმომადგენელზე, რაც აისახა კიდევ მათ შემდგომ საქმიანობაში.

„მნათობლები“ ვრცლად პასუხობდნენ „დროების“ მესვეურთ, ქურნალი იძლეოდა ამის საშუალებას, ხოლო გაზეთ „დროების“ მესვეური გაზეთის მცირე ფორმატის გამო სრულად ვერ

<sup>162</sup> ა. კალანდაძე, ქართული ქურნალისტიკის ისტორია, ტ. III, თბ., 1985, გვ. 157.

გამოსატავდნენ თავიანთ სათქმელსა და პოზიციას. თითქოს ეს იყო მიზეზი „კრებულის“ დაჩქარებული ტემპით გამოცემისა. ...ამიტომაც დააჩქარეს მათ ჟურნალ „კრებულის“ გამოცემა, რომ პოლემიკისათვის საჭირო იყო სქელტანიანი პერიოდული გამოცემა. ამ შეხედულებას იზიარებს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მეკლევართა ნაწილი, რაშიც ჩვენ ეჭვი გვეპარება და სამართლიან შეხედულებად ვერ მივიჩნევთ. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის მდიდარი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მასალა, რომელსაც ეხედებით ჩვენ იმ დროისათვის. ასევე, „დროების“ წამყვან პუბლიცისტთა ინტელექტუალური შესაძლებლობანი გაცილებით ფართოა, ის არ არის მხოლოდ ქართულ სივრცეში ჩაკეტილი, მასში თანაბრად დომინირებს ევროპული და მსოფლიო სინამდვილე. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ფიქრი ჟურნალის გამოსაცემად გაცილებით ადრე დაიწყო ამ ჯგუფმა, ვიდრე მათ „მნათობლები“ „შემოუტევდნენ“. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1871 წ. დამდეგისათვის პირველი ოთხი ნომერი თითქმის ერთდროულად გამოსულა : იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი. ე. ი. 1870 წლისათვის გამოსაცემად მზად ჰქონიათ აწყობილი ნომრები. „ჟურნალ „მნათობის“ თებერვლის ნომერში (1871), რომელსაც 30 თებერვლის საცენზურო ვიზა აქვს, გამოცხადებულია, რომ დუბელირის სტამბაში იყიდება „კრებულის“ პირველი ოთხი წიგნი („მნათობი“, 1871, №2).

ს. ხუნდაძის მოსაზრებით : „კრებული“ ფაქტიური დამატება იყო გაზ. „დროებისა“. (ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949წ.) სახელწოდება „კრებული“ რუსული „სბორნიკისაგან“ არის გადმოღებული, რაც ასევე მანიშნებელია გაზეთთან ერთად სქელტანიანი ჟურნალის გამოცემის დიდი ხნის სურვილისა. პროგრამა ჟურნალ „კრებულისა“ ძუნწი იყო, ფაქტიურად „დროების“ იდეური ხაზის გაგრძელებად ითვლებოდა.... „...ამ ჟურნალის დანიშნულება ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი და ცოტოცოტათ გააცნოს სა-

ზოგადოება, როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათ წარსულს და ეხლანდელს მდგომარეობას...„კრებული“ თავის ყურადღებას განსაკუთრებით მიექცევს კრიტიკულ ნაწილს, რომლითაც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველ საზოგადოებას.<sup>163</sup> 1871 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა – ნ. ნიკოლაძის სტატია „კრებულის დანიშნულებაზედ,” რომელიც ფაქტიურად პროგრამაა ჟურნალისა. „...ხეირიან ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს, და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის მიმართულებას, მის დროშას და ჩვენი „კრებული”, ხელცარიელი არ გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რომ იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს...

„...კრებულს” ისეთი მიზანი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი, თავისი საზოგადოების ბედნიერება”...<sup>164</sup>

რედაქტორი ჟურნალისა ფორმალურად გ. წერეთელი იყო, ფაქტიურად კი ნ. ნიკოლაძე ასრულებდა ამ მოვალეობას, რადგანაც იგი ახალდაბრუნებული იყო ემიგრაციიდან და რედაქტორად არ დანიშნავდნენ. სიმონ ხუნდაძე ჟურნალის დაარსებას რატომღაც გ. წერეთელს მიაწერს: „კრებული დააარსა გიორგი წერეთელმა და გამოდიოდა 1871-1873 წლებში. მისი უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი და სხვები. იგი „დროების” დამატებას წარმოადგენდა თავის მიმართულებითა და შინაარსით.<sup>165</sup>” ამავე შეხედულებას იზიარებენ რიგი მკვლევარებიც. 1871 წლის გაზაფხულიდან, როცა მიიღეს მთავრობის ნებართვა „კრებულის” ჟურ-

<sup>163</sup> საისტორიო მოამბე, 1952, №6.

<sup>164</sup> ნ.ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, თბ., 1932, ტ. II.

<sup>165</sup> ს.ხუნდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

ნალად გამოცემის შესახებ, გამომცემლად და რედაქტორად მთავრობამ დაამტკიცა გ. წერეთელი. ცხადია ეს დამტკიცება ფორმალური იყო. ნიკო ნიკოლაძე იმ დროს ემიგრაციიდან ახალდაბრუნებული იყო, პოლიტიკურად საშიშ პიროვნებად ითვლებოდა და ოფიციალურად არ დაამტკიცებდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით „ნ. ნიკოლაძეს „კრებულში“ დიდი გავლენა ჰქონდა. თვით რედაქტორს არ ეკითხებოდა ამდენი“<sup>166</sup>. 1872 წლის 2 იანვარს სერგეი მესხი თბილისიდან ატყობინებდა კირ. ლორთქიფანიძეს, „რომ „კრებულის“ წაყვანა ნიკო ნიკოლაძემ ითავა.<sup>167</sup>“ სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებიდან: „კრებულისა“ და ნიკოლაძის გარშემო შემოიკრიბნენ მაშინდელი ჩვენი მწერლები და მთლად მაშინდელი ინტელიგენცია“<sup>168</sup>. („კრებულს ნიკო ნიკოლაძე საკუთარი ფულით სცემდა, რადგან ქართული ჟურნალის ხელმოწერის თანხა მაშინ ხარჯების ერთ მესამედსაც ვერ ანაზღაურებდა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძის ფინანსური დახმარების გარეშე „კრებული“ ვერ გამოვიდოდა.“<sup>169</sup> ილია ჭავჭავაძე 1871 წლის 19 მარტს სწერდა პეტრე ნაკაშიძეს: „...გიგზავნი ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონება, მიეცი ნიკო ნიკოლაძეს დასაბეჭდად.“<sup>170</sup> 1872 წ. ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა. ამიტომაც მისი წასვლის შემდეგ 1872 წ. „კრებულის“ ერთადერთი წიგნი გამოვიდა (№8–9), დანარჩენი მისი ჩამოსვლის შემდეგ.

იმავ დროს ს. მესხი და გ. წერეთელიც მიემგზავრებიან საზღვარგარეთ. „დროების“, რედაქტორად კირილე ლორთქიფანიძეს ამტკიცებენ... პარალელურად იგი „კრებულსაც“ რედაქტორობს. „კრებული“ ყოველთვიური პერიოდული გამოცემა იყო.

<sup>166</sup> ზ. ჭიჭინაძე, ნ. ნიკოლაძე, თბ., 1897.

<sup>167</sup> ს. მესხი, წერილები, ი. ბოცვაძის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით. გვ. 45.

<sup>168</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938.

<sup>169</sup> ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. III, თბ., გვ. 345.

<sup>170</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 10, თბ., 1961, გვ. 32.

სულ დაიბეჭდა 22 ნომერი, 18 წიგნად: 1871 წ. – ხუთი ნომერი, (1, 2, 3, 4, 5). 1873 წ. წინა წლის სამი ნომერი ერთ წიგნად (10 – 11– 12) და 1873 წ. ათი ნომერი 9 წიგნად (1, 2,3, 4, 5, – 6, 7, 8, 9, 10). მე –10 ნომერი 1874 წ. გამოვიდა. „დროებას“ ამავე დროს 300 ხელისმომწერი ჰყავს, „ცისკარს“ – 100, „მნათობს“ – 250, „სასოფლო გაზეთს“ – 300, „კრებულს“ კი – 400-დან – 500-მდე. „კრებულს“ ასევე ჰყავდა საკუთარი კორესპონდენტები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში: ოზურგეთში – მამია გურიელი, მიხეილ ბეთანელი – პეტერბურგში, ბესარიონ ჯაფარიძე – ქენევაში.

„კრებულის“ უმთავრესი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე თავის საპროგრამო წერილში „კრებულის დანიშნულებაზე“ უმთავრესად ჟურნალის პოლიტიკურ პროფილს განსაზღვრავს და ცდილობს დაახასიათოს ჟურნალის მნიშვნელობა. „ხეირიან ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს, და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის „მიმართულებას,“ მის დროშას, და ჩვენი „კრებული“ დარწმუნებულია, რომ ხელცარიელი არ გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რომ იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს. „კრებულს“ ისეთივე მიზანი აქვს, როგორც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი, თავისი საზოგადოების ბედნიერება, როგორც ყოველ გონიერ კაცს. ამნაირ ბედნიერებად მთელი საზოგადოებისათვის „კრებულს“ ის მიაჩნია, რომ ყოველ კერძო პირს, საზოგადოების წევრს, მისი სხეულის და გონების ძალა რაც შეიძლება უფრო სრულად გაეხსნას და ცხოვრებაში ამ ძალას რაც შეიძლება უფრო სრული დაკმაყოფილება მიეცეს. ამნაირი ბედნიერებაა ის მიზანი, რომელსაც მისდევს მთელი კაცობრიობა.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებისათვის ახალთაობის პრობლემატიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესთაგანი იყო. „კრებულში“ ამ საკითხს შეეხნენ ს. მესხი, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი. ნ. ნიკოლაძის წერილები: „ჩვენი ახალგაზრდობა“, „კრებულის დანიშნულებაზე“, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „ჩვენი მწერლობა“, „ახალი ახალგაზრდობა“ სწორედ ახალთაობის პრობლემატიკას ეძღვნება. წერილში „ჩვენი ახალგაზრდობა“ მიმოიხილავს ქართველი ახალგაზრდების სასწავლებლად წასვლას ევროპისა თუ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, ახალ გარემოში მათ მოხვედრას, საუნივერსიტეტო ცხოვრებას. ავტორი რიგი ახალგაზრდების ინდიფერენტობისა და წიგნისადმი არ ტოვებს ყურადღების გარეშე, რაც მეტწილად ქართველი ახალგაზრდების მხრიდან იმედების გაცრუებით მთავრდებოდა. „ყოველ საზოგადოებაში თითოეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს, და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით, მე ეს ახალი სარგებლობა მოუტანე ჩემ ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე; ახალი ძალა შევსძინე და ახალი გზა გაუხსენი უკეთესი ცხოვრებისკენ, – შეუძლია ჩვენ ახალგაზრდობას გულზე ხელი დაიდვას და თქვას ეს სიტყვები? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა. მაშ ნუ დავივიწყებთ, რომ იმ თაობას, რომელსაც ამ სიტყვების თქმის უფლება არა აქვს, ისტორია სწორედ იმგვარათ თვლის, როგორც ცხოველების ჯოგს – რომელიც მხოლოდ მით ასარგებლებს ქვეყანას, რომ მოძოვებულ მინდორზე ნაკელს ყრის.<sup>171</sup> „კრებულის“ პუბლიცისტების აზრით, საზოგადოებრივი წყობილება, მისი კანონები და საქციელი ღმერთისგან დაფუძნებული და სამუდამოდ დაწესებული არაა. ამიტომ „მათი შეცვლა შესაძლებელი და სასარგებლო საქმეა“. „კრებულის“ პუბლიცისტისთვის ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი მისი პრაქტიციზმია. „რა ვქნათ?“ „რა ვაკეთოთ?“ „როგორ გავაკეთოთ?“ „რა გვიშვე-

<sup>171</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 32.



ლის?” აი, უმთავრესი კითხვები, რომლებზედაც ამ ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები უპასუხებს.<sup>172</sup>

პუბლიცისტური ოსტატობის საკითხი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმ მომენტისათვის, „კრებულში“ განიხილეს გ.წერეთელმა, პ.უმიკაშვილმა, ი.ნათაძემ, ნ.ცხვედაძემ. „კრებულის“ წამყვანი პუბლიცისტი ნ.ნიკოლაძე ამ საკითხს უძღვნის ვრცელ წერილს „თანამედროვე მწერლობა“, სადაც მიმოიხილავს პუბლიცისტური მასალის სპეციფიკას, ახასიათებს სტილისტურ თავისებურებანს, არკვევს პუბლიცისტის სხვადასხვა ჟანრის სპეციფიკას, მიმოიხილავს იმ დროის მრავალ ცნობილ პუბლიცისტთა შეხედულებებს. წერილის ავტორი მოხიბლულია ფრანგული პუბლიცისტის პათოსით, აზრის სიცხადითა და მახვილგონიერულობით, პირდაპირობითა და დამაჯერებელი ტონით. „ჰიპოთეზა, თეორია ან დედააზრი ელვასავით გაჰკრავს ცოდნის ნისლიან ცაზე, ბნელ მხარეებს გაანათებს, გზას აღმოაჩენს, მაზანს უჩვენებს.“(„სხვათა შორის“, „კრებული“, 1873წ.№4)

უნდა აღინიშნოს, რომ „კრებულის“ უმთავრესი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძეა. ჟურნალში იგი აქვეყნებს 15-მდე პუბლიცისტურ წერილს, რომელიც მოიცავს საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს. „კრებულის“ პუბლიცისტიკა მნიშვნელოვანია როგორც ფორმის, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ეს უპირველესად ნიკო ნიკოლაძის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც მის მიერ შემოტანილი მრავალი ახალი თემა თუ პრობლემა, ახალი კუთხით იყო დანახული, სათქმელის უბრალო და დამაჯერებელი ტონი, მკაფიო, გამოკვეთილი პოზიცია უადვილებდა მკითხველს ჩამწვდარიყო პრობლემის არსში, გულთან მიეტანა ავტორის პოზიცია და გაეზიარებინა კიდევ. პუბლიცისტის ასეთი დამაჯერებელი ტონი და ნათელი აზროვნება წინ სწევდა პუბლიცისტურ კულტურას და ამადლებდა საზოგადოებრივ აზროვნებას იმ

---

<sup>172</sup> ა. კალანდაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, გვ. 394.

ფონზეც, რომ ნიკოლაძის წერილები დიდ ზეგავლენას ახდენდა მკითხველზე და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

ბატონყმობის გაუქმების შემდგომი ხანა საჭიროებდა ახსნასა და განმარტებას საზოგადოების იმ ნაწილისაგან, რომელსაც ხალხი ენდობოდა და უსმენდა კიდევ. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური შეიქმნა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც აშკარა გახდა რეფორმის შინაარსი: არა დაბალი, სოციალურად დაუცველი ფენის სასარგებლოდ გადაწყვეტილებების მიღება, არამედ ისევ და ისევ გაბატონებული პრივილეგირებული ფენებისადმი მხარდაჭერა და მათი ინტერესების დაცვა. გლეხობის ეკონომიკური სიღუბის ჩვენებამ საინტერესო ასახვა პპოვა ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, პ. უმიკაშვილის, ი. ნათაძის წერილებში. ნ. ნიკოლაძის ნარკვევში „სხვათა შორის“ საუბარია მრეწველობის მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე. ავტორს მიაჩნია, რომ მრეწველობის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე საუბარიც. ეს კი პირდაპირაა დაკავშირებული ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ინიციატივიანი, გაბედული და მიზანმიმართული ადამიანების აღდგომისაზე ბევრია დამოკიდებული. ავტორი სიმდიდრის დაგროვებას არ მიიჩნევს ხალხის ბედნიერების გარანტიად. ნიკო ნიკოლაძე წერილში „ჩვენი ახალგაზრდობა“ აღნიშნავს, რომ ბატონყმური ცხოვრების სინამდვილე ფაქტიურად შენარჩუნებულია და „პრივილეგირებულ ფენებს“ კვლავ არ სურთ დათმობაზე წასვლა. (ნიკოლაძე, ჩვენი ახალგაზრდობა). ნიკო ნიკოლაძე სხვა სტატიებშიც „ახალი საფრანგეთი“, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, „შვილი მე-19 საუკუნისა“, „სხვათა შორის“, ახასიათებს საფრანგეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების სინამდვილეს და აღნიშნავს: „რეეოლუციამ ხალხს პირადი უფლებები და თანასწორობა მიანიჭა დანარჩენ წოდებებთან, მაგრამ სიღარიბე და მძიმე შრომის გამოუდევრობა ამ ხალხს უთანასწორობას აგრძნობინებდა

და უმჯობესი ბედის სურვილს აღუძრავდა.<sup>173</sup> ნიკოლაძე აკეთებს დასკვნას, რომ ეკონომიკური ბატონობა პოლიტიკური ბატონობის საფუძველს წარმოადგენს. „კანონმდებლობასაერთოდ და კერძოდ – ძალიან ემორჩილება მქონებელ კლასებს და ძალიან დაუნდობელია უქონელთადმი“<sup>174</sup>. („ამ წოდების ოდენა უზნეობა და ქვეყნის გამცემლობა არც ერთ წოდებას არ მიუძღვის. ერთ მხარეზე ესენი იყვნენ, მეორეზე – მშრომელი ხალხი. იმას წამხლარი აქვს ზნე, ხასიათი, უსაქმურია, ზარმაცია, სახელგატახილია. ხალხი ჯანმრთელია. „მომავალიც ამ ჯანით ღონიერ ხალხზე ტრიალებს.. ბურთი და მოედანი იმათ დარჩება.“<sup>175</sup> „კრებულის“ ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი გ. წერეთელი აქტიურად ეხმაურება საქართველოში არსებულ ვითარებას და ცდილობს ახსნა მოუძებნოს სავაჭრო-სამრეწველო განვითარების პერსპექტივებს საქართველოში და დაასკვნის, რომ ქვეყნის მომავალი, ხვალინდელი დღე დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაზე, რომ მომავალი ვაჭრობასა და მრეწველობას ეკუთვნის, „..თავად-აზნაურობა, რომელიც ფულს ბანკოში ფლანგავს, დასაღუპავადაა განწირული“<sup>176</sup>. გიორგი წერეთელს სწამს, რომ კაპიტალიზაციის პროცესს კარებს ვერავინ მიუკეტავს, ეს ერთგვარი კანონზომიერი პროცესია და აუცილებელი მოვლენა ქვეყნის განვითარებისა. თუკი ვინმე შეეცდება ამ პროცესებს ზურგი შეაქციოს წაგებული თავადვე დარჩება. თუმცა არ გამორიცხავს მთელ რიგ გაუგებრობებსაც, რომელიც შეიძლება ამ პროცესების ხელოვნურ დაჩქარებას მოჰყვეს. ავტორს მოჰყავს ფოთის რკინიგზის მაგალითი და ამბობს : ფოთის რკინიგზამ, რომლის გაყვანის ნებართვა ჩვენთვის არავის უთხოვია, სარგებლობის ნაცვლად ზარალი მოგვაყენა, ჩაღვადრები უსაქმოდ დაყარა, საზღვარგარე-

<sup>173</sup> ნ. ნიკოლაძე, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, „კრებული“, 1873, №3.

<sup>174</sup> იქვე.

<sup>175</sup> გ. წერეთელი, „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873, №3.

<sup>176</sup> გ. წერეთელი, „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა“, „კრებული“, 1872, №7.

თის იაფმა საქონელმა ჩვენსას მაზანდა დაუცა და გაყიდვის მაგიერათ ღორებს შევაჭამეთ, გამოჩნდა რომ რკინიგზა გაკეთებულა ფულიან კაცებისათვის და ყოველნაირ ხელობაში გაწერთნილი კაცებისათვის.<sup>177</sup> ერთი წლის შემდეგ ავტორი იცვლის თავის შეხედულებას და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რკინიგზამ დიდი ეკონომიური წარმატება მოუტანა გაჭირებულ მოსახლეობას, ეკონომიურად გაუმჯობესდა იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც ცდილობენ სავაჭრო-სამრეწველო პროდუქციით ფეხისმოკიდებასა და დამკვიდრებას ცხოვრებაში, რომ მზამზარეული ლუკმა უზრუნველად და ფეხის გაუნძრევლად არავის არ მიუვა სახლში, რომ რაც უფრო დროზე აუღებთ ალღოს შექმნილ სიტუაციას მით უკეთესი: „.. რკინიგზამ ყველაფერი შეატრიალა, რომ გურულებს კურტანი აუკიდნიათ, რომ მეგრელები და იმერლები შორს წასულან და რომ, ყველაფერი ეს ხდება საქართველოს საკეთილდღეოდ.<sup>178</sup> გ. წერეთლის აზრით ვაჭრობა, ფული, რკინიგზა ძალზედ კარგი საშუალებაა ქვეყანაში მრეწველობის განვითარებისათვის. მის თითქმის ყოველ წერილში გამოთქმულია აზრი იმის თაობაზე, რომ სამრეწველო-ტექნიკურ ჩამორჩენილობას ქვეყნის კატასტროფამდე მიყვანა შეუძლია. ამიტომაც ქადაგებს განათლების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ განათლებული და წიგნიერი თაობის ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფო გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდეს.<sup>179</sup> „კრებულის“ პუბლიცისტიკის წამყვან თემად იქცა მანამდე საზოგადოებისათვის ერთგვარად უმნიშვნელო საკითხები, მაგრამ იმ მომენტისათვის ყველაზე აქტუალური საკითხი: როგორ შეესივნენ ხრიოკ, მიუვალ, მიტოვებულ ადგილებს იოლად გაძიდირების მოსურნენი. წერილის სათაურები ცხადყოფდნენ ინტერესთა ზრდას: „ნახშირის სენი“, „მადნეულის სენი“, „გიჟები მადნის ძიებით“. გ. წერეთელი ირონიული ტონით დასძენს,

<sup>177</sup> გ. წერეთელი, „საამხანაგო ბანკები“, „კრებული“, 1872, №8-9.

<sup>178</sup> გ. წერეთელი, „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873, №3.

<sup>179</sup> გ. წერეთელი, „საამხანაგო ბანკები“ „კრებული“, 1872, №8-9.

რომ ურგები ადგილები, რომელსაც არავინ არაფრად აგდებდა, ასიათასობით მანეთად იყიდება. ავტორის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ თანამემამულეები, რომლებიც იოლად გამდიდრებაზე ოცნებობენ, ნაცვლად საკუთარი შრომისა, უცხოელებს კიტრის ფასად აძლევენ მადნეულით სავსე ადგილებს.<sup>180</sup> „კრებულში“ ხშირად იბეჭდებოდა წერილები საბანკო საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენში ბანკის საკითხი აქტუალურად საგლეხო რეფორმის წინ წამოიჭრა „კრებულის“ პუბლიცისტებს კარგად ესმოდათ, რომ ბანკებითა და ასოციაციებით უმძიმესი სოციალური ტკივილების განკურნება შეუძლებელი იყო. მათ მიანდათ, რომ ბანკი იყო საშუალება, რომელიც გააიოლებდა სავაჭრო-სამრეწველო განვითარებას და მხოლოდ დროებით შეამსუბუქებდა მძიმე სოციალურ ფონს. საბანკო საკითხებისადმი ინტერესი განსაკუთრებით შეინიშნება ნ.ნიკოლაძის გ.წერეთლის, დიმ. ბაქრაძის, ს. მესხის და სხვა პუბლიცისტთა წერილებში, სადაც ავტორები განსაკუთრებულ საფრთხეზეც მიანიშნებენ კრედიტების არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში, რადგანაც ასეთ დროს ბანკი იძულებული გახდება გირაო გაყიდოს და ეროვნული მიწა-წყალი აღმოჩნდება ფულიანი ხალხის ანუ უცხო ვაჭრებისა და კაპიტალისტების ხელში.

„კრებული“ ასევე აქტუალურად ეხმაურება ქალთა ემანსიპაციის საკითხს. ქალების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ავტორიტეტის ამაღლება და მათთვის საზოგადოებაში შესაფერისი ადგილის მოპოვება „კრებულის“ პუბლიცისტთა უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა. 1873 წლი 24 თებერვლის „დროებაში“ ვკითხულობთ: „ამ კვირა ორშაბათს კიდევ ორი ჩვენებური ახალგაზრდა გაემგზავრა საზღვარგარეთისკენ: ერთი ბუნებათმეცნიერების კანდიდატი პეტრე მელიქიშვილი და მეორე იმის და ეკატერინა მელიქიშვილისა.“<sup>181</sup> ამ დროისათვის ქართველ ქალთა გასვლა ევროპაში უმაღლესი განათლების

<sup>180</sup> გ. წერეთელი, „ამ დროის ვითარება“, „კრებული“, 1872, №10-11.

<sup>181</sup> „დროება“, 187, №17.

მისაღებად ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და მათი სახით ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ მნიშვნელოვანი შევსება მიიღო. ეკე მელიქიშვილი, ოლა გურამიშვილი, ეკატერინე ნიკოლაძე, ოლიმპიადა ნიკოლაძე, მაშეკო წერეთელი და სხვები შვეიცარიაში წავიდნენ განათლების მისაღებად. „კრებულმა“ სიხარულით აღწერა მკითხველს 1871 წელს თბილისში „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ დაარსება (ეკ. მელიქიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ო. გურამიშვილი), ხოლო ნიკ. ნიკოლაძემ ვრცლად და დიდი გულთბილობით განიხილა ამ საზოგადოების მიერ 1872 წ. გამოცემული პირველი წიგნი: „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“<sup>182</sup>. ეროვნული ერთიანობა და კონსოლიდაცია, აჭარისა და ჭანეთის საკითხები იყო „კრებულის“ პუბლიცისტების უმთავრესი საზრუნავი. თითოეულ წერილში ნახვენებია სამშობლო ქვეყნის არსებული მდგომარეობა. „... ასე მგონია, აქ ყველაფერი საყვედურს მეუბნება, – „არა გრცხვენია? .. შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არა აქვს და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხიც ხოვრობს, – დაკარგული და მივარდნილია“<sup>183</sup>.

ქურნალის ფურცლებზე ძალზე საინტერესო დისკუსია გაიმართა უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით. ქართული საზოგადოება დიდი ხანია ფიქრობდა და ამზადებდა ნიადაგს თბილისში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დამდეგისათვის თბილისი იყო ამისათვის მზად, რომლის ინტელექტუალური შესაძლებლობებით ნამდვილად იამაყებდა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნის ნებისმიერი დედაქალაქი. მაგრამ აქაც ჩვეულებრივ ქართული ხასიათის ერთი საინტერესო მომენტი გამოვლინდა: გაუტანლობა, შური, სიძულვილი.. რომ არა დაპირისპირება პირველ და მეორე დასს შორის, ცარიზმის წინადადება მტკვარდალეულთა პირით გაუ-

<sup>182</sup> ა. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 422.

<sup>183</sup> ნ. ნიკოლაძე, „სხვათა შორის“, „კრებული“, 1873, №4.

ღერებულის, პოხიერ ნიადაგს ვერ იპოვიდა, ფესვებს ვერ მოიკიდებდა. პოლემიკა ამის თაობაზე უმთავრესად „დროება-კრებულში“ განაღდა. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმან თუ რა ტიპის სასწავლებელი იქნებოდა უკეთესი: უნივერსიტეტი, სამეურნეო აკადემია თუ ტექნოლოგიური ინსტიტუტი. ნიკო ნიკოლაძე „პრაქტიკულ მხარეს“ დიდ მნიშვნელობას ანაჭებდა და უპირატესობას სპეციალური სასწავლებლის დაარსებას ანიჭებდა<sup>184</sup>. გიორგი წერეთლის მოსაზრებით კავკასიაში გადაუდებელ საჭიროებად იქცა უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. 1872 წლის გაზ. „დროება“ №26 აქვეყნებს გ.წერეთლის სტატიას სათაურით „საჭიროა თუ არა კავკასიაში უნივერსიტეტი“. 1871 წლის ჟურნალი „კრებული“, №5 ბეჭდავს იგივე ავტორის ვრცელ წერილს სათაურით „რა გვეჭირება“. „...ქალაქი, სადაც უნივერსიტეტი არსებობს, მუდამ გამოირჩევა კულტურით, ზნეობით, განათლებით, საზოგადოებრივი მოძრაობით. უნივერსიტეტის დაარსება გაამრავლებს გიმნაზიებს და გააუმჯობესებს მათ მუშაობას.. ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას თუ რამე უშველის, ისევე უნივერსიტეტი“.

„კრებულში“ მოღვაწე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ნიჭიერი თაობა ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით იყო ის ძალა, რომელიც დღენიადაგ ზრუნავდა ქართველი ხალხისა და საქართველოს საკეთილდღეოდ.

---

<sup>184</sup> ნ. ნიკოლაძე, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „კრებული“, 1871, №3.

## **Ioseb Sanikidze**

### **„Krebuli”**

#### **Summary**

One of the best representatives of Georgian publicity school in of 19-th century- the magazine „Krebuli” proved tj be among the periodic edditions supporting hte rise of national conscienes. it not only defined of behaviour in the given situation, but also brought team, mutual rules in periodic activities. The latter was of impotance for further collaboration and creative relationship between a great namber of appeared politiceal and literary groups.



**თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები  
სკოლაში ისტორიის სწავლებისას**

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში წლების განმავლობაში ისტორიის სწავლებისას ტრადიციულ სასინათლო საშუალებებზე იყენებდნენ დიაპოზიტურებს, დიაფილმებსა და სასწავლო კინო-სურათებს. დღეისათვის სამივე ეს საშუალება მოძველებულია და იგი პრაქტიკულად ევროპაში შეცვალა მულტიმედია.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სიტყვა მულტიმედია” ხმარებაში შემოვიდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. “მულტიმედია” ინგლისური სიტყვაა. “მულტი” ნიშნავს “მსგავსს”, “მედია”- საშუალებას, ხერხს”. მულტიმედია არის სპეციალური პროგრამა, რომელიც კომპიუტერის საშუალებით მიაწოდებს მომხმარებელს ინფორმაციას მულტიმედიას სახით.

მულტიმედია შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ტექსტი მონიტორის ეკრანზე –ეს არის მოძრავი ან უძრავი სხვადასხვა ფერისა და ფორმის ასოებიანი სტრიქონები, რომელთა განერება, უკან დაბრუნება, გამეორება და შეწყვეტა იოლია;

ფერადი ნახატები;

ანიმაციური ფილმები და ვიდეო-სიუჟეტები;

მუსიკა;

დიქტორის კომენტარი და ხმოვანი ეფექტები.

მულტიმედია პროგრამა იოლად იმართება კომპიუტერის ერთი ღილაკის ან მაუსის მეშვეობით. იგი ხელმისაწვდომი, საინტერესო და მიმზიდველია ბავშვისათვის. ასევე ფართოდ არის დანერგილი ჰიპერტექსტის გამოყენების მეთოდი. ჰიპერტექსტი განსხვავებული შრიფტით ან ფერით გამოყოფილი სიტყვაა, რომელშიც დევს ინფორმაცია. პროგრამაზე მუშაობისას ეკრანზე

ჩანს მხოლოდ ძირითადი ტექსტი, დამატებითი ინფორმაციის შემცველი სიტყვები კი გამოყოფილია. მაუსის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი სიტყვის უკან დამალული ინფორმაციის გახსნა.

მულტიმედია პროგრამის გამოყენების სფერო დიდია. ესენი არიან: თამაშები, სწავლება და თვითგანათლება, პროგრამირება, საქმიანი სფერო, ინფორმაციული მომსახურება, არქივები და სხვა.

საზღვარგარეთ უკვე უამრავი მულტიმედია პროგრამა არსებობს. საქართველოში მულტიმედია პროგრამების დამზადება დაიწყო 1996 წლიდან და პირველი კომერციული მულტიმედია პროგრამა იყო ტექნიფორმისა და ბიზნეს კომუნიკაციური ცენტრის მიერ გამოშვებული ინგლისურენოვანი “CD of Georgia”.

ისტორიის სწავლებაში პირველი წინგადადგმული ნაბიჯი იყო თბილისის 47-ე სკოლა-ლიცეუმის ისტორიის მასწავლებლის მანანა შეყილაძის ავტორობით დამზადებული მულტიმედია გაკეთილი საქართველოს ისტორიაში. აღნიშნულმა პროგრამამ წარმატებით გაიარა აპრობაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პედაგოგთა და მოსწავლეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

შემდგომში მ.შეყილაძის ავტორობით დამზადდა ახალი მულტიმედია პროგრამები საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის კლასების მიხედვით. თითოეული პროგრამა ასახავს ერთი სასწავლო წლის მასალას, გამომდინარეობს სკოლებში მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. პროგრამა შედგენილია ძალზედ საინტერესოდ, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა და პედაგოგთა შენიშვნები და სურვილები, გამართულია მეთოდურად. მ.შეყილაძის მიერ გაწეული შრომა ფასდაუდებელია. დღეისათვის ყველა სკოლას გააჩნია კომპიუტერული კლასები და ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები.

ბავშვები სიამოვნებით მუშაობენ მულტიმედია პროგრამებში. გაიზარდა ინტერესი საგნისადმი, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ცოდნის დონის ამაღლებას.

რაც შეეხება მსოფლიო ისტორიის სწავლებაში მულტიმედია პროგრამების დანერგვას – ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ ცალკე საქართველოში მსოფლიო ისტორიის მულტიმედია პროგრამების შექმნას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზღვარგარეთული გამოცემების თარგმნა, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ მასალის ამოღება და მისი მორგება ჩვენ ქართულ პროგრამაზე.

ნიმუშად წარმოვადგენთ გერმანიაში “Digital Publishing”-ის მიერ გამოცემულ მულტიმედიას, რომელშიც გადმოცემულია გერმანიის ისტორია 1871-დან 1998 წლების ჩათვლით.

მულტიმედია პროგრამა ორი კომპაქტ-დისკისაგან შედგება, რომლებიც თავის მხრივ ათ თემას მოიცავენ. პირველი კომპაქტ-დისკი იწყება ბისმარკის მმართველობის პერიოდიდან და მთავრდება 1945 წლით, ხოლო მეორე მოიცავს 1945-1998 წლებს. თითოეული თემა დაყოფილია ქვეთემებად. დისკის გახსნისას კომპიუტერის ეკრანზე წარმოგვიდგება სამუშაო განყოფილებები. თითოეული განყოფილება სხვადასხვა სახის ოპერაციას ასრულებს.

განყოფილებაში “დღემდე” ჩადებულია ის ისტორიული მოვლენები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში მოხდა. მას აქვს ნახატებით ილუსტრირებული საეკრანო გვერდის ფორმა, ყოველ ახალ გვერდზე ან თემაზე გადასვლას თან ახლავს დიქტორის კომენტარი. ხშირად გაისმის შესაბამისი ხასიათის მელოდია. გვერდების უმრავლესობაზე არის მონიშნული ადგილები, რომელთა გააქტიურება გადაგვიყვანს ამ ადგილის დაწვრილებით “გაცოცხლებულ” ახალ საეკრანო გვერდზე. მაგ., როდესაც ვეცნობით გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკას XIX ს-ის 70-იან წლებში და ვხედავთ ბისმარკის სურათს, შეგვიძლია გავეცნოთ ბისმარკის შეხედულებებს და აღნიშნულ მონაკვეთთან დაკავშირებულ სხვა წყაროებს.

განყოფილებაში “ბიოგრაფიები” მოცემულია ყველა იმ ისტორიულ პირთა ბიოგრაფია, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში მოღვაწეობდნენ. წარმოდგენილი 1200 ბიოგრაფია დალაგებულია ანბანზე.

განყოფილება “არქივი” წარმოადგენს ელექტრონულ ბიბლიოთეკას, რომელშიც თავმოყრილია 12000 დოკუმენტი, წერილობითი წყარო, კომენტარი, 3800 რუკა, სურათი და ილუსტრაცია, 4000 სტატია და მოხსენება. აგრეთვე ნაწვევები დოკუმენტური და ანიმაციური ფილმებიდან. ნებისმიერი წარმოდგენილი მასალის გადმოხედავა თავისუფლად შესაძლებელია.

ეკრანის ქვედა ნაწილში განლაგებულია დროის ხაზი, რომელზეც ეპოქის მნიშვნელოვან თარიღებთან ერთად მოცემულია თემების ილუსტრირებული გაშლილი ჩამონათვალი. მაუსის მეშვეობით შესაძლებელია ხაზის ნებისმიერ მხარეს გადაადგილება და სასურველი თემის ამორჩევა.

მულტიმედიაში ჩადებული ლექსიკონი, რომელშიც 48000 ცნებაა განმარტებული. ეს ცნებები ტექსტშიც საზგასმულია.

ათი თემა ფილმებით და გახმოვანებული კომენტარით ორი საათის განმავლობაში მოგვითხრობს გერმანიის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებზე. გახმოვანებული დოკუმენტების ხანგრძლივობა 6 საათია, ხოლო კინო-მასალის შეადგენს - 60 წუთს

ჩვენს ხელთ არსებული გერმანულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული თემები, რუკები, ილუსტრაციები ძალზედ ჩამოგავს მულტიმედია თემებს და მასში თავმოყრილ დოკუმენტებს, რუკებსა და სურათებს. ხშირ შემთხვევაში ისინი მეორედება. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ მულტიმედია არსებული სასკოლო სახელმძღვანელოს საფუძველზეა შექმნილი.

მულტიმედიაური პროგრამა წარმოადგენს მასწავლებლისათვის ფასდაუდებელ დამატებით საინფორმაციო წყაროს. თანაც ამ ინფორმაციის გამოყენება მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერ დროს და მას რამდენჯერაც დასჭირდება შეუძლია უჩვენოს

მოსწავლეებს ესა თუ ის მულტიმედია გვერდი. მაშასადამეხვენ საქმე გვაქვს ელექტრონულ წიგნთან, რომლის გადაფურცვლა შესაძლებელია სურვილისამებრ. აქვე გვინდა დავამატოთ, რომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მულტიმედიური სასწავლო პროგრამების დანერგვა ყველა საგანში და განსაკუთრებით კი ისტორიაში, რათა ჩვენი მომავალი სასიკეთოდ წარიმართოს.

**Madona Mikeladze**

**Modern Informational technologies for teaching  
History at School**

**Summary**

During some years, at the schools, providing general education, diapositives, diafilms and other educational illustrations were applied as traditional illustrative means of teaching history. In Europe, all these three means of teaching were practically altered by multimedia. The multimedia program represents the invaluable supplementary source of information for a teacher. Herewith, the teacher can apply this information at any time and show pupils any multimedia page as many times as it is needed. We are speaking about an electronic book, which can be turned over in case of need.

We think it is necessary to introduce the multimedia educational programs in all disciplines, especially in history, in order to manage our future fruitfully.

ირაკლი ბარამიძე

ფათიჰ ეფენდი შირვანელის  
ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ



2001 წელს სტამბულის უნივერსიტეტის დოქტორ მეჰმედ ალი ბეიჰანის მიერ ოსმალურიდან თურქულად ითარგმნა და გამოიცა ფათიჰ ეფენდი შირვანელის „გულ-ზარ-ი ფუთუჰათ“-ი (ვარდნარის დაპყრობე-ბი), რომელიც საინტერესო და საყურადღებო ცნობებს შეიცავს ოსმალეთისა და მისი მე-ზობელი ქვეყნების ისტორიისათვის. ნარკვე-ვი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში აღწერილ-აღწუსებულია ძირითადად იენიჩარ-

თა კორპუსის გაუქმებასთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები, *xolo* მეორე ნაწილში კი მოცემულია მოკლე ცნობები ოსმალეთის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყ-ნების – შირვანის, დაღესტნის, საქართველოს, ირანისა და რუსეთის ისტორიის, გეოგრაფიის, სამხედრო ძლიერებისა და სხვ. შესახებ.

ფათიჰ ეფენდის თხზულება რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წლების ომამდე, 1827 წელსაა დაწერილი. ავტორი, როგორც თავად მიუთი-თებს, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისას (ოსმალური ტექ-სტის მინაწერში რატომღაც 1212 = 1797/98 წელი ფიგურირებს) რუ-სეთის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფებოდა და ქართველთა დამარცხების შემდეგ მას ორი წელი ტყვეობაშიც გაუტარებია. მთარგმნელ-გამომცემელ მეჰმედ ალი ბეიჰანის ვარაუდით, თუკი მი-ვიჩნევთ, რომ 1212 = 1797/98 წლისათვის ფათიჰ ეფენდი მაქსიმუმ 20 წლის (!) იყო, მაშინ იგი სადღაც 1192 = 1778 წელს უნდა ყოფილიყო

დაბადებული. წარმოშობით შირვანელი ახალგაზრდობაში სტამბოლს მისულა, მეცნიერული განათლება მიუღია და სულთნის კარზეც დაწინაურებულა. სხვა მნიშვნელოვანი ცნობები მისი ოჯახისა და ცხოვრების შესახებ არ მოიპოვება და რაც ვიცით, ისიც, ძირითადად, თავისივე თხზულებიდან. გარდაიცვალა ეგვიპტეში 1250=1834/35 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფათიჰ ეფენდის 1828-29 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის აღმოსავლეთ ფრონტთან დაკავშირებული ნარკვევიც მოეპოვება. იგი ამ ომში სერასკერ სალიჰ ფაშას დიპლომატიურ მისიონში იღებდა მონაწილეობას და ამ მხრივ მისი ცნობების უტყუარობაში ეჭვის შეტანა ძნელია. ფათიჰ ეფენდი ასევე თვითმხილველი იყო იმ შემზარავი პროცესების, რომლებიც ოსმალეთში და უპირველესად სტამბულში, იენიჩართა კორპუსის გაუქმების შემდეგ განვითარდა.

როგორც ცნობილია, 1826 წელს სულთან მაჰმუდ II-ის ბრძანებით იენიჩართა კორპუსი დაშლილად გამოცხადდა.<sup>185</sup> XIV საუკუნეში შექმნილმა ამ ახალი ტიპის რეგულარულმა ჯარმა XIX საუკუნისათვის ამოწურა თავისი მისია. თავიდან იენიჩრები სულთნის ტახტის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. ისინი თანდათან ცალკე სამხედრო ფენადაც ჩამოყალიბდნენ, თუმცა, ბრძოლისუნარიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შესუსტდნენ. ბოლო პერიოდში კი სასახლის კარზე შეთქმულებებსა და ინტრიგებშიც იწყეს მონაწილეობა და ახლა უკვე რეაქციის დასაყრდენად იქცნენ.

ავტორი იწონებს იენიჩართა კორპუსის დაშლის გადაწყვეტილებას და მაჰმუდ II-ის მიერ მათ წინააღმდეგ გატარებულ მკაცრ ზომებს, რაკი ეს სამხედრო ფენა ოსმალეთის სახელმწიფოს განვითარების, გაძლიერებისა და პროგრესის გზაზე მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. ფათიჰ ეფენდი დეტალურად აღწერს მოვლენათა თანამიმდევრობას:

---

<sup>185</sup> მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია, თბ., 2007, გვ. 279.

1826 წლის 15 ივნისს, ხუთშაბათ დღეს, საღამოს 5 საათზე იენიჩრები, რომელთათვისაც ცნობილი გახდა სულთანის პროექტი ახალი რეგულარული ჯარის ჩამოყალიბების შესახებ, აჯანყდნენ. ისინი იარაღის სროლითა და ყიუინით სტამბულის ეთმეიდანისკენ დაიძრნენ და გათენებამდე 2000 კაცამდე შეიკრიბნენ. აქედან მათ სადრაზამ მეჰმედ სელიმ ფაშასა და სამხედრო მინისტრ ნეჯიბ ეფენდის სასახლეებზე მიიტანეს იერიში და სრულიად გაძარცვეს და გაანანაგეს ისინი. სასახლეთა მეპატრონენი გადარჩნენ, რადგან ამ დროს შინ არ იმყოფებოდნენ...

პირველმა ვეზირმა იენიჩართა აჯანყების ამბავი უმაღლესი შიხის სასახლეში მყოფ სულთანს აცნობა. მაჰმუდ II სასწრაფოდ თოფქაფის სასახლეში გადავიდა, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ შეიხულ-ისლამი, ვეზირები და სხვა სახელმწიფო მოხელეები. მიღებულ იქნა ერთიანი გადაწყვეტილება: იენიჩრებისთვის არ უნდა დაეთმოთ და აუცილებელი კონტროლისძიებები განეხორციელებინათ.

მოვლენათა კვალდაკვალ თოფქაფის სასახლეზე აღმართული სახელმწიფოს წმინდა დროშა სულთან აჰმედის მეჩეთზე გადაიტანეს და ხალხს ამ დროშის ქვეშ დარაზმებისაკენ მოუწოდეს. ხალხმაც უყოყმანოდ მეჩეთის ირგვლივ იწყო შეგროვება. მათ იარაღი დაურიგეს და მეჩეთის მოედანზე გადაიყვანეს. ხალხის მასობრივად მოზღვაების შემხედვარე იენიჩრებმა მოედანზე მისასვლელი გზების ჩაკეტვა სცადეს, თუმცა ხალხის ნაკადი ვერ შეაჩერეს და გაქცევა დააპირეს. სადრაზამმა იენიჩრებს მორჩილებისაკენ მოუწოდა, მაგრამ უშედეგოდ. სულთანმაც აჯანყების სისხლში ჩახშობის ბრძანება გასცა...

რეპრესიებს ვერც იენიჩართა ოჯახის წევრები გადაურჩნენ. მათი ყაზარმები ერთიანად ცეცხლს მისცეს და ნაცარტუტად აქციეს. ფათიჰ ეფენდი შირვანელთან დახოცილთა რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. სხვა ავტორთა მიხედვით კი იმ და მომდევნო დღეებში სტამბულსა და პროვინციებში მოკლულ იენიჩართა და



მათი ოჯახის წევრების რაოდენობამ 100 ათასამდე მიაღწია.<sup>186</sup> ავტორი იენიჩართა კორპუსის განადგურებას დადებით მოვლენად მიიჩნევს, რაკი იგი ხელს უშლიდა ოსმალეთის სახელმწიფოს განვითარებასა და გაძლიერებას. ფათიჰ ეფენდის აზრით, ეს ფენა ხელისუფლებისათვის უკურნებელ სენად იქცა, ამიტომაც საჭირო გახდა ქირურგიული ჩარევა და ამ დაავადებული ორგანოს ამპუტაცია.

იენიჩართა განადგურების შემდეგ ჯერი მათ ერთ-ერთ ძლიერ დასაყრდენზე – ბექთაშიების დერეიშთა ორდენზე მიდგა. პრობლემის გადასაწყვეტად შეიკრიბნენ ოსმალეთის უმაღლესი სახელმწიფო მოხელენი და სასულიერო პირები შეიხ-ულ-ისლამის მეთაურობით. დიდი სჯა-კამათის შემდეგ გადაწყდა ამ ორდენის დახურვა, როგორც ისლამის პრინციპებთან შეუსაბამოსი. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ამ ორდენის წევრთა დევნა-შევიწროება, რასაც ბევრი შეეწირა, ზოგმაც ციხეში ამოჰყო თავი, ბევრმაც გაქცევით უშველა თავს. იენიჩართა მსგავსად განადგურდა მათი სახლ-კარი და ქონებაც.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ, სულთნის გადაწყვეტილებით შეიქმნა ახალი ტიპის „ძღვეამოსილი ჯარი“. ავტორის აზრით, იმას, რასაც ბევრი სახელმწიფო სამი წლის მანძილზე ვერ მოახერხებდა, მაჰმუდ II-მ ერთ კვირაში განახორციელა და „ძღვეამოსილი ჯარი“ 70 წლიან არმიას დაამსგავსა.

ფათიჰ ეფენდის ცნობით, რეფორმირების პერიოდში სტამბულში დიდი ხანძარი გაჩენილა, რომელსაც ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი შეუწირავს. ავტორის აზრით, ისტორიულად დამტკიცებულია, რომ დიდ წარმატებებს დიდი უკუღმართობანი მოჰყვება ხოლმე და ეს ხანძარიც ამ „ისტორიული აუცილებლობით“ იყო გამოწვეული.

---

<sup>186</sup> იქვე.

შირვანელი ავტორი თავის ნარკვევში სულთან მაჰმუდ II-ის პიროვნებასაც ეხება და მას ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და რეფორმატორ ხელისუფლად მიიჩნევს. ყველაზე დიდ დამსახურებად ფატიჰ ეფენდი მას იენიჩართა კორპუსის განადგურების 150 წლოვანი გადაწყვეტილების 20 წუთში სისრულეში მოყვანას უთვლის. ავტორისათვის მაჰმუდ II ქვეყნის, ხალხისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული მებრძოლია<sup>187</sup>.

ფატიჰ ეფენდის თხზულებაში იენიჩართა ამბებისა და მაჰმუდ II-ის მოღვაწეობის ამსახველი ცალკეული დეტალების გარდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოსმალეთის მეზობელი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, დაღესტნის, შირვანის, რუსეთისა და ირანის აღწერაც შევიდა. მართალია, საქართველოსა და კავკასიასთან დაკავშირებული ცნობები ზოგადი ხასიათისაა, თანაც, ზოგან აშკარა სუბიექტურ, მიკერძოებულ ხასიათს ატარებს, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც საინტერესოა უცხოელის მიერ დანახული XIX საუკუნის 20-იანი წლების სინამდვილე.

**შირვანი** ავტორის დაბადების ადგილია. მისი წარმოდგენით, ეს მიწა ბევრი წმინდანის (მათ შორის: შეის სეიდ იაჰიას, შეის მეჯდუდინის, შეის მაჰმუდის, შეის იუსუფის, შეის მუჰმედის და სხვ.) სამშობლოა და შესაბამისად, აქ მორწმუნე და ღვთისმოსავი ადამიანები ცხოვრობენ. შირვანის მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტური აღმსარებლობისაა, მათ შორის უმეტესი ნაწილი იმამ შაფის მოძღვრების მიმდევარია, ჰანეფიტები კი ცოტაა.

შირვანი შედგება ორი დიდი ეიალეთის – შექისა და შემაჰისაგან. თითოეული ცალკე დინასტიისაგან იმართება. შაჰ ისმაილის შემდეგ, როცა შირვანი ირანის ბატონობისაგან გათავისუფლდა, ორ დინასტიას შორის დიდხანს სისხლისმღვრელი ბრძოლა წარმოებდა და ორივეგან მეჩეთებში ოსმალეთის სულთნების სახელზე სამადლობელი ღოცვა აღევლინებოდა. შირვანში ყველა პერიოდში 30-

---

<sup>187</sup> Şirvanlı Fatih Efendi, Gülzar-ı Fütühat, Hazırlayan Mehmet Ali Beyhan, İstanbul, 2000, XXXVIII.

მდე დიდი სწავლული ცხოვრობდა. ამ ქვეყანას, რომელიც დაღესტნისა და საქართველოს მეზობელია, საჭიროების შემთხვევაში 50 ათასი მეომრის გამოყვანა შეუძლია.

**დაღესტანი** მსოფლიოს გასაოცარი, ადამიანთა გამაოგნებელი მთის – ელბრუსის ირგვლივ მცხოვრები ლეზგების, ყუმუხების და სხვა მრავალი ტომის სამშობლოა. ამ ქვეყანაში 32 ენაზე ლაპარაკობენ. არაბული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენაა, ამიტომაც მის მცოდნეს აქ ენის მხრივ პრობლემები არ შეექმნება.

აქ მცხოვრებთა თითქმის უმეტესობა შაფის მოძღვრების მიმდევარია. აქაც უმრავლესობა ძალიან მორწმუნენი არიან. ბრძენი ადამიანებითაც მდიდარი რეგიონია. აქაურები თავდადებულები და პატრიოტები არიან. მიწა დიდი მოსავლიანობით არ გამოირჩევა. 73 ქალაქისა და დაბის მქონე დაღესტანი არასოდეს ყოფილა სხვა ქვეყნის ძალაუფლების ქვეშ. მხოლოდ ოსმალეთის სახელმწიფოსთან ჰქონდათ დამოკიდებულება და აქაურ მეჩეთებშიც ფადიშაჰთა სახელზე სამადლობელი ლოცვა აღევლინებოდა.

ექვს დიდ ეიალეთად დაყოფილი დაღესტანი საჭიროებისას 150 ათასი მეომრის გამოყვანის შემძლეა.

**საქართველოს** მოსახლეობა, საზოგადოდ, სასიამოვნო გარეგნობით, ლამაზი პირ-სახითა და პროპორციული სხეულით გამოირჩევა. ამ ქვეყანაშია ნაყოფიერი მიწები, ხასხასა მინდვრები, ათასგვარი ყვავილით შემკული მთები, ნაირ-ნაირი სახეობის ხეები და მომდინარე წყლები. ორ დიდ ეიალეთად დაყოფილი საქართველო სამ საუკუნეზე მეტია (ნარკვევის დაწერის თარიღიდან (1827) გამომდინარე) ოსმალეთის სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში მყოფი ბაგრატიონთა დინასტიის მიერ იმართება, ცენტრი – მდინარე მტკვარზე არსებული ქალაქი თბილისია. აღნიშნული ორი ეიალეთიდან ერთი ბაშიაჩუკის მხარეს გურულებით დასახლებული გურია და მეორე – დადიანია. ბაშიაჩუკის რეგიონი ქვიანია და მიწა უნაყოფო, მოსავალიც მცირეა, ხოლო თბილისი მოსავლიანი რაიონია.

**ირანში** თითქმის ათასი წლის ზარატუსტრას ცეცხლით „მოჯადოებული“ ხალხი მკვირცხლი და მყარი ტემპერამენტით ხასიათდუ-

ბა. რევანიდან და თავრიზიდან მაზენდერანის რაიონამდე ქალაქისა და დაბების მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შიიტურია. ქვეყნის ძალიან ბევრი რაიონის მიწები მოუსაველიანია და მცხოვრებნიც უმეტესად გაჭირვებულნი არიან. ირანელები ბრძოლაში შეუდრეკელობით არ გამოირჩევიან და ამიტომაც ხანგრძლივ ომში გამძლეობა არ ჰყოფნით. ამის გამო ხშირად უცხოელების მხრიდან დაპყრობის ობიექტი ხდებოდა. ავტორისათვის გასაოცარია, რომ ოსმალებთან თითქმის ყველა ომში დამარცხებების მიუხედავად ირანი ოსმალთა მყარი მმართველობის ქვეშ არ მოექცა. ამას ფათიჰ ევენდი ირანის ბევრ რეგიონში და განსაკუთრებით აზერბაიჯანში სუნიტური მოსახლეობის სიტყვებით ხსნიდა.

**რუსეთს** 75 ათასი გაწვრთნილი და კარგად ორგანიზებული ქვეითი და 25 ათასი ცხენოსანი ჯარი ჰყავს. ისინი ნამდვილი მეომრები არიან. ქვეყნის შემოსავალი 60 ათასი ქისა ახჩისაგან შედგება. მონაგონია, თითქოს რუსეთი 8 მილიონი ჯარისკაცის პატრონია. რუსეთის მხრიდან ერთდროულად ამოდენა ჯარის გამოყვანა არაა შესაძლებელი.

ავტორის აზრით, ნებისმიერ ქვეყანასთან ომში რუსეთის გამარჯვება შეუძლებელია, რადგან ამას არც ფიზიკური და არც მატერიალური სახსრები გასწვდება. მისი ჰეგემონიის ქვეშ მხოლოდ კავკასიაში რამდენიმე ტომია. ამათგან ზოგიერთი ეშმაკობითა და ინტრიგების ხლართვით იქნენ დამორჩილებულნი, თუმცა, მათი ოკუპაცია მუდმივ ხასიათს არ ატარებდა.

ასეთია ფათიჰ შირვანელის ცნობები. ვფიქრობთ, იგი კარგ სამსახურს გაუწევს აღნიშნული პერიოდით დაინტერესებულ მკვლევარებს.

## **Irakli Baramidze**

### **Fatih Efendi About Georgia And Caucasus**

#### **Summary**

Fatih Efendi (about 1778-1835) was born in Shirvan. In his youth he went to Istanbul, got scientific education and succeeded at Sultan's Palace. During the war between Russia and Ottoman Empire in 1828-1829 he participated in Commander Salih Pasha's diplomatic mission. he was direct eye-witness of the horrifying processes in Istanbul after the abolishment of janissary corps (1826). In his work "Gülzar-ı Fütühat", edited by Dr. Mehmet Alı Beyhan in 2001, there are some reports about the history, geography, military might and etc. countries in the north-east of Ottoman Empire: Shirvan, Dagestan, Georgia, Persia and Russia.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ი ს ტ ო რ ი ა

<b>ტარიელ ჭიღვარია</b> – ბისმარკის დამოკიდებულება კოლონიური პოლიტიკისადმი (1871-1876)	5
<b>იზოლდა ბელთაძე</b> – ინგლისის საზღვაო ფლოტის განვითარების ისტორიიდან (XIV – XVII სს.)	13
<b>ირაკლი მანველიძე, ნუგზარ ზოსიძე</b> – ტერიტორიულ- სასაზღვრო საკითხები საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში 1919-1921 წლებში	18
<b>ნატალია ლაზბა</b> – სამოქალაქო ომი ლიბანში 1975-1990 წწ.	29
<b>ემზარ მაკარაძე</b> – ფეთქულაჰ გულენი – რესპუბლიკურ თურქეთში აღიარებული მოაზროვნე	36
<b>გიორგი ჭიღვარია, კახაბერ სურგულაძე</b> - თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო დოქტრინა	41
<b>მადონა გოგიტიძე</b> – ისრაელის სახელმწიფო და ახლო აღმოსავლეთის პრობლემა XX საუკუნის მეორე ნახევარში	47
<b>მერაბ მეგრელიშვილი</b> – ბათუმის წმ. ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია	57
<b>ჯემალ კარალიძე</b> – ბათუმის ოლქის აღდგენა (1903 წელი)	63
<b>ოთარ გოგოლიშვილი</b> – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის რამდენიმე საპროტესტო ნოტა ინგლისის მთავრობას ბათუმის ოლქის გამო (1918-1920 წწ.)	71
<b>ბიჭიკო დიასამიძე</b> – აბუსერისძეები XI საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში	78
<b>ირაკლი მანველიძე</b> – პოლარული თუ მულტიპოლარული მსოფლიო?	84
<b>არჩილ ვარშალომიძე</b> – 1918 წლის 14 ივლისის რეფერენდუმი აჭარაში	94

**ე თ ნ ო ლ ო ბ ი ა**

*გურამ ჩავანავა, ლალი ტულუში, ეთერ ხეცოიძე* – მგლის კულტის პარალელები ინდოევროპულ და ქართულ ცივილიზაციებში 103

*თამაზ ფუტყარაძე* – დასახლებების სტრუქტურა შავშეთში 111

**კ უ ლ ტ უ რ ა**

*მარინა ჯინჯარაძე* – ადრეული რენესანსული პორტრეტის მხატვრულ-გამომსახველობითი ენის თავისებურება 116

*მანანა კაშია* – ქართული ფოლკლორის ტრადიციები თანამედროვე სცენოგრაფიაში 127

*ერმილე მესხია* – კულტურის ისტორიისა და თეორიის ზოგიერთი საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში 138

*ირმა ბავრატიონი* – ანტიკური ხელოვნების ისტორიის არქაიკული ლაიტმოტივები 153

**ტ ო პ ო ნ ი მ ი კ ა**

*ეთერი ბერიძე* - ნიგალის ხეობის თურქულენოვანი ტოპონიმია 159

**შ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა**

*იოსებ სანიკიძე* – ჟურნალი „კრებული“ 179

**მ ე თ ო ლ ი კ ა**

*მადონა მიქელაძე* – თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები სკოლაში ისტორიის სწავლებისას 193

**რ ე ც ე ნ ზ ი ა**

*ირაკლი ბარამიძე* – ფათიჰ ეფენდი შირვანელის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ 198

გამომცემლობის დირექტორი  
**ნანა ხახუტაიშვილი**

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.02.2009  
ქაღალდის ზომა 60X84 1/16  
ფიზიკური თაბახი 13  
ტირაჟი 100

ფასი სახელმძღვანელო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში  

---

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35